



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდი

Shota Rustaveli National Science Foundation

აღნიშნული პროექტი (N vef/1/1 – 20/11). განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant N vef/1/1 – 20/11). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself’.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iv. Javakhishvili Tbilisi State University



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

V საერთაშორისო სიმპოზიუმი
ლიტერატურათმცოდნეობის
თანამედროვე პრობლემები

მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და
ლიტერატურული დისკურსი.
ევროპული და კავკასიური გამოცდილება

ედღვნება
ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავს
ნაწილი I

V International Symposium
Contemporary Issues of Literary Criticism
Mythological Thinking, Folklore and
Literary Discourse.
European and Caucasian Experience

Dedicated to
Vazha-Phshavela's 150th Anniversary

Volume I
მასალები Proceedings

**Institute of
Literature Press**



UDC(უაკ)398.22+2-264](479.22)+821.353.1.092
მ-666

V საერთაშორისო სიმპოზიუმი
ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები
მასალები

V International Symposium
Contemporary Issues of Literary Criticism
Proceedings

რედაქტორი
ირმა რატიანი

სარედაქციო კოლეგია:
თამარ გელაშვილი
მაკა ელბაქიძე
ირინე მოდებაძე
მირანდა ტყეშელაშვილი

Editor
Irma Ratiani

Editorial Board:
Tamar Gelashvili
Maka Elbakidze
Irine Modebadze
Miranda Tkeshelashvili

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2011
© Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2011

ISBN 978-9941-0-3961-4

შინაარსი

ვაჟა-ფშაველა — ეპოქა და შემოქმედი Vazha-Pshavela — Epoch and Author

ზაზა აბზიანიძე

საქართველო, თბილისი

ერთი ლექსის სივრცე

(ვაჟა-ფშაველას „ჩემი ვედრება“)*.....17*

ZAZA ABZIANIDZE

Georgia, Tbilisi

Space of One Poem

“My Entreaty” by Vazha-Pshavela*.....17*

მურღვა (ნიკო) არდოთელი

საქართველო, თბილისი

ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“

ერთი პერსონაჟის ვინაობის დაზუსტებისათვის*.....23*

MURGHVA (NIKO) ARDOTELI

საქართველო, თბილისი

On the Identification of One Protagonist

from Vazha-Pshavela’s Poem *Host and Guest**.....23*

თამარ ბარბაქაძე

საქართველო, თბილისი

ვაჟა-ფშაველას „ღამე მთაში“ და „ვეფხისტყაოსანი“

(პოეზიის ბუნებრიობის საკითხისათვის)*.....31*

TAMAR BARBAKADZE

Georgia, Tbilisi

Vazha-Pshavela’s “A Night in the

Mountains” and *Vepkhistqaosani*

(On the Issue of Nature in the Poetry)*.....31*

ლევან ბრიგაძე

საქართველო, თბილისი

„ალუდა ქეთელაურის“ გერმანული თარგმანი*.....37*

LEVAN BREGADZE <i>Georgia, Tbilisi</i> The German Translation of „Aluda Ketelauri“.....	37
ჯულიეტა გაბოძე <i>საქართველო, თბილისი</i> მედლის ორი მხარე აკაკისა და ვაჟას „ორსაუკუნოვანი“ პოლემიკის რეალური ისტორია.....	52
JULIETTA GABODZE <i>Georgia, Tbilisi</i> Two Sides of a Medal A Real Story about Akaki’s and Vazha’s Two-Century Polemics.....	52
ნონა კუპრეიშვილი <i>საქართველო, თბილისი</i> ვაჟას სულეთი როგორც ცირკულარული დროის ტოპოსი.....	63
NONA KUPREISHVILI <i>Georgia, Tbilisi</i> Vazha’s <i>Suleti</i> as Topos of Cyclic Time.....	63
ნესტან კუტივაძე <i>საქართველო, ქუთაისი</i> ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი.....	71
NESTAN KUTIVADZE <i>Georgia, Kutaisi</i> Literary Folk Tale of Vazha-Pshavela.....	71
ანა ლეთოდანი <i>საქართველო, თბილისი</i> „ალუდა ქეთელაურის“ გააზრებისათვის („ლიმინალობის“ თეორია და „ალუდა ქეთელაური“)......	83
ANA LETHODIANI <i>Georgia, Tbilisi</i> For Interpretation (Understanding) of “Aluda Ketelauri” (Theory of Liminality and “Aluda Ketelauri”).....	83

ESMA MANIA <i>საქართველო, თბილისი</i> საარქივო-პერსონიფიცირებული ინფორმაცია – ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური პორტრეტის კვლევის წყარო.....	92
ESMA MANIA <i>Georgia, Tbilisi</i> Archival-Personified Information – Research Sources of Psychological Portrait of Vazha-Pshavela.....	92
ტრისტან მახაური <i>საქართველო, თბილისი</i> ვაჟა-ფშაველა და ხალხური მელექსენი.....	102
TRISTAN MAKHAURI <i>Georgia, Tbilisi</i> Vazha-Pshavela and Folk Rhymers.....	102
ნანა მრევილიშვილი <i>საქართველო, თბილისი</i> შიშის ფენომენის კულტურულ-სოციალური ასპექტები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.....	110
NANA MREVLISHVILI <i>Georgia, Tbilisi</i> Cultural-Social Aspects of Phenomenon of Fear in Vazha Pshavela’s Works.....	110
ავთანდილ ნიკოლეიშვილი <i>საქართველო, ქუთაისი</i> საქართველოში უცხოელ ხიზანთა პრობლემა ვაჟა-ფშაველას თვალთახედვით.....	120
AVTANDIL NIKOLEISHVILI <i>Georgia, Kutaisi</i> The Problem of Foreign Migrants in Georgia According to Vazha-Pshavela’s Viewpoint.....	120
ეთერ ქავთარაძე <i>საქართველო, თბილისი</i> ვაჟა-ფშაველას არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.....	131

ETER KAVTARADZE <i>Georgia, Tbilisi</i> Archive of Vazha-Pshavela in the National Center of Manuscripts.....	131
--	------------

მანანა შამილიშვილი <i>საქართველო, თბილისი</i> ვაჟა-ფშაველა – მესვეტე.....	137
---	------------

MANANA SHAMILISHVILI <i>Georgia, Tbilisi</i> Vazh-Pshavela – Columnist.....	137
---	------------

ნათელა ჩიტაური <i>საქართველო, თბილისი</i> ვაჟა-ფშაველა ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში.....	149
--	------------

NATELA CHITAUARI <i>Georgia, Tbilisi</i> Vazha-Pshavela in Georgian Emigrant Literature.....	149
--	------------

**მითისქმნადობა და მხატვრულ სახეთა სისტემა
The Creation of Myth and the System of Artistic Images**

В. Ю. БАРБАЗИУК, К. Д. ВОРОЖКО <i>Россия, Москва</i> Символическая функция образа в художественном тексте.....	155
--	------------

VERA_Y. BARBAZYUK, KRISTINA D. VOROZHKO <i>Russia, Moscow</i> Symbolic Function of Image in a Fiction Text.....	155
---	------------

გასტონ ბუაჩიძე <i>საფრანგეთი, ნანტი</i> მინდიალიზაცია ანუ ტკბილი სალამი მწვანისა.....	164
---	------------

GASTON BUACHIDZE <i>France, Nante</i> Mindialization Or Sweat Greeting of Green.....	164
--	------------

RŪTA BRŪZGIENĖ <i>Lithuania, Vilnius</i> Rhetoric of “Caucasian Legends” by Lithuanian Writer Antanas Vienuolis.....	171
ელენე გოგიაშვილი <i>საქართველო, თბილისი</i> კოლექტიური რწმენა-წარმოდგენების ინტერპრეტაცია ხალხურ ზღაპრებში (ზღაპარმცოდნეობა და ფსიქოანალიზი).....	186
ELENE GOGIASHVILI <i>Georgia, Tbilisi</i> Interpretations of Collective Beliefs in Folk Tales (Folk Tale Study and Psychoanalysis).....	186
ქეთევან ელაშვილი <i>საქართველო, თბილისი</i> ცის ბილიკის პოეტი (ზესწრაფვის მხატვრული დიაპაზონი ვაჟა-ფშაველასთან).....	189
KETEVAN ELASHVILI <i>Georgia, Tbilisi</i> Poet of the Sky Path (Aspiration Range in Vazha-Pshavela’s Fiction).....	189
MOHAMMAD EXIR <i>Iran, Bushehr</i> The Reflection of Epistemological Anxieties in Joseph Conrad’s <i>Heart of Darkness</i> through the Mythic Character “Kurtz”.....	196
G. M. VASILYEVA <i>Russia, Novosibirsk</i> To the History of One «Ethnocentric» Translation.....	207
Г. М. ВАСИЛЬЕВА <i>Россия, Новосибирск</i> К истории одного «этноцентрического» перевода.....	207

ეთერ ინსკირველი <i>საქართველო, თბილისი</i> ტრანსფორმაციის ფოლკლორული მოდელის ფუნქციონალურ-სტრუქტურული ანალიზი.....	220
ETER INTSKIRVELI <i>Georgia, Tbilisi</i> Functional and Structural Analysis of the Foklore Model of Transformation.....	220
МАРЗИЕ ЯХЬЯПУР, МАРЬЯМ САМЕИ <i>Иран, Тегеран</i> Мифология в «Шахнаме» Фирдоуси.....	229
MARZIEH YAHYAPOUR, MARYAM SAMEI <i>Tehran, Iran</i> Mythology of Ferdosi's Shahnameh and it's Influence on the Russian Literature.....	229
ИННА КАЛИТА <i>Чехия, Усти на Лабѐ,</i> Магический реализм vs. национальная мифология (На примере творчества Дмитрия Липскерова).....	234
INNA KALITA <i>Czech Republic, Usti nad Labem</i> Magic Realism Versus National Mythology (illustrated by Dmitry Lipskerov's works).....	234
ИРАИДА КРОТЕНКО <i>Грузия, Кутаиси</i> Проблема ввода литературного дискурса и мифологической герменевтики в интерпретацию художественного текста.....	245
IRAIDA KROTENKO <i>Kutaisi, Georgia</i> Introduction of Literary Discourse to Literary Text Interpretation.....	245

გორა კუჭუნია <i>საქართველო, თბილისი</i> „წმიდა ნინოს ცხოვრება“ და „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“	250
GOCHA KUCHUKHIDZE <i>Georgia, Tbilisi</i> Comparative Analysis of “The Life of St. Nino” and the Folk Verse “The Leopard and the Young Man” (“ <i>Vepkhvi da Moq’me</i> ”).....	250
JURATE LANDSBERGYTE <i>Lithuania, Vilnius</i> The Myth of Creation of the World as the Vision of M. K. Ciurlionis and its Transformation in the Lithuanian Culture of the 20 th Century.....	254
PILLE-RIIN LARM <i>Estonia, Tartu</i> Estonian Mythopoeia.....	264
ЙОРДАН ЛЮЦКАНОВ <i>Болгария София,</i> Миф об учителе и гениальном ученике в литературе раннего модернизма.....	271
YORDAN LYUTSKANOV <i>Bulgaria, Sofia</i> The Myth of the Teacher and the Gifted Pupil in the Literature of Early Modernism.....	271
ТАТЬЯНА МЕГРЕЛИШВИЛИ <i>Грузия, Тбилиси</i> Мифологема «Сон о собственной смерти» в лирике М.Ю.Лермонтова.....	282
TATIANA MEGRELISHVILI <i>Georgia Tbilisi</i> A Myth "Dream about the Own Death" in the Lyrics of Mikhail Lermontov.....	282

არეჯან მენაბდე <i>საქართველო, თბილისი</i> დინარა-თამარის იდენტურობის საკითხისათვის.....	295
DAREJAN MENABDE <i>Georgia, Tbilisi</i> On the Issue of Dinara-Tamar Identity.....	295
В. Т. МИХАЙЛОВА <i>Бурятия, Улан-Уде</i> «Тайные» языки культуры: знаковая система в шаманизме.....	305
VERA T. MIKHAYLOVA <i>Buryat, Ulan-Ude</i> The «Secret» Languages of the Culture: a System of Signs in the Shamanism.....	305
ФЛОРА НАДЖИЕВА <i>Азербайджан, Баку</i> Архетип Круга в современной азербайджанской литературе.....	316
FLORA NAJIYEVA <i>Azerbaijan, Baku</i> Archetype of Circle in modern Azerbaijan prose.....	316
ადა ნემსაძე <i>საქართველო, თბილისი</i> მიტოლოგიზმი და დემითოლოგიზაცია (თანამედროვე ქართული ლიტერატურის გამოცდილებით).....	326
ADA NEMSADZE <i>Georgia, Tbilisi</i> Mythologism and Demythologization (in Modern Georgian Literature).....	326
KADISHA NURGALI <i>Kazakhstan, Astana</i> Mythology in Kazakh Literary Prose.....	338

КАДИША НУРГАЛИ <i>Казахстан, Астана</i> Мифологизм казахской художественной прозы.....	338
Ж. К. НУРМАНОВА <i>Казахстан, Астана</i> Мифотворчество и система художественных образов Ермека Турсунова.....	344
ZHANNA NURMANOVA <i>Kazakhstan, Astana</i> Myth in Ermek Tursunov `s Creativity and System of Artistic Images.....	344
DAVID JACQUES <i>UK, Cambridge</i> Time and Time Again: New Insight into the Significance of Vespasian's Camp in the Stonehenge Landscape.....	355
ირმა რატიანი <i>საქართველო, თბილისი</i> „მსხვერპლისა და მსხვერპლშენიერვის“ ანთროპოლოგიური თეორია და ალ. ყაზბეგის პროზა.....	359
IRMA RATIANI <i>Tbilisi, Georgia</i> Anthropological Theory of “Sacrifice” and Al. Qazbegi's Fiction.....	359
ნესტან რატიანი <i>საქართველო, თბილისი</i> ერთი უცნაური ჩვეულება – სინამდვილე თუ გამონაგონი?	367
NESTAN RATIANI <i>Georgia, Tbilisi</i> One Strange Custom – a Fact or a Ficton.....	367

MASOUMEH RAHIMI <i>Iran, Bushehr</i> The Great Myth of the “King Arthur” in Mark Twain’s <i>A Connecticut Yankee</i> in King’s Arthur Court at the Service of Social and Political Satire.....	375
ЛЮДМИЛА САВОВА <i>Болгария, София</i> Между мифами и реальности Владимир Назор (30.05.1876 – 19.06.1949).....	382
LYUDMILA SAVOVA <i>Bulgaria, Sofia</i> Between Myth and Reality <i>Vladimir Nazor (May 30, 1876 in Postira, Brač - June 19, 1949 in Zagreb)</i>.....	382
ЭЛЕОНОРА СОЛОВЕЙ <i>Украина, Киев</i> Миф о поэте (Пушкинские торжества 1937 года: Украинский вариант)	389
ELEONORA SOLOVEY <i>Ukraine, Kiev</i> A Myth on Poet (Pushkin’s Festivities of 1937: the Ukrainian variant)	389
НАТАЛЬЯ СУМАРОКОВА <i>Россия, Нижний Новгород</i> Мифологизация женского образа в новеллистике Томаса Гарди (на примере новеллы «Сухая рука»).....	398
NATALIA SUMAROKOVA <i>Russia Nizhny Novgorod</i> Mythologized Female Image in the Novel of Thomas Hardy (with the example of the novel «Withered Arm»).....	398
САБИНА ТАРИВЕРДИЕВА <i>Азербайджан, Баку</i> Архетип трагического в литературе XX века	408

SABINA TARIVERDIYEVA <i>Azerbaijan, Baku</i> Tragic Archetype in the Literature of the XX century.....	408
ნინო ქავთარაძე <i>საქართველო, თბილისი</i> სიტყვა და მითი: პასკალ კინიარის ჯადოსნური სამყარო.....	415
NINO KAVTARADZE <i>Georgia, Tbilisi</i> Word and Myth: Magic World of Pascal Quignard.....	415
Ю. А. ШАНИНА <i>РФ, Башкортостан, Уфа</i> Архетипические мотивы и образы.....	421
в романах Г. Свифта	
JULIA SHANINA <i>RF, Bashkorstan, Ufa</i> Archetypical Motives and Images in Graham Swift’s Novels.....	421
Ю. В. ШЕВЧУК <i>РФ, Башкортостан, Уфа</i> Фольклорные образы и мотивы в ранней лирике А. Ахматовой.....	434
YULIA SHEVCHUK <i>RF, Bashkorstan, Ufa</i> Folklore Images and Motives in A. Akhmatova’s Early Lyrics.....	34
ლელა ხაჩიძე <i>საქართველო, თბილისი</i> „ქართული დავითნი“ და მისი ზოგიერთი დამონუმება ძველ ქართულ მწერლობაში.....	447
LELA KHACHIDZE <i>Georgia, Tbilisi</i> “Georgian Psalter” and Some of its Testaments in Old Georgian Literature.....	447

НАТЕЛЛА ХИНЧАГАШВИЛИ <i>Грузия, Гори</i> Восточные легенды в контексте творчества А.И.Куприна.....	453
NATELA KHINCHAGASHVILI <i>Georgia, Gori</i> East Legends in a Context of Creativity of A.I. Cuprin.....	453
მანია ჯალიაშვილი <i>საქართველო, თბილისი</i> მითის პოეტიკის ასპექტები ქართულ მოდერნისტული რომანში.....	460
MAIA JALIASHVILI <i>Georgia, Tbilisi</i> Aspects of the Poetics of Myth According to Georgian Modernist Novel.....	460

ვაჟა-ფშაველა — ეპოქა და შემოქმედი Vazha-Pshavela — Epoch and Author

ZAZA ABZIANIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Space of One Poem “My Entreaty” by Vazha-Pshavela

It has been more than one century since Vazha-Pshavela’s poem “My Plea” (1883) was written, and in that time few have paid proper attention to it. Yet this poem marks a divergence between Vazha-Pshavela and his contemporaries. Iliā Chavchavadze and Akaki Tsereteli were two classic Georgian writers who continued the tradition of deifying poets (in the spirit of Horace), by placing themselves on a pedestal and speaking like Gods. Surprisingly, 22-year old Vazha-Pshavela was brave enough to voice his credo in opposition to his two great contemporaries. Vazha-Pshavela believed it to be the poet’s duty to be humble, full of humility, and a healer of nature and humanity. In this antithesis were factors of psychology and personality, which are addressed in this essay.

Key words: artistic manifesto; psychological subtext

ზაზა აბზიანიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ერთი ლექსის სივრცე (ვაჟა-ფშაველას „ჩემი ვედრება“)

ვაჟა-ფშაველას „ჩემს ვედრებას“, ტრადიციულად, პოეტის ლირიკულ შედეგებს არ აკუთვნებდნენ. ისეთ ავტორიტეტებს, როგორიც ალექსანდრე აბაშელი და გიორგი ლეონიძე იყვნენ, ეს ლექსი მათ მიერ შედგენილ ვაჟას კრებულებში არც კი შეუტანიათ. მაგრამ, გამოხდა ხანი და დროთა დინებაში თითქოს განილინ ის გაურანდავი „კორძე-ბი“, ესოდენ რომ ეხამუშებოდნენ დახვეწილ ყურთასმენას და ამდენი ხნის შემდეგ „ჩემს ვედრებასთან“ თავიდან მიბრუნებულნი, ჩვენ ჩავცქერით ვაჟას შემოქმედებისათვის უნიკალური კონცეპტუალური მნიშვნელობის ტექსტს — მისი მსოფლალქმის პოეტურ გაცხადებას.

„ჩემი ვედრება“ ისეთივე პროგრამული ნაწარმოებია ვაჟასათვის, როგორცაა ილიას „პოეტი“ ან აკაკის ამავე სახელწოდების ლექსი. შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟანრული თანხვედრით მთავრდება მსგავსება „ჩემს ვედრებასა“ და ქართული ლირიკის ორ ზემონახსენებ ნიმუშს შორის.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 22 წლის ვაჟა-ფშაველას ბოლომდე გაცნობიერებული ჰქონდა არა მხოლოდ თავისი თვითმყოფადობა და პოეტური ხელწერის განუმეორებლობა, არამედ თავისი შემოქმედებითი „კრედოც“, რომლის დომინანტური თეზა უპირისპირდებოდა მისი დროის ორი დიდი ქართველი პოეტის მიერ დანერგილ მსოფლმხედველობრივ ყალიბს. ვგონებ, ეს დაპირისპირება არცთუ სტიქიურია და „ჩემი ვედრების“ სივრცეში მოგვესმის არა მხოლოდ ახალგაზრდა პოეტის იდეალთა ჩამონათვალი, არამედ იმდროინდელ ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე მისი დამკვიდრების დრამატული პროცესის ექოც.

ახლა იმ „ატლანტებს“ მივუბრუნდეთ, რომელთა მხრებსაც ეყრდნობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის გუმბათი: ილიაც და აკაკიც ერთსულოვანნი არიან თავიანთ გაგებაში პოეტის მისიისა – როგორც მესიის (უნებლიედ, სიტყვათათამაში გამოვიდა), მხსნელის, ზეცისა და მიწას შორის „შუამავლის“, ღმერთთან მოლაპარაკე ერის წინამძღოლისა. გავიხსენოთ აკაკის „ავტოპორტრეტი“ მისივე „პოეტიდან“: „თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ, / სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა! / შუაკაცი ვარ უბრალო, / ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“ (1886), ან ილიას კიდევ უფრო პათეტიკური წამოძახილი: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, / რომ წარვუძღვე წინა ერსა“ (1860).

ვაჟას თვალთახედვა პრინციპულად განსხვავებულია. მაგრამ, ვიდრე ამ თემას განვაგრძობდეთ, თავიდან გადავიკოთხოთ „ლიტერატურათმცოდნეობით ჩრდილში“ უსამართლოდ მოქცეული ლექსი:

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლად;
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველად.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევე,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,

შვილთ საგმოდ არ გამიხადო
 ჩემი მუდმივი სამყოფი.
 გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
 მნათობს ტრფობისა შეშითა,
 ნუ მავლევე ქვეყანაზედა
 გაცივებულის ლეშითა,
 თვალეში მადლდაკარგულსა,
 შუბლზე გაკრულის მეშითა...
 ნუ დამასვენებ ნურასდროს,
 მამყოფე შეძრწუნებული,
 მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
 როცა ვარ შენუხებული.
 როცა გულს ცეცხლი მედება,
 გონება მსჯელობს სალადა,
 მაშინ ვარ თავისუფალი,
 თავს მაშინა ვგრძნობ ლალადა.
 მფარავდეს შენი მარჯვენა,
 კალთა სამოსლის შენისა,
 სანამ არ მოვა დრო-ჟამი
 სულ ბოლო ამოქმენისა.
 სული — შენ, ხორცი — მიწასა,
 აღარა ვგლოვობ ამასა,
 თევზი — წყალს, ცასა — ვარსკვლავი,
 შვილი — დედას და მამასა.
 (ვაჟა-ფშაველა, 1961: 110)

ვაჟას შემოქმედებითი მრწამსის გაცხადებაში (დავაზუსტებ: „ჩემი ვედრება“ 1893 წელსაა დაწერილი) ვერ შეხვდებით ვერც ბიბლიური მოსეს ალუზიებს, ვერც ერის წინამძღოლობის ამბიციას. მისი შემოქმედებითი კრედო მისივე მსოფლმეგრძნებიდან მომდინარეობს. „ჩემს ვედრებაში“ გაცხადებული სურვილი „ბალახად“ თუ „ცხვრად“ ყოფნისა — არა თუ ძლიერებთან მიტმასნებასა და „მგელობას“, არამედ ამ ფარის „მწყემსობასაც“ კი გამორიცხავს.

თუ კარგად ჩავუკვირდებით „ჩემი ვედრების“ „სურვილთა ნუსხას“, შესაძლოა გავიფიქროთ, რომ „ჩემი ვედრების“ ხაზგასმული თავმოდრეკაც, ზეციურ მეუფესთან არა თანამოსაუბრის, არამედ ცხოვრების უსამართლობით შეძრწუნებული მავედრებლის მუხლმოდრეკაც, — ერთგვარი, შეფარული პოლემიკაა მისი დროის ორ უდიდეს ქართველ მოღვაწესთან; შესაძლოა, ისიც გავიფიქროთ, რომ ილიასა და აკაკისადმი განუზომელი მონივნების მიუხედავად, ვაჟამ მაინც გადაწყვიტა ლექსადვე გაცხადებინა თავისი შემოქმედებითი არჩევანი — როგორც კიდევ ერთი დასტური მისი სულიერი ავტონომიისა.

ჩვენ გულწრფელნი არ ვიქნებით, თუ ილიასა და აკაკისთან ვაჟას კონცეპტუალურ დაპირისპირებაში საერთოდ არ გავითვალისწინებთ პიროვნულ ასპექტს, რომლის ფსიქოლოგიურ ფონზეც წარიმართა „ჩემი ვედრების“ დრამატული კოლიზია.

აკაკის ცნობილი „ენას გინუნებ ფშაველო...“ (1913 წელს გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებული) იმდროინდელ მკითხველთა იმ ნაწილისათვის, რომელიც ქართული ლიტერატურული ცხოვრების ნიუანსებში მაინცადამაინც გათვითცნობიერებული არ იყო, მეხის დაცემად აღიქმებოდა. აი, გათვითცნობიერებულთ კი მშვენივრად ახსოვდათ, რომ სწორედ აკაკი გახლდათ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გეზის მიმცემი ჟურნალ „კვალისა“, რომელმაც დაარსების დღიდანვე (1893 წელს!) თავისაკენ მიმავალი გზა აღუკვეთა ვაჟა-ფშაველას.

ერთი ნაწყვეტი „კვალის“ რედაქტორის, ანასტასია წერეთლისადმი მიწერილი ვაჟას ბარათიდან ნათლად გვაგრძნობინებს, რომ ვაჟას ნამდვილად არ ეშლებოდა, თუ რეალურად ვინ წარმართავდა „კვალის“ ლიტერატურულ პოლიტიკას: „ქალბატონო ანასტასია! — მიმართავდა ვაჟა ჟურნალის რედაქტორს, — ...დიდად პატივს ვცემ აკაკის ნიჭსა და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის, არც სხვას, რომ საკუთარი თავის პატივისცემაზე ხელი ავიღო, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებაზე ამა თუ იმ საგანზე. თქვენ კი წერას უკაცრავად, ბატონო ჩემო, ამ სიმართლის თქმისათვის, სულ სხვაგვარად მოგსვლიათ საქმე. რაც მე მასალა წარმოგიდგინეთ, თქვენ ხომ მიიღეთ ეს მასალა და კიდევაც უნდა დაგებეჭდათ თუ საკუთარ თავსა და საკუთარ აზრს რაიმე ფასს სდებთ“ (ხორნაული, 2008: 352).

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ვაჟას ნაწარმოებთა უმეტესობა ერთ გაზეთში ქვეყნდება და ეს გაზეთი — ილიას „ივერია“ გახლავთ. მაგრამ მთლად იდილიურად არც ეს თანამშრომლობა წარმართა. ჯერ კიდევ 1892 წელს იწყება ავადსახსენებელი ისტორია პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სათვისტომოს ურთიერთდახმარების სალაროს (ე.წ. „სტუდენტთა კასის“) პრეტენზიებისა ვაჟას სტუდენტობისდროინდელ დავალიანებასთან დაკავშირებით.

ვაჟას პირველი რეაქცია ამ პრეტენზიებზე ნამდვილად არ იყო არც მართებული და არც დამაჯერებელი. (ამ თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მის შემდგომ წერილებში იგრძნობა კიდევ ერთგვარი სინანული თავისსავე მოუზომავი სიცხარის გამო). „ივერიის“ თანამშრომლებმა, იმის ნაცვლად, რომ დაემოშმინებინათ გულფიცხი ახალგაზრდა პოეტი და მასთან ერთად გამოეძებნათ ვაჟას პიროვნული ღირსების შესაფერისი გამოსავალი ამ დელიკატური სიტუაციიდან, „ლოიალური ობიექტურობა“ გამოიჩინეს და აქვეყნებდნენ, როგორც ვაჟას გასაკიცხად გამიზნულ სტატიებს, ასევე მის საპასუხო წერილებსაც. იმ გაუმხელელმა წყენამ, რომელიც 1892 წლიდან მომდინარეობს, პიკს უკვე 1894 წელს მიაღწია და პარადოქსული იყო, რომ „ივერიელი“ თანამოკალმეებისადმი საყვედურით აღსავსე წერილი ვაჟამ უკვე „კვალში“ დაბეჭდა სათაურით: „ივერია“ № 201 და მეველე (წერილი რედაქციასთან)“.

აი, ერთი ნიშანდობლივი პასაჟი „ივერიის“ ერთ-ერთი იმდროინდელი წამყვანი თანამშრომლის, „მეველეს“ ფსევდონიმით ცნობილი

დავით მიქელაძის მისამართით გაგზავნილი ღია წერილიდან: „...მერე რა დაცინვით მიხსენიებს, თითქოს რაიმე საბუთი მიმეცეს ამ დაცინვისა იმისთვის: „ასე ეგონება ადამიანს, ამისი დამწერი ან ცინცინატი უნდა იყოს, ან გარიბალდი და ან მთავარსარდალი სამხრეთის შტატებისა, გენერალი მაინც, რომელნიც გუთანზე მუშაობდნენ“ (რა ქართულია: „გუთანზე მუშაობდნენ“).

რაკი „ასე ეგონებაზე“ მიდგა საქმე, მეც ნება მიბოძეთ ამ კილოთივე ვიკითხო: რა ეგონება ადამიანს, როცა ამ ჩვენს მეველესაგან გასამართლებას ნაიკითხავს, მოისმენს მის მსჯავრს? მე კი მგონია, რომ ეს მსჯავრი, ეს გასამართლება არ მომდინარეობს უბრალო მომაკვდავის პირით, არამედ ეკუთვნის დიდებულ ზევსს, ოლიმპსა ზედა მჯდომარესა, არა შვილსა ამ ცოდვილის ქვეყნისა“ (ყუბანიეშვილი 1937: 323).

ვაჟას პათეტიკური ტირადის ჩაკვირვებულ მკითხველს აქ უკვე ციტირებული სტრიქონების ალუზია გაუჩნდება; დიახ, სწორედ ამ სტრიქონებისა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, / რომ წარვუძღვე წინა ერსა“, ხოლო „ოლიმპსა ზედა მჯდომარე“ შთამაგონებულად მეველის ენამწარე პამფლეტისა „ივერიის“ რედაქტორს მიიჩნევს. და, არც შეცდება!

„ამის შემდეგ ვაჟა-ფშაველას „ივერიის“ რედაქციასთან 1895 წლის ივლისამდის ყოველგვარი კავშირი ჰქონდა განწყვეტილი, – წერდა პროფ. სოლომონ ყუბანიეშვილი მის მიერ შედგენილ, ვაჟას ბიოგრაფიული დოკუმენტების უნიკალურ კრებულში, – შემდეგ კი, კვლავ განაახლა მასთან თანამშრომლობა და ინტერნსიურად განაგრძობდა მუშაობას“ (ყუბანიეშვილი 1937: 324).

ეს „შემდეგ“ გულისხმობდა ილიასთან ურთიერთობაში 1893–1894 წლებში გაჩენილი ბზარის თანდათანობით გაქრობასაც და ილიასაგან მომდინარე რეალურ თუ წარმოსახულ წყენათა „წარმავლობას“ იმ მარადიული ღირებულებების ფონზე, რომლებიც ილიასა და ვაჟას აერთიანებდნენ და რომლებმაც უკარნახეს ვაჟას ილიას ცხედართან ნათქვამი სულისშემძვრელი გამოსათხოვარი სიტყვა...

ახლა, თუ კვლავ დავუბრუნდებით „ჩემი ვედრების“ შექმნის პერიოდს და გავიხსენებთ მთელ იმ ლიტერატურულ, პიროვნულ, ფსიქოლოგიურ ფაქტორთა ერთობლიობას, რომელზეც ზევით მოგახსენებდით, ხოლო შემდგომ კი — დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიას“, ორ დასკვნას გამოვიტანთ: პირველი — რომ ვაჟას კონცეპტუალური დაპირისპირება ჰორაციუსიდან მომდინარე ტრადიციასთან „შემოქმედისა“ და „შემომქმედის“ დაწყვილებისა, მისი თავმოდრეკა და „ბალახად ყოფნის“ სურვილი — ესაა გაცნობიერებული არჩევანი ხელოვანის მოკრძალებული პოზიციისა და არამც და არამც დაქვეითებული თვითშეფასების გამოვლინება. ასე რომ ყოფილიყო და ვაჟას ოდნავ მაინც შეპარვოდა ეჭვი თავის მისიაში, თავის სამომავლო ზეობაში, იმავე წლებში არ დანერდა ამ წინასწარმეტყველურ სტრიქონებს:

...მაგრამ გაიგებთ ერთხელაც,
ვინ ახლო ვდგევართ ღმერთთანა.
(„სიმღერა“; „მე რო ტირილი მენადოს...“; 1886 წ.)

მეორე, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი, ვფიქროთ, იყო ვაჟას პიროვნულ მიმართებათა და შეფასებათა ერთობლიობა, რომელმაც, შესაძლოა, ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა ვაჟას შემოქმედებითი კრედოს ჩამოყალიბებისა და ლექსად გაცხადების პროცესში.

და ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენი გაფიქრება ჭეშმარიტებასთან ახლოს იყოს...

დამონებიანი:

ვაჟა-ფშაველა 1961: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებათა სრული კლექტული ხუთ ტომად*. ტომი I, თბ.: 1961.

ხორნაული 2008: ხორნაული გ. *ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი*. თბ.: 2008.

ყუბანიშვილი 1937: ყუბანიშვილი ს. *ვაჟა-ფშაველა (დოკუმენტები და მასალები)*. თბ.: 1937.

MURGHVA (NIKO) ARDOTELI

Georgia, Tbilisi

**On the Identification of One Protagonist from
Vazha-Pshavela's Poem *Host and Guest***

The paper examines the family narratives concerning Zviad Zviaduri of Lagaz an inhabitant of the village Ardot in the northern part of Khevsureti. It is noteworthy that in the poem *Host and Guest* a passage is found that gives the opportunity to establish Zviaduri's identity and background. Although in 1988 Valerian Elanidze published a monograph stating that a person from a Tush region, acclaimed for his deeds and speech became a prototype of Zviad Zviaduri, it seems to be an erroneous information and conclusion. The last point of the article is that Zviaduri from Ardot and Meleke Giorgi –are still regarded by people as one and the same person.

Key words: Zviaduri, Ardot, Meleke Giorgi

მურღვა (ნიკო) არდოთელი

საქართველო, თბილისი

**ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ ერთი
პერსონაჟის ვინაობის დაზუსტებისათვის**

ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელში“ გამოყვანილია ხევსურის გმირი ზვიადაური. იგი პოემის მთავარი პერსონაჟია. ზვიადაური დადებითი პიროვნებაა, თუმცა მისი ცხოვრება ტრაგიკული და წინააღმდეგობებით სავსეა.

ჩემი მიზანია, ამ წერილის მეშვეობით, საზოგადოებას გავაცნო ზვიადაურის პროტოპერსონაჟი და რეალური გმირი — ზვიად ზვიადაური. ვაჟა-ფშაველა ზვიადაურის შესახებ წერს, რომ „ზვიადაური, ხევსური, შემთხვევით ჩაუვარდება ქისტებს ხელში. რა შემთხვევით ეს მე არ გამიგონია. მასასადამე, ჯოყოლას შეხვედრა და მის მიერ ზვიადაურის შინ მიპატიჟება, ეს ავტორის საკუთრებაა. ჩემი ფანტაზიის ნაცოდვილარია...“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 363).

1988 წელს თსუ გამომცემლობამ გამოსცა ვალერიან ელანიძის მონოგრაფია: „თუშეთის ისტორიის საკითხები“, რომელშიც მკვლევარი მიუთითებს, რომ ზვიადაურის პროტოტიპი იყო თუში სახალხო გმირი ლუის ლუხუმი. ამ მოსაზრებას, ბუნებრივია, ვერ დავეთანხმები.

ცნობილი ხდება, რომ ვაჟას გაგონილი და გაგებული ჰქონია ხევსური ზვიადაურის ქისტების ხელში ჩავარდნის ამბავი. წინასწარვე აღ-

ვნიშნავ, რომ ზვიადაურთან ერთად იმყოფებოდა მათურელი ფშაველი ბახა. ისინი ქისტებმა სოფელ სამატყუში დახოცეს. შესაძლოა, აქედანაც სმენოდა ავტორს ზვიადაურის შესახებ.

მწერლისთვის, შესაძლოა, დიდი მნიშვნელობა არც ჰქონოდა ზვიადაურის სადაურობის საკითხს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევართათვის და ნაწილობრივ საზოგადოებისთვისაც, ჩემ ხელთ არსებული მასალები და გადმოცემები საინტერესო იქნება.

ზვიად ლაგაზის ძე ზვიადაურს სოფელ არდოტში უცხოვრია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ლაგაზათ ზვიადს თავისი დიდი პაპის მანგით ზვიადის სახელი რქმევია, რომელიც სოფელ მუქოდან (ფშავედან) სოფელ არტოში გადმოსულა. მანგით ზვიადის შვილს ლუხუმი რქმევია, მის შვილს — გიორგი, გიორგის შვილს — ლაგაზი. ლაგაზს ორი ვაჟი — ზვიადი და ზუედი ჰყოლია. სამივე ქალი: ლელა, ბებერა, მესამის სახელი ჩემთვის უცნობია. ლაგაზის ორივე ვაჟი მთელ პირიქითა ხევსურეთში თავისი კაი კაცობით, მამაცობითა და გულადობით ყოფილან ცნობილნი. იმ დროს საქართველოს მთასაც დიდი თავდასხმების მოგერიება უწევდა. იყო კავკასიელ მთიელებთან ბრძოლები, ერთმანეთის დალაშქვრა და სისხლის აღების წეს-ტრადიციები. ბუნებრივია, რომ ხევსური ზვიადაურები თავისიანის სისხლს არავის შეარჩენდნენ და ასეც იყო მთელი მათი ცხოვრება, რასაც დღემდე გადმოგვცემენ ჩვენი მამა-პაპანი.

ცნობილია, რომ 1843 წელს შატბის შემოესია შამილის ერთ-ერთი ნაიბი თავისი ჯარით. შატბილიონებთან ერთად, პირიქითა ხევსურეთის სხვა სოფლების მკვიდრნიც მონაწილეობდნენ ამ ბრძოლაში. არდოტიდან მოკლული იქნა ზვიადაური სიხოთ უთურგა („მგელათ“ მამიშვილობის კაცი). ამ ადგილს ალაქოს ხევი ჰქვია. სახოთ უთურგას მკვლევლობას, ბუნებრივია, რომ სისხლის აღება მოჰყვებოდა. ამის შესახებ ლექსი გვეუბნება:

„არდოტ დაიქცა ციხეი,
ნაგები ბასრი ქვისაო.
სიხოს უთურგას აუგით
ეკალდამაი რვლისაო.
ზედ გადახურეთ ყორნის ფრთით
ნამ არ ჩავიდეს წყლისაო.
ჩაუდგით ოქროს სურაი,
შუქი რომ ჩაჰყვეს მზისაო.“ ...

არდოტში, სომხოს გორაზე, სათავე აკლდამაში განისვენებს ეს სახალხო გმირი. უთურგის სისხლის ასაღებად ლაგაზის ორივე შვილს უვლია ჩეჩნეთში:

„ყელ ჭრელი ზვიადის თოფი
ჭანთეთ, ტერელოს გამადისაო“.

მათთან ერთად ყოფილან უთურგის შვილები: გიორგი, ძალლიკა და კიდევ ერთი, რომლის სახელიც არ მახსოვს.

ვინ იცის, რამდენჯერ იომეს, იბრძოლეს მტერთან ბიძაშვილებმა. „იოგის თავში“* უნდა ეძებნათ თავიანთი მამა და ბიძაშვილი. სულ ფარ-ხმალში ჩამსხდარნი ყოფილან:

„არდოტ იქცევა ციხეი,
მარჯვენა გვერდი სკდებაო.
ზვიადი ზვიადაური
საველოდ ემზადებაო“...

კარგი ვაჟკაცის, კარგი ყმის სიკვდილი საგვარეულო ციხის დაშლის ტოლფასია. სოფელი თავდაცვის გარეშეა დარჩენილი. სიხოთ უთურგათ გიორგისათვის, მამის სისხლის ალების დროს, ძმა მოუკლავთ. გიორგის თავისი ძმა „საყუჩად“ აუფარებია და მტერს ისე შებრძოლებია. მელექსე კვირობს:

„ანდრეზად არ მადიოდა,
საყუჩად დება ძმისაო“...

ქისტებთან და ლეკებთან ბრძოლა, სისხლის ალება დიდხანს გაგრძელებულა. 12 მარჯვენა უთურგის შვილს — გიორგის, ე.წ. „მელექე გიორგის“ საგვარეულო ციხე-კოშკის ჩარდახებზე დაუკრია (ეს ციხე-კოშკი 1979 წლის 29 ივლისს დაიშალა, დაინგრა).

შამილის ლაშქრობის შემდეგ არდოტში ამოსულა პრისტავი, რომელსაც ოთხი ნარჩევი ვაჟკაცი ქისტეთში დასაზვერად გაუგზავნია. ესენი ყოფილან ორი ქისტი მუცოდან: ბორჩათ ბუგუ და დარქუზაანათ ჯოყოლა; ფშაველი ბახა მათურიდან და ხევსური ლაგაზათ ზვიადი არდოტიდან. მათ ქისტეთის სოფლების დაზვერვა და პრისტავისათვის ინფორმაციის მიწოდება ევალებოდათ. სოფელ სამტყუში ქისტებს ოთხივე ალყაში მოუქცევიათ და „სახელად მისვლა“, მათთვის ჩაბარება მოუთხოვიათ. ზვიადის გარდა, ყველასთვის იარაღი აუყრიათ, მხოლოდ ზვიადაურს გაუნეგია წინააღმდეგობა. ქისტებს ოთხივე მოუკლავთ. კიკოთ ჯოყოლას გადმოცემით, ზვიად ზვიადაურს ორი ქისტი ძმობილი ჰყოლია სოფელ ბაჩაიგედან — აბაგა და წყალსიქითელი ტომით უავერგა. ამ უკანასკნელს გაუგია თავისი ხევსური ძმადნაფიცის მოკვლის შესახებ:

„დაქუეს ტომის გაზრდილი
ყორნის გრილოებს ჰყვებისა.
მამკლავი ზვიადისა,
სამ დღეს არ მამირჩებისა.

* „იოგის თავი“ — 12 კაცის შეწირვა.

სამტყუში ბუკულისშვილო,
დედა გაგინყრა ღვთისაო.
ტოშით უავერგ მაგამამს
თეთრი სიათის პირასო“.

სამტყუელი ჭუჭა ბუკულისშვილი, ზვიადურის მკვლელი, თავზე-ხელაღებული მძარცველი ყოფილა, რომელიც თავს ესხმოდა თავისი რაზმით ქისტეთის სხვადასხვა თემს. ხევსურულ პოეზიაში გვხვდება ლექსები მის შესახებ:

„თოფ დახკრა ბუკულიშვილსა, არწივს მასტეხა მხარია.
მაგან მამიკლა ძმობილი, არდოტელ მეომარია“.

ზვიად ლაგაზის ძე ზვიადური, წასვლისას, „ჯვართ თავ, გორი-გორ ჩამოვიდოდავ, ღვიძლისფერ ახალუხ ეცვავე. აკალდამეებთან შაბრუნდ-შამაბრუნდისავ. ნერილ-მალღივ, ლამაზ გაზდილობისაივ, სვილა შახედულობისა იყვისავ...“ ივნისის შუა რიცხვებში წასულან და თიბის სამშაბათს, ბახოში (ადგილის სახელია) ზვიადის დას ნამგალით ყანა უმკია და თან ქისტეთს დამრჩალ ძმაზე (უტრილებავ) უტირია ჩუმ-ჩუმად. გორიგორ ტოშით უავერგა ჩამაჩენილ. მისულ ძმობილის დასთან და უთქვამს: რად სტირივხარ? ლელას უთქვამს: ჩემი ძმა აკლია სოფელს, ხალხს, არც საფლავ-სამარე აქვს, ქისტეთ დამრჩალი და უძევარი ძმა მყავსო. ჩემ მამათ-ძმათ მამულები ოხრად (უპატრონოდ) დარჩაო... ნულარ იტირებ დაო, აი, შენის ძმის მამკლავის მარჯვენაივ, — უთქვამს ტოშით უავერგას (უანსაგს) და ბუჭა ბუკულის შვილის სისხლიანი მარჯვენა ლელასთვის გადაუგდია. ტოშით უავერგა განთქმული ვაჟკაცი ყოფილა, რომლის მსგავსი რამ, რაც ძმადნაფიცობის გამო გააკეთა, ძალიან დიდი იშვიათობაა. მან ხევსური ძმობილის მკვლევლობისათვის თავისიანი, ქისტი მოკლა. კიკოთ ჯოყოლას ნამბობს მოვიშველიებ: „ზვიადის მამკლავის ხელები მეაც მახსონს, აი ლაგაზთ სახლ როა, ქვეითა, წინა კარები იქი-აქათ იყვნიან ორნ ხელნი დაკრულნი. „საზალტეჩით, ჩხირებ ხქონდის დაკრულები“.

ზვიადის უმცროსი ძმა, ზუედი, იმ დროს ახალი დაოჯახებული ყოფილა. დედას დაუყვედრებია: ძმის სისხლი ვერ აილე, ცოლს თავს ვერ ანებებო და იმას თოფი დაურტყია შიგ ციხე-კოშკში ნამყოფს და ასე ტრაგიკულად დაუმთავრებია სიცოცხლე.

ნატირალი ამბობს:

„არდოტ ვაჟკაცობდ ზვიადაიო,
სამტყუჩი არ იარებოდაეო?
ვა ჯავრი ზვიადისაიო,
ზუუედს კი თავის ბრალი სჭირსაო“...

ლაგაზთ ორივე შვილი უნაწილოდ წასულა ამ წუთისოფლიდან და წესის მიხედვით, მათ საფლავებზე მაღალი კოშკები ანუ „კუბოები“ აშენებულნი. ასეთ კოშკებს უგებდნენ, ვისაც ვაჟი არ რჩებოდა.

უფროსი ძმის ნეშტის გადმოსასვენებლად ლელა თავის სიძესთან ერთად, ქისტეთში წასულა. სოფელ ბაჩაიგას — აბაგასთან მისულა და უთქვამს, ორი ძმა მყავდა, ორივე დავკარგე და თქვენლა, ორი ძმაღა დამრჩითავ, შენ და ტოშით უვარგაივ. აბაგას მეორე სალამოს მოუტნია ზვიადის ძვლები და ხურჯინიდან რომ ამოუღია, ერთი ხელი ისევ ისეთი ყოფილა, გაუშლელი; ლელას უთქვამს: სირცხვილ ხო არ იქნებავ, უბეჩი რო ჩავიდავავ ჩემ ძმის მარჯვენაივ და აისრ დავწვავ...

აბაგას სამი ყოჩი დაუკლავს, სოფლისთვის დაუძახებია, იმათ წესზე იქ ხარჯი გაუკეთებია. შემდეგ თავისი მინა-წყლისათვის მიუბარებია „ფშავ-ხევსურეთის იმედი, გამოსადეგი მეტადა“...

იმ დროს ერთი ფშაველი მოსულა და ტირილის დროს უძახია:

„ზვიადო, ქვე მახვედიაეო,
ჩვენი ბახაი არსად დანახიაეო“.

იმ პერიოდში მათსავით სახელიანი ყოფილა მურღვათ მამაშვილობის საღირათ ბაბოთ ჭრელა; იგი ღილღოს წყალს მოუკლავს და დედას უტირია:

„ჭრელიკო, შენმა არ სიკვდილმაო,
ღილღოს წყლისად ხარ მეომარიო.
დედა გენაცვლას დედის შვილო,
ზვიად-ზუედან გჯობანლაეო“.

ზვიადაურების დას, ბებერას, კი ტირილითვე უპასუხია:

„დედანო გამკვირვებხართაო,
განა სიკვდილი დღეს გამწესდაო?
დედა მამიკვდა ყარუაიო,
მამა მამიკვდა ლაგაზაიო,
ზვიად მამიკვდა ზუედაიო
სამტყუსა მემეტეობასაო“.

ლაგაზის ქალებიდან ორი სოფელ ხახაბოს ყოფილა გათხოვილი: ლელა შეთეთ გიორგის ჰყოლია ცოლად; ბებერა — ხიჩიბას. მას გვიანობამდე, 1910 წლამდე უცოცხლია. ერთი დაც შატილში ჰყოლიათ გათხოვილი. ზვიადი და ზუედ ალალი ბიძაშვილები იყვნენ ჯამრულისა (იგივე „ჭუკილისა“) და ალუდ ხირჩლას ძე ზვიადაურისა.

ალუდ ხირჩლას ძე ზვიადაური 1888 წელს შეხვედრია ნიკო ურბნელს (ხიზანიშვილს). მასალები იბეჭდება „ივერიაში“ და 1913 წელს — აკაკი შანიძეს, სოფელ არდოტში. ჭუკილის ჩამომავლები არიან დუშეთის რაიონში, ხოლო ალუდის შთამომავალნი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ უზუნდარში. ქენეხელის თქმით, ჯვარაის კარში,

არდოტის ჯვარში, ზვიად — ზუედათ, ძმათ ახმარასავ, თითო ყანწივ, იცოდინა წინავ თურმე.

სიხოთ უთურგათ გიორგი, რომელიც ხშირად გაიგივებულია ლაგაზათ ზვიადთან, სულ სხვა პიროვნებაა, თუმცა, ლექსებით უფრო კარგად ჩანს მისი ვინაობა:

„ერთიმც სხვა მოგცა გიორგი,
შენთვის ეჭირა მხარიო.
მაისტელთ შაგვიშინებდი,
შაედებოდა ზარიო“...

P.S. აბაგას თავისი შვილისათვის ზვიადი დაურქმევია, ის არდოტში ხშირად დადიოდა თურმე. მელეკე გიორგის მამის სული და სისხლი იოგის თავში უძევია და თუშეთის ციხე-კოშკებზეც აკრავდა მტრის მარჯვენებს თურმე... მელეკე გიორგის ძალიან შეუწუხებია ქისტები და ლეკები. მის სანახავად და გასაცნობად ერთი კაცი არდოტში მოსულა. საფიხვნოში მსხდარა ფეხონი. გიორგი რომ მოსულა, ხალხი ფეხზე წამომდგარა და მისთვის უთქვამს, შენ გკითხულობენო; მოხუცი ყოფილა, ტყავი სცმია და ლეკს უთქვამს: ამის მოკლული კი ღმერთმა ნუ მაცხონოსო. ღმერთო, შენ ხომ მოგდისო, — თურმე ჩაისაუბრა გიორგიმ და თან ცას შეხედა. გასულა ხანი, არდოტის დასალაშქრად წამოსული იმ კაცის ლაშქარი და აქით მომავალი გიორგის ლაშქარი მთაზე შაყრილან. გიორგის უსრევავ და გადმაუგდავ ცხენზეთ. მისულ, ხელისად გადმაუნყვია, უნდა გადასჭრას, იმ ლეკ თქვევ: „ამბობდესავ და ყოფილხარივ კიდევაცავ. გადმაუგსვივ ხანჯარივ და მიმწუნავ თვალნივ, მიწუნვრილდესავ“. მელეკე გიორგი ბოლოს ქისტებს მოუკლავთ თუშეთში, ხოხიდის თავს ნამყოფი. თოფი დაუკრიათ ლალატით. გიორგის ხმალი შეუხსნია და გაუსროლია: „ქრისტიან არ ვინ ხართაევ, ჩემ ხმალ ურჯულოებს ნუ დაშჩებავ“... მასზე მრავალი ლექსი და ნატირალია შემორჩენილი (ძველი გვარით ზვიადაურები გიგაურები იყვნენ. მისი სიკვდილის დროს მთელი გიგაურები არდოტ გადმოსულან დასატირებლად!):

„ხევსურეთ ამბად გადმავიდაო,
ზვიადთ ციხე დაიშალაო.
სახელ დაძველდებ, სიმღერეო,
ხელებ დათხელდებ ციხეზედაო.
გიორგივ, ჩაჩუმდა ხმა-სახელიო,
წინ-წინ ნავიდეს ზვიედანიო.
შენ რო ლეკეთში დახვიდოდიო,
კასტანში ათამაშე ხმალიო.
აის დრო არ გირჩიყვისაეო,
ლეკ რო ზურმაზე თამაშობდაო.
შენ თოფის ლიშანს აყოლებდიდი,
მე გეხვეწებოდ ნუ მახკლავაო,
მა წვერთა ჯიხვის ყანწივითაო,

არდოტიდან, ზვიადაურების გვარიდან, სხვა სახელიანი ვაჟკაცებიც ყოფილან, მაგრამ ამ ორი სახალხო გმირის ამბავი მაინც გამორჩეულია. ისინი თავის მინა-წყალს იცავდნენ, თავის თემ-სოფლის წესსა და ადათს, უდანაშაულოდ არავის ანუხებდნენ. მათი სახელისა და საძვალეთა წინ ჩვენ ყოველთვის თავმოხრით ვდგავართ. იმ ქისტების მიმართაც, რომელთაც მთის წესს არ უღალატეს და დიდი სახელი დატოვეს ჩვენი წინაპრების დახმარებისას. ეს ტრადიციები, მესისხლეობა და სხვა, იმ პერიოდში გამართლებული ყოფილა და ნურავის დავემდურებით დღევანდელი გადასახედიდან. მელეკე გიორგის სისხლი ჩემშიც დგას. მეც მგელათ დისწული ვარ. (ძალლიკა, გამიხარდი, არსენა, გიგი, ბაჭყალათ ძილოს შვილი ვარ), ჩემი დედუღეთი არის საზვიადაურო. მეამაყება, რომ ასეთი წინაპარი მყავდნენ.

ღამონმეზანი:

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IX, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

TAMAR BARBAKADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Vazha-Pshavela's "A Night in the Mountains" and *Vepkhistqaosani*
(On the Issue of Nature in the Poetry)**

In Vazha-Pshavela's philosophical poem "A Night in the Mountains" there is a picture of storm depicted against the background of the unity of Nature and man that has close resemblance, a parallel with the poem *Vepkhistqaosani*: we mean the lines 1408-1419 from the chapter "Counsel of Tariel":

In his literary letters ("Where is Poetry?", "Pondering over *Vepkhistqaosani*, "PRO DOMO SUA", "Thoughts", etc.) Vazha-Pshavela expresses his judgment on the similarity and wholeness of the laws of Nature and poetry with adherence to his principals.

Key words: Vazha-Pshavela, "A Night in the Mountains", *Vepkhistqaosani*.

თამარ ბარბაკაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**ვაჟა-ფშაველას „ღამე მთაში“ და „ვეფხისტყაოსანი“
(პოეზიის ბუნებრიობის საკითხისათვის)**

ვაჟა-ფშაველა, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი და ინტერ-პრეტატორი, ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის უცნობი არ არის, თუმცა მაინც შეიძლება ბევრი რამ ახალი შევნიშნოთ და გავიაზროთ ამ მხრივ.

ერთ-ერთი პირველი, ვინც გასული საუკუნის სამოციან წლებში რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას შაირი შეადარა ერთმანეთს, დიმიტრი ბენაშვილი იყო (ბენაშვილი 1961: 515-516), თუმცა სტრუქტურის მიღმა საზრისის ერთიანობის თაობაზე ნაკლებად შეხვდებით მსჯელობას ამ ნაშრომში. სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო მეტად არის გამოკვლეული ვაჟა-ფშაველას შეხედულებანი „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე; კარგად არის შესწავლილი ვაჟას პოლემიკა ა. ხახანაშვილთან, ასევე, მისი კამათი ნ. მარსა და მის მიმდევრებთან. ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეშივე, 1911 წელს, აღიარა გრიგოლ რობაქიძემ: „ვაჟა დედაბოძია ქართული რაინდული პოეზიისა“ და ამით, ერთგვარად, მიანიშნა მკითხველის „ვეფხისტყაოსანთან“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ნათესაობაზე.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ვაჟა-ფშაველას ლირიკისა და „ვეფხისტყაოსნის“ კომპარატივისტულ ანალიზს; ამჯერად მხოლოდ მათ შორის ერთი საინტერესო თანხვედრის შემთხვევაზე გვინდა საუბარი: დისჰარმონიისა და ჰარმონიის, დაპირისპირებული ძალების ჭიდილზე, დემონური, ქაჯური სანყისის ძლევაზე ღვთიური ძალისა და რაინდების მეშვეობით.

ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიურ ლექსში „ღამე მთაში“, ბუნებისა და ადამიანის ერთიანობის ფონზე, დახატულია ქარიშხლის სურათი, ავი, სტიქიური სანყისის აბობოქრება:

უეცრად შუალამისას,
ცას ჯანლი დაეფარება,
შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირლია დაგვეღირება
ჩვენ, მოსვენებით მძინარეთ
საჭმელად დაგვეპირება
მოჰსქდება ქარი და **ღვარი***
სდგას ლენვა-მტვრევა ბრძოლისა,
დროება ჩამოვარდნილა
დიდი შიშის და ძრწოლისა.
მთელი მთა-ბარი იქცევა
მეორმოსვლაა სწორედა
მოჰკანრავს **ღვარი** ტყე-კლდეებს
მოაქვს და მოსდგამს ყორედა.

დაბალი შაირით (5/3) დანერვილი ეს მონაკვეთი უნებურად გვახსენდება, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის თათბირისას პოეტის შეფასებას ვკითხულობთ (1418-1419-ე სტროფები):

ჩემი ან ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა ნვიმდეს ღრუბელნი და მთათა ატყდეს **ღვარია**,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრამ რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია.

თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე — მიუნვდომნია,
მაგრა ტარიას შებმანი არვისგან მოსანდომნია,
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცალა ნათლად ხომნია
ან იყურებდით, მსმენელნი, გესმნეს ფიცხელნი ომნია!

ეს მონაკვეთი, შესაბამისად, დაბალი შაირით (53//53) შესრულებული, მსმენელს, მკითხველს აფრთხილებს და განუმარტავს სათქმელის ორმაგ მნიშვნელობას: ქაჯეთის ციხის ალების სურათის ხატვისას ავტორი, გარდა ბრძოლის გრანდიოზულობით მიღებული შთაბეჭდილებისა, მის სიმბოლურ-ალეგორიულ მნიშვნელობასაც ხსნის („სახე“ და

* ხაზგასმა ჩვენია — თ.ბ.

„დარია“ უნდა გავიგოთ, როგორც: „სახე“ და „ხატი“). ფიცხელი, ხმაურიანი, ზათქიანი ომის ფონზე ღვთაებრივი წესრიგის აუცილებელი აღდგენის სურათი უნდა დავინახოთ. აქამდე სუსტი და უძლური ტარიელი უნდა ამოქმედდეს და კუთვნილი ადგილი დაიჭიროს სამყაროში. „მისი რუსთაველი“, ანუ ტარიელის თაყვანისმცემელი რუსთაველი, ბუნების ჰარმონიას აღადგენს, როდესაც მთავარი მნათობის ადგილს აკუთვნებს პოემის გმირს: „სიტყვა „მისსა“ აქ უაზროდ, წინასწარ განუჭვრეტლად, მოუფიქრებლად და ლექსის გულისათვის არ გახლავთ ნახმარი. ამ სიტყვაში ღრმა აზრია დამარხული, სახელდობრ ისა, რუსთაველს ან თავის-თავი ჰყავს გამოყვანილი ტარიელად, რადგან ტარიელი მისია (რუსთაველისა) და იგი (რუსთაველი) ტარიელისა და, თუნდაც ტარიელი ზღაპრული გმირი იყოს თავისი ტემპერამენტით, თავისი პსიხით, თავის ღვანღმოსილობით სიყვარულის ოკეანეში, თავის მსგავსად ჰყავს ავტორს“, — ნერდა ვაჟა-ფშაველა სტატიამში „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (ვაჟა-ფშაველა 2011: 265).

ლექსში „ღამე მთაში“ აღწერილია ღვთიური, ციური და ქვესკნელის, ვეშაპის შერკინების სურათი, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, თვით ბუნება ამაღლებულია „ავისა“ და „კეთილის“, „თეთრისა“ და „შავის“ მარადიულ ბრძოლაზე (განერელია 1974: 416). ბუნება, როგორც სამარადეურო მეთვალყურე ამ დაპირისპირებისა, ძალას აძლევს პოეტს, რათა მან დაინახოს და აღწეროს მსგავსება, ნათესაობა სტიქიისა და ადამიანური ვნებებისა. ვაჟა-ფშაველა ფიქრობდა, რომ გენიოსი პოეტი ბუნებრივად, ორგანულად არის დაკავშირებული მშობელი ხალხის შემოქმედებით სტიქიასთან: „შოთას ახალი ენა შეაქვს მწერლობაში და ეს ენა წმინდა ხალხური ენაა. გასაოცარი მსგავსებაა, როგორც თვით ენაში, ისე ლექსნუბაში ფშაურ ენასთან და მის კილოსთან“ (ვაჟა-ფშაველა 2001: 265).

რევაზ სირაძე თავის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველის ისტორიისათვის (მასალები ნარკვევისათვის)“ თერთმეტ ეტაპს გამოჰყოფს. VII ეტაპზე, მკვლევარის აზრით, ძლიერდება XIX საუკუნის შუა წლებიდან (ი. ჭავჭავაძე, ა. ნერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი) ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო თვალთახედვანი (სირაძე 2010: 81).

ვაჟა-ფშაველას მიერ ნაკითხულ „ვეფხისტყაოსანში“, როგორც უკვე ვთქვით, რუსთაველის ხატი ტარიელია. ეს ნაკითხვა სრულიად განსხვავებულია XIX საუკუნის I ნახევრის, ანუ VI ეტაპის (რომანტიკული თვალთახედვით) ნაკითხვისაგან. როგორც რ. სირაძე აღნიშნავს, ალექსანდრე ორბელიანის ლექსში „რუსთაველი“ (1852 წ. ალგეთის ხეობა, წმინდა სამების მთა), რუსთაველის პირველსახე ავთანდილია, ანუ გამოკვეთილია მისი კონცეფცია: „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის პირველსახე თვით რუსთაველია“ (სირაძე 2010: 93).

რევაზ სირაძის უაღრესად საყურადღებო გამოკვლევაში ცალკე არ არის განხილული ვაჟა-ფშაველას მიერ ნაკითხული ვეფხისტყაოსანი, მაგრამ ალ. ორბელიანის ლექსის „რუსთაველის“ ანალიზი კი, რომლის

ვრცელი ვარიანტი ჩვენთვის ცნობილია 1997 წლის პუბლიკაციით (სირაძე 1997: 76) ადასტურებს, რომ ალ. ორბელიანის მიერ „ვეფხისტყაოსანი“ რომანტიკული პატრიოტიზმით არის ნაკითხული.

... „ღამე მთაში“ კი ვარსკვლავების შუქზე იკითხება. ცა დაჰყურებს მინას და მათი ერთიანობა ბუნებრივი და აუცილებელია სამყაროს არსებობისათვის; როდესაც ვაჟა-ფშაველა წერს ლექსს „რუსთაველის ნეშტს“ (1909 წ.), ტარიელს სახავს იდეალურ გმირად. ახალი თაობის რაინდთა პირველსახედ:

ნამოგვეზარდნენ ჭაბუკნი,
ჰნახო, სცნობ არნივ-ქორადა
თავს სწირვენ ნესტანისათვის
ტარიელივით ლომადა

.....
აღვსდეგით, ცამდე ავმალდით,
ნათქვამნი ჩასაქოლადა.
(„რუსთაველის ნეშტს“,
ვაჟა-ფშაველა 1979: 346)

ტარიელი გამორჩეულია ვაჟა-ფშაველასათვის ლექსშიც: „ერთხელ კი ჩვენაც ვყოფილვართ“ (1896):

შევტრფი შუბლ-შეკრულ შოთასა
თვალებს მარიდებს რადღაცა,
მებუზღუნება ცოტასა,
ვენაცვლე იმის კალამსა,
მის გმირთ ხმალთ სალტე-კოტასა,
სატრფოსთვის ხელსა ტარიელს,
ავთანდილთ-ფრიდონთ ყოფასა...
(ვაჟა-ფშაველა 2011: III, 32)

„ვეფხისტყაოსნის“ ჩვენ მიერ საანალიზოდ მოხმობილ ფრაგმენტშიც და ვაჟა-ფშაველას ლექსებსა და წერილებშიც მკაფიოდ არის გამოკვეთილი ტარიელის უპირატესობა, მისი არსისა და მოქმედების სანიმუშო ძალა. ტარიელს ემორჩილებიან, მისი დასახული გზით, გეგმით მიდიან ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთის ციხის აღების დროს, ისევე, როგორც ზღვას ერთვიან, ერწყმიან და მშვიდდებიან მდინარენი, ხევის წყალნი, სტიქიით მოხეთქილი „ღვარი“ (ვაჟა) (შდრ. „ვეფხისტყაოსანს“: „მთათა ატყდა ღვარია“). ვარსკვლავები (ცაში) და ზღვა (ხმელეთზე) სულისა და ხორცის მთლიანობის ალეგორიად გვევლინება ვაჟა-ფშაველას სხვა ლექსშიც („ჩემი ვედრება“):

თევზი — წყალს, ცასა — ვარსკვლავი,
შვილი — დედას და მამასა.

რევზ სირაძე ზემოხსენებულ ნარკვევში იმონებს გასტონ ბაშლი-არის აზრს: „პოეზია წამიერი მეტაფიზიკაა“; ვფიქრობთ, სამყაროსა და „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობით კანონზე ორიენტირებული ქართველი მკითხველი, კერძოდ, ვაჟა-ფშაველა ინტუიტურად წვდება იმ ზნეობრივ გზას, რაც ჰარმონიის, უფლის ნიაღში დასაბრუნებლად მიემართება.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის „ტარიელის“ სახელს იუსტინე აბულაძე იკავშირებს მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ სახელს ირანელი ერისთავის „დარელ“ (აბულაძე 1967: 24), ხოლო ზვიად გამსახურდია სახელ „ტარიელს“ (სტარ — ვარსკვლავი, ელ — უფალი) ვარსკვლავეთის უფალს, სამყაროს მეფეს, პანტოკრატორს, ვასკვლავეთისმიერ მაცხოვარს უკავშირებს (გამსახურდია 1991: 243).

ღვთაებრივი ლოგოსის უზენაესის ნების გამოხატულება ამქვეყნად ღვთიური გონის მორჩილებაა, შეგნებული აუცილებლობით მოპოვებული თავისუფლებაა, რაც „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯური, დემონური სანყისების ძლევითა და ღვთაებრივი წესრიგის აღსრულებით მყარდება, ხოლო ლექსში „ღამე მთაში“ ჰარმონიისა და დისჰარმონიის შეჯახების შედეგად ყალიბდება ბუნების საყოველთაო კანონი:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა...

ვაჟა-ფშაველას სალიტერატურო წერილებში („სად არის პოეზია?“ „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, „PRO DOMO SUA“, „ფიქრები“ და სხვ.) განსაკუთრებული პრინციპულობით მსჯელობს ბუნებისა და პოეზიის კანონების მსგავსებასა და მთლიანობაზე; იგი ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალობისა და უკვდავების მიზეზი პოემის ბუნებრიობაა. „უნესო, ბუნების წინააღმდეგი იქ არაფერი მოიპოვება... ვიდრე ბუნებაა თავისი ძალით მმართველი კაცთა სიცოცხლისა, „ვეფხისტყაოსანიც“ იქნება ჩვენთვის გონების მმართველი“, — გვარნმუნებს ვაჟა-ფშაველა წერილში „სად არის პოეზია?“ (ვაჟა-ფშაველა 2011: 57).

დამონებიანი:

აბულაძე 1967: აბულაძე ი. *რუსთველოლოგიური ნაშრომები*. თბ.: 1967.

ბენაშვილი 1961: ბენაშვილი დ. *ვაჟა-ფშაველა — შემოქმედი და მოაზროვნე*. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1961.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება*. თბ. „მეცნიერება“, 1991.

ვაჟა-ფშაველა 1979: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებანი ორ ტომად*. ტ. I. ლექსები. პოემები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ვაჟა-ფშაველა 2011: ვაჟა-ფშაველა. *ხუთტომეული*. ტ. V. თბ.: „პალიტრა“, 2011.

განერელია 1974: განერელია ა. *ვაჟა-ფშაველა. — ქართული ლიტერატურის ისტორია*. ექვს ტომად. ტ. IV. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1974.

სირაძე 2010: სირაძე რ. *„ვეფხისტყაოსნის“ მკითხველის ისტორიისათვის. მასალები ნარკვევისათვის*. — ლიტერატურული ძიებანი, XXI. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

სირაძე 2010: სირაძე რ. *„სული და ვნებული სურვილთა“* (ა. ორბელიანის ლექსი „რუსთაველი“). — კრებული მიეძღვნა ალ. ორბელიანის ხსოვნას. თბ.: „ლომისი“, 1997.

LEVAN BREGADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The German Translation of „Aluda Ketelauri“

The German translation of „Aluda Ketelauri“ by Vazha-Pshavela, translated by Reiner Kirsch (first published in: „Sinn und Form“, 1970, No. 6), is translated as rhymed verse (the even lines are rhymed as in the original), but in some places is replaced by unrhymed verses (the unrhymed lines are indented).

We can say that this translation is an excellent equivalent to the Georgian original.

Key words: Vazha-Pshavela, „Aluda Ketelauri“, translation.

ლევან ბრეგაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ალუდა ქეთელაურის“ გერმანული თარგმანი

ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ გერმანული თარგმანი, რაინერ კირშის მიერ შესრულებული, პირველად ჟურნალ „ზინ უნდ ფორმში“ გამოქვეყნდა (ზინ უნდ ფორმ 1970: 1454-1471) მთარგმნელის გამოკვლევითურთ: „რეალიზმი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში“ (ზინ უნდ ფორმ 1970: 1472-1480), ხოლო შემდეგ — ანთოლოგიაში „რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია“ (ქართული პოეზია 1971: 155-172).

თარგმანი შესრულებულია გერმანული პნკარედიდან.

თარგმანის სალექსო ფორმის შესახებ რაინერ კირში შენიშნავს:

„პოემა თარგმნილია ორიგინალის სალექსო საზომით, რვამარცვლიანი ლექსით (ქართული სალექსო სისტემა მეტრული კი არ არის, არამედ სილაბურია), რითმათა სტრუქტურაც შევინარჩუნეთ, ოღონდ ზოგიერთი მოკლე პასაჟი, შინაარსობრივი თვალსაზრისის (მომენტების) გათვალისწინებით („inhaltlichen Gesichtspunkten folgend“), რიტმული პროზით გადმოვიტანეთ: გერმანული მკითხველი ვრცელი პოემების კითხვას არ არის ჩვეული და ვამჯობინეთ გარკვეული ცეზურები, შემანელებელი მომენტები (retardierende Momente), სენტენციები და ა. შ., ამ ხერხით უფრო მკაფიოდ გამოგვეკეთა“ (ზინ უნდ ფორმ 1970: 1477).

მთარგმნელმა ჩინებულად იცის ვაჟა-ფშაველას ამ პოემის სახით რა ნაწარმოებთან აქვს საქმე. ვნახოთ ამის დამადასტურებელი რამ-

დენიმე ციტატა მისი წერილიდან „რეალიზმი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში“ („Realismus in der Poesie Washa Pschawelas“):

„ვაჟა-ფშაველა აპოლოგიას კი არ გვთავაზობს, არამედ ქრონიკას; მისი პოზიცია დიდი რეალიზმის პოზიციაა, მისი სულისკვეთება განმანათლებლურია“ (ზინ უნდ ფორმ 1970: 1479);

„მას შემდეგ, რაც მოკლულ მუცალს „ცხონებული“ უწოდა და ამით თანასოფელთა გაოგნება გამოიწვია, ალუდა გაუგონარ ნაბიჯს დგამს — უარყოფს საზოგადო კონსენსუსს, ვითარცა ჭეშმარიტების კრიტიკერიუმს („ყველანი მართალს ამბობენ განა, ვინაცა ჰფიციან?!“). ეს გაბატონებული მორალის რღვევაა. მისი ქვეცნობიერი მონყლულია, სიზმარში ხედავს ალუდა იმას, რასაც იგი სიფხიზლეში ჯერ კიდევ ვერ აღიარებს: ომი სისხლიანი და ამბოზიანი კაციჭამიობაა — რეალისტ ვაჟა ფშაველას მიერ გენიალურად მიგნებული მხატვრული ხერხი“ (ზინ უნდ ფორმ 1970: 1478);

„ვაჟა-ფშაველა თავისი პოემით იძლევა მოდელს, არა პარაბოლას. მისი პოზიცია მგზნებარეა (leidenschaftlich), ოღონდ ილუზიისგან თავისუფალი (illusionlos); ამით ის შექსპირს უახლოვდება“ (ზინ უნდ ფორმ 1970: 1478);

„ჩინებულად არის დახატული მინდიას სახე: ეს არის დაბალანსების მოსურნე ლიბერალი, რომელიც ყოველ გადამწყვეტ მომენტში თავისი საზოგადოების მიერ აღმართული ბარიერის წინაშე უკან იხევს; მაგალითად, ალუდას სანათესაოს დარბევას იგი თვალცრემლიანი, მაგრამ გულზე ხელდაკრეფილი შეჰყურებს. რა სურათია!“ (ზინ უნდ ფორმ 1970: 1478).

ეს აღტაცების გამომხატველი შეძახილი („რა სურათია!“ — „Welches Bild!“) ამ სტროფს მიემართება:

„ამის გამგონე მინდიას / მაუნყლიანდის თვალები: / ველარასა ჰშველს ალუდას, / გულზე გადინყვის მკლავები“ (ხუთი პოემა 1975: 72).

ვნახოთ, როგორ გადავიდა თარგმანში მთარგმნელის მიერ ესოდენ მონონებული ეს სურათი:

„Mindia hat das Wort gehört / Seine Wimper die Träne tränkt / Helfen kann er Aluda nicht / Beide Arme hält er verschränkt“ (ქართული პოეზია 1971: 169).

ძალიან ზუსტი და პოეტურად დახვეწილი თარგმანია. მხოლოდ მეორე ტაეპში (რომელიც მეოთხეს უნდა გაერთიანოს) არაარსებითად შეიცვალა საგნობრივი შრის ელემენტები, კერძოდ, „მაუნყლიანდის თვალები“ ასეა კირშთან: „მის წამწამებს ცრემლი ასველებს“. საგნობრივი შრის ამ ცვლილებას არავითარი ცვლილება არ მოჰყვება წარმოდგენათა შრეში, ანუ ცვლილება არარელევანტურია, არაარსებითია, არ ენიშნა აღმდეგება ორიგინალს.

რამ აუნყლიანა თვალები მინდიას, რა გაიგონა ასეთი? რა და, „ჯაგარაშლილი“ ხუცესის, ბერდიას, მონოლოგი ალუდას ოჯახისა და სანათესაოს დასარბევად რომ აქეზებს ხალხს, მონოლოგი, რომელიც გერმანელ პოეტს პოგრომებისკენ ფაშისტურ მონოდებებს ახსენებს

(ასე წერს: „[ბერდიას მესამე მონოლოგი] აღმავალი გრადაციით პოგრომებისკენ ფაშისტური მონოდეების წინამორბედა“ — „Die dritte [Rede] nimmt in großer Steigerung die Pogromreden des Faschismus voraus“) (ზინ უნდ ფორმ 1970: 1479):

„ნადით, უმტვრიეთ შავბნელსა / სახლისად' ციხის კარები! / ცეცხლი მიეცით საძნოვარს, / ცასა სწვდებოდეს ალები! / სათემოდ გამოირეკეთ / ცხვარი, ძროხა და ხარები!“ (ხუთი პოემა 1975: 72).

თარგმანი:

„Geht! dem Unglücklichen zerbrecht / Seine Haustür, was fest ist, trennt, / Feuer legt in den Speicher ihm / Daß die Flamme zum Himmel brennt / Fort zu eurer Gemeinde treibt / Schafe, Ochsen, Aludas Vieh“ (ქართული პოეზია 1971: 169).

(მთარგმნელის ყურადღებას იპყრობს ბერდიას ამ მონოლოგის ეს ადგილი: „სათემოდ გამოირეკეთ / ცხვარი, ძროხა და ხარები!“, რასაც იგი „ეკონომიკურ საცდურს“ [„der ökonomische Köder“] უწოდებს და ვაჟას რეალიზმის თვალსაჩინო გამოვლინებად მიაჩნია. — ზინ უნდ ფორმ 1970: 1479).

საყოველთაო აღიარებით, ბუნების მესაიდუმლე ვაჟა-ფშაველა ჩინებული პეიზაჟისტია. გრიგოლ კიკნაძე წერს:

„თავისთავად მომხიბვლელია ყვავილებით მორთული ველი და ვარსკვლავებით მოჭედული ცა, მაგრამ მათი ნამდვილი დიდებულება მაშინ უფრო განიცდება, როდესაც ისინი ჩვენ წინაშე პოეტის ხილვადამოვლილი სახით წარმოსდგებიან.

ბუნების მოვლენებს ვაჟას ხილვის შემდეგ კიდევ უფრო ემატებათ ღირებულება. ამას განვიცდით ჩვენ, როდესაც, მაგალითად, ვაჟას ასეთ სტრიქონებს წავაწყდებით“ (ხუთი პოემა 1975: 35) — და მკვლევარს ნიმუშად მოჰყავს „ალუდა ქეთელაურის“ მესამე თავის პირველი სტროფი:

დაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეხურვის ღამისა,
დროა ვარსკვლავთა ჟიკჟიკის,
მცვრევა ბალახზედ წამისა.
(ხუთი პოემა 1975: 66).

ეს სტროფი რაინერ კირშს ასე აქვს თარგმნილი:

Dunkel wird es, das Wasser weint
Ihren Schoß deckt auf uns die Nacht
Zeit des Sternfunkelns ist, des Taus
Wenn er fällt auf die Gräser sacht.
(ქართული პოეზია 1971: 163).

ჩინებული ადეკვატია ორიგინალისა! რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? — რითმისა და რიტმულად მონესრიგებული (ანუ კონვენ-

(ციური), „კრისტალური“ სალექსო ფორმა და, რაც მთავარია ის, რომ სტროფის საგნობრივი და მეტაფორული შრეები წარმატებით არის თარგმანში გადატანილი — დაბინდებაზეც არის ლაპარაკი, წყლის ტირილზეც, ღამის კალთაზეც, რომელიც გვეხურება, ვარსკვლავთა ციმციმის დროის დადგომაზეც (ჟიკჟიკი ფმაურ დიალექტზე ციმციმი), ბალახზე დამცვრეულ ნამზეც. ორიგინალისაგან განსხვავებით თარგმანში ნათქვამია, რომ ნამი ბალახზე **წყნარად** (sacht) ეფინება. დედნიდან ეს უმნიშვნელო, არარელევანტური, გადახვევა გართმვის საჭიროებამ მოიტანა (Nacht — sacht). ამრიგად, განსხვავება მინიმალურია, იმის ჩათვლითაც კი, რომ ერთობ კოლორიტული დიალექტიზმის — „ჟიკჟიკის“ ნაცვლად თარგმანში ლიტერატურული და, ამდენად, არამარკირებული, „ციმციმი“ (funkeln) გვაქვს.

ბარემ აქვე ვთქვათ: დიდი მწერლები, სიტყვის დიდოსტატები, ისე ღრმად არიან შესულნი მშობლიური ენის წიაღში, რომ ზოგჯერ შეუძლებელია სხვაენოვან გარემოში მათი უდანაკარგოდ „გადანერგვა“. ვახუშტი კოტეტიშვილი ყურადღებას ამახვილებს ვაჟა-ფშაველას მიერ ზმნების „სინჯვა“, „მოზმა“, „დნობა“ საინტერესოდ ხმარების შემთხვევებზე და „ალუდა ქეთელაურიდან“ ეს სტრიქონები მოჰყავს სანიმუშოდ: „წუხელ ცუდ სიზმრები **ვსინჯე**“, „ჯიხვნი **მაებნენ** მყინვარსა“, „(ალუდა) **მეება** ჭიუხიანსა“, „ურჯულოს ხელებსაც **ადნობს** / ზედ მზის სხივები მწვავია“ (ხუთი პოემა 1975: 278). ამგვარი, როგორც ვახუშტი კოტეტიშვილი წერს, „დიდი გამომხატველობითი ნიუანსებით“ აღბეჭდილი სიტყვა-მეტაფორების ადეკვატურად თარგმნაზე უმეტეს შემთხვევაში მართო ოცნება თუ შეიძლება (ასეთსავე დასკვნამდე მიდის ნინო კონტრადე ვაჟა-ფშაველას პოემათა ნიკოლოზ ზაბოლოცკისეული რუსული თარგმანების ანალიზისას. — ვაჟა 1966: 375). ზემოთ დასახელებულთაგან მხოლოდ „**ადნობს**“ გადასულა განსახილავ თარგმანში უდანაკარგოდ — „Am Tor **schmilzt** die Sonne / Die Hände der Ungläubigen“ (ქართული პოეზია 1971: 159). უთარგმნელ სიტყვათა შორის უნდა ვახსენოთ აგრეთვე „**ვნარამარაობთ**“ („ამის თქმით ვნარამარაობთ“. — ხუთი პოემა 1975: 65), ძალზე ექსპრესიული მრავლისმთქმელი ვაჟასეული ნეოლოგიზმი, რომელიც საეჭვო დებულების მომაბეზრებელი სიხშირით გამეორებას ნიშნავს, და რომლის ხიბლსაც ქართულის არმცოდნე ვერასოდეს იგრძნობს.

რითმიანი და რიტმულად მოწესრიგებული ლექსით თარგმნისას ზოგჯერ საჭიროა სტრიქონის შევსება ისეთი სიტყვა-გამოთქმებით, რომლებიც დედანში არ არის. შევსება უნდა მოხდეს ნეიტრალური, არარელევანტური „მასალით“, რომლის ყოფნა-არყოფნა არსებითად არაფერს შეცვლის დედნის აზრობრივ-მხატვრულ სისტემაში. ამას ოსტატურად ახერხებს რაინერ კირში. ორიოდ მაგალითი:

[ალუდამ] „ხელი გაიკრა ფრანგულსა, / შუქი ამოხდა მზისაო“ (ხუთი პოემა 1975: 71) — „Nach dem Schwert greift er, **hebt es auf** / Sonnenstrahlen spiegelte es“ (ქართული პოეზია 1971: 163).

ხაზგასმული გამოთქმა (ქართულად: „**აღმართავს**“ [ფრანგულს, ანუ ხმალს, რომელიც შემდეგ ალუდამ „უქნივა მოზვერს ქედზედა“] დედანში არ არის, მაგრამ თარგმანში მისი არსებობა სრულიად არაფერს აშავებს — იგი, რეცეფციული ესთეტიკის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „განუსაზღვრელობის ადგილის“ მართებულ შევსებას (კონკრეტიზაცია-რეკონსტრუქციას) წარმოადგენს.

ან კიდევ:

„ვისაც მტერობა მასწყურდეს, / გაალოს სახლის კარია“ (ხუთი პოემა 1975: 63) — „Wer da Feindschaft will, der reiß auf / seine Haustür **und löscht die Glut**“ (ქართული პოეზია 1971: 160).

ხაზგასმული ფრაზა (ქართულად: „და ჩააქროს ნაღვერდალი“ [საკუთარ კერაში, სადაც მერე სისხლი უნდა დაგუბდეს]), საკმაოდ ნეიტრალურია საიმისოდ, რომ არსებითი ცვლილება მოახდინოს დედნის საგნობრივ შრეში. (ეს ჩამატება აშკარად გართიმვის საჭიროებამ მოიტანა: Flut – Glut – Blut).

ანდა:

„მოკვდი, სიკვდილი გირჩენავ, / რად ხარ სიცრუის მთქმელადა“ (ხუთი პოემა 1975: 65) — „Stirb du! Besser für dich ist tot / Lügen sagst du **und denk dein Sinn**“ (ქართული პოეზია 1971: 162).

სტრიქონი, რომელშიც ჩვენ მიერ ხაზგასმული ფრაზაა, ქართულად ასე იქნება: „ტყუილებს ამბობ და [ტყუილებს] მოიაზრებს შენი გონება“. აქაც ნეიტრალური „მასალითაა“ შევსებული თარგმანში სტრიქონი, კვლავაც რითმის საჭიროების გამო (Sinn – hin – darin – dien).

ან:

[მოვიდა მინდია] „თორმეტის ქისტის მამკლავი / შუბითა ტარიანითა“ (ხუთი პოემა 1975: 66) — „...Der zwölf Kistensohne durchstach / Mit dem Speer, **der durch Eisen fährt**“ (ქართული პოეზია 1971: 162).

შუბის დედნისეული განსაზღვრება „ტარიანი“ თარგმანში ჩანაცვლებულია ფრაზით: „შუბით, რომელიც რკინას კვეთს“. არც ეს ჩანაცვლება ეწინააღმდეგება დედნის სულისკვეთებას. (აქ სარიტმო სიტყვებია: Pferd – Schwert – fährt).

ერთიც:

„ირემს ჰგავს მინდის წითლი / შუბლითა მთვარიანითა“ (ხუთი პოემა 1975: 66) — „Einem Hirsch gleich ist Mindias Pferd / Mondfarbener Stirn, **schön zu schau**n“ (ქართული პოეზია 1971: 162).

დამატებულია მინდიას ცხენზე ნათქვამი „საცქერლად ლამაზი“. (რითმებია: schau – vertrau – Braun).

ერთადერთი შემთხვევა შევნიშნეთ, როცა ამგვარი ჩამატება-შევსება გაუმართლებელია. ეს ხდება იმ პასაჟში, რომელშიც ვაჟა ყორანს ალაპარაკებს:

მამკვდარა ქისტი მუცალი,
თვალნ უნდა ვსჭამნე ყმისაო,
გულ-ღვიძლი ამოვარიდო,
კალთა დავხურო მხრისაო.
(ხუთი პოემა 1975: 62).

თარგმანში ვკითხულობთ:

Tot der Kiste liegt da, Muzal,
beter vom andern Gotteshaus
Aushacken muß sein Auge ich
Herz und Leber reiß ich ihm aus.
(ქართული პოეზია 1971: 158-159).

ჩვენ მიერ ხაზგასმულ (გასარიტმ!) სტრიქონში, დედნისგან განსხვავებით, მუცალზე ნათქვამია: „**სხვა ღვთაების სახლის მლოცველი**“, ანუ სხვა რჯულის, სხვა სარწმუნოების მიმდევარი. ეს ნეიტრალური შევსება იქნებოდა, რითმის საჭიროებით გამოწვეული (Gotteshaus – aus), რომ არა ერთი გარემოება: ამას ყორანი ამბობს და არა ვინმე ქრისტიანთაგანი!

რაინერ კირში ნიჭიერი პოეტია და, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, სამი და ოთხი სარიტმო სიტყვის მოძებნასაც ახერხებს. ერთგან კი მეტად ეფექტურად იყენებს ტავტოლოგიურ რითმას, მხედველობაში გვაქვს ის პასაჟი ალუდას ცნობილი სიზმრიდან, სადაც იგი კაცის ხორცისგან დამზადებულ წვნიანს შეექცევა და თავბედს იწყევლის:

Hin die Schüssel setzt man vor mich
Suppe war das von Menschen**fleisch**
Sie da aß ich, entsetzte mich
Knochig auch Menschenarm, Bein und **Fleisch**
Was da tu ich, schrie ich mir zu
Nichtswürdiger, ich! aß vom **Fleisch**.
(ქართული პოეზია 1971: 164).

იშვიათად ნახავ ლექსს, რომელსაც ასე მოხდენოდეტავტოლოგიური რითმა — სარიტმო სიტყვად სამგზის გამეორებული **Fleisch** (ხორცი) ამძაფრებს ამ ფრაგმენტისგან მოგვირდ ამაზრზენ შთაბეჭდილებას!

გრიგოლ კიკნაძის სიტყვით, „...ვაჟა-ფშაველას ხატოვანმა მეტყველებამ, მისი პოეტური ენის არაჩვეულებრივობამ, საერთოდ კი — სამყაროს ხილვის აქამდე არნახულმა სახეობრიობამ — ვაჟა გენიალურ ხელოვანთა რიცხვს მიაკუთვნა...“ (ხუთი პოემა 1975: 15). განსაკუთრებით მეტაფორაში გამოვლინდა ერთობ შთამბეჭდავად მისი გენია.

იოლად ხერხდება თარგმანში იმ მეტაფორების გადატანა, რომლებშიც ადამიანი სხვა სულდგმულთა (ფრინველთა, ცხოველთა) სახით არის წარმოდგენილი:

„ცისკრის ხანია. მტერს მისდევს / კლდის **შევეარდენი** ჩქარო“ (ხუთი პოემა 1975: 59) [შევეარდენი — ალუდა] — „Es ist Frührot, dem Feind folgt / Der **Bergfalke**, der eilende“ (ქართული პოეზია 1971: 155);

„უამბობს ქეთელაური / ამბავს ლილველი **მგლისასა**“ (ხუთი პოემა 1975: 64) [ლილველი მგელი — მუცალი] — „Es erzählt Ketelauri / Wies dem Gchilgchweler **Wolf** geschah“ (ქართული პოეზია 1971: 160);

„როგორ ვახვენო უფალსა / **ძალდი ძაღლების** ჯიშისა“ (ხუთი პოემა 1975: 70) [ძალდი — მუცალი ბერდიას თვალთახედვით] — „Wie denn wend ich mich an den Gott / Um ein **Hündisches**, einen **Hund**“ (ქართული პოეზია 1971: 163).

ასევე უპრობლემოდ ახერხებს მთარგმნელი ისეთი მეტაფორების თარგმნას, რომლებშიც უსულო საგანი სულიერის სახითაა წარმოდგენილი ან სულიერით იქცევა, სულიერის თვისება მიენერება:

„მისჯარებიან ცის კიდეს / კავკასიონის **დევები**“ (ხუთი პოემა 1975: 62) [დევები — მთები] — „Dicht die **Riesen** des Kaukasus / Stehn, erblicken der Sonne lauf“ (ქართული პოეზია 1971: 158);

„უნდა სცენ ქეთელაურსა, / **კაპასად ჟღერენ რვალები**“ (ხუთი პოემა 1975: 72).

მართებულად შენიშნავს გულნარა კალანდარიშვილი, რომ ამ მეტაფორული ეპითეტის („**კაპასად ჟღერენ რვალები**“) „ექსპრესია კონტექსტიდან დამოუკიდებელი არის საგრძნობი“ (ხუთი პოემა 1975: 264). ეს მხატვრული სახე მოჰყავს ერთ-ერთ ნიმუშად ვახუშტი კოტეტიშვილს, როცა იმაზე საუბრობს, რომ „პოეტი დიდი ოსტატობით ქმნის ხმის, ხმოვანების გამომხატველ მეტაფორებს“ (ხუთი პოემა 1975: 277). ამ სტრიქონების თარგმანიც ჩინებულად ჟღერს გერმანულად:

„Gegen Aluda sollen sie / **Streitsüchtig klirrt das Kupfer, wild**“ (ქართული პოეზია 1971: 169);

ვაჟა-ფშაველას როგორც მეტაფორის დიდოსტატის დახასიათებისას ვახუშტი კოტეტიშვილი წერს: „ვაჟა-ფშაველას მეტაფორები განსაკუთრებულ დინამიკურობას იძენს სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც ზმნით არის განსაზღვრული მეტაფორულობა. (...) ვაჟა-ფშაველას დინამიკური მეტაფორები სხარტად, ნათლად და მრავლისმეტყველად გვიხატავენ სურათს, გმირთა განწყობილებას, მოქმედების დაძაბულობასა და მისთანათ“ (ხუთი პოემა 1975: 276-277) და ერთ ნიმუშად ეს სტრიქონები მოჰყავს:

„შენ ხელ შენს გულზედ დამინდეს, / ნუმც **ხარობს ქავის კარიო**“ (ხუთი პოემა 1975: 62).

თარგმანი ადეკვატურია:

„...Soll der Festung Tor sich nicht freun“ (ქართული პოეზია 1971: 158).

ახლა იმისი ნიმუში ვნახოთ, როცა ზმნით გამოხატული ერთი მშვენიერი მეტაფორა, ვახუშტი კოტეტიშვილი რომ დინამიკურ მეტაფორას ეძახის, თარგმანში მეტაფორად არ გადასულა — იგი გაშიფრულია, რის შედეგადაც, ცხადია, ექსპრესია კლებულობს. იმ ეპიზოდს

ვგულისხმობთ, სადაც მინდია ჰყვება, როგორ მიუტანა ალუდას მოკლული მუცალის მარჯვენა, რომელიც ალუდამ არ მიიღო:

„მე მიუტანე ალუდას, / ფერი დავადევ წყენისა, / რო არ მიიღო ალუდამ, / სიღრმე ვარგენე ხევისა“ (ხუთი პოემა 1975: 73). „სიღრმე ვარგენე ხევისა“ ანუ, თუ მეტაფორას გავშიფრავთ, ხევში მოვისროლო (მუცალის მარჯვენა). სწორედ ასე — გაშიფრულად — არის გადასული თარგმანში ეს მეტაფორა, რის გამოც, როგორც ვთქვით, დედნისეული ექსპრესია ნანილობრივ იკარგება:

„Da Aluda sie dann nicht nahm / Warf ich sie in die Felsenschlucht“ (ქართული პოეზია 1971: 170).

არადა შეიძლებოდა ამ მეტაფორის გადატანა, ობიექტური ენობრივი ან მხატვრულაზროვნებითი მიზეზი მისი გადაუტანლობისა არ არსებობს.

უფრო პრობლემატურია ეს მაგალითი:

„ხევსურთა ახალ-უხლები / გადაიქციან ტყემლად“ (ხუთი პოემა 1975: 65).

(ახალგაზრდა ხევსურები გამწარდნენ იმის გამო, რომ ალუდამ უშიშასთან საუბარში ცხონებულად მოიხსენია „ურჯულო“ მუცალი და სხვა დისიდენტური აზრებიც გამოთქვა).

თარგმანშია:

„Böse blickte die Jugend da / Chewsuretiens, mit kaltem Blick“ (ქართული პოეზია 1971: 161);

უკუთარგმანი: „გაბრაზებული იყურებოდა ხევსური ახალგაზრდობა, ცივი მზერით“, ანუ მეტაფორა გაშიფრულია, უთუოდ იმის გამო, რომ „ტყემალს“ გერმანულად შესატყვისი არა აქვს (მეცნიერულად ველურ ალუჩას უწოდებენ, მაგრამ გერმანიაში იმას გემოს არავინ უსინჯავს, ამიტომ ამ მეტაფორის აზრს გერმანელი მკითხველი ვერ გაიგებდა). ეს ის შემთხვევაა, როცა უნდა ითარგმნოს არა სიტყვა, არამედ მისი ფუნქცია. ტყემალს შეიძლებოდა ჩანაცვლებოდა გერმანელისთვის ცნობილი რომელიმე მწარე ხილი თუ არა, რამე სხვა ნივთიერება მაინც და, ვფიქრობთ, მეტაფორა გადარჩებოდა. ანალოგიისთვის: რუსთველის აფორიზმს „არსასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი ნმახისა“ (რუსთველი 1988: 139) ჰერმან ბუდენზიგი გერმანულად ასე თარგმნის: „Hören, was man nicht hören will, das ist saurer als Säure“ (რუსთველი 1976: 125); „ნმახს“ (ძალიან მჟავე რამეს) თარგმანში შეესატყვისება Säure — 1. მჟავა, 2. მჟავე გემოს მქონე რამ.

ზოგჯერ დედნისეული მეტაფორის თარგმნა ვერ ხერხდება მისი იდიომატური ბუნების გამო, მაგრამ აზრი ზუსტად გადაიტანება სხვაგვარი მხატვრული სახის მეშვეობით:

„ტყუილად სცდები, ალუდავ, / ტყუილად იცვეთ პირსაო“ (ხუთი პოემა 1975: 71) — „Umsonst, Aluda, ist dein Wort, / Gleich dem Wind nur ist sein Geräusch“ (ქართული პოეზია 1971: 168).

უკუთარგმანი: „ამაოა, ალუდა, შენი სიტყვა, ქარის მსგავსია მისი ხმაური“.

ასეთი შემთხვევები იშვიათია, უმეტესად რაინერ კირში ახერხებს დიდი სიზუსტით გადაიტანოს თარგმანში დედნისეული მეტაფორები, მეტადრე ის ერთობ ფასეული რთული ტროპები, რომელთაც ვახუშტი კოტეტიშვილი საგნობრივ-ფსიქიკურ მეტაფორებს უწოდებს და მათ ასე ახასიათებს:

„საგნობრივ-ფსიქიკურ მეტაფორებში ერთი კომპონენტი საგნობრივია, ხოლო მეორე — ფსიქიკური. ასეთი მეტაფორები უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან მათი მეშვეობით ხერხდება სულიერ-ფსიქიკური სამყაროს მოვლენების განსხვავება და თვალნათლივი წარმოჩენა. სწორედ ამგვარ შემთხვევებში ცხადდება პოეტის სულიერი სამყაროს ხატი. ხდება საოცარი შენაცვლება: საგნები ჰკარგავენ ფორმას, სიმყარეს და იძენენ სრულიად განსხვავებულ არსებობას, და მეორე მხრივ, უხილავი, უჩინო და გაურკვეველი ფსიქიკური მოვლენები უეცრად მკვერივდებიან, იღებენ მტკიცედ შემოსაზღვრულ ფორმას და ისეთივე ხელშესახები ხდებიან, როგორც ჩვენს ირგვლივ არსებული, მარადმდებარე საგნები. (...) ვაჟასთვის ყოველი საგანი სულიერია და ყოველი სულიერი მოვლენა საგნობრივ იერს იძენს“ (ხუთი პოემა 1975: 271).

ვნახოთ ორი ნიმუში წარმატებით თარგმნილი ამგვარი (საგნობრივ-ფსიქიკური) მეტაფორისა. ერთი ეს:

„მუხლებ არ მამდევს, გულშია / ბნელი ჩამიდგა სვეტადა“ (ხუთი პოემა 1975: 74) — „Schon das Knie versagt mir, im Herzen / Finsternis wie eine Säule steht“ (ქართული პოეზია 1971: 172).

აქ თარგმანში დედნისეული ანჟამბემანიც კი გადასულა!

და მეორე:

„ყმა მოდიოდა გორიგორ, / არ ეწონება თავია, / პირს დასწოლია ნისლები, / გულით ნადენი, შავია“ (ხუთი პოემა 1975: 62).

ხაზგასმული მეტაფორა თარგმანში ასეა გადასული:

„Nebel hüllt' sein Gesicht / Stieg aus dem Herzen“ (ქართული პოეზია 1971: 159).

ვაჟა-ფშაველასთან, მეტაფორის დიდოსტატთან, მთლიანად მეტაფორებით შესრულებული სტროფებიც გვხვდება. ერთი ნიმუში:

ახლებო, სისხლი გიფუისთ,
სჭრითა და კერავთ გულითა,
გულს ათრევიანებთ გონებას,
თავს აჭრევიანებთ ცულითა.
(ხუთი პოემა 1975: 68).

რ. კირშის თარგმანი:

Euer Blut, Junglinge, kocht heiß
Schlechten Rat hält das Herz euch feil
Hinter sich schleppt es den Verstand
Köpfe schlägt ihr ab mit dem Beil.
(ქართული პოეზია 1971: 165).

ოთხი სტრიქონი — ოთხი მეტაფორა:

1. „სისხლი გიფუისთ (გიდულთ)“ ზუსტად არის გადასული — Euer Blut... kocht heiß;

2. „სჭრითა და კერავთ გულითა“ თარგმანში ასეა: Schlechten Rat hält das Herz euch feil (ქართულად: ცუდ რჩევას გთავაზობთ გული), ანუ იდიომატური „სჭრითა და კერავთ“, ზემოთ განხილული ერთი შემთხვევის მსგავსად, აქაც ვერ გადასულა თარგმანში, მაგრამ მეტაფორულობა შენარჩუნებულია;

3. „გულს ათრევიანებთ გონებას“ — ბრწყინვალედ არის ნათქვამი, გონებაზე გულის არასასურველ გაბატონებას უფრო შთამბეჭდავად, უფრო ხატოვნად, სამი სიტყვით უკეთ აღბათ ვერავინ გადმოსცემს, და ჩინებულად თარგმნის რ. კირშიც — „Hinter sich schleppt es den Verstand“ (ქართულად: თავის უკან მოათრევს ის (გული) გონებას).

4. „თავს აჭრევიანებთ ცულითა“ ასეა თარგმნილი: Köpfe schlägt ihr ab mit dem Beil, რაც, სამწუხაროდ, შეცდომაა. უკანვე რომ ვთარგმნოთ, ასე იქნება: ცულით სჭრით **თქვენ** თავებს (გაურკვეველია, ვის?). **თქვენ** სჭრით კი არა, **თქვენ აჭრევიანებთ** საკუთარ თავს თქვენსავე გულს, იმით, რომ მას გონებას ათრევიანებთ (აჩაგვრინებთ). აქ დედანში ძალიან გავრცელებული, გაცვეთილი იდიომის — თავის მოჭრის (რაც თავის შერცხვენას ნიშნავს), თუ შეიძლება ასე ითქვას, „განიდიომებით“ (რასაც ცულის ხსენება იწვევს) მიიღწევა მხატვრული ეფექტი.

ბარემ აქვე ვიტყვით კიდევ ერთ აზრობრივ უზუსტობაზე, რომელიც თარგმანში შევნიშნეთ:

„დღესავ მოგივათ მინდია, / მანამ დაბრძანდეს **მრავალი!**“ (ხუთი პოემა 1975: 66) — „Heut noch kehrt Mindia Zurück / **Setzt euch nieder und ruht euch aus!**“ (ქართული პოეზია 1971: 163).

უკუთარგმანი: „დღესვე დაბრუნდება მინდია, **დასხედით და მოისვენეთ/დაისვენეთ!**“.

ფიქრია მაკალათია სტრიქონის „მანამ დაბრძანდეს მრავალი!“ გამო პოემის კომენტარებში წერს: „გარკვეული დროული ლოკალიზაცია — ჟამი განთიადისა: დრო, სანამ **მრავალი** — დიდი დათვის თანავარსკვლავედი — ჩავა“ (ხუთი პოემა 1975: 434). იმავე კრებულში, ალექსი ჭინჭარაულის ლექსიკონში, „მრავალი“ ასეა განმარტებული: „ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული, — ხომლი“ (ხუთი პოემა 1975: 411). ალექსანდრე ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის“

მიხედვით, „მრავალი“ არის „პატარა დათვის ხომლი, თანავარსკვლავედი, ჩნდება 7 (8?) ივნისს. მეხრეების საათად ითვლება“ (ლოონტი 1984: 389). ასე თუ ისე, ყველა შემთხვევაში, „მრავალი“ ვაჟას ამ სტრიქონში ვარსკვლავთა ხომლია, ხოლო მის მიმართ ნათქვამი „დაბრძანდეს“ ჩასვლას (ვარსკვლავთა ხომლის ცის კაბადონიდან გაუჩინარებას) ნიშნავს და არა ხალხის (მრავალი ადამიანის?) დასხდომას, როგორც თარგმანშია.

(როცა რ. კირში ამ პოემას თარგმნიდა, „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, რომელშიც „ალუდა ქეთელაურიც“ დაწვრილებით არის კომენტირებული ფიქრია მაკალათიას მიერ და ალექსი ჭინჭარაულის ლექსიკონიც ერთვის, ჯერ გამოსული არ იყო, თორემ ალბათ ამ შეცდომის თავიდან აცილებაც მოხერხდებოდა და ზოგიერთი იმ უზუსტობისაც, რომლებიც მითოლოგიური მოტივების შემცველ პასაჟებში შეინიშნება, და რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ).

პოემაში რამდენიმე აფორიზმია. ყველაზე ზუსტად თარგმანში ეს გადასულა:

„ცუდას რად უნდა მტერობა, / კარგია მუდამ მტრიანი“ (ხუთი პოემა 1975: 59) — „Wer befeindet den Schlechten? / Der Gute hat immer Feinde“ (ქართული პოეზია 1971: 155).

სხვა აფორიზმები თარგმანში ოდნავ მოდიფიცირებულია, მაგრამ წარმატებულად. მოდიფიცირების აუცილებლობას ზოგჯერ ენობრივი თავისებურება იწვევს, ზოგჯერ კი — გარიტმის საჭიროება. მაგალითად:

„ნუ იტყვი ვაჟაკის აუგს / ენითა ქარიანითა“ (ხუთი პოემა 1975: 66).

„ქარიან ენას“ ალექსი ჭინჭარაული ასე განმარტავს: „დაუფიქრებლად, უაზროდ მოლაპარაკე ენა“ (ხუთი პოემა 1975: 414-415).

თარგმანი:

„Nicht spricht schlecht von dem Mutigen / Leichtfertig sticht der Zunge Speer!“ (ქართული პოეზია 1971: 163).

ქართულად ეს ასე იქნება: „ცუდს ნუ იტყვი ვაჟაკზე / ქარაფშუტულად იჩხვლიტება ენის შუბი“, რაც ვაჟას ამ აფორიზმის მისაღებ ინტერპრეტაციად უნდა ჩაითვალოს.

„ადვილ ვერ იცნობთ ვაჟაკსა / მის ვაჟაკურის რჯულითა“ (ხუთი პოემა 1975: 68).

ზოგადი აზრი ამ აფორიზმისა ნათელია, დაზუსტებით კი „მის ვაჟაკურის რჯულითა“ ალბათ ნიშნავს: მისი ვაჟაკური ბუნების გამო [ძნელი შესაცნობია ვაჟაკი არავაჟაკათვის].

თარგმანი:

„Nicht erkennt ihr den Mutigen / habt an seinem Mut keinen Teil“ (ქართული პოეზია 1971: 165).

ეს ქართულად შეიძლება ასე ითარგმნოს: „ვერ შეიცნობთ ვაჟაკს, თუ არაფერი გცხიათ მისი ვაჟაკობისა“. ვფიქრობთ, აქაც წარმატებულ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე.

შემდეგ:
„ადვილ ნუ იტყვიტ ვაჟკაცზე, / „არა ვარგაო“, იმასა“ (ხუთი პოემა 1975: 68).

თარგმანი:

„Nennt nicht feige den Mutigen / Schnell gesprochen ist schnell gefehlt“
(ქართული პოეზია 1971: 165).

უკუთარგმანი: „ნუ მოიხსენიებთ ვაჟკაცს ლაჩრად — / ჩქარა თქმული ჩქარა აცდენილია“. ეს ხაზგასმული ნაწილი აფორიზმისა, ესოდენ უშნოდ რომ ჟღერს ჩვენს პნკარედში, გერმანულად საუცხოო ანდაზისებური ფრაზაა. ანდაზისებურს იმიტომ ვამბობთ, რომ ზუსტად ამგვარი ანდაზა გერმანულში არ ჩანს — კონსტრუქციას ანდაზისებური [მდრ. „Schnell gelernt ist schnell vergessen“ (ანდაზები 1989: 238) — „ჩქარა ნასწავლი ჩქარა დავიწყებულია“].

და ბოლოს ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული აფორიზმი:

„მით ვაქებ ვაჟკაცობასა, / არ იყიდება ფულადა“ (ხუთი პოემა 1975: 64).

ეს ასეა თარგმნილი:

„Um so mehr lob ich dessen Mut / Nicht für Geld kauft man solch ein Herz“
(ქართული პოეზია 1971: 161).

უკუთარგმანი: „მით უფრო ვაქებ მე მის (მუცალის) ვაჟკაცობას / ასეთ გულს ფულით ვერ იყიდი“.

„მით უფრო“-ს ნაცვლად უნდა იყოს „იმიტომ“, მაგრამ ეს მცირე უზუსტობაა, სალაპარაკოდ არ ღირს. დასანანი სხვა რამეა. ჯერ ვნახოთ, რას წერს ზოგადად აფორიზმების და, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას აფორიზმების შესახებ ვლადიმერ მინაშვილი:

„...აფორიზმები ორგანულად არიან დაკავშირებული იმ კონკრეტულ სიტუაციებთან, რომლებშიც ისინი არიან მოქცეული, [მაგრამ] ამ სიტუაციების გარეშეც დასრულებულად განიცდებიან; ამდენად დამოუკიდებელი არსებობის უფლებას იძენენ, დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ და ასეც წარმატებით ახდენენ სათანადო ზემოქმედებას მკითხველზე“ (ხუთი პოემა 1975: 365).

თუ დავაკვირდებით ამ აფორიზმის თარგმანს, შევამჩნევთ: იგი ისე მჭიდროდ დაუკავშირდა იმ სიტუაციას, ანუ კონტექსტს, რომელშიც ის მოქცეულია, რომ, დედნისაგან განსხვავებით, „დამოუკიდებელი არსებობის უფლებას“ ვეღარ იძენს, „დამოუკიდებელ ცხოვრებას“ ვეღარ ახერხებს. ეს გამოიწვია თარგმანში კუთვნილებითი ნაცვალსახელის — **dessen** (მის, — იგულისხმება: მუცალის) — გამოჩენამ, რომელმაც ისე მიაჯაჭვა ეს ფრაზა კონტექსტს, რომ ვეღარ ხერხდება მათი დაშორიშორება და ამ გამონათქვამის ზოგად ფორმულად გამოყენება, ანუ — აფორიზმმა თარგმანში აფორიზმულობა დაკარგა (ალბათ საინტერესოა, რომ ამგვარი რამ დაემართა ჰერმან ბუდენზიგსაც რუსთველის ორი აფორიზმის თარგმნისას. — იხ. ბრეგაძე 1980: 57-58).

ახლა ვნახოთ, როგორ არის თარგმანში გადატანილი ქართული მითოლოგიური ტერმინოლოგია.

ვფიქრობთ, კარგი შესატყვისებია მოძებნილი ტერმინებისთვის **საუფლო უამი** (ხუთი პოემა 1975: 69) — **der geweihte Tag** (ქართული პოეზია 1971: 166); **საყმონი** (ხუთი პოემა 1975: 70. ალ. ჭინჭარაულის განმარტებით, „ამა თუ იმ ხატის მლოცველები, მრევლი“) — **die Beter** (ქართული პოეზია 1971: 167); **დევები** (ხუთი პოემა 1975: 62, 66) — **die Riesen** (ქართული პოეზია 1971: 158, 163); **კურატი** (სამსხვერპლო ხარი. — ხუთი პოემა 1975: 69, 70) — **Opferstier** (ქართული პოეზია 1971: 167, 168); **დამწყალობნება** („ვის ამწყალობნებ, ალუდავ, ამა კურატით შავითა?“, „კარგადაც დამიმწყალობნე“. — ხუთი პოემა 1975: 69, 70) — პირველი თარგმნილია სიტყვით **gedenken** („Nenne mir, wessen du gedenkst / Mit dem schwarzen, dem Opferstier“. — ქართული პოეზია 1971: 167), მეორე კი გამოთქმით **Segen geben** („Einen guten segen gib dem“. — ქართული პოეზია 1971: 167).

ჩვენი აზრით, წარმატებით არის „გაგერმანულებული“ **სამხვეწრო** („ეგ **სამხვეწროა**, ბერდიავ, / ძოღან მოკლული ქისტისა“. — ხუთი პოემა 1975: 70), რომლისთვისაც მთარგმნელს გერმანული კომპოზიტი **Bittgebet** შეუარჩევია (ქართული პოეზია 1971: 167). მართალია, **სამხვეწრო** ხატისთვის მიტანილ **ძღვენს** გულისხმობს (ხუთი პოემა 1975: 413), **Bittgebet** კი მხოლოდ სავედრებელ **ლოცვას**, მაგრამ რაკი „ძღვენი“ ქართულ ტერმინში არ ფიგურირებს, ვფიქრობთ, შეიძლება იგი თარგმანში ამ გერმანულმა კომპოზიტმა წარმოადგინოს.

მითოლოგიური მოტივების შემცველი ზოგიერთი ადგილის თარგმანს კი დაზუსტება მოუხდებოდა. მაგალითად, მესამე თავის დასაწყისში ღამის დადგომაა აღწერილი. დგება დრო, როცა „დევნი გამოვლენ კლდიდამა, / ხევხუვში ეხეტებიან“ (ხუთი პოემა 1975: 66). ეს კარგად არის თარგმნილი — „Riesen treten stumm aus dem Fels / Wandern in den Schluchten wie Rauch“ (ქართული პოეზია 1971: 163). სალექსო სტრიქონების მარცვალთა რაოდენობის შესავსებად მთარგმნელის მიერ ჩამატებულია სიტყვები stumm (მდუმარედ) და wie Rauch (კვამლივით), ანუ: დედანში, თარგმანისაგან განსხვავებით, არ არის ნათქვამი **როგორ** გამოვლენ დევები კლდიდან და **როგორ** ეხეტებიან ხევხუვში. სალექსო სტრიქონების გასამართავად ჩამატებული ეს დაზუსტებები არსებით ცვლილებას არ იწვევს ორიგინალის შინაარსობრივ შრეში და, ამდენად, დასაშვებია. მაგრამ ამის წინ ვაჟასთან ვკითხულობთ: [დროა] „მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის, დრო მათ სიმღერის წყნარისა“ (ხუთი პოემა 1975: 66). **მკვდართა სულები** ამოდიან საფლავებიდან, თარგმანში კი აქ სული მხოლოდობით რიცხვშია, ერთ სულზეა ლაპარაკი, რაც სწორი არ არის: „Die Seele steigt aus dem Grab / Es ist die Zeit ihres singens“ (ქართული პოეზია 1971: 163. ქართულად: **სული ამოდის** საფლავიდან / მისი სიმღერის დროა).

„სულელების“ „სულით“ ჩანაცვლება მითოლოგიურ ელფერს უკარ-
გავს ამ სახეს და გაუგებრობასაც იწვევს — ვის სულზეა ლაპარაკი?

მეორე თავში, იქ, სადაც ალუდას ცხოვრების წესზე მოგვითხრობს
ავტორი, მის გაუტყულობაზე, ავი ბედისადმი დაუმორჩილებლობაზე
გველაპარაკება, ასეთი სტრიქონებია: „გველმა ვერ გაჭრა **ლიბოი**, /
დღესაც ცოცხალივ არია“ (155-6).

ფიქრია მაკალათიას კომენტარებში ვკითხულობთ: „გადმოცემის
თანახმად, გველის მიერ ლიბუს [სადირკველის] გაჭრა ან ლიბუში გვე-
ლის გაჩენა უბედურების ნიშანია. აოხრებული, ამონყვეტილი ოჯახის
სადირკველში იბუდებს გველი“ (ხუთი პოემა 1975: 432).

თარგმანში ეს ადგილი ასეა: „Die Schlange durchsticht nicht **das Haus**. /
So lebt er noch“ (ქართული პოეზია 1971: 159).

ანუ „ლიბოს“ ნაცვლად აქ „სახლია“ („გველმა ვერ გახვრიტა სახ-
ლი“), რაც უზუსტობაა. „სახლი“ (das Haus) აქ არც რითმის გულისთვის
ჩანაცვლება „ლიბოს“, ვინაიდან ეს სტროფი თარგმანში გაურითმავია.

ბოლოს ვნახოთ როგორ ჟღერს გერმანულად ალუდას მონოლოგი,
რომლითაც ის მშობლიურ სანახებს ემშვიდობება.

ჯერ დედანი გავიხსენოთ:

ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:
„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახკარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“
(ხუთი პოემა 1975: 74-75)

საჯიხვეებს, სახლ-კარსა და სალოცავს, რომელთაც ალუდა ეთხო-
ვება, გავრცობილი განსაზღვრებები ახლავს — პოეტური დახასიათე-
ბა თითოეული მათგანისა, რაც უზუსტესად არის გადატანილი
თარგმანში:

Einmal überkams Aluda
Seine Blicke lenkt er zurück:
„Lebt wohl, Stätte, des Steinbocks Ort
Die das Auge fülln mit dem Glück
Lebt auch ihr wohl, mein Haus und Hof
Die mit Mitleid das Herz ihr tränkt
Leb auch du wohl, Chati, mein Gott
Der den Betenden Kräfte schenkt!“
(ქართული პოეზია 1971: 172)

კარგი რითმები და სამგზისი ანაფორული გამეორება გამოსათხოვარი გამოთქმისა *Leb(t) wohl* („მშვიდობით“) სასიამოვნოდ მოსასმენს ხდის ციტირებულ ფრაგმენტს.

მრავალი ასეთი ადგილის დამონმება შეიძლება რაინერ კირშის ამ მაღალოსტატური ნამუშევრიდან. შეიძლება ითქვას, რომ „ალუდა ქეთელაურის“ კირშისეული თარგმანი ქართული პოემის ჩინებული გერმანული ეკვივალენტია.

დამონმებანი:

ანდაზები 1989: *Horst und Annelies Beyer. Sprichwörterlexikon.* M.: «Высшая школа», 1989.

ბრეგაძე 1980: ბრეგაძე ლ. *ჰევ ზამეტრებით თარგმნილი ვეფხისტყაოსანი // ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე.* თბ.: „მეცნიერება“, 1980.

ვაჟა 1966: *ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული.* თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966.

ზინ უნდ ფორმ 1970: *Sinn und Form. Beiträge zur Literatur. Herausgegeben von der Deutschen Akademie der Künste.* 1970, 6. Heft. Berlin: Rütten & Loening.

რუსთველი 1976: Schota Rustaweli. *Der Mann im Panterfell.* Nachdichtung von Hermann Buddensieg. Tbilissi: „Sabtschota Sakartwelo“, 1976.

რუსთველი 1988: შოთა რუსთველი. *ვეფხისტყაოსანი.* თბ.: „მეცნიერება“, 1988.

ქართული პოეზია 1971: *Georgische Poesie aus acht Jahrhunderten.* Nachgedichtet von Adolf Endler und Rainer Kirsch. 1. Auflage: Verlag Volk und Welt/Kultur und Fortschritt, 1971.

ხუთი პოემა 1975: *ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა.* თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.

JULIETTA GABODZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Two Sides of a Medal

A Real Story about Akaki's and Vazha's Two-Century Polemics

The belief that relationship between Vazha Pshavela and Akaki Tsereteli was tense is often understood wrongly, which arises many questions and debates even in modern Georgia. The article tries to examine different authors and their attitudes towards this relation in an attempt to come to the conclusion, that both of the author's, Vazha and Akaki, had perfect relations, respecting each other and valuing each others works. This misunderstanding comes from a poem written by Akaki Tsereteli to Vazha Pshavela, which is often understood wrongly. The aim of this article is to show these two poets relationship towards each other from a different point of view.

Key words: Vazha Pshavela, Akaki Tsereteli, Tension, Misunderstanding

ჯულიეტა გაბოძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მედლის ორი მხარე

აკაკისა და ვაჟას „ორსაუკუნოვანი“ პოლემიკის რეალური ისტორია

„მკითხველთა შორის ფეხი მოიკიდა არასწორმა შეხედულებამ აკაკის და ვაჟას ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ბეჭდვითი სიტყვის დაუხმარებლად გავრცელებული ეს შეხედულება თითქმის ტრადიციულად მომდინარეობს და ყველა გონიერი ქართველისათვის გულსატკეპია...“ (ჯაფარიძე 2003: 655). სავსებით ვიზიარებთ ამ გულსატკეპილს და მიგვაჩნია, რომ დროა, საზოგადოებამ სწორად გაიგოს ამ პოლემიკის ისტორია.

ვაჟას გამოჩენას ქართულ მწერლობაში არაერთგაროვნად შეხედნენ: ჟურნალ „კვალსა“ და „ნობათში“ უარი უთხრეს ლექსების დაბეჭდვაზე, 1888 წელს ჯერ პეტრე მირიანაშვილმა გააკრიტიკა ვაჟას ენა, შემდეგ, 1890 წელს კი ნიკო ნიკოლაძემ — მისი ნაწერები. („სადლესასწაულოდ“ („Новое Обозрение“).

მაგრამ ვაჟა-ფშაველას მეხოტბენი და გულშემატკივრები უფრო მრავლად ჰყავდა: ზეპირგადმოცემად შემორჩა ილიას აღტაცებული

გამონათქვამი: „ჩვენ ძველებმა კალამი უნდა დავდოთ და გზა ვაყას დავუთმოთ“, აკაკი წერეთელმა 1890 წელს გაზეთ „თეატრში“ (№ 8-10) გამოქვეყნებულ საგანგებო სტატიაში “წერილები ჩვენს მწერლობაზე” თავგამოდებით დაიცვა ახალგაზრდა პოეტი თავისი მეგობრის (მისი „მტერ-მოყვარის“, როგორც თავად უწოდებდა) ნიკო ნიკოლაძის კრიტიკისაგან. თუმცა დღემდე, თითქოს ტრადიციად შემორჩა, აკაკისა და ვაჟას ხსენებისას, უმალ ერთ ფრაზას გაიხსენებენ ხოლმე: „ენას გინუნებ ფშაველო“ და დაუსრულებლად გრძელდება ამის შესახებ საუბარი. სამეცნიერო წრეებში XIX საუკუნიდან მოყოლებული, არა ერთი სტატია თუ ნაშრომი მიეძღვნა ამ საკითხს, თუმცა კითხვები რჩება და ინტერესი კვლავაც არ ნელდება. შევეცადეთ ერთხელ კიდევ გადაგვეხედა ამ ორსაუკუნოვანი პოლემიკისათვის და თავად აკაკისა და ვაჟას ნაწერების მიხედვით წარმოგვედგინა მისი პირველმიზეზები და რეალური ისტორია. საკითხის სრულფასოვნად შესწავლისათვის საჭირო გახდა ბიბლიოგრაფიის მოკლე მიმოხილვა.

60-იანელთა მიერ დანყებული სალიტერატურო ქართული ენის რეფორმა ცხადია, საკმაოდ რთულად და დიდი წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა. დიალექტით გაჯერებულ კორესპოდენციებს, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გზავნიდნენ ახლად დაარსებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რედაქცია თავად ასწორებდა სალიტერატურო ნორმებისა და ჟურნალის სტილის შესაბამისად. ამ დროისათვის აშკარად სხვაობს ერთმანეთისგან „ივერიისა“ და „კვალის“, „მოამბის“, „დროებისა“ თუ „აკაკის თვითი კრებულის“ ლიტერატურული და ენობრივი სტილი, ილიას თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის XVII ტომში იბეჭდება იაკობ გოგებაშვილისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ილია საუბრობს ქართული ენის ნორმების დადგენის შესახებ, იგი გამოყოფს 10 პუნქტს და სთხოვს იაკობს, სასწრაფოდ აცნობოს პასუხი (ჭაჭავაძე 2011).

ასეთ დროს, სამწერლო ასპარეზზე გამოდის ვაჟა, რომელიც პოეზიაში არა თუ სალიტერატურო ენის ნორმებს, სალიტერატურო ქართულსაც არ „ცნობს“. ზოგიერთმა ჟურნალმა პოეტს საერთოდ უარი უთხრა დაბეჭდვაზე, ზოგან თავშეკავებით იტოვებენ მის ნაწერებს, ილიას ალტაცებულმა შეფასებამ აშკარად გაუხსნა მწვანე გზა, მაგრამ მალევე იბეჭდება პირველი რეცენზია, რომელშიც გაკრიტიკებულია ვაჟას ენა, წერილი გამოქვეყნდა სწორედ ილიას „ივერიაში“ 1888 წელს (№166) პეტრე მირიანაშვილის მიერ. ავტორი წერდა: „დღეს ჩვენს მწერლობაში რამდენი მწერალია, იმდენი ენაა, ე. ი. რა თემისაც არიან, იმ თემის ენით წერენ და ზოგიერთი ხომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს“. დასახელებულია დომენტი მაჩხანელის მოთხრობები, ფშაური დიალექტის წარმომადგენლად მიჩნეულია ვაჟა-ფშაველა: „ფშაურმა პოეზიამ დღევანდელს ქართულთან შედარებით უკან ჩამორჩენილი გრამატიკული ფორმები შემოიტანა და ამასთანავე ზოგიერთი მეტხორცი სიტყვები“ (მირიანაშვილი 1888:3).

პეტრე მირიანაშვილის ამ წერილს მოჰყვა ვაჟას პასუხი „მცირე შენიშვნა“ (ვაჟა-ფშაველა 1888:192). იმავე წლის „ივერიაში“ გამოქვეყნებული მირიანაშვილის წერილი „ბ-ნი ვაჟა ფშაველა და ბ-ნი ურბნელი“ არის ვაჟას პასუხის პასუხი. ავტორი ეკამათებოდა ვაჟას არქაიზმების გამოყენების თაობაზე, თუმცა იქვე შენიშნავდა, რომ „ვაჟა თუ ემხშია, მუზის მჭვრეტელი, მაშინ ფშაური თვალსა და ხელს შუა უქრება და დინჯი ქართულით წერს“, საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ვაჟას პროზა ჩინებული ენით არის დაწერილი (მირიანაშვილი 1888ა:219).

1890 წელს გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული წერილი „სადღესასწაულოდ“ („Новое Обозрение“), რომელშიც გაკრიტიკებულია ვაჟას ნაწარმოებები.

1896 წელს ილია ნაკაშიძის ნაშრომი „ვაჟა-ფშაველას პოემა“ ჟურნალ „კვალის“ რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა (№№ 44,45, 47, 49, 51, 52). იგი პოეტის სიდიადეს სწორედ ფშაური კილოს გამოყენებაში ხედავდა, ავტორი ხაზს უსვამდა ამ დიალექტის თავისებურებას (ნაკაშიძე 1896).

საყურადღებოა გრიგოლ ყიფშიძის გამოხმაურება „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილ პუბლიკაციაზე. ავტორი წერს, რომ ვაჟას და რაზიკაშვილების პოეზიას არ კითხულობს არა თუ მდაბიო, არამედ ინტელიგენციის წარმომადგენელი და ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ მკითხველს არ ესმის იმ ქვეყნის, რომელსაც აგვიწერენ რაზიკაშვილები“ (ყიფშიძე 1896:3).

აკაკიმ ცხრა წლის შემდეგ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ვაჟას ფენომენის შესახებ და კირიონისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ გამოცემულ „სიტყვიერების თეორიაზე“ დაწერილ რეცენზიაში ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ ასეთი შეფაება მისცა: **„ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში, წვრილმანი ლექსები... საზოგადოდ სამარგალიტო შაირები არიან. პროზა ხომ კიდევ უკეთესი“** (წერეთელი 1899: 240), თუმცა ამავე წერილში გაკრიტიკებულია რამდენიმე ლექსის ენობრივი მხარე, მაგრამ როგორც გ. აბზიანიძე შენიშნავს, აკაკი იმონებებს არა ვაჟას, არამედ ბაჩანას და თედოს ლექსებს.

1901 წელს ვაჟამ გამოაქვეყნა შესანიშნავი პუბლიცისტური წერილი „ენა“, რომლითაც შეეცადა ამომწურავი პასუხი გაეცა ყველა კითხვისათვის, თუმცა ეს საკითხი არც ისე მარტივი იყო და იმავე წელს გამოქვეყნდა სილოვან ხუნდაძის კრიტიკული წერილი ვაჟას ენის შესახებ (ხუნდაძე 1901).

ეს ბიბლიოგრაფია შემდეგ წლებში კიდევ უფრო ვრცელი და მრავალფეროვანი ხდება, ვაჟას სიცოცხლეშივე მისი თანამედროვენიც და ახალი თაობის კრიტიკოსებიც სხვადასხვაგვარად აფასებდნენ პოეტის შემოქმედებაში დიალექტიზმების გამოყენებას. ჩვენ მოკლედ წარმოვადგენთ მეცნიერთა ამ შეხედულებებსაც.

კიტა აბაშიძე წერს: „ერთი შენიშვნა, რომელიც ითქმის ვაჟას პოეზიის, უფრო კი მისი პოემების შესახებ, ეს ის არის, რომ ტექნიკური

მხარე სტილისა ვერ არის იმ სიმალღემდე მიყვანილი, ვერ არის ისე უნაკლო, როგორც მის პროზაში... ერთი შენიშვნა კიდევ ვაჟას პროვინციალიზმებია“ (აბაშიძე 1909: 57).

ვაჟას პროვინციალიზმებზე საუბრობს იპოლიტე ვართაგავაც ვრცელ კრიტიკულ გამოკვლევებში „სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი“.

ტიციან ტაბიძე მიიჩნევდა, რომ „უსაფუძვლო ბრალდება ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ გაიმეორა აკაკი წერეთელმა ...ვაჟა-ფშაველა ლექსად უპასუხებს აკაკის დაგვიანებულ პასუხით და ეს პასუხი მართლაც დიდხანს დარჩება სამაგალით პასუხად“ (ტაბიძე 1928).

სიმონ ჩიქოვანი წინააღმდეგ გაბატონებული აზრისა, თვლის, რომ ვაჟა-ფშაველას პოემები გადატვირთული არ არის პროვინციალიზმებით.

არნოლდ ჩიქობავა ვაჟას პროზის ენაზე დაყრდნობით ამბობს: „დაინყო სალიტერატურო ენის ახალი ეტაპი, რომელსაც ქმნის დიდი ქართველი მწერლების ილიას, აკაკის, ვაჟას შემოქმედება“ (ჩიქობავა 1985: 025).

ივანე გიგინეიშვილი აღნიშნავს, რომ „ვაჟამ ფშაური ფორმები უხვად შემოიტანა სალიტერატურო ენაში, უფრო მეტიც, სავსებით ფშავურ კილოზე წერა თვალში საცემი მოვლენა იყო“ (გიგინეიშვილი 1951: 3).

მიხეილ ზანდუკელის აზრით „ფშავ-ხევსურული კილოს ზედმეტად გამოყენება ხელს კი არ უწყობდა სალიტერატურო ენის დადგენისა და სინმინდისათვის ბრძოლას, არამედ. ბლაღავდა საერთო ეროვნულ სალიტერატურო ენის განვითარება-განმტკიცების საქმეს“ (ზანდუკელი 1953: 250).

მიხეილ ჩიქოვანი სრულიად სანინააღმდეგო აზრს გამოთქვამს: „ვაჟა ხალხური მეტყველების საფუძველზე ცდილობს გაამდიდროს ლიტერატურული ენა, მისცეს მას უფრო მეტი მხატვრული ძალა და მოქნილობა“ (ჩიქოვანი 1956: 99).

შოთა ძიძიგურმა საგანგებოდ შეისწავლა ვაჟას ენის პრობლემა, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არსებული ყველა მოსაზრება, დიალექტიზმების ადგილი ვაჟას ენაში და საბოლოოდ ასეთ დასკვნამდე მიდის: „არ არის სწორი საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური ენა მთლად დაფუძნებულია დიალექტურ მასალაზე, რომ მისი ლექსები და პოემები ფშაურ კილოზეა დანერგილი, ვაჟა-ფშაველას ვერ მივიჩნევთ ენობრივი ნატურალიზმის ტიპურ წარმომადგენლად ქართულ მწერლობაში. საკითხი ვაჟას მიმართებისა ფშაურ დიალექტთან გარკვეული შეზღუდვით უნდა განვიხილოთ, თავის არსებით ნაწილში ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველება სალიტერატურო ენას ეყრდნობა... **დიალექტიზმებს ვაჟას ენაში სტილისტური ფუნქცია აქვთ დაკისრებული.** ვაჟა-ფშაველამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის ფორმირებაში, ახალი სალიტერატურო ენის გავრცელებასა და დანერგვაში“ (ძიძიგური 1971: 199-200).

თამაზ ჩხენკელი „უმაგალითო შემთხვევას“ უწოდებს იმ ფაქტს, რომ 1500 წლიანი ტრადიციის მქონე უძველესი სალიტერატურო ენის ნიაღში გენიალურმა პოეტმა ორიენტაცია აიღო „დიალექტზე“ ეს მაშინ, როდესაც ქართული სალიტერატურო ენის ახლებური ინტეგრაცია ხდებოდა, ვაჟასთვის ეს იყო შეგნებული აქცია: ძველი, ინერციის ძალით არსებული, გამოფიტული ლიტერატურული ენის რღვევისა და პროვინციული კილოების მოძალების ხანაში იგი წინა პლანზე სწევს ჰეგემონი დიალექტის არქაულ განატოტს, რომელიც იმისი აზრით ნამდვილი ძველი ქართულია... ფშაური დიალექტის უპირატესობა სხვა ქართულ დიალექტებთან შეფარდებით შემდეგი მომენტებით განისაზღვრება: I. ფშაურში ცოცხლად არის დაცული მთელი რიგი არქაული გრამატიკული ფორმები, ნიშანდობლივი ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის (შ. ძიძიგური) II. ფშაურში და მთის კილოებში შემონახულია ე. წ. „ჯვრის ენა, ანუ „ხატის ენა“ და III. ფშავი და მთა „უდიდრანა ხუზის ქვეყანა“ (ვახ. კოტეტიშვილი) (ჩხენკელი 1989: 210-211).

ვაჟას შემოქმედების შესწავლას საგანგებოდ ვრცელი და ღრმა გამოკვლევები მიუძღვნა გრიგოლ კიკნაძემ, რომელმაც მრავალმხრივ შეისწავლა ვაჟას შემოქმედება და ასევე მისი ენა. სწორედ მან წამოჭრა ერთ-ერთი არსებითი კითხვა: რაშია ვაჟას პოეზიის ხიბლი, მხოლოდ ფშაური დიალექტში?

იუზა ევგენიძე იმონებს გრიგოლ კიკნაძის შენიშვნას, რომ ნუთუ მხოლოდ ფშაური დიალექტი შეიცავს განსაკუთრებულ პოეტურ პოტენციალს და სხვა დიალექტი არა? მკვლევარი საკითხის ღრმა კვლევით მიდის დასკვნამდე, რომელსაც სრულიად ვეთანხმებით, რომ „ამგვარი პრიორიტეტის მინიჭება ფშაური დიალექტისადმი ძალაუვნებურად ქმნის ხელოვანის ინდივიდუალური მხატვრული უნარის სპეციფიკის უგულბელყოფის საფრთხეს და თუ ამ პოზიციაზე დავდებით, მაშინ აღარაფერი ელოდება წინ იმას, რომ ქართველ მწერლებს, თუკი ისინი ფშაურ დიალექტს დაეყრდნობიან, თუ პოეტური უკვდავების გარანტია არა, ამ გზაზე სვლის ვიზა მაინც მიეცეს“ (ევგენიძე 2009: 279). მისივე მოსაზრებით, აკაკის აზრის არასწორი ინტერპრეტაციის წყალობით წარმოიშვა ერთგვარი მითი ამ პოეტთა კონფლიქტური ურთიერთობის შესახებ, არადა, თუ ვინმე ახლოს იდგა ერთმანეთთან თავიანთი პოეტური პოტენციალით, ეროვნული მრწამსითა და იდეალებით, ეს აკაკი და ვაჟა იყო... აკაკიმ კარგად იცოდა, რომ „გენიალურ სისადავეს“, „დიად უბრალოებას“ აქვს მომხიბლავი ძალაც. ამის მაგალითს აძლევდა მას საუკუნეების ნიაღს შეფარებული რუსთაველის პოემის მიმბაძველები“ (იქვე: 280).

მეცნიერთა ინტერესი ამ საკითხის გარშემო კვლავაც არ წელდება და სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ცალკეულ პუბლიკაციებში არა ერთი მკვლევარი ისევ და ისევ უბრუნდება პრობლემას: როგორ უნდა გავიგოთ დიდი პოეტის ენის ეს თავისებურება, როგორც სწრაფვა ნატურალიზმისაკენ, ფშაური დიალექტის პრიმატულობის აღიარება,

პროვინციალიზმი თუ უბრალოდ, ეს არის პოეტის მიერ არჩეული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი?

თუმცა აზრთა ამგვარი ჭიდილისა თუ შეხედულებათა სიმრავლის ფონზე ზოგიერთი მაინც აკაკის იმ ერთი ფრაზის გარშემო ტრიალებს და ფიქრობს, რომ ესაა აკაკის მიერ ვაჟას პოეზიის შეფასება. ისევ რევავ ჯაფარიძეს დავესესხებით: „ვისაც აკაკი სხვისი ნიჭის მაგინებელ მეშურნედ დაუსახავს, ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსს ყურმოკრულად იცნობს, ან სავსებით არ წაუკითხავს“. სამწუხაროდ ეს გულისტკივილი სრულიად სამართლიანია, როდესაც საკითხის შესახებ ბიბლიოგრაფიის შეგროვება დავინწყე, იმგვარ სტატიებსაც წავაწყდი, სადაც ასეთი გამონათქვამები გვხვდება: „აკაკიმ მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მათი ენობრივი ფორმები. აკაკი ხაზს უსვამს განსაკუთრებით ქართული ზმნის მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს, ვაჟამ კი მწერლობაში მახინჯი ზმნური ფორმები შემოიტანაო. აკაკის ნიმუშად მოჰყავს ვაჟას და თედოს ლექსები“ (ნიკოლაძე 2007: 240). დასახელებულ წერილში რამდენიმე უზუსტობაა: პირველი ის, რომ აკაკის მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში არ გაუტარებია ვაჟას ენა, მეორე — როგორც გ. აბზიანიძე შენიშნავს, აკაკი ახსენებს არა ვაჟას, არამედ თედოსა და ბაჩანას ლექსებს.

ვფიქრობ, თანამედროვეებს განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს კლასიკოსთა შეფასებისას, მით უფრო, როდესაც ეს აზრი სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეებიდან მოდის.

საკითხის სრულყოფილად შესწავლისათვის ასევე საგულისხმო და მნიშვნელოვანია არსებული მემუარული მასალის გაცნობა, რადგან რეალობა ხშირად უფრო ზუსტად მოგონებებში აისახება ხოლმე.

აკაკისადმი მიძღვნილ მოგონებებში ვკითხულობთ, რომ 1908 წელს აკაკის საიუბილეო საღამოზე ყველა სულმოუთქმელად ელოდა ვაჟას გამოჩენას, იგი ამ დღისთვის საგანგებოდ ჩამოსულა სოფლოდან და ლექსიც მიუძღვნია იუბილარი პოეტისათვის. როგორც მემუარისტის იგონებს, ვაჟას ეს ლექსი იქვე, კულისებში დაუნერია:

„მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ღმერთმა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა...
თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,
ჩემის ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე სარეკელასი
როგორც ნისქვილში რაკუნი“.
(ვაჟა-ფშაველა 1908).

ცხადია, ლექსიდან ჩანს, რომ დიდ მადლიერებასთან ერთად ვაჟა მაინც ვერ მალავს გულის ტკივილს. მას ყველაზე უფრო მეტად მაინც დიდი მგოსნის შენიშვნა ეწყინა, რადგან აკაკი მისთვის ავტორიტეტი იყო.

სიკო ფაშალიშვილი იხსენებს: „ივერიის პერიოდიდან მოყოლებული 1910 წლამდე ვაჟას შემოქმედებას თითქოს საკმაოდ არ აფასებდნენ. ცნობილია ანეკდოტური ხასიათის პროტესტები, ქუთაისიდან რომ უგზავნიდნენ ილიას (ვითომ ზოგიერთი ხელისმომწერი) ვაჟა-ფშაველას ბეჭდვას თუ არ უკლებ, „ივერიას“ აღარ გამოვინერთო. მოტივად მოჰყავდათ ვაჟას არა ერთხელ ნახსენები დიალექტი“ (ფაშალიშვილი 1986:355).

მისივე მოგონებიდან ვეცნობით ძალიან საგულისხმო ცნობას, 1913 წლის 18 თებერვალს ვაჟა სტუმრად ყოფილა მინვეული გორში ლიტერატურულ საღამოზე, იმავე დღეს მასთან მისულა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მონაფე აკაკი მარგიანი და გადაუცია მიპატიჟების ბარათი ქუთაისის ინტელიგენციისაგან. გახარებულ ვაჟას სიკოსთვის მიუმართავს: „მამ, მივდივართ, ბალო იმერეთსა. . კიდო მწყალობენ, ეტყობა გადნა ლიხზე ჩამონოლოლი ზოვი“. საგანგებოდ გამოუწყვიათ პოეტი ძმასა და ახლობლებს და მეორე დღესვე მატარებლით გაუშგზავრებიათ ქუთაისში, თან ნაუყვანია სიკო და თავისი ძმისწული გულქანი. პოეტს მატარებელში დაუნერია ცნობილი ლექსი „იმერეთი“, რომელსაც თავდაპირველად ასე ერქვა

„შერიგება იმერეთთან“

„ერთხანად ჩემო მწყევარო,/ მძრახაო
ლიხსიქეთურო დედაო
გავიგე შემრიგებიხარ/ გხედაც რო
მეც შენთან სალამს ვბედავო“.

ვაჟას ლექსი გაუსწორებია თანმხლებთა შენიშვნების მიხედვით. როგორც ს. ფაშალიშვილი იგონებს. „ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ ვაჟას საინტერესო ლიტერატურული მოულოდნელობა ელოდა „თემში“ 1913 წლის 18 თებერვლის (ხაზი ჩვენია ჯ. გ.) ნომერში დაბეჭდილი აკაკის ლექსი „ვაჟა-ფშაველას“. **სსენებული ლექსი ვაჟას ქუთაისში მოგზაურობის დღეს ემთხვეოდა** (? ხაზი ჩვენია) მაგრამ ეტყობა რალაც ტექნიკური მიზეზის გამო „თემი“ რამდენიმე დღის დაგვიანებით გამოსულიყო და გიმნაზიის მონაფემ, ვაჟას შვილმა ლევანმა, კიოსკიდან იმ დღით გამოიტანა...

ეს პოეტური გამონვევა „თემის“ პოზიციასთან ერთგვარად განსხვავებულიც იქნებოდა, რადგან ამავე ნომერში მოთავსებული იყო პოეტი ქალის დომინიკა განდეგილის ვრცელი და მეტად გულითადი ფელეტონი, რომელიც მოუნოდებდა საზოგადოებას ვაჟას იუბილე გავუმართოთ“ (ფაშალიშვილი 1986:355).

ამ მოგონების მიხედვით, ვაჟა 18 თებერვალს ჯერ ისევ გორში იყო, როცა აკაკის ლექსი (18-ში) უკვე დაბეჭდილი იყო. ქუთაისში ვაჟა 19 თებერვალს გაემგზავრა მატარებლით, 21 თებერვალს გაიმართა საღამო, მამ 18 თებერვალს (ან წინაღღეს) საიდან უნდა სცოდნოდა აკაკის, რომ ვაჟას იმ დღეს მიიწვევდნენ ქუთაისში, ან ის, თუ როდის

გამართებოდა სალამო? და, ბოლოს, რატომ მიიჩნიეს, რომ ეს ლექსი პოეტური გამოწვევა იყო? როგორც მემუარისტი იგონებს, ამის შემდეგ ვაჟას ყველგან ასმენდნენ, კაცო რა გიყო ეს აკაკიმო. როგორც ჩანს, მასზეც იმოქმედა ამ შეძახილებმა, მაშინვე უნდოდა პასუხის გაცემა, მაგრამ „სახალხოს“ მესვეურებმა დაარწმუნეს, რომ ამ საკითხზე კამათის აღძვრა აკაკისტვის სანყენი იქნებაო“ და ისიც დანყნარდა, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ავყია და მოსეირნე ხალხს რა გამოლევს და ვაჟამაც ვეღარ მოითმინა და 1913 წლის 1 ივნისს აკაკის საპასუხო ლექსი დაუწერა: „ჯავრიან გულზე პირს ვიბოლავ, რომ სიტყვა უნდელი არ გამოვიდეს, როგორ არ გავჯავრდე? სადაც მიველ, ყველგან წინა მხედება ენა დაგინუნაო, მაგ. კაი კაცმა რალა ახლა მიყელა?“

— მე კი ვფიქრობდი ეს ლიტერატურული გამოხმაურება იყო.

— თუგინდ დიდმარხვის ლოცვა დაარქვი, ე, მე კი უპასუხოვას ვერ ვურიგდები და. და. დაიწყო კითხვა“ — იგონებს ფაშალიშვილი (ფაშალიშვილი 1986: 362).

როგორც ვხედავთ, ვაჟას საპასუხო ლექსის დაწერის სურვილი ისევ და ისევ მოსეირნეთა შეძახილით გაგულისებულს გასჩენია (სათაურების იქით რომ არაფერს კითხულობენ, თორემ ცოტა მეტი რომ წაეკითხათ, იქნებ მიმხვდარიყვნენ, როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს ბულბული თავის ღირსეულ მემკვიდრეს).

სამწუხაროდ, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა მითი ვაჟასადმი აკაკის მტრული დამოკიდებულების შესახებ. არსებობს ერთი საგულისხმო მოგონება იოსებ იმედაშვილისა, რომელსაც ერთხელ უკითხავს აკაკისტვის:

„— ბატონო აკაკი, მაპატიო, მაგრამ მინდა შეგეკითხოთ, ვაჟა ასე რად გაანადგურეთ?

— ვაჟა გავანადგურე?

— დიახ,

— რით, როდის?

— ენა რომ დაუწუნეთ.

— დასაწუნია და დავუწუნე... სხვებრ როგორ შევკადრებ განადგურებას?

ხალხმა კი ასე გაიგო რაკი აკაკიმ ვაჟას ენა დაუწუნა — გაანადგურაო, მოგეხსენებათ საქართველოში არავისი სიტყვა ის არ სჯეროთ, როგორც თქვენი...

— ძლიერ შეცდება, თუ ვინმე მომანერს, ვითომც ვაჟას განადგურება მენებოს, პირიქით, როგორც **მოღვაწე-მწერალსა და ნამდვილ ქართველს ძნელად თუ ვინმეს პატივს ვცემდე, როგორც ვაჟას... ეგ ისეთ გმირად ჩამბეჭდვია გულში, რომლის მსგავსს სხვას ვერ ვხედავ, რადგანაც მაგას სიტყვა და საქმე ერთი აქვს. ენის დამახინჯება კი არავის უნდა ეპატიოს- ენა უნდა იყოს ერთი, ნამდვილ ქართული ხალასი, წმინდა წყარო. მაგან კი ფშავ-ხევსურების კილო-კავები შემო-**

იტანა, რომელიც არავის ესმის. ეს კუთხური გამოთქმანი არ გამოგვადგება (გავიხსენოთ ილიას სიბრძნე „ენა საღვთო რამაა, საზოგადო საკუთრება“. ჯ. გ.).

—ამ მხრივ სხვებიც რომ სცოდავენ?

სხვებიც, სამწუხაროდ. საკუთრივ მეც ქე მაქვს აქა-იქ იმერული, მაგრამ იშვიათად, როცა ამას ტიპიურობა მოითხოვს, ეგ მამაცხოვნებული კი წრეს გადასცდა: ქართული გააფშავ-ხევესურა“ (იმედაშვილი 1986: 126-128).

შემდეგ აკაკის გაუხსენებია ვაჟას გმირობის ამბავი, როგორ გააგდო ხმლიანი რუსი ჟურნალისტი აშინოვი პანლურით რედაქციიდან. ამ მოგონებას აქვეყნებს ი. გრიშაშვილიც (გრიშაშვილი 1964: 341).

ვფიქრობთ, აკაკის ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავს მის გულისნადებსა და შეხედულებასაც, ალბათ მისთვისაც არაერთგზის მიუმართავთ ამგვარი შეკითხვით და შესაძლოა, სწორედ ამ აბეზართა ცრუ შეხედულების საპირისპიროდ, ჭორების გასაფანტად დაწერა ლექსი „ვაჟა-ფშაველას“, რომელმაც სამწუხაროდ განმარტება კი არა ახალი ჭორის საბაბი მისცა სულსწრაფსა და ჭორიკანა ადამიანებს.

დროა, დასრულდეს ამგვარი დამოკიდებულება ჩვენი კლასიკოსების მიმართ და ასე იოლად ნუ შევეხებით ამ წმინდა სახელებს. მით უფრო, რომ აკაკიმ რამდენიმეჯერ განმარტა თავისი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ. ნუ დაგვავიწყდება ერთი რამ, ზემოთჩამოთვლილ წერილთა უმრავლესობა თავდაპირველად სწორედ ილიას „ივერიაში“ დაიბეჭდა, ნუთუ ილია გამოაქვეყნებდა ამგვარ წერილებს? ან არ გამოექომაგებოდა „კრიტიკის ქარცეცხლად“, ან ვაჟას „განადგურებად“ რომ მიეჩნია ისინი?

ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბება ურთულესი პროცესი იყო და აკი ამიტომაც იცავდნენ მას ასე თავგამეტებით ამ რეფორმის ფუძემდებლები. ამავე აზრს იმეორებდა წლების შემდეგაც მიხეილ ჯავახიშვილი წერილში „ახალი სალიტერატურო ქართული-სათვის“: „პროვინცია ახალ საგრამატიკო ფორმებს ვერ მოგვეცემს, სამაგიროდ იგი ნამდვილი ლექსიკოლოგიური საგანძურია, უშრეტი აუზია, რომელიც ქვესკნელი წყაროებით გამუდმებით ჰკვებავს და ამდიდრებს სალიტერატურო ქართულს. კუთხურით წერა მეტად სახიფათო საქმეა, ერთი თუ გაიმარჯვებს, ათი დამარცხდება, რადგან სტილიზაცია ურთულესი და უძნელესი ფანდია“ (ჯავახიშვილი 1989: 396).

დრომ დაადასტურა კლასიკოსთა ნათქვამი ვაჟას ენა ნამდვილად საუცხოო, მდიდარი და შთამბეჭდავია, მან სრულიად გამორჩეული და განუმეორებელი სტილი დაამკვიდრა.

დროა, ყველაფერი თავ-თავის ადგილას დადგეს, მით უფრო, რომ თავად მათ მშვენივრად გაიგეს ერთმანეთისა, ამისი დასტური იყო ვაჟას შესანიშნავი ლექსი „აკაკის სახსოვრად“. ახლა, როცა მათი სულები ღვთიური ცეცხლის გარშემო „მაღალ მთაზედა.. ვაჟაკობი-

სას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა“, იქნებ ჩვენც სწორად წავი-
კითხოთ და სათანადოდ დავაფასოთ მათი ნააზრევი.

ვაჟა-ფშაველას

ენას გინუნებ, ფშაველო,
მგოსანო მალალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს!..
მკითხველიც იმას მკისაო!

ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,
მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა;
შენ დამიხატე ის მხარე
ფშაურის ჭკუა-გრძნობითა.

და რაც არ გადმოგიცია
მის შვენებაზე ენითა,
მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს,
შენთანვე აღმაფრენითა.

ვიცი, რომ ფშავლის სოფელი
წმინდაა, მალალ მთისაო,
ენა — მეტყველი სიმართლის,
გულ-მკერდი — ფოლადისაო.

ნინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,
სადღეისოდ სჭრის კალამი...
გადაეც ბარის მგოსნისგან,
მთიულებს ძმური სალამი.

[1913 წ.]

დამონებიანი:

აბაშიძე 1909: აბაშიძე კ. *ვაჟა-ფშაველა*. — „ეტიუდები მე-19 საუკუნის
ქართული ლიტერატურის შესახებ“. II, 1912.

ბოცვაძე 1965: ბოცვაძე ი. *ვაჟა-ფშაველა და მისი კრიტიკოსები*. თბ.:
„საბჭოთა საქართველო“, 1965.

გიგინეიშვილი 1951: გიგინეიშვილი ი. *ახალი ქართული სალიტერატურო ენა
და ვაჟა-ფშაველა*. გაზ. „სახალხო განათლება“, №14, 1951.

ევგენიძე 2009: ევგენიძე ი. „აკაკი წერეთელი“. — ნარკვევები ქართული
ლიტერატურის ისტორიიდან. III, თბ.: 2009.

ვაჟა-ფშაველა 1888: ვაჟა-ფშაველა. „მცირე შენიშვნა“. გაზ. „ივერია“, № 192,
1888.

ვაჟა-ფშაველა 1896: ვაჟა-ფშაველა. „*Pro domo sua*“. გაზ. „ივერია“, №43, 1896.

ვაჟა-ფშაველა 1901: ვაჟა-ფშაველა. „ენა“. ჟ. „ივერია“, № 46, 1901.

ვაჟა-ფშაველა 1910: ვაჟა-ფშაველა. „*ნიჭიერი მწერალი*“. 1910.

ვართაგავა 1940: ვართაგავა ი. „*სიმღერა მთის შვილის* — ვაჟა-ფშაველასი“.
თბ.: 1921.

ზანდუკელი 1953: ზანდუკელი მ. *ვაჟა-ფშაველა*. თბ.: 1953.

იმედაშვილი 1986: იმედაშვილი ი. „*კაი ყმა*“. თბ.: „მერანი“, 1986.

კიკნაძე 1989: კიკნაძე გრ. *ვაჟა-ფშაველას შემოქმედება*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტი გამომცემლობა, 1989.

მირიანაშვილი 1888: მირიანაშვილი პ. „*საერო ენა და სათემო კილო*“. გაზ. „ივერია“, № 166, 1888.

მირიანაშვილი 1888ა: მირიანაშვილი პ. *ბ-ნი ვაჟა-ფშაველა და ბ-ნი ურბნელი*. გაზ. „ივერია“, № 219, 1888.

ნაკაშიძე 1896: ნაკაშიძე ი. *ვაჟა-ფშაველას პოემა*. თ. „კვალი“, № 44,45,57, 51,52, 1896.

ნიკოლაძე 2007: ნიკოლაძე ნ. „*პოლემიკა ვაჟას ენის გარშემო*“. — საკითხები პროპერეგტიკური კურსიდან ძველი და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ქუთაისის ა. წერეთლის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ქუთაისი: 2007.

ტაბიძე 1928: ტაბიძე ტ. *ვაჟა-ფშაველა. შესავალი წერილი*. ტ. I ალ. აბაშელის რედაქციით. თბ.: 1928).

ფაშალიშვილი 1986: ფაშალიშვილი ს. „*კაი ყმა*“. თბ.: „მერანი“, 1986.

ყიფშიძე 1896: ყიფშიძე გრ. „*ნოვოე ობოზრენიე*“, № 4139, 1896.

ჩიქობავა 1985: ჩიქობავა ა. „*ქართული ენის ზოგადი დახასიათება*“. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I, 1985.

ჩიქოვანი 1956: ჩიქოვანი მ. *ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია*. თბ.: 1956.

ჩხენკელი 1989: ჩხენკელი თ. *ვაჟას ქართული*. — „მშენიერი მძლევარი“, თბ.: „მერანი“, თბ.: 1989.

ძიძიგური 1971: ძიძიგური შ. „*ვაჟას ენის პრობლემა*“. — „ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა“. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1971.

წერეთელი 1890: წერეთელი ა. „*წერილები ჩვენს მწერლობაზე*“. გაზ. „თეატრი“, №№ 8-10, 1890.

წერეთელი 1899: წერეთელი ა. „*ბიბლიოგრაფიული შენიშვნები*“. თ. „კრებული“, № 11, 1899.

ჭავჭავაძე 2011: ჭავჭავაძე ი. *თბზულებათა სრული კრებული ეპისტოლური მემკვიდრეობა*. ტ. XVII. „ილიას ფონდი“, თბ.: 2011 (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს ნ. კოტინოვმა, მ. კვატაიამ და ჯ. გაბოძემ).

ჯაფარიძე 2003: ჯაფარიძე რ. „*მცირე რეპლიკა დიდი ტკივილის გამო*“. — ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ. თბ.: 2003.

წერეთელი 1890: წერეთელი ა. „*წერილები ჩვენს მწერლობაზე*“. გაზ. „თეატრი“, №№ 8-10, 1890.

წერეთელი 1899: წერეთელი ა. „*ბიბლიოგრაფიული შენიშვნები*“. თ. „კრებული“, № 11, 1899.

ჯავახიშვილი 1989: ჯავახიშვილი მ. „*ახალი სალიტერატურო ქართული-სათვის*“. 1989.

NONA KUPREISHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Vazha's Suleti as Topos of Cyclic Time

The article deals with Vazha-Pshavela and his metaphors: Shaveti, meaning black and death and Samzeo, meaning sun and new. Understanding Vazha is a complex phenomena, which diversifies into several aspects, as language, myth, culture, etc. Mikheil Kveselava believed Vazha to be the regeneration of Faustian ideas. Shaveti and Samzeo are the eternal battle between good and evil, light and dark. Therefore, the article serves to understand these two concepts more deeply and eloquently.

Key words: Shaveti, Samzeo, Methapor.

ნონა კუპრეიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვაჟას „სულეთი“, როგორც ცირკულარული დროის ტოპოსი

ცნობილია, რომ კლასიკოსი მეტაფორაა, რომელიც სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვანაირად ვლინდება. ვაჟას პოეტურ მემკვიდრეობასთან მიმართებით ჩვენ ლამის იყო დავარდვიეთ ეს კანონზომიერება. მიზეზებზე მე-20 საუკუნის ოციანი წლების თბილისში სტუმრად მყოფმა და მაშინდელი ჩვენი კულტურული ორიენტაციისადმი არც თუ ისე კეთილგანწყობილმა ოსიპ მანდელშტამმა ასე მიგვანიშნა: „(ვაჟა) სიტყვის ნამდვილი ქარიშხალია, რომელმაც ხეები ფესვებიანად ამოთხარა და ისე გადაუარა მთელ საქართველოს.. სწორედ სტიქიასავით გადაიტანა იგი ახალგაზრდა ქართულმა პოეზიამ და ახლა არც იცის, რა უყოს მის დანატოვარს“ (მანდელშტამი 1922: 59). ამ სიტყვების ავტორს მხედველობიდან თითქოს მცირე დეტალი გამოიჩინა — ვაჟას ფენომენი მის გულისყურამდე სწორედ ახალგაზრდა ქართული პოეზიის წარმომადგენლებმა მიიტანეს, რომელთა შორის უპირველესი, ცხადია, გრ. რობაქიძე იყო. 1908 წელს „ნიშადურის“ რედაქციაში ხანმოკლე შეხვედრისას რობაქიძე ვაჟას „ურმენშურ“ (ურმენშ — გერმ. პირვანდელი) გამოხედვასა და ფილოსოფიის, კერძოდ, ჰეგელის „ლოგიკის“ პრობლემატური საკითხებისადმი, ინტერესს აღმოაჩენს. ხუთი ათეული წლის შემდეგ სიმონ ჩიქოვანი, რომე-

ლიც გრ. რობაქიძისაგან განსხვავებით, როგორც თვითონ აღნიშნავს, „ქართულ მწერლობაში სრულიად სხვა კარიდან შემოვიდა“, ყურადღებას კვლავ ვაჟას აზროვნების მასშტაბურობაზე გაამახვილებს და მას, რუსთაველისა და ბარათაშვილის მსგავსად, „ფილოსოფიური მიდრეკილების მწერალს“ უწოდებს (ჩიქოვანი 1963: 275).

ვაჟას სამყაროსადმი დამოკიდებულება, სამყაროს სტრუქტურის მისეული ხედვა, მართლაც, სერიოზული კვლევის საგანია და იგი კულტურის მრავალ ფენომენტა (ენის, ისტორიული წარსულის, ზნე-ჩვეულებების, მითოლოგიური წარმოდგენებისა თუ თქმულებების) ღრმად ორიგინალურ გადააზრებას ეფუძნება. განსაკუთრებულად ღრმად კი ისაა, რომ „ვაჟას პოეტური კოსმოგონიის რთული და ლოგიკური სისტემა“ ევროპული დეკადანსის კონტექსტში იქმნებოდა და გენიოსისათვის დამახასიათებელი შეღწევადობით ამკვიდრებდა „ჭეშმარიტების, მშვენიერების, სოციალური ჰარმონიის, სიყვარულის, სიკეთის, ბედნიერებისა და თავისუფლების“ რწმენას. სწორედ ამიტომ „ფაუსტური პარადიგმების“ ავტორი, მიხეილ კვესელავა, ვაჟას ჰუმანისტური, ფაუსტური იდეების რეინტეგრატორს უწოდებს (კვესელავა 1961: 96). ვაჟას მიერ სამყაროს შეცნობა ბუნებასთან კონტაქტით იწყება. ბუნების უნიკალური წიგნის კითხვა იქცევა იმ უმნიშვნელოვანეს პროცესად, რომლის დროსაც ბუნებისავე მთლიანობის შეცნობა, მისი ღვთაებასთან შეთანადება და დიდი „თვალდამშეულობით“ მიღწეული განჭვრეტის საფუძველზე სამყაროსთან დამოკიდებულების ვაჟასეული კონცეფცია ყალიბდება: „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა“. ეს გარემოს, იგივე „ყოვლადობის“, არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ მსოფლმხედველობრივი აღქმის შედეგად შექმნილი ცოდნაა, რომელიც სამყაროს მთლიანობის იმ ღვთაებრივი სიბრძნიდან იღებს სათავეს („...დიდება ქვეყნის შემოქმედს, რა კარგად დაუნერია...“), რომლის მიხედვით ყოველივე მარადიული განახლების, მარადიული წრებრუნვის, იმავე კოსმიური მთლიანობის პრინციპითაა ამოქმედებული (გოეთეს მსგავსად, მიგვითითებს „ფაუსტური პარადიგმების“ ავტორი, „ყოველგვარი არსებობა მთლიანობის ფარგლებში მოქმედებს. მთლიანობა კი სხვა არაფერია, თუ არა თვითონ ბუნება, როგორც აბსოლუტურობა, რომლის გარეშე არავითარი არსებობა არ შეიძლება იყოს“ — კვესელავა 1961: 101). ამ პრინციპის ქვაკუთხედი ბოროტისა და კეთილის, როგორც დაპირისპირებულ ძალთა დიალექტიკური ერთიანობის, მათ შორის გამართული მარადიული ბრძოლის აუცილებლობაა: „მტვირთველი არი საქმის თეთრის და შავისა, საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა“. გ. ქიქოძეც სწორედ ამ ერთიანობაზე მიგვანიშნებს, როდესაც წერს: ...ეს ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის კოსმოსური ხასიათისააო. კ. გამსახურდიას მიერ თავის დროზე დეკლარირებული იმ დაკვირვების კვალდაკვალ, რომლის მიხედვითაც „ვაჟა თავისი მსოფლიო გაგებით გოეთეს მსოფლმხედველობას უახლოვდება“ (გამსახურდია, 1959: 173), გერმანისტ

ლ. თეთრუაშვილის მონოგრაფიაშიც (თეთრუაშვილი 1982: 6) ვპო-
 ულობთ, იმავე გოეთესა და ვაჟას იდეურ-მსოფლმხედველობრივ დამ-
 თხვევათა საფუძველზე, ბუნების ორსახოვნების მოჩვენებითი ხასი-
 ათის დამადასტურებელ არგუმენტებს: ერთი მხრივ, გოეთეს „თა-
 ურფენომენისა“ და „ერთია ყოველის“ (გერმ. hen kai pan) რწმენა; მე-
 ორე მხრივ, ვაჟას მიერ უწყვეტ, მუდმივმოქმედ კანონზომიერებებს,
 მარადიულ წრებრუნვას დამორჩილებული ბუნების ციკლური მონაც-
 ვლეობა, რომელიც, როგორც ს. დანელია იტყოდა, „ვაიმარელი ბრძე-
 ნის მსგავსად ჩარგულ გენიოსშიც“ (დანელია 2008: 25).* „ბუნების
 კეთილ და ბოროტ საქმეებთან თანაბარი დამოკიდებულების უნარს“
 ავლენს. ეს უნარი კი „იმავე ბუნების მაორგანიზებელი და განმსაზ-
 ღვრელი ძალითაა განპირობებული. გოეთესთანაც ბუნებისა და ღვთა-
 ების დამთხვევა მათი იდენტობის შემოქმედებითი ტრანსფორმაციით
 მიიღწევა..., ანუ იკვეთება, რომ ღმერთი სამყაროს გარსია, ჩარჩოა,
 რომლის „შინაარსობრივი ფაქტორი ბუნებაა“. ამ უკანასკნელის პრო-
 პორციულობის, ბალანსირების დიად ნიჭს, ვაჟას აზრით, ადამიანმა,
 შესაბამისად კი საზოგადოებამაც, უნდა მიბაძოს (თეთრუაშვილი
 1982: 46). საგულისხმოა, რომ გ. ასათიანი ბარათაშვილის „სულის ამ-
 ბოხის“ იდეის ანალიზისას, მიუთითებდა, რომ თუ „მერანის“ ავტორი
 ხსნას ბედის სამძღვრის გადაღახვაში, ე. ი. ტრასცენდენტურ სამყა-
 როში ხედავს, ვაჟა მისგან განსხვავებით, ჰარმონიის მიღწევის შესაძ-
 ლებლობად ბუნების ობიექტურ კანონზომიერებათა აქტიურ შეცნო-
 ბასა და მისი წესრიგისადმი ერთგულებას მიიჩნევს. იგივე დამოკიდე-
 ბულება მჟღავნდება ხელოვნებისადმი, რომლის უმაღლეს ამოცანად
 აღიარებულია ზომიერების განცდა, ის, რომ მხატვარმა „ბუნების კა-
 ნონს არ უმტყუნოს“, „წრეს არ გადავიდეს“ (ასათიანი 1982: 118). თა-
 ვის მხრივ, აქედან (ურთიერთმბრძანებლობის, ურთიერთმონობის
 პრინციპიდან) იღებს სათავეს ბუნების მიბაძვით „ადამიანის მიერ
 საკუთარი თავის დამდაბლებით მიღწეული სიმალლე“, ვაჟასეული
 ადამიანურობის კონცეპტი, რომელიც მის მსოფლმხედველობრივ არ-
 ჩევანს გამოხატავს და რომელიც საგანგებოდ გაანალიზა მ. კვაჭან-
 ტირაძემ წერილში „ადამიანის კონცეპტი ვაჟა-ფშაველასა და რედი-
 არდ კიპლინგის პოეტურ შემოქმედებაში“ (კვაჭანტირაძე 2011:)

ერთ-ერთმა საუკეთესო ვაჟალოგმა თამაზ ჩხენკელმა ვაჟას ფი-
 ლოსოფიური თვალთახედვის თანმიმდევრობა, სიღრმე და ორიგინა-
 ლობა, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ მითოლოგიური და ფშავ-ხევსუ-
 რული ფოლკლორული მასალის ათვისების ხარისხს დაუკავშირა.
 ბუნებრივია, კეთილისა და ბოროტის ამბივალენტურობა, მათ შორის

* ს. დანელია იქვე შენიშნავს: „გოეთე ვაიმარში ცხოვრობდა და აღმოსავლეთის
 ქვეყნებში ის მხოლოდ ოცნებით მოგზაურობდა, ვაჟამ კი თავისი სიცოცხლე აღმო-
 სავლეთის კარებთან გაატარა. გოეთე გერმანიის გენიოსია, ვაჟა საქართველოს გე-
 ნიოსია. ოლონდ ჩვენ უმნიშვნელო ხალხი ვართ ჯერ და ჩვენს გენიოსს მსოფლიო არ
 იცნობს“.

ბრძოლის თავისთავად უნივერსალური კანონი სათანადოდ მთის ხალხის წარმოდგენებშიც აისახა. ვაჟამ ამ წარმოდგენების ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური გააზრება მოახდინა, ანუ, თუ ისევ თ. ჩხენკელს დავესესხებით, აღნიშნული მასალა „გამოიყენა“ იმიტომ, რომ მისი „დაძლევა“ შეძლო (ჩხენკელი 1989: 221) ანუ, როგორც ა. განერელია აღნიშნავდა, „ფოლკლორული მასალა ინერტული მდგომარეობიდან გამოიყვანაო“ (განერელია 1965: 172). ნაკლებად ცნობილ პოემაში „კოპალა“ (და, ცხადია, სხვაგანაც) თ. ჩხენკელმა მითოლოგიური წარმოდგენებით ნასაზრდოები სამგანზომილებიანი სამყაროს სურათი დაინახა, ზესკნელის, ქვეყნისა და ქვესკნელის სახით, თანაც ისე, რომ მათი სიმბოლურ-მეტაფორული შესატყვისებიც წარმოგვიდგინა; „პოემაში განხმული სამი სკნელი — ზეცა, ქვეყანა და ქვესკნელი — კაცობრიული ცხოვრების სამ ელემენტს — ღმერთს, ადამიანსა და დიაბოლურ ძალებს გულისხმობს“. ამგვარი სივრცობრივი დასაზღვრის თვით პრინციპში პროეცირდება ვაჟასეული სამყაროს ჰარმონიულობის, ამასთან კი სოციალური ჰარმონიის სისტემა, რომლის მიხედვით, ადამიანი-კაცობრიობა, ერთი მხრივ, ღმერთი-ღვთისშვილების, იგივე ღვთაებრივი ძალების, ხოლო, მეორე მხრივ, ეშმაური ელემენტების ანუ დევური ძალების მარადიული დაპირისპირებით ხასიათდება. ადამიანმა, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ამ უწყვეტ ჯაჭვში, დედამიწაზე „ღვთაებრივი ბაძვის“ განმახორციელებლის, მისი ერთგვარი მოდერატორის როლი უნდა შეასრულოს, რისთვისაც გაგება-განჭვრეტასთან ერთად დიადი მოთმინებითაც (სწორედ ამგვარ მოთმინებას და არა მორჩილებას, მით უფრო გულგრილობას ან განურჩევლობას სწავლობს ვაჟა მთებისგან) უნდა აღიჭურვოს. საბოლოო და სანუკვარი მიზანი კი ხომ სწორედ კაცობრიობის მტრების, დევების, სწრაფვის სანინაალმდეგოდ, ღვთისშვილთა მოძმეობა, ფშაური „დიდების“ თანახმად კი, მათი „მოდე-მოძმეობა და სტუმარ-მასპინძლობაა“ (ჩხენკელი 1969: 77). გავიხსენოთ, ჯოყოლა და ზვიადაური ამ პრინციპით უკავშირდებიან ერთმანეთს და მათი ერთიანობის ხელყოფა ავტორის მიერ დესტრუქციულობის საშემამოვლინებად, უზენაესი წესრიგის ხელყოფად აღიქმება.

სრულიად ამკარაა, რომ ვაჟას განსაკუთრებული „ვიზიონები და ინფერნალური ხილვები“, რომელთა გამოც გ. ქიქოძე მის რეალისტობას სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებდა („მას არ შეეძლო დაწვრილებით რაიმე მოვლენის აღწერა, ან ყოველმხრივ რაიმე საგნის დახატვა, იმიტომ რომ ცხოველი და თავშეუკავებელი ფანტაზია სტანჯავდა“ — ქიქოძე 1928: 10), მკვლევართაგან ახალი მიგნებების, ახალი აზრობრივი შრეების გახსნას ითხოვდა და ითხოვს. ამ მხრივ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრებაა გამოთქმული (გრ. რობაქიძე, ტ. ტაბიძე, გ. ქიქოძე, მ. კვესელავა, ს. ჩიქოვანი, ა. განერელია, რ. თვარაძე, გ. ასათიანი, გრ. კიკნაძე და სხვ), რომელთა დიდი ნაწილი „შავეთ-სულეთის“ პოეტიკურ ახსნასაც ეძღვნება. სრუ-

ლიად ლოგიკურად ამ უჩვეულო და აბსოლუტურად ზედროული სივრცის არსებობა ვაჟასეული ემპირიული და მეტაფიზიკური გამოცდილების სინთეზირების შედეგადაა მიჩნეული. სწორედ „შავეთის“ აქცენტირებით (ს. მაკალათია, როგორც ვიცით, ასე განმარტავს ამ ცნებას: „ფშაველების წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულშია და მას „შავეთს“ ეძახიან. შუაზე ხევი ჩამოუდის თურმე და შიგ ცეცხლმოდებული კუპრის მდინარე მოდის. მდინარეზე ბენვის ხიდია გადებული და ხიდზე მართალი უვნებლად გადის, ცოდვილი კი ვარდება და კუპრში იწვის. საიქიოში კაცის მადლი არ იკარგება და იქ ყველაფერი ზომითა და წონით არის“ — მაკალათია 1934: 157) წარმოდგენები ბუნების, მინისა და ცა-მყარის შესახებ ვაჟას მიერ იმდენადაა გაფართოებული და რეორგანიზებული (ამასთან კი მატერიალიზებულიც, რასაც მანდელშტამი „განსაცვიფრებელ საგნობრიობას“ უწოდებდა), რომ მთელ რიგ ლექს-სიმღერებსა და პოემებში გამოკვეთილი მხატვრული ამოცანის გადაწყვეტის უნივერსალურ საშუალებად აღიქმება. თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ საკითხის ამ მხარის აქცენტირება ბოლომდე ზუსტი არ იქნებოდა, რადგან „სულეთი“ არა საგანგებო ვითარებისთვის შესაფერის მარადიულ, ამქვეყნიური ვნებებისგან დაცლილ, „ჩვენგან“ სამუდამოდ გამიჯნულ სულთა სადგურად, არამედ ფშაველი კაცის ეგზისტენციალური არსის ერთ-ერთ უმთავრეს, მეტიც, ორგანულ კომპონენტად, მისი „მყოფობის“ უცილობელ ელემენტადაა აღქმული. ამიტომაც ასე გამოეთქმის ვაჟას თავისი გულწრფელი დაფიცება დედის წინაშე: „...თუ გიღალატო, დედაო, / ნუ დავიმარხო მთაშია, / ნუ დასდვან ვაჟის ფშავლისა / ხმალი სატირლის თავშია. / ნუ დამიტიროს ქალ-რძალმა / საკაცეზედა კარშია; შ ა ვ ე თ შ ი გ ა მ ზ ა ვ რ ე ბ უ ლ ს ა ც ხ ე ნ ი წ ა მ ე ქ ც ე ს გ ზ ა შ ი ა ...“ რა თქმა უნდა, აქ სახეზეა არა მარტო ხალხური წარმოდგენებით, არამედ ქრისტიანობის გავლენით კავკასიელთა ცნობიერებაში დამკვიდრებულ შეხედულებათა გამოძახილი სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ, რომელსაც აძლიერებს სასანაულმოქმედი ცხოველების (ვთქვათ, ცხენის), სხვაგან კი არწივის, უცხო ფრინველის (იგი ვაჟას განმარტებით არც არწივს ჰგავს და არც ქორს, იხ. „მოფრინდა უცხო ფრინველი“) ან სამყაროს ხის შთამბეჭდავი სახეები. ეს თავისთავად. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია თვით „სამზეოდან უჩინში და უჩინიდან სამზეოში“ ვაჟას მაგიური ცნობიერებით განპირობებული გადაადგილების ფანტასტიკური უნარი. ამ გადაადგილების საუკეთესო საშუალებად კი სიზმართან ერთად („სიზმარი სასონარკვეთილისა“, ალუდას სიზმარი) ხილვაზმანება მოჩანს („დაუსრულებელი კვნესა“, „ძვალეები“, „ზმანება“). ის, რომ ამ განზომილებაში დრო შეგნებულად აღრეულია (ა. განერელია, თ. ჩხენკელი), გამონვეულია არა მარტო დროთა კავშირის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობის, მათი ურთიერთგანპირობებულობის შეგრძნებით, არამედ იმ რეალობისადმი კრიტიკული დამოკიდებულებითაც, რომელშიც ვაჟას უხდებოდა ცხოვრება: „...გულზე მჭირს

სამი იარა: / წარსულზე ფიქრი მანუხებს, / ანმყოში არა ყრია – რა / და მომავალის ფიქრებიც / არავინ გამიმზიანა!“ ან კიდევ: „არა თქვენ სა- დიაცენო, რო ძროხებივით სძლებითა“ და სხვ.

აქედან გამომდინარე ვაჟას საიქიო — შავეთი — სულეთი არა მატე- რიაში დანთქმის, მასში განზავების, გაქრობის (ეს მარადიული წრებ- რუნვის, მარადიული განახლების პრინციპის დარღვევაც იქნებოდა), არამედ მხოლოდ ფერისცვალებისა (შდრ. ქართ. „გარდაცვალება“) და, რაც მთავარია, ჩადენილი ცოდვა-მადლის მიუკერძოებელი „ანონვის“ ადგილიცაა: „...ვაი, რომ საიქიოსაც / გინება დამიხვდებაო! / აქ ჩემი უქმად ცხოვრება / იქ თვალწინ დამიდგებაო...“ სულის უკვდავების იდეაზე დაყრდნობით ვაჟას მტკიცედ სჯერა, რომ ღვანლმოსილი, „პიროფლიანი“ გმირები (რომელთაც იგი ხშირად „ლამაზებსაც“ უწოდებს) ბუნება-ღვთაების იდენტობის ნებელობით კი არ იკარგები- ან, არამედ სწორედ „შავეთში“ ტრანსფორმირებულნი „ინახებიან“: „...მწამს, ფერფლი კარგის გულისა, / ქარმ რო გაფანტოს ხმელადა, / თვითოში მაინც ენთება, / ტიალ-სურვილი ცხელადა.. / კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება, / თან დააქვს ძველის-ძველადა!..“ იქ არა მარტო მიდი- ან, არამედ იქედან გარდაუვალი გამთლიანების მოლოდინში მუდმი- ვად გვაკვირდებიან, „საფლავებზე მავალთა ხმებს“ უსმენენ, ჩვენზე „გარჯის“ ადეკვატური ნყლულებით გვაფასებენ, გვეგებებიან, მფარ- ველობას გვიცხადებენ და ა. შ. . იქნებ ამიტომაც ვაჟასთვის სამარ- თლიანობის (ისევ იმავე სოციალური ჰარმონიობასთან ერთად) აღ- დგენის შესაძლებლობა არა მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამ- ჟღავნებულ შემართებას, „კაი ყმათა“ „ზნეობრივ თვალახელილობას“, არამედ მიღმური სამყაროდან მკვდრების (იმავე „კაი ყმების“, ბრძო- ლით ნაწრთობი გვირგვინოსანი მეფეების თუ ტანჯული თანამოკალ- მეების) აღდგომას, „სულეთის“ შეშველებასაც უკავშირდება („კიდე- ვაც ვნახავ გაზაფხულს“). სხვა გამოსავალი თითქოს არც ჩანს. ისტო- რიული კონტექსტიდან ამოვარდნილ ვაჟას თანამედროვე საქართვე- ლოში კულტურულ პარადიგმათა ცვლილება, გ. ქიქოძის ზუსტი შენიშ- ვნით კი, „სოფდარის მიერ რაინდის დამარცხება“, თითქმის ფორმა- ლურად განხორციელდა, ოღონდ კი ისე, რომ „მოხერხდა“ ქართველთა პიროვნული მთლიანობის საგრძნობლად შელახვა (ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ვაჟას ლირიკაში გამოკვეთილი ხმლისა და შამფუ- რის ანტინომია). მიუხედავად ამისა, მარადიული წრებრუნვის მოთაყ- ვანე ვაჟას, „კარგი გულის“ უკვდავების მოიმედეს, არ სურს ერის ვი- თომ სიჭაბუკის, სიმნიფისა და ხანდაზმულობის შემდეგ მისი გაქრო- ბის, კვდომის (ივ. ჯაბადარი, ლ. ფრობენიუსი) მაშინაც და მოგვიანები- თაც გავრცელებული იდეების გაზიარება. ამის მიზეზი ვაჟას მიერ მხატვრულად რეალიზებული და ნიცშეს „მარადიული დაბრუნების“ იდეით პროვოცირებული „ისტორიზმის“, გააზრების პრინციპია, რომ- ლის თეორიულ დასაბუთებას ვხედავთ უკვე გრ. რობაქიძის ესეში „ოსვალდ შპენგლერ“. ისტორიის „სწორხაზოვანი“ განვითარების კონ-

ცეფციის უარყოფა (სხვათა შორის, ისევე როგორც ნიცშეს სამყაროს დესაკრალიზაციისათვის გამიზნული ინტერპრეტაციებისა, რომლის კრიტიკა რობაქიძის გერმანულენოვან ფილოსოფიურ ესეში „პირველშიში და მითოსია“ გადმოცემული),* რომელიც შპენგლერმა მე-19 საუკუნის ისტორიულ მეცნიერებათა სხვა ძირითადი პოსტულატების, ევროპოცენტრიზმისა და პანლოგიზმის, პარალელურად განავითარა, გრ. რობაქიძემ მყარი არგუმენტაცია დაუპირისპირა: „შპენგლერის ათვისებით ისტორიაში არ არის ლოგოსი. ვლენა მოვლენის და მეტი არაფერი.. ეს შეხედულება თავისთავად მცდარია. თუ ლოგოსი არ არის, მაშინ არ არის თვით ისტორიაც. ისტორია არ არის უბრალო ცვლა. იგი ვითარებაა. ვითარებაში კი აუცილებელია საზრისი“ (რობაქიძე 1923: 2). სხვა სიტყვებით, დასავლეთის კულტურ-ფილოსოფიური აზროვნების მიერ „ლოგოსს მოკლებულ“, „ნმინდა წყლის სტრუქტურად“, „ცარიელ კარკასად“ განხილული „ისტორიზმი“ რობაქიძისთვის „ონტოლოგიურ რეალობად“ იქნა გამოცხადებული. ამ მოსაზრების საფუძვლად, ცხადია, რობაქიძის მიერვე მიგნებული ვაჟასელი „საქართველოს სულის სხეულებრივი განცდა“ იქცა (საგულისხმოა, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ნიცშეს მიმართ რობაქიძე სწორედ ვაჟას მსოფლმხედველობით კონცეფციაზე დაყრდნობით ავითარებს). თ. ჩხენკელიც გვიდასტურებს: „ვაჟასთვის ერი უკვდავი ფენომენია. იგი შეიძლება შეთხელდეს, შემცირდეს ან დაკნინდეს, მაგრამ მის უღრმეს არსებაში ხელშეუხლებლად არის შენახული თავდაპირველი დვრიტა ანუ მოდელი, განახლებისა და აღდგომის დაუთრგუნველი პოტენცია“ (ჩხენკელი, 1989: 227). მართალია, უკიდურესი სულიერი და მატერიალური შეჭირვების დროს ვაჟას რეალისტური აღქმა განსაკუთრებით უძლიერდება და შავეთ-სულეთის ხატიც თითქოს ხუნდება: „გადავისროლე ჩონგური, / ცრემლით მევესება თვალეზი, / ნეტავ რისათვის მახათრებს/ იმ მამა-პაპათ ძვალეზი?! / ან იმათ მოგონებაზე / რად ვხდები შასანყალეზი?!“, მაგრამ ეს წუთიერი ადამიანური სისუსტეა. შთაგონება მას მალევე უბრუნდება, ე. ი. კვლავ გრძელდება დროითა და სივრცით დაუსაზღვრავი მოგზაურობა ანმყოს გავლით წარსულიდან მომავლისაკენ და პირუკუ. სწორედ ესაა ვაჟას მიერ „შავეთის“ ის „ცოცხლად მზერა“, რომელიც არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის უნიკალური მოვლენაა.

* იხ. ამის შესახებ კ. ბრეგაძე — „ნიცშეს მარადიული დაბრუნების იდეის კრიტიკა გრიგოლ რობაქიძესთან“. — ლიტ. ძიებანი, 2011.

დამონებიანი:

- მანდელშტამი 1922:** Mandelstam O. *Кое что о грузинской культуре*. — избрание в двух томах, т. 2, 1922.
- კვესელავა 1961:** კვესელავა მ. *ფაუსტური პარადიგმები*. ტ. 2. თბ.: 1961.
- გამსახურდია 1959:** გამსახურდია კ. *ვაჟა-ფშაველა*. — რჩეული თხზულებანი. ტ. 2. თბ.: 1959.
- ჩიქოვანი 1963:** ჩიქოვანი ს. *რჩეული ნერილები*. ვაჟა ფშაველას ცხოვრების ელფერი და მისი პოეტური შემოქმედება. თბ.: 1963.
- დანელია 2008:** დანელია ს. *ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი*. თბ.: 2008.
- რობაქიძე 1923:** რობაქიძე გრ. *ოსვალდ შპენგლერი*. გაზ. „ქართული სიტყვა“, № 1, 1923.
- ჩხენკელი 1989:** ჩხენკელი თ. *მშვენიერი მძლევალი*. თბ. 1989.
- ქიქოძე 1927:** ქიქოძე გ. *ვაჟა ფშაველა*. — ვაჟას რჩეულ თხზულებათა ორტომეული. ტ. I. თბ.: 1927.
- კვაჭანტირაძე 2011:** კვაჭანტირაძე მ. *ადამიანის კონცეპტი ვაჟა-ფშაველასა და რედია კიპლინგის პოეტურ შემოქმედებაში*. — „კლასიკური რეალიზმის ეპოქა: მე-19 საუკუნის კულტურული და ლიტერატურული ტენდენციები“ (აკაკი წერეთლის დაბადებიდან 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი IV სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები). თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
- მაკალათია 1934:** მაკალათია ს. *„ფშავი“*. 1934.
- ასათიანი 1982:** ასათიანი გ. *სათავეებთან*. თბ.: 1982.
- განერელია 1965:** განერელია ა. *ვაჟა ფშაველა*. — რჩეული ნაწერები. თბ.: 1965.
- თეთრუაშვილი 1982:** თეთრუაშვილი ლ. *ვაჟა ფშაველას და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობითი ურთიერთობისათვის*. თბ.: 1982.

Literary Folk Tale of Vazha-Pshavela

The paper tries to analyse artistic characteristics of Vazha-Pshavela's literary fairy tale. It focuses on the works 'A Weak Donkey', 'Erem-Serem-Su-remiani', 'Ghost', 'Mutsela', 'Baturi's Sword'. Vazha's fairy tale is interesting not only in terms of problematics but in diversity of artistic interpretation. Besides, it carries well-defined ideological implication and clearly reveals writer's position towards the social-political situation and ethical issues of Georgia in the XIX century.

Key words: talisman, artistic structure, allegorical plane.

ნესტან კუტივაძე

საქართველო, ქუთაისი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი

ვაჟა-ფშაველას ფენომენი ქართულ ლიტერატურაში მრავალი რაკურსით გამოვლინდა. სხვადასხვა თაობის ქართველი ლიტერატურათმცოდნეები ხაზგასმით აღნიშნავენ ვაჟას მხატვრული სამყაროს მოდელის ფოლკლორულ-მითოლოგიურ საფუძველს (იპ. ვართაგავა, კ. აბაშიძე, ი. ფერაძე, გ. ქიქოძე, სიმ. ხუნდაძე, ტ. ტაბიძე, მ. ზანდუკელი, ქს. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი, ს. ჩიქოვანი, გრ. კიკნაძე, აკ. განდერელია, მიხ. კვესელავა, თ. ჩხენკელი, აკ. ბაქრაძე, დ. ნონკოლაური, თ. ქურდოვანიძე, ი. ევგენიძე, ზ. შათირიშვილი და სხვ.). მწერლის შემოქმედების ეს პლასტი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, მუდმივად ახალი აზრით ივსება და აქტუალურობას არ კარგავს.

სპეციალისტები ინტენსიურად იკვლევენ იმ მოტივებსაც, რომლებიც ვაჟას ილიასა და აკაკის გზის გამგრძელებლად აქცევს. „პატრიოტული და სოციალური ნიშნის მიხედვით დახასიათებამ, რასაკვირველია, შესაძლებელი გახადა ვაჟა-ფშაველას თხზულებებში ადვილად შესამჩნევ მოტივთა აღწერა და პოეტის მყარ შემოქმედებით ინტერესთა აღნუსხვა-შემოწმება. მაგრამ, ამასთანავე, რამდენადმე მაინც ყურადღების გარეშე აღმოჩნდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ის მხარე, რომელიც თემატიკურ ორიგინალობას, გამორჩეულ პოეტურ მიდგომასა და ხედვას ადასტურებს“ (ევგენიძე 1977: 49). მიუხედავად იმისა,

რომ მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული ანალიზი უწყვეტად მიმდინარეობს და დაგროვილია უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა ვაჟას შემოქმედების მრავალი საკითხი ჯერ კიდევ სპეციალურ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

თითქმის შეუსწავლელია მწერლის შემოქმედების ერთ ასპექტი — ლიტერატურულ ზღაპარი და მისი მხატვრული თავისებურებანი. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ თავად ქართული ლიტერატურული ზღაპარიც მოითხოვს მონოგრაფიულ ანალიზს. რამდენადაც ლიტერატურული ზღაპრის სპეციფიკურ ნიშან-თვისებად ასახელებენ ავტორის მიერ ნაწარმოებში კლასიკური ზღაპრის მხატვრული სახეების, თემებისა და სიუჟეტების გამოყენებას, განსაკუთრებით ფასეულია ვაჟას იმ ნაწარმოებთა შესწავლა, რომლებიც გარკვეულ წილად მისდევენ ფოლკლორული ზღაპრის მხატვრულ სტრუქტურას ან ჯადო, სასწაული, ქმნის მათი სიუჟეტის ძირითად ხაზს („გოჩი“, „ტრედები“, „ნისქვილი“, „მელია-კუდიგელია“, „უძლური ვირი“, „ერემ-სერემ-სურემიანი“, „მოჩვენება“, „მუცელა“, „ცრუპენტელა აღმზრდელი“, „ბათურის ხმალი“, „შეყვარებული“ და სხვ.). უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლიტერატურული ზღაპრის თავისებურებას სწორედ ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ იგი თანაბრად შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც ფოლკლორულ წყაროს და ასახავდეს ტრადიციული ზღაპრების გმირების, ასევე, გამონაგონსა და გამოგონილი გმირების თავგადასავლებს, მაგრამ აუცილებლად ემორჩილება ავტორის ნება-სურვილს, არის ფანტასტიკური ხასიათის ნაწარმოები და ჯადოქრობა, სასწაული, ქმნის სიუჟეტს და ახასიათებს პერსონაჟებს (ბრაუდე 1979: 7).

ამ თვალსაზრისით, ვაჟას მრავალი ზღაპარი ძალზე საინტერესოა როგორც პრობლემატიკის, ასევე მხატვრული ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებით. გარდა ამისა, ხშირად გამოკვეთილ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებს და ნათლად წარმოაჩენს მწერლის პოზიციას XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასა, სოციალურ თუ ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას,

ქართულ ფოლკლორული ზღაპრების მსგავსად, ვაჟას მრავალი პროზაული ტექსტის სიუჟეტის რელევანტური ელემენტია ჯადოსნური გმირები — ალი, ქაჯი და დევი. საკმაოდ პოპულარულია, ასევე, ადგილის დედა და ნადირთა პატრონი, რომელთაც მწერლის თხზულებებში, გარდა იმისა, რომ შენარჩუნებული აქვს ხალხური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ფუნქცია, განსხვავებული პლასტებიც აქვს შექმნილი.

ამ მხრივ, საკმაოდ საინტერესო მასალას გვანვდის ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: „უძლური ვირი“, „ერემ-სერემ-სურემიანი“, „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“, „მუცელა“ და სხვა.

ვიდრე უშუალოდ კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზზე გადავიდოდეთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ვაჟა ქვესათა-

ურით განსაზღვრავს ხოლმე თხზულების ჟანრულ თავისებურებას. ასეთ დროს იგი იყენებს როგორც ზღაპარს, ასევე ძველ ამბავსაც, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგან XIX საუკუნის ბოლოს, როცა გააქტიურდა ფოკლორული მასალის ჩანერა და ამ დროის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან მიმართავდნენ საზოგადოებას, რედაქციებისათვის გაეგზავნათ ამ სახის ტექსტები, ანდაზების, თქმულებების, ლექსებისა და ზღაპრების გვერდით მოიხსენიებოდა ძველი ამბებიც.

ძველ ამბავს უნოდებს ვაჟა „უძლიური ვირს“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 219), რომლის სიუჟეტურ ხაზს ქმნის ადგილის დედის მიერ დაბერებული ცხოველის გარდაქმნის სასწაული და მის ირგვლის განვითარებული ამბავი. ფიზიკური მონაცემებით ისევე, როგორც ალი, ადგილის პატრონიც პატარა ლამაზი ქალია. „მაყვლოვანის გვერდზე გამოჩნდა ნელის ნაბიჯით, როგორც აჩრდილი, ლამაზი, პატარა ქალი. გაშლილი შავი თმა ღრუბელივით ედო ტანზე. მარცხენა ხელში პატარა ბალახის კონა ეპყრა“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 227). ამ ჯადოსნური მცენარის საშუალებით მას მოხუცის გაახალგაზრდავება შეუძლია.

კიდევ ერთი სასწაული, რომელიც ხალხური ზღაპრების მსგავსად გვხვდება, ნიშნის დადებაა. ჯადოსნური ბალახის საშუალებით გაახალგაზრდავებულმა ვირმა შეინყალა საკუთარი პატრონიც, მაგრამ მოურჩენელი წყლული დაუტოვა.

ნაწარმოების დასასრულს ავტორმა ჩამოაყალიბა კითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გავცათ მოგვებსა და ბრძენს. ეს კითხვები იყო, თუ როგორ გადარჩა ვირი ზამთარში მგლებისაგან შეუჭმელი და როგორ მოხვდა ირმებთან, რამ მისცა მას ძალ-ღონე და რამ დაამსგავსა ირემს, რატომ მოეჩვენათ ცხენად და რატომ ვერ მიხვდა მეფეც კი რომ შინაური ვირი იყო გაგარეულებული, რატომ შეინყნარა თავისი უგულო პატრონი, რატომ გადაიქცა მისი ფურთხი მოურჩენელ წყლულად (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 233). ამგვარი კითხვები არ შეიძლება გაჩნდეს ხალხურ თხზულებაში. მასში სასწაულზე, როგორც მოვლენაზე, არავინ მსჯელობს, რადგან იმ სამყაროსთვის, რომელშიც ზღაპარი არსებობს, ასეთი გარდაქმნები ორგანულია და, ამდენად, არავინ ცდილობს მის ახსნას.

ლიტერატურულ ზღაპარს შეიძლება გააჩნდეს მორალისტური ფუნქციაც, აღარაფერი რომ ვთქვათ, მის იდეოლოგიურ დატვირთვაზე. ნაწარმოების მიხედვით, უცნაური ფერისცვალების მიზეზი ნარღვნის მოახლოებაა. რეალურად კი ავტორის შემფოთებას იწვევს ადამიანური სახის დაკარგვა, შეუბრალებლობა, ზოგადად ჰუმანიზმის ნაკლებობა, რომელიც საზოგადოებას დალუპვისაკენ მიაქანებს, შემადრწუნებელ ტრანსფორმაციას უქადის და ცდილობს მკითხველი ამ ყოველივეზე დააფიქროს.

ვფიქრობთ, ვაჟა ამით ეხმიანება სამყაროს დასასრულის განწყობილების მხატვრული ასახვის ტენდენციასაც, რომელიც საკმაოდ

მკვეთრად არის გამოვლენილი XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართულ ლიტერატურაში.

ფოლკლორულისაგან განსხვავებით, ლიტერატურულ ზღაპარში ალი ყოველთვის აღარ არის გარეგნობით მომხიბლველი. ამ მხრივ, საყურადღებოა ვაჟას „მოჩვენება“. აქ იგი ლამაზი ქალის ნაცვლად შეუხედავი არსებაა. „ქაჯი, ალი წამომდგომოდა თავზე: თავის ცბიერის თვალებით, განენილის, მქისე, საძაგელის შეხედულებით, გული სრულიად დამიკანრა, პირველი შთაბეჭდილება თითქმის გააქარწყლა (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 298). აღმა მშვენიერი ჩვენებისაგან გამოაფხიზლა ავტორი, რომელიც ღრუბლებში საკვირველ რაინდებს ხედავდა. ის თავისი ქსელის გაბმას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან მას მმუსრავს „თეთრწვერა, მშვენიერის, დინჯის, ტკბილის სახის მოხუცი“. ცნობილია, რომ ამგვარი სახით წარმოუდგება ადამიანს ღმერთი. ვაჟას აზრით, რწმენა აძლევს სიმტკიცეს ადამიანს, რომ არ დაეცეს, დაცემულს კი, რომ წამოდგეს. ზღაპარიც ასე მთავრდება: „მე თვალა მივაპყარი დასავლეთს და მკვდარი გავცოცხლდი. ... იმ მზეს არ ერქარებოდა ჩასვლა, თვით იმას სწყუროდა ენათა ქვეყნისათვის, თვალ-დამშეული უცქეროდა ჩვენს მხარეს. მე, გიჟივით, გონებადაბინდული შევხაროდი, შევსტროფი მნათობს და მუხლს ვუყრიდი“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 300).

ასე აჩენს ვაჟა მოლოდინს იმისას, რომ გმირები ერთ დღეს მაინც დაამარცხებენ „სრული ბუნების“ მქონე ბოროტებას და მასში წილის დადებას შეძლებს ყველა, ვინც ამის რწმენას არ დაკარგავს.

ამ ნაწარმოების შექმნიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ ვაჟა წერს ზღაპარ „ბათურის ხმალს“, რომელიც გმირობის თემას ეხება. ნაწარმოების მიხედვით, სასწაულმოქმედი უნარი შეიძინა გარდაცვლილი გმირის, ბათურის, ხმალმა. ის ქარქაშიდან ამოდის და ჰაერში იწყებს ტრიალს, როგორც ომის დროს. ხმალი პატრონსაც არ ჩაატანეს საფლავეში. „ბათურს იქნება ან შვილი გამოადგეს, ან შვილიშვილი გამოუჩნდეს იმის ხმალს ღირსეული მხედარი, კარგი პატრონი. აიღოს ხელში და დადგეს საქართველოს დარაჯად, უპატრონოს რჯულ-საქრისტიანოს... საფლავეში კი მიწამ უნდა შეჭამოს“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 116). ხმალმა მხოლოდ იმის შემდეგ მოისვენა, რაც ის ლაშარის ჯვარს შენირეს. ხალხს კი ურყევად სწამს, რომ ბათური კრებს შუალამეს თავის ლაშქარს და ხმალზე ფიცს დებენ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 119).

ძნელი გასაგები არ არის, რა აწუხებს ვაჟას და 1913 წელს რატომ წერს ამ ზღაპარს. მას მაშინაც აქტუალურად მიაჩნია ბრძოლა ძველი იდეისთვის, თვლის, რომ ჯერ არ მოსულა დრო ხმლის ქარქაში ჩაგებისა.

მხატვრული სტრუქტურის, ასევე, პრობლემატიკის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ნაწარმოებია „ერემ-სერემ-სურემიანი“, რომელსაც „უძლური ვირის“ მსგავსად ვაჟა ძველი ამბავს უწოდებს. მასში, ფაქტობრივად, რამდენიმე პარალელური სიუჟეტი. ერთია ზღაპ-

რის პირობითი რეალობა და დანარჩენი პერსონაჟთა სიზმრებში გა-
თამაშებული ამბები.

ნაწარმოების ძირითადი სტრუქტურული ხაზი ასეთია: საკუთარი
უმოქმედობის წყალობით სამ ძმას დაენვა სახლი. სარჩოს საშოვნე-
ლად სხვადასხვა მხარე არჩიეს და გაუდგნენ გზას, როგორც ეს ჯა-
დოსნურ ზღაპარში ხდება, მაგრამ უკანვე დაბრუნდნენ, მალე ერთმა-
ნეთში ჩხუბი დაიწყეს და მათ გასაშვებლად თათარი მოვიდა, რად-
განაც „ჩვენი ქვეყანა მაშინ თათარს ეჭირა, მერე საიდანლაც გაჩნდა
კოჭლი დევი. იმას ლაზათიანად მიებლერტყა, მიებეგვა თქვენი თათა-
რი, კინალამ მიერჩო, ძლივს ცოცხალი გამოჰხვეწებოდა და ჩვენც იმას
ჩავუცვივდით ხელში“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 234). კოჭლი დევი ერთ
ძმას ვაჭართან ამუშავებდა და ჯამაგირს თავად იღებდა, ორს კი კა-
ლატოზობას ასწავლიდა. უზარმაზარ კომპს აშენებდა და რიყის ქვებს
ძმებს აზიდვინებდა. ძმები ახლა წერილებს წერდნენ და ნანობდნენ
საკუთარ საქციელს.

ფოლკლორული ზღაპრისაგან განსხვავებით, ავტორი გმირების გა-
დანყვეტილების დამატებით მოტივაციას ახდენს. ასე მაგალითად:
ძმები თვლიან, რომ მოგზაურობა სასარგებლოა „გონება-ქონებისათ-
ვის“, თუმცა მათ მონინაალმდეგეებიც ჰყავთ. მშობლები ცდილობენ,
შვილებმა შეცვალონ განზრახული, არ აჰყვენ ილუზიებს და რეალო-
ბას დაუბრუნდნენ.

საკმაოდ გამჭირვალეა ზღაპრის დედააზრი. მტერი იოლად ეპატ-
რონება ქვეყანას, როდესაც არ არსებობს ერთიანობა და ადამიანი აბ-
სოლუტურად სწყდება სინამდვილეს. სწორედ ეს აზრია გატარებული
იმ სიზმრებშიც, რომლებსაც ძმები ხედავენ.

სიზმრის საშუალებით, ფაქტობრივად, ზღაპრის გმირთა ხასიათის
ღრმა ნიუანსები, მათი ფსიქოლოგიური განწყობა ფიქსირდება, რაც
თავისთავად ხალხური ზღაპრებისაგან განასხვავებს ლიტერატურ-
ულს. სიზმრები თითოეული მათგანის ხასიათს შეესაბამება. მხო-
ლოდ უფროსი ძმა, სურემი, გრძნობს, რომ რალაც არაჯანსაღია მათს
ცხოვრებაში. ის უფრო რეალურად განიცდის ირგვლივ არსებულ სი-
ნამდვილესაც და საკუთარ შესაძლებლობებსაც. მის სიზმარს აქვს
დაკისრებული წინასწარმეტყველური ფუნქციაც. არც იქ დასრულდა
ამბავი კარგად და არც რეალურ ცხოვრებაში. ამ სიზმარში გაჩნდა კი-
დევე ერთი საინტერესო შრე. ავტორმა ერემი, სერემი და სურემი
ბადრისა და უსუპის დეჰეროიზებულ ვარიანტებად მოიაზრა: „—აფ-
სუს, ბადრისა და უსუპის ჯიშო, როგორ წამხდარხართ და გაფუჭე-
ბულხართ! შეგარცხვინათ ღმერთმაო!..“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 241),
— ამბობს დევი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბავზეც ხაზგასმით გვი-
თხრა ძველი დავთრიდან არისო, უშუალოდ ავტორის თანამედროვე-
ობას მიემართება (და რა მხოლოდ მწერლის თანამედროვეობას) ზღაპ-
რის აზრობრივი კონცეფცია: ის, ვინც შრომასა და ბრძოლაზე ამბობს
უარს, ივინყებს წინაპართა გზას, ტანჯვისა და მარცხისათვის არის

განწირული. ვაჟასთვის უსაგნო ოცნება ზოგადადაც მიუღებელია და მას შრომას ამჯობინებს (ეს კარგად გამოჩნდა „ოცნების“ ფინალში, რომლის მიხედვითაც, ოცნებიდან გამორკვეულ გმირს ხელში უჭირავს ფურცელი წარწერით, მთავარია შრომა). ნაწარმოებში მოცემული ვითარების მსუბუქად ირონიზირებაც ხდება. მეოცნებე ძმებს ჰგონიათ, რომ მათი სიზმრები ბედნიერების მომასწავებელია.

ეს ზღაპარი იმითაც განსხვავდება ფოლკლორულისაგან, რომ მასში ჩნდება მინიშნება კონკრეტული გეოგრაფიული ადგილებისა და დროითი სივრცისა, კერძოდ: აფრიკა, საჰარის უდაბნო, ოსმალის დრო, თათარი.

საყურადღებოა, ვაჟა-ფშაველას ამ ზღაპრისა და უთარღო ნაწარმოების „ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“ ურთიერთმართება. ამ ორი ნაწარმოების აზრობრივი კავშირი საკმაოდ გამჭვირვალეა სათაურის დონეზეც. ნიშანდობლივია, რომ „ჩემი მოგზაურობის...“ დასაწყისშივე ლაპარაკია ქვეყნაზე, რომელსაც ვერც ერთ რუკაზე ვერ იპოვით და რომელსაც თავისი ნამდვილი სახელი ჯადოქრებმა დაუკარგეს. „მეტილა ხერხი შაიძლება კაცის, ადამიანისშვილის გასაბეჩავებლად მოგონილი: გადაეკიდო ცოცხალს ადამიანს და ეუბნებოდე, აღარა ხარ, მკვდარი ხარო? ერემ-სერემ-სურემიანეთის საქმეც სწორედ ასეა... ეს ქვეყანა ჯერ ისევ გულუბრყვილო, მომთმენი ქვეყანაა, ამასთანავე დაუდევარი: დაე ვინც რა უნდა სთქვას, ნისქვილმა კი ფქვასო; მე ხომ ვარ და ვარო, არაფერი უშავს, იმათ მითხრან ხარო-ვო...“ — წერს ვაჟა (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 201).

მწერალს თავისი ანგელოზი აიძულებს ამ ქვეყნის გადასარჩენად გაუდგეს გზას. თუმცა ძალიან ეზარება ამ გზაზე დადგომა და სახლში დარჩენას ამჯობინებს. „რით არა სჯობია შინ არხეინად ყოფნა — გაძეხი კარგად, გადაჰკარ წითელი ღვინო და გადაგორდი მუთაქაზე, და ისვენე სულითა და ხორცითა, სინჯე სამოთხის მსგავსი სიზმრები!“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 201), — კითხულობს ავტორი. ეს სურათი, „გულუბრყვილო, მომთმენი ქვეყანაც“ („ბედნიერი ერი“) აშკარად ილიას ინტერტექსტია. საერთოდაც, ამ ორი ზღაპრის პრობლემატიკა ალეგორიულად XIX საუკუნის საქართველოს რეალურ ვითარებას ასახავს, რაშიც ქვემოთ კიდევ უფრო დავრწმუნდებით.

აღმოჩნდა რომ სახელწარმეული ქვეყანა ბუნებრივი სიმდიდრით ავსებული მშვენიერი მხარე იყო, სადაც არხეინად, მაგრამ გაჭირვებულად ცხოვრობდნენ, რის მიზეზადაც ჯადოქრობას მიიჩნევდნენ. ავტორის კითხვაზე, რატომ თავადაც არ სწავლობენ ჯადოქრობას ან რატომ არ ცდილობენ კუდიანების მოშორებას, პასუხობენ, რომ „ადამიანის სისხლში გარევა ძნელია. ცუდი დროებაც არის და უციმბიროდ ვერ გადარჩებიან“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 204). აღსანიშნავია, რომ ეს კონკრეტული ტოპონიმი იოლად გამოსაცნობს ხდის ალეგორიას. გარდა ამისა, ნაწარმოებში სხვა მინიშნებაც არის. ერემ-სერემ-სურემიანეთში უამრავი დანგრეული ტაძარია და ყველა ერთი — ქალი-მეფის

დროს არის აშენებული, თუმცა კარგად არც კი იციან, რამდენი მეფე ჰყავდათ. ქვეყანაში არსებულ მძიმე რეალობას მიანიშნებს მწერლის რემარკაც, რომ ტაძრებს ეშმაკები არიან დაპატრონებული.

განსხვავებული ვითარების ამსახველი არც ნაწარმოებში ავტორის მიერ ჩართული ლექსი და ზღაპარია. ლექსში ერემის, სერემისა და სურემის ზღაპრის ვარიაციაა და მასაც ისევე აქვს დაკისრებული მხილების ფუნქცია, როგორც ფოლკლორულ ზღაპრებში ჩართულ ლექსებს.

ნაწარმოებში ბერიკაცის მიერ მოყოლილი „თორმეტთავიანი მღვდის“ ზღაპარი იწყება მზა ფორმულით — იყო და არა იყო რა და მთავრდება ასევე ტიპური ფორმულით: ჭირი იქა, ლხინი აქა. ტექსტი სრულყოფილია, მასში ბიბლიური იაკობისა და ღმერთის შერკინების იგავიც საინტერესოა და არეკლილი. ქვეყანას თორმეტთავიანი დევი დაპატრონებია. გათამამებულს ქრისტე-ღმერთი შეხვედრია, ვერ უცვნია, შეუყვია, ლახტი მოუღერებია, მაშინ იგი მაცხოვარს დაუწყევლია და ლახტიც ხელში შეხმობია. ამის შემდეგ მას თავები აუჯანყდნენ (სხეული ნაწილების აჯანყება, როგორც ადამიანის შინაგანი რღვევის სიმბოლური ასახვა, ნიშანდობლივია ვაჟას ზღაპრისთვის. მან ამ ხერხს მიმართა „მუცელაშიც“). ბოლოს დაქანცულს მელიორე წამოეპარა და კომბლით სული გააფრთხობინა. ვფიქრობთ, საერთო განწყობილებით ამ საკმაოდ პესიმისტურ ნაწარმოებში მწერალი, ერთი მხრივ, რეალურ ვითარებას უსვამს ხაზს და მისი ცვლილების ახლო პერსპექტივას ვერ ხედავს, მაგრამ საერთოდ შეუძლებლადაც არ მიიჩნევს, რაც ზღაპრის კეთილი ფინალით გააცხადა.

„ჩემ მოგზაურობაში...“ ავტორი კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის. მისი აზრით, უმთავრესი, რითაც ერის ბედნიერება იზომება, განათლებაა. იმ ქვეყანაში კი, რომელსაც ვაჟა აღწერს მასწავლებელს „განადირებული სახე“ აქვს და არც ის არის, ალბათ, შემთხვევითი, რომ უცხო ენაზე ლაპარაკობს, ხოლო ბავშვებს სწავლა გონებას არ უხსნის. მართალია, მასწავლებლისთვის გაგუგებარი იყო, როცა სკოლა „ღვანლსა დებდა“, თავად სოფელს რატომ უნდოდა მისი დახურვა, რატომ თვლიდა რომ ის უფრო ვნებდათ, ვიდრე სარგებლობა მოჰქონდა. მკითხველისათვის ამ ეპიზოდის იმპლიციტური პლასტი საკმაოდ ნათელია. მწერალი თვლის, რომ ერის გადაგვარება შეგნებულად ხდება. ამ უბედურების მიზეზზეც ღიად მიანიშნა: „მივმართეთ ჩრდილოეთს და იქ ვიხილეთ მხოლოდ განსხვავებული ზნე-ჩვეულების მცხოვრებნი“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 212), — წერს ის. მიუხედავად ამისა, ვაჟა არ თვლის, რომ სკოლასა და სწავლაზე სოფელმა საერთოდ უნდა თქვას უარი.

მრავლისმთქმელია, ასევე, განსწავლულ კაცთან შეხვედრა. ის ცაში ეძებდა ქვეყნისათვის გამოსავალს. „—ეს ის დურბინდი არ გახლავსთო, — სთქვა მან, ვარსკვლავთა ყოფა-მდგომარეობას რომ იკვლევენ მეცნიერნი; ეს ის დურბინდია, რომლის წყალობითაც მე ჩემის ქვეყნის

ვითარებას, სვე-ბედს ვიგებო“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 213). ფაქტობრივად, ამბავი ღიად დარჩა. ავტორი წერს, რომ ერემ-სერემ-სურემიანეთის შესახებ ის შემდეგში მოგვიყვება.

ამ ნაწარმოებსა და „ერემ-სერემ-სურემიანს“ შორის იბმება ლოგიკური ჯაჭვი. ერემის, სერემისა და სურემის მსგავსი ფუჭად მეოცნებები ქმნიან ერემ-სერემ-სურემიანეთის ქვეყანას, ხოლო ამგვარ მეოცნებობას როგორ აფასებს ვაჟა, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

ავტორისდროინდელი საქართველოც ხსნას ჩრდილოეთიდან ელოდა, მაგრამ მასთან საერთო ვერაფერი იპოვა. ქვეყნის მიერ ფუნქციის დაკარგვამ კი მისი მოქალაქეებიც გადააგვრა, რასაც, ბუნებრივია, გმირის დაკნინება მოჰყვა და ბადრისა და უსუპის ნაცვლად უგერგილო, საგმირო საქმეებზე მხოლოდ მეოცნებენილა დარჩნენ.

დეჰეროიზებულია მუცელაც ვაჟას ამავე სახელწოდების მქონე ზღაპრის გმირი. მრავლისმთქმელია ავტორის მიერ ფოლკლორული ზღაპრის ერთ-ერთ გავრცელებულ კლიშეში შეტანილი ცვლილება. ნაცვლად ფორმულისა „იყო და არა იყო რა“, გვაქვს „იყო და აღარ არის. ღმერთმა ნულარც აჩვენოს ქვეყანას იმისთანა ადამიანი, როგორიც ის იყო. ვინა? — მუცელა, მუცელა...“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 309). ამგვარი ცვლილება ცლიტერატურული ზღაპრის ავტორის პრეროგატივაა.

მანანა კვაჭანტირაძე აღნიშნავს, რომ „...მწერლობა, ლიტერატურა — ყველა ტიპის რიტუალი და დღესასწაული დავინყების გარდაუვალ პროცესს უპირისპირდება“ და „დავინყებისადმი წინააღმდეგობის მობილიზაციით ხელს უშლიან სუბიექტის დაშლას...“ (კვაჭანტირაძე 2009: 296). შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამგვარი მობილიზაცია დევს ვაჟას მიერ შეტანილ ცვლილებაშიც. რაც უნდა პარადოქსულად უღერდეს, ფოლკლორული და ლიტერატურული ზღაპრების აზრობრივი და სემანტიკური ველების გადაკვეთისას, ხალხური ზღაპრის მყარი სტრუქტურის დაშლისას ხდება სწორედ მისი კვლავ გახსენება, აღდგენა. მაგალითად: „იყო და აღარ იქნება“, კარგავს თავის რეალურ არსს „იყო და არა იყოს“ ხსოვნის გარეშე ისევე, როგორც ლიტერატურულ ზღაპარში შესული კლასიკური ზღაპრისათვის დამახასიათებელი ყველა სხვა რელევანტური ელემენტის ცვლილება მათი ცოდნის გარეშე მოკლებული ხდება სრულყოფილ გააზრებას, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ამძაფრებს ავტორის პოზიციას, გვაძლევს შეფასებას, უარყოფას იმისას, რაც მისთვის მიუღებელია და მკითხველშიც სურს მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვიოს.

ამბავი სმა-ჭამეთის ქვეყანაში ხდება. ოჯახს კი მუცელაანს უწოდებს ავტორი. საკმაოდ მოულოდნელი ჩანს ამ სახელის წარმომავლობა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფოლკლორული ნაწარმოებისათვის ასე დამახასიათებელი ინდივიდუალური განსაზღვრება-ეპითეტია, მას ომონიმური მნიშვნელობა აქვს და ეს სემანტიკური თამაში ნაწარმოების არსის გასახსნელად გადამწყვეტია. სახელის შინაარსის ცვლილე-

ბაც გმირის დეგრადაციის მატარებელია. თავის დროზე გმირობის გამომხატველი ეპითეტი მოგვიანებით ლორმუცელობის ამსახველი ხდება. მუცელა ძველ დროში გივს ზედმეტსახელად ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისა და მის მიერ ხანჯლით მტრისთვის დაპობილი მუცლების გამო შეერქვა. ზღაპრის დასაწყისშივე აქცენტირებული, რომ გმირის ასეთი დეგრადაცია ობიექტური გარემოებითაა გამოწვეული. „სმა-ჭამეთლებს სხვა ყველა საგმირო საქმე გამოელიათ, ერთი სმა-ჭამა დარჩათ ცხორებაში, ვინც იმით ისახელებდა თავს, სახელი და დიდებაც იმას რჩებოდა, მაშასადამე, მუცელა გასამტყუნარი არ იყო. დროთა ვითარებამ და მის მოთხოვნილებამ შეჰქმნა და დაბადა იგი...“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 312), — ნერს ავტორი.

სამი ძმა: მუცელა, ყარამანა და ამირანა გივის — გამორჩეული მებრძოლის — ჩამომავლები არიან. ზღაპარიც სწორედ ამ სამ ძმას არაფერი იცის თავისი წინაპრების შესახებ. რაკი ბრძოლა შეწყვეტეს და წარსული დაივიწყეს, მისაბად მაგალითად ჭამა-სმა იქცა. ფოლკლორული ზღაპრის შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ჩნდება მამხილებელი, მაგრამ მეფის ბრძანებით მას ჩამოახრჩობენ.

საყურადღებოა, ერთი ასეთი დეტალი: კუდიანობა ღამეს მუცელას დევები იტაცებენ. დევები, ბოროტი სულები არიან და მათგან დაცვას ის უფალს შესთხოვს, ჰპირდება, რომ სანთლებს აუნთებს და საყდრებს აუგებს. დევებს ჭინკები და ალები ემსახურებიან, როდესაც ისინი ირმის, ჯეირნისა და ჯიხვის მწვადებს მიირთმევენ. ფოლკლორული ზღაპრისთვის ამ კარგად ნაცნობ პერსონაჟებს მოულოდნელი და, ერთი შეხედვით, კეთილშობილური მისია აკისრიათ — ღირსეულ ადამიანად აქციონ მუცელა, გადააჩვიონ მუცელმერთობას. ფუნქციის ამგვარი ცვლილებაც ლიტერატურული ზღაპრისათვის ნიშანდობლივად უნდა მივიჩნიოთ.

ისევე, როგორც „თორმეტთავიანი მდევის“ („ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“) შემთხვევაში აქაც მუცელას თავისივე სხეულის ნაწილები უმხედრებიან: მუცელი, სული, ჭკუა. ირკვევა, რომ თითოეული მათგანი მას სწორ რჩევას აძლევდა, მაგრამ მან, მუდამ ღვინით გაბრუებულმა და გაჟღენთილმა, არ უსმინა საკუთარ გონებას და სატანჯველად გაიმეტა თავი. გარდა იმისა, რომ ეს ასპექტი გმირის სულიერ დამლაზე მიანიშნებს, ამგვარი შინაგანი ამბოხი სინდისის მხილებადაც შეიძლება აღვიქვათ. სინდისი ვაჟას მრავალი გმირის არსებობის წესს განაპირობებს.

მუცელას დაეძებენ ძმები, რომლებიც მას ვერ ხედავენ, რადგან მუცელას საპყრობილეს უჩინმაჩინის ქუდი იფარავს. მუცელამ თავის გადასარჩენად დევს მიყიდა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ძმებისა და მეუღლის სულებიც. ბუნებრივია, დევთა ტყვეობიდან დაბრუნებული მუცელა კიდევ უფრო დიდ კერპად იქცა სოფლისათვის, ვიდრეკვლავ არ გამოჩნდა მამხილებელი, რომელსაც ველარ დაამარცხებდნენ.

ეს უღვაშენის მეფეა (ამ სახელწოდებით მინიშნება სინდისზე კეთდება). მას მოკლული მამხილებლის სისხლის აღება სწავლია და სმა-ჭამეთის ქვეყანას ომს გამოუცხადებს. მართალია, მეფემ თავდადებისკენ მოუწოდა ყველას და წარსულის შეახსენა, მაგრამ მხოლოდ მოგონებამ და სურვილმა ისინი ვერ გადაარჩინა. მუცელამ „მოძებნა ძველი, ჟანგისაგან გამოხრული, მამა-პაპის ხმალი, იპოვა დამტვრეული ფარი და შეუდგა ბეჯითად საქმეს. განმინდა პირველი, დააკონინა მეორე, გაიჩარხა საქმე. დაგლეჯილი ჩაჩქანიც იპოვა, სამკლაურებიც მიანებ-მოანება ერთმანეთზე და რაინდულად გამოეწყო, მშვილდ-ისრის გაკეთება თავის ძმას, ამირანს, დაავალა. შუბიც სადღაც ეგულეობდა ჭერში თუ კედელში შეტანებული, გაფაციცებით დაეძებდა იმასაც. მუცელა აღარ ხუმრობდა“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 344), აღნიშნავს ავტორი. ამ საბრძოლო იარაღის მდგომარეობა არა მხოლოდ პატრონს ახასიათებს, არამედ საერთო ვითარების პაროდერებასაც ახდენს. ლოგიკურია, რომ უღვაშენის ხელმწიფემ სმა-ჭამეთი იოლად დაამარცხა, „განთქმული გმირები“ ხალხს დაასახელებინა და დასაჯა. გამოაშკარავდა ყველა ცრუ-გმირი.

საინტერესოა ერთი დეტალი. მხოლოდ მეფე დაინდო უღვაშენის ხელმწიფემ, რადგან იგი გვირგვინოსანი (ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით, მირონცხებული) იყო. ვაჟა ძალიან ფაქიზად მოეკიდა ამ თემას. ზღაპრის ალეგორიულობა ამით კიდევ უფრო ცხადი გახდა. ვფიქრობ, მან გამოსავალი მეფის მოკვლაში ვერ დაინახა. ასეთი რეალური გამოცდილება რუსეთის იმპერიას ჰქონდა, ხელმწიფის მკვლელობის ფაქტს ვაჟას სამშობლოსათვის უკეთესებისაკენ არაფერი შეუცვლია.

კლასიკური ზღაპრის დასარულს მხოლოდ რამდენადმე შეიძლება მიემართებოდეს ნაწარმოების ფინალიც. მუცელას საფლავიდან სვავი ამოფრინდება და მთისკენ გასწევს. მისგან ნახევრად აშენებული ეკლესიის დასრულებას კი გაყიდული სული ცდილობს. საყდრის დასრულება სიმბოლურად დაკარგული ღირებულებების დაბრუნებას მიგვანიშნებს.

ამ ნაწარმოებშიც ნიშანდობლივია სიზმრის საშუალებით ფსიქოლოგიური პლასტების გაღრმავება.

ამ პერიოდის ქართული მწერლობისთვის თავად მუცელას თემა ახალი არ არის. ინტერტექსტით ავტორი ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძის ვარიანტსაც ხატავს. მუცელა ცოცხალ რუმბად ჰყავს ვაჟას მოხსენიებული. მასაც ძალიან უყვარს არტალა, ცოლი 21 წლის ასაკში შეირთო წესის გამო და არა იმიტომ რომ შეუყვარდა, თუმცა ძალიან კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს. მის ცოლსაც დარეჯანთან აახლოებს მკითხავებში სიარული და ა. შ. ამდენად, თავად საკითხიც შეიძლება ილიას მოტივად ჩაგვეთვა, მაგრამ მისი მხატვრული გადაწყვეტა აშკარად ასხვავებს ამ ორ დიდ შემოქმედს ერთმანეთისაგან.

ერთი შეხედვით, სტრუქტურულად გვაქვს კლასიკური ზღაპრის მსგავსი სიუჟეტური ხაზი: მეფე, ცრუგმირი, მავნე, მამხილებელი.

სიცრუე გამოაშკარავებულია, დამარცხებულია გაფეტიშებული მატერიალური და გადარჩენილია სული, რომელთან ერთადაც ტაძრის მშენებლობაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. პირობითად ეს შეიძლება მიჩნეულ იქნას ზღაპრის კეთილ ფინალად. ვაჟას შემოქმედებაში არაერთხელ აქცენტირებული სულიერისა და ნივთიერის დაპირისპირებისას ავტორი მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ სულის შენარჩუნებით შეიძლება მატერიალურის შექმნა.

ნიშანდობლივია ერთი რამ. ამ თხზულების არსებულ ვარიანტს ანერია, რომ ეს არის ზღაპარი ძველი დავთრიდან. დაბეჭდილ ვარიანტში კი ვაჟამ დატოვა მხოლოდ ზღაპარი. დროის მიერ გამოწვეული დეგრადაციის საჩვენებლად მან მუცელას ძმების სახელებიც შეგნებულად დააკავშირა ძველ საგმირო ეპოსთან.

თაობათა ისტორიის გადმოცემა ხალხური ზღაპარშიც შეიძლება შეგვხვდეს (მაგ. „თვალჩიტა“). „ზემოსსენებულ ზღაპრებში დამოუკიდებელი სიუჟეტების კონტამინაცია შედეგია მეზღაპრის ცდისა, თავისებურად ახსნას ტრადიციული მასალის შინაარსი, სხვადასხვა თაობის გმირთა თავგადასავალი ერთ მთელად შეკრას და გაზარდოს აუდიტორიის ინტერესი მოთხრობისადმი“ (ქურდოვანიძე 2002: 111). რა თქმა უნდა, ძველი მეზღაპრეებისაგან განსხვავებით, ავტორს შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი მოტივაცია ჰქონდეს ვიდრე თავმონონებაა მსმენელის წინაშე.

აღსანიშნავია, რომ იმ ნაწარმოებებში („ერემ-სერემ-სურემიანი“, „მუცელა“), რომლებშიც ალეგორიული პლანით საქართველოს ყოფაა ასახული, გამოიყენა კლასიკური ზღაპრებიდან კარგად ცნობილი სამი ძმის მოტივი.

ბუნებრივია, ვაჟას აქვს სხვა აზრობრივი დატვირთვის მქონე თხზულებები, რომლებიც მრავალ პრობლემას წამოჭრიან. ეს არის მწერლის დამოკიდებულება სოციალური საკითხებისადმი („როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყნად“, „სიზმარი ობლისა“...) თუ მრავალ ზღაპარში წინ წამოწეული ეთიკური ღირებულებები („გოჩი“, „წისქვილი“, „სიზმარი ობლისა“, „ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება“...). ასევე, არანაკლებ საყურადღებოა ცხოველთა ეპოსის ტიპის ზღაპრები („ტრედები“, „მელია-კუდიგძელია“, „არწივი“, „ირემი“, „მელია-სერიფენია“, „დათვი“, „დიდებული საჩუქარი“, „კურდღელი“...). ცნობილია, რომ ვაჟას შემოქმედებაში გვხვდება სამონადირეო მითოსის ელემენტები. ამდენად გასაკვირი არ არის, რომ მონადირეობის თემა ვაჟას ბევრ ზღაპარშიც იჩინს თავს („ირემი“, „კურდღელი“, „ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება“...)

ლიტერატურული ზღაპრის ჟანრი პრობლემათა მხატვრული ინტერპრეტაციის თვალსაზრისით დიდ თავისუფლებას აძლევს ავტორს. ბუნებრივია, რომ იგი ვაჟას ერთიანი მხატვრული კონცეფციის ერთიერთი შემადგენელი, საყურადღებო და გამომსახველობითი ხერხებით უაღრესად დატვირთული პლასტია.

ვაჟას პროზის ამ კუთხით საგანგებო ანალიზი აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ უფრო სრულყოფილად წარმოჩნდეს მწერლის უცვლელი დამოკიდებულება როგორც ეროვნული ისე საკაცობრიო ღირებულებებისადმი და ქართული ლიტერატურული ზღაპრის განვითარებაში შეტანილი საყურადღებო წვლილი.

დამოწმებანი:

ევგენიძე 1977: ევგენიძე ი. *ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.

ბრაუდე 1979: Брауде Л. *Скандинавская Литературная Сказка*. М.: «Наука», 1979.

ვაჟა-ფშაველა 1964ა: ვაჟა-ფშაველა. *თბზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტომი V. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964ბ: ვაჟა-ფშაველა. *თბზულებათა სრული კრებული ათ ტომად*. ტომი VII. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

კვაჭანტირაძე 2009: კვაჭანტირაძე მ. *გამეორება, როგორც ცოდნა და ხსოვნა. ზღაპრის განმეორებადი სტრუქტურების კულტუროლოგიური და აქსიოლოგიური ასპექტები*. II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ.: 2009.

ქურდოვანიძე, 2002: ქურდოვანიძე თ. *ქართული ზღაპარი*. თბ.: „მერანი“, 2002.

ANA LETHODIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**For Interpretation (Understanding) of “Aluda Ketelauri”
(Theory of Liminality and “Aluda Ketelauri”)**

The aim of the paper is to examine Aluda Ketelauri in the frameworks of the Theory of Liminality. The liminal stage for Aluda begins when he returns to Shatili. For Aluda the end of liminal stage comes when he asks Khevisberi to sacrifice the calf in the Mutsal's name. This is followed by his exile from the community. The final part of the poem, shows Aluda in the post-liminal stage. According to the replacement theory, Aluda has passed all three stages: exiled by the community he leaves Shatili, but he is not defeated. He has fulfilled the function of the transit carriage.

Key words: Liminality, Aluda Ketelauri, Theory of Liminality.

ანა ლეთოდინი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**„ალუდა ქეთელაურის“ გააზრებისათვის
(ლიმინალობის თეორია და „ალუდა ქეთელაური“)**

ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის* მიხედვით, ნებისმიერი ტიპის ცვალებადობა (ასაკობრივი, ოჯახური, ადგილის, სოციალური სტატუსის და ა.შ.) სამ სტადიას მოიცავს: 1. გამოცალკეება ანუ სეპარაცია, რაც გამოიხატება ინდივიდის არჩევანსა და გარკვეული სოციალური ერთობისაგან იზოლაციაში. ამ დროს ინდივიდი კარგავს ამ ერთობისადმი კუთვნილების მახასიათებლებს; 2. ლიმინალობა ანუ მარგინალობა. ეს ფაზა გულისხმობს: სოციალური სტატუსის,

* ტერმინი და ცნება ლიმინალობა (limin-ლათ.-ზღურბლი, მიჯნა, ორ განსხვავებულ, იზოლირებულ ადგილს შორის მოთავსებული გასასვლელი) მე-20 საუკუნის დასაწყისში (1908 წელს, ნაშრომში „Rites de passage“) პირველად გამოიყენა ფრანგული პოზიტივისტური ანთროპოლოგიის წარმომადგენელმა არნოლდ ვან გენებმა. მოგვიანებით კი, გასული საუკუნის შუა ხანებში, ინგლისელმა ანთროპოლოგმა ვიქტორ ტერნერმა. ისინი იკვლევდნენ გადასაცვლების რიტუალების ლიმინალურ ფაზას ანუ ოჯახური, ასაკობრივი, სოციალური თუ სხვა სტატუსის, ზოგადად, ნებისმიერი ტიპის ცვალებადობის რიტუალს (რატინი 2005: 47, 48, 49; ტულჩინსკი: <http://hpsy.ru/public/x3023.htm>).

ღირებულებების, ნორმების, გააზრების, აღქმის, გაგების, ცნობიერების შეცვლას. ეს არის იდენტობის ძიების, თვითშეგნების პროცესი, რომელიც ხასიათდება ამბივალენტურობით. ამ გარდამავალ კონდიციაში ინდივიდი ემიჯნება ნორმატიულ კონტექსტს და ტრანსფორმაციის გზით აწარმოებს ოპოზიციურად საპირისპირო სამყაროს; 3. გაერთიანება, ინკორპორაცია ანუ რეაგრეგაცია — კვლავ დაბრუნება საზოგადოებაში, განახლებული სოციალური სტატუსით (რატიანი 2005: 47; ტულჩინსკი : <http://hpsy.ru/public/x3023.htm>).

შეიძლება ითქვას, რომ ლიბინალობის თეორია ინტერდისციპლინურია. იგი მოიცავს პრობლემებისა და მიდგომების ფართო სპექტრს: სოციოლოგიურს, კულტუროლოგიურს, სემიოტიკურს, ფსიქოლოგიურს და ა.შ (ტულჩინსკი: <http://hpsy.ru/public/x3023.htm>).

აღნიშნული თეორია შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ლიტერატურასთან მიმართებითაც, რადგან იგი თავისი არსითა და დანიშნულებით ლიბინალურ ფენომენს წარმოადგენს. ამის შესახებ ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა.* მისი თქმით, ლიტერატურა ქმნის ახალ სამყაროს, რომელიც არც მთლად რეალობაა და არც მთლად ფანტაზია, არც სრული სიმართლეა და არც პირწმინდა გამონაგონი. ლიტერატურა და პოეზია იძენს ერთგვარი შუალედური ანუ ლიბინალური კონდიციის სტატუსს არსებულ რეალობასა და მწერლის ფილოსოფიურ განსჯა-ვარაუდებს შორის (რატიანი 2007: 8, 9). მ. ი. სპარიოსუც ხაზს უსვამს, რომ „ლიტერატურულ დისკურსს შესწევს ძალა შექმნას ჭეშმარიტად ახალი ალტერნატივები, ვინაიდან ის თამაშის ფორმაა, „მოდელით“ თითქოს განპირობებული ქმედებაა, რომლის წიაღშიც ერთმანეთს ერწყმის რეალური და წარმოსახული სამყაროები და იქმნება ორივე მათგანისაგან განცალკევებული შუალედური სამყარო. ასახავს რა ურთიერთობების რეალურ ან წარმოსახულ ფორმებს და აყალიბებს რა მათ წინააღმდეგობრივ მთლიანობას, ლიტერატურა ქმნის არსებობის ალტერნატიულ მოდელებს“ (რატიანი 2005: 166).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ლიბინალობის ანთროპოლოგიური თეორიის საფუძველზე „აღუდა ქეთელაურის“ განხილვა.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამ პოემის ლიბინალობის თეორიის კონტექსტში გააზრებისას დავეყრდნობით ვ. ტერნერის მიერ განსაზღვრულ „სოციალური ყოფის“ ოთხ ფაზას: პირველი ეტაპი არის „ცხოვრება“ და იგი ასახავს იმ ნორმატიულ სისტემას, რომელშიც ცხოვრობს ინდივიდთა ჯგუფი; მეორე ფაზა ანუ „კრიზისი“ შეესატყვისება კრიტიკულ კონდიციას, რომელიც აყენებს ინდივიდთა ჯგუფს „არჩევანის“ წინაშე. არჩევანი შეიძლება იყოს „პოზიტიური“ და „ნეგატიური“; მესამე

* „პოეტმა იმაზე კი არ უნდა ილაპარაკოს, რაც სინამდვილეში მოხდა, არამედ იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო და, მაშასადამე, რაც ალბათობისა თუ აუცილებლობის მიხედვითაა შესაძლებელი“ (არისტოტელე 2009: 49).

ფაზა, ანუ კონფლიქტი ესადაგება „ხელმძღვანელი ჯგუფის“ უფლებებისა და ავტორიტეტის გამოყენებას „ინდივიდთა ნეგატიურად განწყობილი ჯგუფის მიმართ“; მეოთხე ფაზა, ანუ „გამოსვლა“ ასახავს იმ შედეგებს, რომლითაც დასრულდა მესამე ფაზაში „გათამაშებული“ დრამა. თავად ტერნერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მესამე ფაზას ანუ „კონფლიქტს“, რომელიც „ჰარმონიას“ გარდაქმნის „დისჰარმონიად“ და მთელი სიმწვავით აყენებს ტრანსფორმაციის საკითხს (რატიანი 2005: 60).

პოემის დასაწყისში ალუდა წარმოგვიდგება იმ სოციალური ერთობის, რომელშიც იგი ცხოვრობს, მართალია, გამორჩეულ („დავლათიან“, „საფიხვნოს თავში“ მჯდომ „სიტყვა გზიან“ (ვაჟა-ფშაველა 1986: 110), მაგრამ მაინც ტიპურ ნევრად („ბევრს ქისტს მათრა მარჯვენა“ (ვაჟა-ფშაველა 1986: 110) (გავიხსენოთ, ვ. ტერნერის მიერ განსაზღვრული ოთხი ფაზიდან პირველი ანუ „ცხოვრება“).

ალუდას სეპარაცია (ვ. ტერნერის მიხედვით, სოციალური ყოფის მეორე ეტაპი, „კრიზისი“) ანუ ძველი სააზროვნო სისტემის, კოლექტიურად გათავისებული ნორმებისაგან გამოცალკეება იწყება იმ მომენტიდან, როცა იგი კლავს მუცალს და არ მოსჭრის მას მკლავს, არ აპყრის იარაღს:

„ალუდას თოფი არ უნდა
ატირდა, როგორც ქალიო;
არ აპყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო,
თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
გულზედ ძეგლიგი დაადვა,
მკლავზედ ფრანგული ხმალიო“.
(ვაჟა-ფშაველა 1985: 112).

„მარჯვენას არ ჭრის მუცალსა,
იტყოდა ცოდვა არიო;
ვაჟაკაცო ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო...“.
(ვაჟა-ფშაველა 1985: 112).

(თუმცა, მუცალის მოკვლამდე, ალუდა კლავს მის ძმას და „მარჯვენასაც“ ჭრის მას).

ფსიქოლოგიის მიხედვით, ადამიანის ქცევა ყოველთვის განსაზღვრული სტიმულაციის პირობებში ხდება და ამ სტიმულების მიხედვით იცვლება (უზნაძე: <http://burusi.wordpress.com/2010/03/03/dimitri-uznadze-2/>). პიერ ჟანეს ქცევის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის თანახმად (რომელიც მან მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიმუშავა), ადამიანის ქცევა მოიცავს არა მხოლოდ ხილულ აქტივობას, არამედ შინაგან ფსიქიკურ შინაარსს, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ქცევის განუყოფელ ნაწილს, მის მარეგულირებელ რგოლს (<http://www.psibib>).

ru/spec/reokonc/psisoved.php). ზოგადად, ფსიქოლოგიური ახსნა აღიარებს, რომ ქცევათა უმეტესობაზე გავლენა ფაქტორთა კომბინაციის შედეგია. ეს ფაქტორებია: შინაგანი ანუ დისპოზიციური იგივე ორგანიზმული ცვლადები (გენეტიკური მოცემულობა, მოტივაცია, ინტელექტის დონე, თვითშეფასება) და ასევე გარეგანი ანუ სიტუაციური ცვლადები (ხეჩუაშვილი: davit.ge) ალუდას შემთხვევაშიც მისი ქცევის განმაპირობებლად იქცა კონკრეტული გარეგანი ფაქტორი (მუცალის მოკვლა), რამაც ბიძგი მისცა მისი სააზროვნო სისტემის ცვლილების დასაწყისს.

ალუდა ქეთელაურისათვის ლიმინალური ფაზა დგება პოემის იმ ეპიზოდებიდან, როცა იგი შატილში ბრუნდება. აქ კარგად ჩანს მისი მდგომარეობის ამბივალენტურობა. ერთი მხრივ, მას:

„არ ენონება თავია,
პირს დასწოლია ნისლევი,
გულით ნადები, შავია...“
(ვაჟა-ფშაველა 1985: 112)

მეორე მხრივ კი, უნაგირზე მუცალის ძმის მოჭრილი მკლავი უკიდია.

ალუდას „კრიზისი“ უფრო ღრმავდება იმ მომენტიდან, როცა შატილში დაბრუნებული ჰყვება მისი და მუცალის ბრძოლის, მისთვის მკლავის არმოჭრის შესახებ და ქისტის ცხონებას იტყვის („იმ ცხონებულსა მუცალსა, რკინა სდებიყო გულადა!“ (ვაჟა-ფშაველა 1986: 115)). საგულისხმოა ალუდას ამ დროს წარმოთქმული სიტყვები („ვერ გავიმეტე მუცალი, მარჯვენის მოსაჭრელადა, გული გამინყრა, არა ჰქნა, რაც საქნელია ძნელადა, დაე დააკლდეს სახელსა, მე გირჩევივარ მრჩეველად“ (ვაჟა-ფშაველა 1986: 116)). აღნიშნული ცხად-ჰყოფს, რომ ალუდაში, რომლისთვისაც პოემის დასაწყისში „სახელი“ მნიშვნელოვანია, უკვე იწყება გარკვეული, ძველი ნორმის გადაფასება. ნორმისა, რომელიც ფასეულია იმ სოციუმისათვის, რომელშიც იგი ცხოვრობს. პოემის მოხმობილი ეპიზოდიდანვე სახეზეა „კონფლიქტის“ დასაწყისი. („ხევსურთა... ავად შახედნეს ალუდას, შაუძრახნიან ხმელადა: „...გამოჰქცევიხარ ქისტისშვილს. გადუქცევიხარ ქალადა. მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევდი მა რადა?!“, ზურგი აქციეს ალუდას, პირითა ჯავრიანითა... განირეს ქეთელაური, გულითა წარიანითა, სახელსა ალუდაისას, იძახდნენ ბრალიანითა“ (ვაჟა-ფშაველა 1985: 116, 117)).

ლიმინალობის კონტექსტშივეა გასააზრებელი ალუდას სიზმარი:

„ნუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
რიგში ვიყოდი სადამე.
წინ გვედვა მიცვალებული,
ხევსურ შანყენით ისხდენა
სალაშქროდ დამზადებულნი,

ზოგნი კარებზე იდგენა.
 მენაც იქ ვიყავ, ვტიროდი,
 როგორც წესია კაცისა.
 გუმანი მქონდა სალაშქროდ,
 ხანიც მოვიდა წასვლისა.
 ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,
 ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.
 შავხედენ, მუცალი იყო,
 ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
 გულზედ ემჩნევა ნიშანი
 მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
 ეფინა ნატყვიარშია
 ლეგა საფენი ბრძამისა,
 კლდედ იდგა, გაუტეხლადა,
 ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.
 „მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
 მამკალო, მითხრა ხვეწნითა.
 თქვენ დაგრჩეს ნუთისოფელი,
 მე-კი წავიდე ქვეყნითა,
 დაძვლით, ხევსურთ შვილებო,
 ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.
 დაჯვე, ჯამ ვინამ დამიდგა,
 კაცის ხორც იყო წვნიანი,
 ვსჭამდი, მზარავდა თუმცა-ლა
 კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.
 რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
 უმსგავსი, შაჩვენებული.
 „ჭამეო, რამამ მიძახა,
 ნუ ჰხდები გაშტერებული:
 კიდეე მიმირთვით ალუდას
 წვენ-ხორცი გაცხელებული“.
 მიმატეს კაცის ულვაშით
 წვენ-ხორცი შანელებული...“
 (ვაჟა-ფშაველა 1985: 118, 119)

სიზმრისადმი უძველესი დროიდან არსებობს ინტერესი (რეინუ-ოტერი: <http://www.aquarun.ru/psih/son/son11.html>) და თავისებური დამოკიდებულება როგორც დასავლურ ისე აღმოსავლურ კულტურებსა და რელიგიებში. თუ იგი ერთ დროს მხოლოდ წინასწარმეტყველების, ფიზიკოსების და ფსიქოანალიტიკოსების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, დღესდღეისობით მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. (ხეჩუაშვილი: davit.ge) თანამედროვე მეცნიერება სიზმარს განიხილავს ადამინის ფსიქოლოგიური დინამიკის მახასიათებლად (ლუისი 1997: 10). სიღრმისეული ფსიქოლოგიის უმეტეს მიმართულებაში (ზ. ფროიდი, კ. გ. იუნგი, ჯ. კემბელი და ა.შ), სიზმარი მიჩნეულია არაცნობიერ შეტყობინებად, რომელიც ფორმირებულია ჩვენი სულიერი მდგომარეობით (ლუისი 1997: 11, 211). დიმიტრი უზნა-

ძეც აღნიშნავს, რომ სიზმარი ინფორმაციას გვანვდის არა იმდენად ობიექტური რეალობის, რამდენადაც უფრო სუბიექტის შინაგან სამყაროზე (იგი ფროიდის თეორიის მხოლოდ ამ თეზას ეთანხმება) (უზნაძე: <http://burusi.wordpress.com/2010/03/03/dimitri-uznadze-2/>). სიზმრის შინაარსის კვლევების მიხედვით, იგი დიდი რაოდენობით მოიცავს მძინარე ადამიანის დღის პრობლემებს (ხეჩუაშვილი: davit.ge). თუმცა, რომელი თეორიის მიხედვითაც არ უნდა განვიხილოთ სიზმარი, ერთი რამ ცხადია, მას აქვთ სიმბოლურს ხასიათი (ლუისი 1997: 185). სიზმრის ინტერპრეტაციას განსაზღვრავს: განწყობა, განცდა და სხვა მსგავსი კომპონენტები (ლუისი 1997: 243).

სიზმარს გარკვეული და ხშირად, განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ ტექსტებში. ვფიქრობთ, ეს ასეა ალუდა ქეთელაურის შემთხვევაშიც. საინტერესოდ გვეჩვენება ალუდას სიზმრების რამდენიმე სიმბოლოს განხილვა.

პირველ სიზმარში ალუდა „სალაშქროდ დამზადებულ“ ხევისურებთან ერთადაა.

ჯეიმს ლუისის სიზმრების ენციკლოპედიას დართული სიმბოლოთა ლექსიკონის* მიხედვით, ადამიანთა ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ნიშნავს იყო მისი წევრი, იღებდე, იზიარებდე მის კანონებს და ემორჩილებოდე მას. ჯგუფი შესაძლოა იყოს რთული სიმბოლო, რომლის მნიშვნელობაც დამოკიდებულია მძინარე ადამიანის წარსულ ასოციაციებზე (ლუისი 1997: 259).

სალაშქროდ წასვლის ხანმა, რომ მოაწია, ალუდას სიზმარში ამ დროს გამოჩნდება მუცალი, რომელიც მას ხელში „ხანჯრის“ ტარს ჩაუდებს. ზემოთ დასახელებული სიმბოლოთა ლექსიკონის განმარტებით, ხანჯალი, როგორც წესი, მამაკაცური ძალის სიმბოლოს წარმოადგენს. იგი ასევე შეიძლება იყოს ლალატის სიმბოლო. ხანჯალი განასახიერებს მტრობასაც (ლუისი 1997: 274).

მეორე სიზმარში ალუდა ადამიანის ხორცს ჭამს, თან საკუთარ თავზე ბრაზობს: „რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი, უმსგავსი, შაჩვენებული“ (ვაჟა-ფშაველა 1985: 119). სიზმარი, რომელშიც ადამიანი თავს დამნაშავედ გრძნობს რამე არასწორი საქციელის გამო, შეიძლება ასახავდეს ქვეცნობიერ სურვილს, გაკიცხოს საკუთარი საქციელი (ლუისი 1997: 288).

ზემოთქმული, ვფიქრობთ, მიგვანიშნებს ალუდას ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებზე, წარმოადგენს მის მიერ ცხადში განცდილის სიმბოლურ გამოხატულებას. (სიზმრებშიც, შეიძლება ითქვას, ალუდა გადის ტერნერის მიხედვით, „ცხოვრების“ და „კრიზისის“ ფაზებს.

* ეს ლექსიკონი, ავტორის თქმით, ორიენტირებულია ფსიქოლოგიაზე. იგი წარმოადგენს მინიშნებას და არა მკაცრ განსაზღვრებებს, უფრო სიმბოლოთა შესაძლებელ ვალენტობას იკვლევს, ვიდრე გვთავაზობს მათი მნიშვნელობის საბოლოო ვარიანტს (ლუისი 1997: 243).

პირველ შემთხვევაში ვგულისხმობთ, ხევსურთა ლაშქართან ერთად მის ყოფნას, რაც მიუთითებს იმ სოციალურ ერობაზე, რომელთა წესებს, ნორმებს თუ ფასეულობებს ალუდაც აღიარებდა და იზიარებდა. სიზმარში „კრიზისი“ იწყება მოკლული მუცალის გამოჩენით. ამას მოსდევს საკუთარი თავის გაკიცხვა ადამიანის ხორცის „შექმის“ გამო).

ალუდა ქეთელაურისათვის ლიბინალური ფაზის დასასრულია, როცა ხატობაზე, იგი მუცალის სახელზე კურატის „დამწყალობებას“ სთხოვს ხევისბერს. მისგან კი რისხვას მიიღებს, რის შემდეგაც თავად დაკლავს საკლავს და მუცალის სულს „შეახვეწებს“ უფალს. ეს ფაქტი შეიძლება გაეიაზროთ, როგორც „ღია“ პროტესტი არსებული ნორმებისადმი და ამასთანავე მათი შეცვლის მცდელობაც (მანამდე იგი სიტყვით ცდილობს ამას. როცა მინდია, მის ნაცვლად მოჭრის მკლავს მუცალის ცხედარს და „ქავად მისაკრავად“ „მიართმევს მას, ალუდა ეტყვის: „ნაილე, თუ გნამს უფალი, ნულარ მაჩვენებ თვალითა, კაი ყმის მარჯვენა არი, გული მენვება ბრალითა“...; „წესი არ არი მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანიოთ“; „ვაი, ეგეთას სამართალს მონათლულს ცოდვა-მადლითა!“) (ვაჟა-ფშაველა 1985: 120). ალუდას ამ საქციელს მოჰყვება მისი თემისგან მოკვეთა. პოემის ეს მონაკვეთი ვ. ტერნერის მიხედვით, შეესაბამება მესამე ფაზას ანუ კონფლიქტს. ხევისბერი იყენებს „ხელმძღვანელი ჯგუფის“ უფლებებს და თემისგან განკვეთს ალუდას:

„დაჯარდით ხევსურთ შვილებო,
ყველანი — დიდნი, მცირენი,
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამატირენი.
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ლრუბლის შანამზირები.
ნადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.
ცეცხლი მიეცით საძნოვარს, —
ცასა სწვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,
გუდანს-შინში და ქალები
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები.
(ვაჟა-ფშაველა 1985: 123).

რაც შეეხება, გადანაცვლების რიტუალის მესამე ფაზას. თემისგან მოკვეთილი ალუდა ოჯახთან ერთად მიდის შატილიდან. (ვ. ტერნერის მიხედვით, მეოთხე ფაზა ანუ „გამოსვლა“). მოქვითინე და თემზე გა-

ნაწყენებულ დედასა და ცოლს იგი საყვედურობს: „დაიცნო, ნუ ხართ ყბედადა, მიდით, გამომყევთ, ვიდინოთ; ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა, ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქვევით ცეტადა“ (ვაჟა-ფშაველა 1985: 126). ვფიქრობთ, ამ სიტყვებში ჩანს ალუდას პოსტლიმინალური კონდიციის შედეგი.

ლიმინალობა, როგორც მოხსენების დასაწყისშიც აღვნიშნეთ, არის მე-ს, იდენტობის ანუ ადამიანის მიერ საკუთარ თავთან იგივეობის (ნემსაძე 2008: 8) ძიების სიტუაცია. ამ პროცესის დასაწყისსა და დასასრულს საფუძვლად უდევს ცნობიერება-მისი სტრუქტურა და შინაარსი. მენტალობა — ეს არის ლიმინალობის საწყისი იმპულსი და საბოლოო შედეგი (ტულჩინსკი: <http://hpsy.ru/public/x3024.htm>). მენტალური ცვლილების, ახალი სააზროვნო სისტემის ჩამოყალიბების წყარო, როგორც ი. ლოტმანი აღნიშნავს, ხდება კოლექტიურად გათავისებული აბსურდი, რომელიც აყვანილია ნორმატიულ ხარისხში, აბსურდი, რომელიც ამტკიცებს საკუთარ სიმართლეს არა თეორიით, არამედ პრაქტიკით (ტულჩინსკი: <http://hpsy.ru/public/x3024.htm>). სწორედ ამ ფონზე ჩნდება კრიზისი, რასაც მოჰყვება სეპარაცია, ამ უკანასკნელს, ლიმინალობა და ბოლოს აგრეგაცია. ალუდას შემთხვევაში, მისი ქცევის განმაპირობლად, იქცა კონკრეტული გარეგანი სტიმული, სიტუაციური ფაქტორი (მუცალის მოკვლა), რამაც გამოიწვია მისი შინაგანი — ცნობიერების, ღირებულებების, აზროვნების ცვლილება, ზოგადად, ტრანსფორმაცია. გადანაცვლების თეორიის მიხედვით, ალუდამ გაიარა სამივე სტადია, თემიდან მოკვეთილია, მიდის შავილიდან, მაგრამ არა დამარცხებული. მან შეასრულა „ტრანზიტული ეტლის“ ფუნქცია (ანუ ის, რაც მას „ღმერთმ არგუნა“).

საყურადღებია აგრეთვე ერთი მომენტი. ალუდას წასვლის შემდეგ, შავილიში რჩება მინდია, რომელიც, ჩვენი აზრით ლიმინალობის პოტენციალის მატარებელია. იგი ერთადერთი ადამიანია ვინც განიცდის ალუდას ამბავს. ალუდას თემიდან განკვეთის შემდეგ, ბავშვებს, რომლებსაც ხელში მუცალის მკლავის ძვლები უჭირავთ, მინდია წყრომით ეუბნება: „მუცალის მარჯვენა არი... მიზეზი ხევესურთ რჩევისა... მიზეზი იმათ წყევისა; მე მივუტანე ალუდას, ფერი დავატყვე წყენისა, რო არ მიილო ალუდამ, სიღრმე ვაჩვენე ხევისა“ (ვაჟა-ფშაველა 1985: 121).

დასასრულს გავიხსენებთ, გრ. რობაქიძის სიტყვებს. იგი ამბობდა, — სუბიექტი ანუ შემოქმედი „ქმნის ობიექტს, მაგრამ შემდგომ ამ ობიექტს იღებს და აღიქვამს სხვა სუბიექტი. ამდენად, შექმნილი შორდება შემქმნელს, გადადის სხვაში. ხდება სუბიექტის ობიექტივაცია“ (ბაქრაძე 1999: 45). აქვე შევნიშნავთ „რაც მეტად ფრაგმენტულია ლიტერატურული ტექსტი და რაც უფრო ფართო ესთეტიკური ღირებულებების გენერატორად გვევლინება, მით მეტად მაღალია მისი მხატვრული ღირებულება“ (რატიანი 2010: 79) სწორედ ამის დადასტურებაა ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“, რომელიც მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

დამონეზბანი:

- არისტოტელე 2009:** არისტოტელე. *პოეტიკა*. — ლიტერატურის თეორია. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
- ბაქრაძე 1999:** ბაქრაძე ა. *კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვანლო*. თბ.: „ლომისი“ 1999.
- ვაჟა-ფშაველა 1986:** ვაჟა-ფშაველა. *თხზულებანი*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1985.
- ლუისი 1997:** Льюис Д. Р. *Энциклопедия Сновидению*. Ростов на Дону: 1997.
- ნემსაძე 2008:** ნემსაძე ა. *იდენტიფიკაციის პრობლემა ოთარ ჭილაძის რომანებში*. თბ.: 2008.
- რაციანი 2005:** რაციანი ი. *ლექციები ლიტერატურის თეორიაში. ანთროპოლოგიური თეორიული კონცეფცია (დრო-სივრცის ლიმინალური თეორია)*. თბ.: „ბარტონი“, 2005.
- რაციანი 2005:** რაციანი ი. *ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში. ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის*. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
- რაციანი 2007:** რაციანი ი. *ლექციები ლიტერატურის თეორიაში. ჟანრის თეორია. ფორმირებისა და განვითარების ეტაპები*. თბ.: „უნივერსალი“, 2007.
- რაციანი 2010:** რაციანი ი. *ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე* (ედღვნება მიხეილ ჯავახიშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავს). ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ.: 2010.
- რეინუტერი:** Реинутер Д. О снах.: <http://www.aquarun.ru/psih/son/son11.html>
- ტულჩინსკი:** Тульчинский Г. Л. *Лиминальность*: <http://hpsy.ru/public/x3023.htm>
- უზნაძე:** უზნაძე დ. *ფსიქოლოგიის შესავალი*. <http://burusi.wordpress.com/2010/03/03/dimitri-uznadze-2/>
- ხეჩუაშვილი:** ხეჩუაშვილი ლ. *ფსიქოლოგიის მეცნიერება ჩვენს ცხოვრებაში*. davit.ge; <http://www.psibib.ru/spec/reokonc/psisoved.php>

ESMA MANIA

Georgia, Tbilisi

National Centre of Manuscripts

Davit Aghmashenebeli State University

Archival-Personified Information – Research Sources of Psychological Portrait of Vazha-Pshavela

Biography is the specific narrative. It is complex of the positive discussions about the personal dates of the figure. Biographies of the figures differ from each other only by insignificant factor. This helps formalization and commonality of this kind of narratives.

The source of authentic biography of the writer is the personal archive. Archive documents carry personal data of public figure which are so called “psychological signs”.

Personal archive of Vazha-Pshavela kept in the National Centre of the Manuscripts offers following research sources for the many features: it is analytical more deep and reliable, than data collected from biographies and autobiographies.

Key words: archive, biography, reports, handwriting-facsimiles

ESMA MANIA

საქართველო, თბილისი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საარქივო-პერსონიფიცირებული ინფორმაცია — ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური პორტრეტის კვლევის წყარო

ბიოგრაფია სპეციფიკური ნარატივია. ის მოღვაწის პერსონალური მონაცემების შესახებ პოზიტიური მსჯელობების ერთგვარი ნაკრებია. ბიოგრაფიების ცხოვრებისა და შემოქმედების ასახვის ეს ფორმა ხშირად სტერეოტიპულია, რის გამოც მათი ბიოგრაფიები მხოლოდ უმნიშვნელო ფაქტოლოგიით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კი ამ ტიპის ნარატივის სტანდარტულობასა და მის ფორმალურ ბუნებას განაპირობებს.

საგულისხმოა, რომ მოღვაწის უტყუარი ბიოგრაფიის წყარო მისი პირადი არქივია.

საარქივო დოკუმენტები, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისთავად იმუხტება პერსონალური მონაცემებით, მოლვანის ე. წ. „ფსიქოლოგიური ნიშნებით“. საარქივო ერთეულის პერსონიფიკაცია არა ძირითადი, არამედ მეორეული, ცნობიერსმილმური პროცესია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პიროვნება აზროვნების პროდუქტის გრაფოლოგიური ფორმით გადმოცემის დროს „გასცემს“ საკუთარ თავს. პიროვნების რთული ფსიქიკის კვალით — თავისი განწყობებით, ფიზიოლოგიური მდგომარეობებით, საკუთარი უნარებითა და ჩვევებით, მისწრაფებებით, ცნობიერისა და ქვეცნობიერის კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი ატიპიური ქმედებებით, გარემომცველი გარემოდან მომდინარე ფაქტორებით — აღიბეჭდება თითოეული ავტოგრაფული ნიმუში.

პერსონიფიცირებული ინფორმაციის მოძიება შეიძლება როგორც შინაარსობრივ-ჟანრობრივ-თემატურ, ასევე ტექნიკურ მონაცემებში. ის პერსონალური ინფორმაციის ე. წ. „სარკისებური ვარიანტია“. როგორც პიროვნების პორტრეტის კვლევის წყარო, ანალიტიკურად უფრო სანდოა და ღრმა, ვიდრე ბიოგრაფიებისა თუ ავტობიოგრაფიების მასალები.

ორივე ტიპის კვლევა არამარტო მოლვანის ფსიქოლოგიური პორტრეტის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა, არამედ ეპოქის შესახებ არაპირდაპირ ნათქვამ, სხვა ნათქვამიდან გამომდინარე რეალობას გადმოგვცემს.

ზოგჯერ საზოგადოებები, ეპოქიდან ეპოქაში უპროტესტოდ იმეორებენ ერთხელ საზოგადოებაზე თავსმოხვეულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს. ეს კი, ე. წ. ფასადურ იმიჯებს ქმნის და სიმულაციის მაღალი ხარისხით ერთგვარ პროფანირებულ, შინაარსისაგან დაცული ტრაფარეტებს გვთავაზობს. ამიტომ ჩვენთვის სრულიად უცნობი რჩება საზოგადო მოლვანეთა რეალური სახე. პერსონიფიცირებული ინფორმაციები კი ამ ტრაფარეტული მიდგომებისაგან თავის არიდების საშუალებას იძლევა.

ვაჟა-ფშაველას ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პირადი არქივი მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის პირველადი შტრიხებისთვის საგულისხმო საკვლევ წყაროებს გვთავაზობს.

საინტერესოა, რომ, ზოგადად, ფინანსური ანგარიშები და ხარჯ-თაღრიცხვები XIX საუკუნის მოლვანებთან, ძირითადად, რუსულ ენაზე წარმოებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალურ და ეთნიკურ სააზროვნოს თავ-თავისი დიფერენცირებული ენა აქვს. ეს კონკრეტული შემთხვევა კი მიუთითებს იმაზე, რომ ამ ტიპის ყოფა და აზროვნება XIX საუკუნის ბოლოს ჯერ კიდევ არ განიხილება ქართული ეთნიკური სივრცის ლოგიკურ კონტექსტში.

ფულისადმი, როგორც რელატიური ღირებულების მქონე შესაძლებლობისა თუ ნივთისადმი, ვაჟა-ფშაველას საორჭოფო, გაორებული დამოკიდებულება აქვს. მისთვის ფული ყოფითი და, მით უმეტეს, სულიერი კულტურის ორგანული ნაწილი არ არის. ის დროის მიერ

მოტანილი ერთგვარი დამატებითი მოვლენაა, რომელსაც უხერხული დისკომფორტის შეტანაც კი შეუძლია სოციალურ მოვლენებში. კონფლიქტი, ერთი მხრივ, ფულის, როგორც აუცილებელი საყოფაცხოვრებო საშუალებისა და, მეორე მხრივ, ღირსების სფეროდან მის სიმორრეს შორის, ქმნის ვაჟას სპეციფიკურ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. ვაჟას მიერ ჩანერილი ფშავური ეთნოგრაფიული მასალის პირველი გართმული დიალოგი სწორედ ამ საკითხს ეხება:

„— ფოშტის ფულ ველარ გიშოვნავ, ხან ნაცვალ დაგდევეს, ხან გ ზირი, — რა ფული, შენი ჭირიმე, საშოვნ არ არის ადვილი,

იჭრება პეტერბურლშია, მე იქ ფულისად სად ვივლი!“ (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 225).

მიუხედავად იმისა, რომ თავისი პუბლიცისტური წერილი „უმაღური გამოცემელი“ მისთვის გადახდილ არასაკმარის ჰონორარს ეხება, მთელ შემდგომ მსჯელობას, რომელიც მოტყუებული ავტორის გულწრფელი გულისტკივილითაა გაჯერებული, ერთგვარად ამართლებს წერილის პირველი აბზაცი: **„თუმცა საჩოთიროდ მიმაჩნია საუბარი ამ საგანზე, რა ზეც დღეს მომიხდა მკითხველთან, მაგრამ რა გაენყობა: თქმაცა სჭირს, უთქმელობაც. თქმა იმიტომ ჭირს, რომ ფულზე და ანგარიშებზე წერა ბეჭდვითი სიტყვის შეურაცხყოფად მიმაჩნია; გაგრძედე და არაფერი ვსთქვა, ესეც შეუძლებელია“** (ვაჟა-ფშაველა 1964: 278). ფაქტს, რომ **„ფული პეტერბურლში იჭრება“**, სოციალური ურთიერთობების ეს ფორმა სხვა გეოგრაფიასა და სხვა კულტურაში გადააქვს, თუმცა ბოლო ფრაზაში: **„მე იქ ფულისად სად ვივლი“**, საგულისხმოა სიტყვა **„სად“** და არა **„არ“**. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ავტორს გეოგრაფიული სიმორით გამონვეულ სირთულესთან ერთად, ერთგვარი, გაკვრითი სინანული, ქვეცნობიერი კონფლიქტიც კი აქვს გამოხატული ამ ფრაზაში.

ვაჟა-ფშაველა „მოამბის“ რედაქციას 1896 წელს სწერდა: **„გივ ზაენით პოემას „ივანე კოტორაშვილის ამბავი,“ რომელიც ღირს ოთხი თუმანი (სტრ. 5 კ.) და ვინდლო თიბათვის ნიგნში დაჰბეჭდოთ. თუ ვინცილობა ცალკე ნიგნად დაბეჭდვა მოინადინოთ, ნება გაქვსთ, დაბეჭდოთ. მხოლოდ იმ პირობით, რომ მომცეთ ხუთი თუმანი, და დაჰბეჭდოთ თქვენთვის გასასყიდად 1500 ეკზ. ანარადა ამდენივე დაჰბეჭდოთ და ნახევარი მე შემოსავლიდამ და ნახევარი თქვენ...“** (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 228).

საგულისხმოა, რომ ტექსტში გადახაზულია ჩანართი: **„გინაცა ფულისა თქვენ იცით, როგორც გამოჰ...“** ფრაზა დაუსრულებელია. ეს „მოამბის“ რედაქციისათვის, და არა საჯარო პუბლიკაციისთვის, განკუთვნილი წერილი ზემოთ ხსენებულ პუბლიცისტურ წერილზე 13 წლით ადრეა დაწერილი. თავიდან ავტორი შემდეგში უკვე გადახაზული სტრიქონით ამ საკითხთან დაკავშირებულ უხერხულობას ერთგვარად თავს არიდებს, თუმცა შემდგომ სტრიქონს აუქმებს. ორივე შემთხვევაში, როგორც საჯარო, ასევე პირად წერილში, იგრძნობა ავ-

ტორის დისკომფორტი, ის ამ გადახაზული ფრაგმენტით სრულებით იცვლის პოზიციას და, შინაგანი კონფლიქტის მიუხედავად, საკმაოდ მიზანმიმართული, ლოგიკური და პრინციპული რჩება.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ ავტოგრაფული შავი ნუსხის (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №149) ბოლო გვერდზე დანერილ ფინანსურ ხარჯთაღრიცხვებში თანხის მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება 50 რუბლს. სავარაუდოა, რომ მეტად მწირი ფინანსური შესაძლებლობის მქონე ადამიანს თავისი საუკეთესო ნაწარმოების ბოლო გვერდზე ეს გამოთვლები მისაღები ჰონორარის სავარაუდო ოდენობის დასადგენად უნარმოებია (როგორც ზემოთ ვნახეთ, „ივანე კოტორაშვილის ამბავის“ დაბეჭდვისთვის ვაჟა-ფშაველას ოთხი თუმანი მოუთხოვია). სხვათა შორის, ცნობილი ფაქტია, რომ ვაჟა-ფშაველა საქართველოს რაიონებს შორის ყველაზე კმაყოფილი ქუთაისიდან დაბრუნებულა, სადაც მისთვის ჩოხა და 5 თუმანი უსახსოვრებიან. ვაჟა ამ საჩუქარს უზომოდ გაუხარებია. აქედან გამომდინარე, 5 თუმანი, როგორც სოლიდური სასაჩუქრე თანხა და როგორც საკმაოდ ვრცელი მხატვრული ნაწარმოების საჰონორარო საფასური, ვერ ვიტყვით, რომ ამ რაოდენობის ფულის მაღალ კურსზე მიუთითებს. ჩვენს ამ ვარაუდს ილია ჭავჭავაძის უბის ნიგნაკის ანგარიშებიც ადასტურებს. ერთ-ერთ გვერდზე ჩვეული მონესრიგებულობით დახაზულ ცხრილს ასეთი სათაური აქვს: *„ჩემი მართები — მივიღე“ (იგულისხმება ვალები). ილიასთვის ვალები დაუბრუნებიათ პეტრე გრუზინსკის – 450, საშა ორბელიანს 282, ანტონ ფურცელაძეს – 75, იაკობ მანსვეტაშვილს – 15 – რუბლი“* (ხეც, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი № 62). საინტერესოა, რომ სესხად გაცემული თანხის ზედა და ქვედა ზღვარს შორის დიდი ამპლიტუდაა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იმდროინდელი ვალუტის ზედმეტად მაღალ კურსზეც არ მიუთითებს, ამიტომაც დაბალი ქვედა ზღვარი (15 რუბლი) საზოგადო მოღვაწეთა მწირ ფინანსურ შესაძლებლობებზე გვიქმნის წარმოდგენას. თუ „ბახტრიონის“ ჰონორარად 50 რუბლს ვიგულისხმებთ, იაკობ მანსვეტაშვილისთვის 15 რუბლი უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო.

საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველას არქივში ეს ანგარიშები იშვიათად სცილდება ორნიშნა ციფრებს, მაშინ როდესაც, მისი ერთი ჩანანერის თანახმად, „პირიქითლების გასავალი ფულების“ სიაში (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 159) არც ერთი ორნიშნა რიცხვი არ არის (120-იდან 400-მდე მერყეობს), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ვაჟა-ფშაველა, ამ თვალსაზრით, საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა.

იმის დასადასტურებლად, რომ ფულს ამ ეთნიკურ სივრცეში თავისი ლოგიკური ადგილი არა აქვს, რომ ის თავისი ზედმეტად „სპეციფიკური“ ფასეულობრივი მნიშვნელობით ვერ ეწერება ქართული სოციალურ-კულტურული სივრცის კონტექსტში, ისიც მოწმობს, რომ ქარ-

თულ ტექსტებში ვაჟა ფულის ერთეულის აღსანიშნავად რუბლის რუსულ ინიციალს იყენებს.

ერთგან გვხვდება ვაჟას მიერ ნაყიდი ნივთების ეს სია: *„ლურსმანი — 20, ფლოსტები — 60, შალი ქართ. — 160, შალი თუშ. — 50, საკაბე თამარისა — 3, ნაღები ლევანისთვის — 5“* (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 156). ქალაქში, საყიდლებზე ვაჟა-ფშაველა, ბუნებრივია, თვითონ დადიოდა. მის მიერ ნაყიდ ნივთთა შორის ყველაზე დაბალფასიანი თამარის (ქალიშვილის) საკაბე ყოფილა. საგულისხმო ფაქტია, რომ ვაჟა არსებული სოციალური ყოფის შესაბამისადაც და ოჯახის პატივისცემის ნიშნადაც, თვითონ არჩევდა შვილების — ლევანისა და თამარის სამოსს, რომელიც, ფასიდან გამომდინარე, ძალიან უბრალო, სადა და უპრეტენზიოც უნდა ყოფილიყო.

ვაჟა-ფშაველას საარქივო მასალის შესწავლის შედეგად მის პორტრეტს თავისებურ შტრიხებს ჰმატებს მისი ავტოგრაფების არათემატური, ძირითად ტექსტთან კომპოზიციურად დაუკავშირებელი მინანქრები, რომელთაგან პროცენტულად დიდი წილი ქართულ-რუსული კომბინაციით შედგენილი ფრაზებია: *„Я — პავლე რაზიკაშვილი, ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი ...“* (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №156).

გვხვდება ამ ხასიათის გართიმული ჩანანერი:

*„Господин Господин!
არ მწადინ, არ მწადინ,
არამზადინ, არამზადინ,
დინ, დინ, ნ...
Колокольчик! “*

(ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 43)

საგულისხმოა, რომ ეს ტექსტი ფონეტიკური ვარიაციებით (*არ მწადინ, არამზადინ*), გრაფემული და ემოციური თვალსაზრისით, ერთგვარად დაღმავალი გრადაციით ვითარდება. უარყოფითი ფორმებით იმდენად კნინდება ჰიპერბოლიზებული ბიუროკრატიული სტატუსი (*„Господин“*), რომ მთელი სიტყვისგან რჩება ჯერ ბოლო მარცვალი — *„დინ“*, ხოლო შემდეგ კი ერთი ბგერა — *„ნ“*. *„Господин“* საკუთარი თავის შემადგენელ უკანასკნელ ბგერას უტოლდება. საყრდენგამოცლილი იდეოლოგიური სიყალბე ერთგვარად კრავს მთელი ტექსტის ქვეტექსტურ ფორმულას: *Господин-Колокольчик*. სწორედ ამ პროპორციას ემსახურება ორ რუსულ სიტყვას შორის მოქცეული დამხმარე ქართული ტექსტი.

„Господин“ როგორც სატირული სოციალური და ზნეობრივი სტატუსი, სხვა ადგილასაც გვხვდება. ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთ გრაფიკულ ჩანახატს ახლავს მინანერი: *„Господин - Книгопродавец — кролик!“* (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №143).

რუსულ-ქართული კომბინაციები, ფორმის თვალსაზრისით, მსუბუქად, თუმცა საკმაოდ პრინციპული და ტენდენციური შინაარსებით გამოხატული ერთგვარი ირონიზებული აქცენტებია. ენის ერთ მონოლითურ სისტემაში სხვა ენის სტატისტიკურად უმნიშვნელო, მაგრამ საკვანძო ელემენტების შემოჭრა ცნობიერების მარგინალიზაციაა და ნაციონალური იდენტობის რყევის საზგასმაც. საგულისხმოა, რომ ეს მინანქრები ბუნებრივი, დანარჩენ მონაცემებთან აბსოლუტურად დაუკავშირებელი, თავისთავადი ღირებულების მქონე მთლიანობაა, პირველ შემთხვევაში, ლექსთან და ანგარიშებთან, მეორე შემთხვევაში კი, ორ სხვადასხვა ლექსს, უცხო პირის ხელწერილსა და ვაჟასეულ გრაფიკულ პორტრეტულ ჩანახატს შორის გვაქვს მოცემული და ერთმნიშვნელოვნად ხსნის ავტორის ქვეცნობიერ განწყობებს. **„Я — პავლე რაზიკაშვილი, ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი“** — სულაც არ არის უწყინარი ტოლფარდობა — რუსული პირის ნაცვალსახელი **„Я“** ლექსიკურადაც უტოლდება იდენტიფიცირებულ გვარსა და სახელს და იდეოლოგიურადაც. ავტორი შესანიშნავად გრძნობს, რომ რუსულ-ქართული რეალობებით გაჯერებული ურთიერთობები უკვე მიღებული და დანერგილია ქართულ საზოგადოებაში. ამიტომაც ამ ფაქტის გამო გაჩენილი პროტესტი, როგორც ეს ქვეცნობიერ განცდას შეეფერება, ასე უადგილოდ, ასე მოულოდნელი რემარკების სახით ჩნდება მის სამუშაო-საარქივო ფურცლებზე.

საყურადღებოა, რომ ვაჟას მიერ ჩანერილი ფშავური ლექსების ერთი კრებული (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 224) 29 ლექსს აერთიანებს. მისი ინტერესთა სფეროს კონტურების განსაზღვრა ამ ხალხურ ნაწარმოებთა თემატიკის რაოდენობრივი ანალიზითაცაა შესაძლებელი. 29 ლექსიდან 12 ომისა და კაი-ყმობის თემატიკას, დანარჩენი 17 კი ქალის გაუნონანსწორებელ ბუნებასა, მისადმი უნდობლობასა და, ამავე დროს, გემოთმოყვარეობას, უფუნქციობასა და სულიერებას შორის კონფლიქტს შეეხება. როგორც მოსალოდნელი იყო, ფშავურ ეთნოგრაფიულ მასალას სპეციფიკურ ხიბლს აძლევს ის ემოციური გახსნილობა და სილალე, რაც, ხშირ შემთხვევაში, წყევლასა და უხამსობებში გამოიხატება და რომლებსაც, როგორც მთის კოლორიტულ-მითოსური აზროვნების სეგმენტებს, ვაჟა არ ერიდება.

ვეფიქრობთ, საინტერესოა ერთი დაკვირვება: მიუხედავად იმისა, რომ როგორც კაი-ყმა-მამაკაცობის, ასევე დედაკაცობის კონცეპტუალური საზრისი ვაჟას ზედმინეწით კარგად ესმის, ის ერთი და იმავე ნაწარმოების კომპოზიტებს „დედაკაცი“ და „მამაკაცი“ პირველყოფილ ბუნებას იმით უნარჩუნებს, რომ **„მამაკაცს“** ერთცნებიან კომპოზიტად აღიქვამს და, შესაბამისად, ერთად წერს, ხოლო **„დედა-კაცს“** ორცნებიანად მიიჩნევს და ცნებათაგამყარად ტირეს იყენებს.

დეტალური გრაფოლოგიური ანალიზი, ბუნებრივია, ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს, მაგრამ ჩვენი პირველადი დაკვირვებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელრთვა-ფაქსიმილეს მოყვანილობისა და სტრუქტურის

ტურის სხვადასხვაობა ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია იმ ნაწარმოებთა თემატიკაზე, რომელთაც ეს ფაქსიმილები ახლავს. ვაჟას ფაქსიმილეს მოხაზულობას ლირიზმი მაშინ ეტყობა, როდესაც სატრფიალო ლექსზეა მიწერილი, მანერული სტილი მაშინა აქვს, როცა საკითხი სიმბოლოებით, ხატსახოვნადაა გადააზრებული, ხვეულები და რთული ჩანარები მაშინ აქვს, როცა სამყაროში ადამიანის ბედზე რიტორიკული პათოსით საუბრობს.

ვაჟა-ფშაველას ხელნაწერების არქეოგრაფიული აღწერილობა ასეთია: ის სანერ მასალად -4-ის ფორმატზე დიდი ზომის ქალღმერთს იყენებს, რომლებსაც ხშირად ჰორიზონტალურად კეცავს. იყენებს შავ, ლურჯ, ზოგჯერ მწვანე ფერის მელანს. ხშირად წერს ფანქრით, რედაქტირებას აკეთებს კალმით. ხშირად აცხოველებს ტექსტს. იყენებს ტექსტის დასრულების ოვალურ და მომრგვალო ფორმის გრაფიკულ ნიშნებს. ერთ გვერდზე მოთავსებულ ყველა ცალკეულ ნაწარმოებს ცალკე აწერს ხელს. ტექსტის ორგანიზების თვალსაზრისით, საარქივო ერთეულთა გვერდები ქაოტურია და შემთხვევითი პრინციპითაა შევსებული. ხშირად გვხვდება ერთ გვერდზე ტექსტის როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური განლაგება. სქოლიოს ნიშნად ჯვარს იყენებს. როგორც შინაარსობრივად, ასევე ტექნიკურად მეტად თამამად ასწორებს ტექსტს, რის გამოც მის არქივში ე. წ. „შავი“ ნაწერების წილი ბევრად აღემატება „თეთრს“.

ვაჟა-ფშაველა თავისი მითოლოგიზებული და საკრალიზებული აზროვნებით ძალიან ბევრი თანამედროვე მოღვაწის ყურადღებას იპყრობდა.

1909 წელს თავის სანაქსარიდან გამოგზავნილ წერილში ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) ტარასი კანდელაკს სწერდა: **„თუ ვაჟა ფშაველა მანდ იყოს, ჰკითხე, კოპალეობა როდის მოდის? სად არის უმთავრესი მისი სადღესასწაულო ეკლესია? როგორ დღესასწაულობენ? კოპალეს სახელით რომელ წმიდანს სცემენ თაყვანს? მისი სალოცავები სად და რა ადგილას არიან? ხალხში რა გადმოცემაა კოპალეზედ? როდის შემოულიათ ეს დღეობა საქართველოში? ლეგენდა თუ რამ არის ამ ხატის შესახებ ხალხში დარჩენილი?“** (ხეც, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი № 97).

როგორც ჩანს, ეპისკოპოსი კირიონს მუდმივი მიწერ-მონერა ჰქონდა ვაჟა-ფშაველასთან. თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა სასულიერო პირისთვის პოეტის ფოლკლორულ შეხედულებებს განსაკუთრებული სიახლე არ მოჰქონდა, ხშირად ის საკუთარ ინტერპრეტაციებს ამატებდა და შესწორებები შეჰქონდა ცალკეულ ტოპონიმთა, ტერმინთა და ცნებათა წარმომავლობისა თუ განმარტების საქმეში.

1909 წელს ეპისკოპოსი კირიონი ისევ ტარასი კანდელაკს სწერდა: **„ვაჟა-ფშაველას წერილი კოპალეზედ მაშინ მივიღე, როდესაც კორექტურა გავზავნილი მქონდა. მე უფრო მეტი ცნობები მყავს მოყვანილი“** (ხეც, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი №107).

როგორც ჩანს, ეპისკოპოსს 1910-იანი წლების დასაწყისში ვაჟა-ფშაველასთვის მიუმართავს ლაშარობის დღესასწაულის წარმომავლობის ახსნის თხოვნით. ვაჟა-ფშაველას ამ საკითხთან დაკავშირებით, 1888 წელს დაუნერია ეთნოგრაფიული წერილი „ლაშარობა“ („ლაშრობა“, როგორც ეს დედანშია), სადაც აღწერილია ამ სახალხო დღესასწაულის ადათები. მისი ავტოგრაფული დედანი დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 215). 1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულია სხვა წერილი: „ლაშარის ჯვრის დღეობა ანუ ლაშარობა“. ვაჟა-ფშაველას თხოვლობათა ათგომეულში სწორედ ამ წერილის ვარიანტულ რედაქციად არის მიჩნეული ეთნოგრაფიული წერილი „საიდან წარმოსდგა ლაშარობა?“. ეს უკვე მესამე წერილია ამ საკითხზე. ეს უკანასკნელი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და დაუთარილებელია (ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 217). ის ლაშარობის რიტუალს კი არ ხსნის, არამედ მის წარმომავლობას, მომდინარეობას, რითაც მას საერთო თითქმის არაფერი აქვს იმ ძირითად ტექსტთან, რომლის ვარიანტულ სხვაობადაც არის მიჩნეული აკადემიურ გამოცემაში.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კირიონ მეორეს არქივში დაცულია 1913 წლით დათარიღებული მისი წერილი ტარასი კანდელაკისადმი, ამ დროისათვის მას უკვე მიუღია წერილი ვაჟა-ფშაველასგან, რის შეხებაც ის პირად წერილში წერდა: **„წაწლობაზე სწორე არა მგონია აზრი ვაჟა-ფშაველასი. წაწლობას არავითარი საერთო რამ არა აქვს რაინდობასთან. წაწლობა ლაშა გიორგიზე ადრე უნდა ყოფილიყო ფშაველებში. სახელწოდება ლაშარის ჯვარი რომ მართლა იყოს წარმომდგარი ლაშასგან, მაშინ ჩვენი ენის კანონით, ლაშას ჯვარი იქნებოდა და არა ლაშარის ჯვარი. ლაშარის ჯვარი, ჩემი აზრით, სწარმოებს სიტყვიდან „ლაშქარი“. აქედან ლაშქარის ანუ ლაშარის ჯვარი, რომელიც ომიანობის წინ ლაშქრის წინ მოჰქონდათ და მშვიდობიანობის დროს იმ სალოცავში ესვენა, რომელსაც ხალხი უწოდებს ლაშარის ჯვრად. ქართლშიც არის სალოცავები: მცხეთის ჯვარი, გორის ჯვარი, გარეჯვარი...“** (ხეც, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი № 139).

როგორც ჩანს, წერილი „საიდან წარმოსდგა ლაშარობა?“ ვაჟა-ფშაველამ კირიონ ეპისკოპოსის არგუმენტების საპასუხოდ დაწერა. ტექტში თანმიმდევრობით არის პასუხი გაცემული ყველა იმ არგუმენტზე, რომლებიც საეჭვოდ და არადამაჯერებლად ჩათვალა ეპისკოპოსმა. ის ფაქტი, რომ წერილი „საიდან წარმოსდგა ლაშარობა?“ ნამდვილად კირიონის საპასუხო უნდა იყოს, ადასტურებს წერილის გადაშლილი ქვესათაური: „კიდევ ლაშარობაზედ“, რომელ საკითხზედაც ვაჟას მესამედ მოუწია განმარტებამ. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ტექსტი სტანდარტული თხრობით კი არ იწყება, არამედ ერთგვარი კონტრარგუმენტი, მტკიცებით: **„დასამტკიცებლად იმისა, რომ ლაშარობა დაერქვა დღეობას ლაშა-გიორგისგან შეწირულის წმიდის გიორგის ხატის გამო, შეგვიძლიან მოვიყვანოთ საბუთები...“** როგორც

ვნახეთ, ეპისკოპოს კირიონის მოსაზრებით, ლაშარობა „ლაშქრიდან“ უნდა მომდინარეობდეს და არა ლაშა-გიორგისგან. ხოლო ვაჟა-ფშაველა ამ ტექსტს ასე ასკვნის: **„რაც ზემოთ ვსთქვით, მკითხველს იქიდან შეუძლიათ თვითონ გამოიტანოს აზრი — ლაშარობა „ლაშქრობა“ და „ლაშას ჯვრის დღეობა“.**

ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური პირტრეტიც დასახასიათებლად, ვფიქრობთ, საგულისხმო შტრიხია ის, რომ ამ პასუხს პოლემიკის ფორმას არ აძლევს, არსად ახსენებს მისთვის ასე პატივსაცემ სასულიერო მოღვაწეს. ქვესათაურიც კი „კიდევ ლაშარობაზე“ დედანში გადაუხაზავს. რაც შეეხება ამ წერილის დათარიღებას, 1913-14 წლებში უნდა იყოს დაწერილი, კირიონ ეპისკოპოსის ტარასი კანდელაკისადმი გაგზავნილი წერილის შემდეგ.

ეს და სხვა საკმაოდ რთული და მრავალშრიანი საკითხი საარქივო ერთეულთა სპეციფიკაზე, პერსონიფიცირებულ ინფორმაციაზე, როგორც ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროზე და მათი კომპლექსური კვლევის სირთულესა და აუცილებლობაზე მიუთითებს.

საარქივო მასალა მხოლოდ მემორიალური არტეფაქტები კი არა, ბევრად მნიშვნელოვანი საკვლევი წყაროების შემცველია და იქ პიროვნებათა პორტრეტები ბევრად უფრო ადამიანურია და ბუნებრივი, ვიდრე ბოგრაფიების ტრაფარეტული მიდგომები. პერსონიფიცირებული ინფორმაცია მეგაპერსონალური ინფორმაციაა თავისი არაბანალური, ორიგინალური, წინასწარგანუზრახველი, სრულიად მოულოდნელი წყაროებით. შესაბამისად, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს მასალა დეტალურ არქეოგრაფიულ და კოდიკოლოგიურ კვლევებს საჭიროებს.

ღამონგებანი:

ვაჟა-ფშაველა 1964: „უმაღური გამომცემელი“. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, IX ტ. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №225: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი № 225.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №228: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი №228.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №149: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი №149.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №143: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი №143.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №156: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი №156.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №159: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი №159.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №224: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი №224.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №215: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი №215.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი №217: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი №217.

ხეც, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი №97: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი საარქივო ფონდი №97.

ხეც, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი №107: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი საარქივო ფონდი №107.

ხეც, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი №139: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი საარქივო ფონდი №139.

ხეც, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი №62: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი № 62 .

TRISTAN MAKHAURI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Vazha-Pshavela and Folk Rhymers

The work considers Vazha Pshavela's relationship with his contemporary folk poets. The folklore-and-ethnographic analysis of Vazha's letters was used to show the poet's estimation of the works by folk poets and the peculiarities he used to accent in their poetic ideas.

The article notes that Vazha-Pshavela was himself engaged in the poetic competition with the masters of folk rhymes, and sites several extempore rhymes (ad-libs) as an example to demonstrate the obvious advantage of the folk poets over Vazha.

It is the study of the samples of this poetic competition that identifies the specifics of the collective and individual work.

Key words: Collective and individual.

ტრისტან მახაური

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვაჟა-ფშაველა და ხალხური მელექსენი

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში, როცა ვაჟა-ფშაველა გამოდიოდა სამწერლო ასპარეზზე, ხალხური მელექსეობის ტრადიცია მთაში პიკს აღწევდა. ქართული ლიტერატურის კლასიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ხალხური მელექსეებისადმი და აღნიშნავდა: „ფშავეში მოლექსეები ბევრი არიან, მაგრამ მათში პირველი ადგილი უჭირავს მერცხალას და ჯაბანს. მერცხალას სახელად გამიხარდი ჰქვიან, მაგრამ ამ სახელს არა სჯერდება და მერცხალას ეძახის თავის თავს — ეს იმისი ფსევდონიმი გახლავსთ“ (ვაჟა 1956: 24).

ფოლკლორის მკვლევართაგან ვაჟა-ფშაველამ პირველმა მიაქცია ყურადღება ზოგადად ხალხური მელექსის პოეტურ ფსევდონიმს. პოეტური ფსევდონიმების გამოყენება გავრცელებული ხერხი იყო — ხალხური მელექსე საკუთარი ვინაობის დაფარვის მიზნით ირჩევდა ცრუსახელს, ზოგიერთი ფსევდონიმის შექმნას კი რაიმე განსაკუთრებული ამბავი ედო საფუძვლად. ზოგს ფიზიკური ნაკლის გამო არქმევდნენ მეტსახელს, ხოლო ზოგის თიკუნი მელექსის ოჯახის ზედწოდე-

ბის მიხედვით იქმნებოდა (მაგალითად, წინოთ კარატიელი, მუშტათ ჭრელა და სხვა).

ფშავ-ხევსურეთში ცნობილი იყო ხალხური ლექსის ოსტატთა შემდეგი ფსევდონიმები: პარასკევა (იგი ვაჟას დედის ბიძა იყო, გვარად ფხიკლემვილი. სამწუხაროდ, მისი ნამდვილი სახელი არ შემოგვრჩა), მერცხალა (გამიხარდი მაჩხოშვილი), ყრუვ გიორგი (გიორგი მგელიაშვილი), ფრუშკა (ალექსი წვეროშვილი), ხობა (მნარია ხადილაშვილი), მუშტათ ჭრელა (ჭრელა მუშტაშვილი), წინოთ კარატიელი (კარატიელ ბაიაშვილი), ტოკა (ხეთისო იმერლიშვილი), ბოტა (გიორგი ჩიტაშვილი), ჭიპიტანა (ფილიპე ღვინიაშვილი), ბოკოლიკი (ივანე გარაშვილი), ტალაური (გიორგი კოდაშვილი), ტყიურა (ლევან ტვირთაშვილი), კიბალაური (ივანე ნიკლაური), კუნდა (გამახელა ჭინჭარაული), ფარხა (გაბრიელ გარაშვილი), ყარყატი (გიორგი სესიაშვილი) და სხვა. არხოტიონ მელექსეს ბესარიონ გაბურს რამდენიმე ფსევდონიმი ჰქონდა. ზოგი მელექსისა მხოლოდ ფსევდონიმი შემოგვრჩა, მაგალითად: გოგრისყელა, თავცარიელა, ყორანა და ა.შ.

ვინაიდან ზეპირი სახით შექმნილი ტექსტის გახალხურების პროცესი ვაჟას თვალწინ მიმდინარეობდა, დიდი მგოსანი გრძნობდა, რომ თავდაპირველი ავტორის სახელიც თანდათან ჩრდილში მოექცეოდა და გაუჩინარდებოდა. ამ საშიშროებას გრძნობდნენ ხალხური მელექსენიც და გარკვეული ხერხით ცდილობდნენ საკუთარი სახელის გადარჩენას: „ძველად, — შენიშნავდა ვაჟა, — ჩვეულებად იყო, შაირის მთქმელი ლექსის ბოლოში მოიხსენიებდა თავის ვინაობას, სახელსა და გვარს: მაგალითებრ, „ემავ ლექსაის მოთქომი“ — ესა და ესა ვარ ამ ლექსის მთქმელი, „მოთქომი“. უმეტეს ნაწილს ლექსებისას დაკარგული აქვს სახელი, ვინაობა ავტორისა“ (ვაჟა 1956: 80).

ძველი ხალხური ლექსები უავტოროდ განაგრძობდნენ არსებობას. გარდა ამისა, ისინი შინაარსობრივადაც განსხვავდებოდნენ ახალი დროის ხალხური პოეტური შემოქმედებისაგან. ამ გარემოებას ნათლად ამჩნევდა ვაჟას დაკვირვებული თვალი. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებში მგოსანი შეპირისპირების მეთოდით ახასიათებდა ძველ და თანამედროვე ხალხურ პოეზიას.

„ძველს ლექსებში ერთადერთი ნადილი, ლალადისი ისმის: ვაჟაკობა, მამაცობა, გულადობა... ძველი დრო იყო ვაჟაკობისა, ძალისა, მტრობისა, მუშტისა და ხმლისა“. ამიტომ „ძველს ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვირს“ (ვაჟა 1956: 100).

ძველი დრო გარდასულა, ქვეყანაში მშვიდობა დამყარებულა. მეომარს ხმალი გვერდზე გადაუდვია და დუქანში დამჯდარა საქეიფოდ. ახალი დროის კვალობაზე ადამიანის ყურადღება უკვე სულ სხვა ყოფით პრობლემებს მიუქცევია. ამიტომაც, ვაჟას დაკვირვებით, „ახალს პოეზიაში სიღარიბეს და სიმდიდრეს უჭირავს ადგილი“. ხალხური მთქმელი თავისებურად განიცდის სოციალური ყოფის ორივე მხარეს და საკუთარ ლექსშიც შესაბამისად ასახავს თავის დამოკიდებულებას

ცხოვრებისეული პრობლემებისადმი: „ახალი ლექსები რეალურ გზას ადგანან და მათში ჰკვენისის სატირული ნაღველი. მოხუცებულები ემდურებიან ლექსის შინაარსის გამოცვლას“ (ვაჟა 1956: 19).

სატირული ლექსების დამამკვიდრებლად პოეტი პარასკევა გაბი-დოური მიიჩნევს. პარასკევა ცნობილი მელექსე ყოფილა და მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში უცხოვრია. „დედა-ჩემი იყო ივრელი ქალი, — იგონებს ვაჟა, — სოფელ სხლოვნიდან, ფხიკლიანთ გვარისა, სადაც მოსახლეობენ დღესაც მისი ნათესავნი. სათემო გვარი ფხიკლეშვილებისა არის გაბიდოური. ღვიძლი ბიძა დედა-ჩემისა პარასკევა პირველი მოლექსე იყო ფშავში. იმან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს“; საუბედუროდ, წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია, რომ ქაღალდის წყალობით შენახულიყო მისი ნაწარმოებები, თუმცა მისი ლექსები დღესაც ცოცხლობს, იმათ დღესაცა მღერის ხალხი. ეს ლექსნი ღრმა იუმორით არიან სავსენი“ (ვაჟა 1936: 509).

წერა-კითხვის უცოდინარი იყო ვაჟასდროინდელ ხალხურ მელექსეთა უმეტესობა, მაგრამ ეს გარემოება როდი უშლიდა ხელს მათ ლექსების გამოთქმაში. ბუნებით მომადლებული ნიჭი ყველას ჰქონდა, ხოლო მათი შთამაგონებელი თავად ცხოვრება იყო: „მდაბიო მგოსანი რამ უნდა აამღეროს, აალაპარაკოს, თუ არა გარეშემორტყმულმა ცხოვრებამ, მისმა სიტკბომ და სიმწარემ, სხვადასხვა ბუნების მოვლენამ, მით უმეტეს, რომ ხშირად წიგნს მისკენ ბილიკი დახშული აქვს“ (ვაჟა 1956: 96).

მერცხალას ნიჭიერების დასახასიათებლად ვაჟას მოჰყავს მისი სატირული ლექსები და საუბრობს იმ ცხოვრებისეულ მოვლენებზე, რომლებიც მერცხალას ლექსების შექმნისაკენ უბიძგებენ. პოეტი ხაზს უსვამს მერცხალას გაუტეხლობას და გაჭირვების წინაშე ქედმოუხრელობას. მერცხალას საქონელი ჭირმა გაუნყვიტა, მაგრამ მერცხალა მაინც არ გატყდა და ლექსით მოიოხა გული.

მერცხალას გარდა ვაჟა ახსენებს ჯაბანსა და კაცობას. ჯაბანიც მერცხალას დარ მელექსედ მიაჩნია. ვაჟა მიმზიდველი ენით მოგვითხრობს კაცობასა და ჯაბანის ჩამოსვლას თბილისში, ვაჭრობას, ქალაქის დათვალიერებას და ბოლოს იმ კაფიის შექმნას, რომელიც ჯაბანის მოსწრებული სიტყვის წყალობით სამუდამოდ ამახსოვრდება მკითხველს.

ვაჟა ყოველთვის შესაბამის გარემოში განიხილავს ზეპირსიტყვიერ ტექსტს და ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის კვლევა-ძიებას.

წერილში „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“ ვაჟა საგანგებოდ ჩერდება კაფიობის ტრადიციაზე; იგი აღწერს, თუ როგორი სახისაა ხალხური ლექსის ოსტატთა პოეტური ტურნირი: „საცა ორი ფშაველია და ორი სტაქანი არაყი, იქ ლექსიც აუცილებელია. უნდა გაუმკლავდეს ერთი მეორეს წინათ გაგონილის და ნასწავლის შაირით, არა. მოპირდაპირენი კაფიად (ექსპრომტად) ეპასუხებიან ერთმანეთს“. ვაჟა ზედ-

მინეწვით კარგად იცნობს კაფიობის ზეპირ ტრადიციას და მკითხველსაც ღრმად ახედებს ამ პოეტური შეჯიბრის თავისებურებებში: „მოლექსობის დროს ერთი მეორეს აუგს უძებნის: ქურდობას, მრუშობას, მშობელთა უყურადღებოდ დატოვებას და სხვა. მოლექსენი საკვირველს ენა და გონება მახვილობას იჩენენ ამ შეკამათების დროს, უცხო კაცს ეგონება, წინათვე მომზადებულან ამ სიტყვიერი ბრძოლის-თვისაო, იმდენად დახელოვნებულნი არიან. ხშირად ლექსში ზრდილობის საზღვარსაც გადააბიჯებენ, მაგრამ ეს საწყინო არავისთვის არ არის: ამ დროს სიტყვა და აზრი თავისუფალი არიან“ (ვაჟა 1956: 97-98).

ვაჟას თვითონაც ჰქონია პოეტური პაექრობა ხალხური ლექსის ოსტატებთან. მოგონებათა ავტორები აღნიშნავენ, რომ ხალხური მელექსენი ტოლს არ უდებდნენ ნიჭიერ მწერალს და ზეპირ პაექრობაში ზოგჯერ ამარცხებდნენ კიდევც. მ. შამანაური ვაჟას ნათქვამ სიტყვებს ასე გადმოგვცემს: „ქორნილში, ხატობაში თუ სხვა ლხინის დროს, შემომისხდებიან ფშავლები, მეტყვიან: „ვაჟავ, შენ თუ მართლა პოეტი ხარ, აბა, ჩვენ გველექსეო“ და დამიწყებენ ლექსობას. მეც ძალაუნიბურად უნდა ავყვე და ბევრჯელ ისინი მაჯობებენო. უალრესად ნიჭიერი ხალხია ეს ჩვენი ფშავლები და ხევსურები“ (ყუბანეიშვილი 1937: 274).

ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს ვაჟას გაპაექრება მერცხალასთან და ფრუშკასთან. ჯერ მოვიყვანოთ პირველი შეჯიბრება, რომელიც ქართლში მომხდარა, ვაჟას დიდ თონეთში მასწავლებლობის დროს, დაახლოებით 1887 წელს. მერცხალა ამ დროს მოჯამაგირედ ყოფილა თეძმის ხეობის სოფელ იურში მდიდარ ვინმე ბენინიკასთან. პირველად ვაჟას გაუგზავნია ლექსი:

იურს რა გინდა, მერცხალავ, რად დაინუნე ფშავიო?
დედა შიმშილით გიკვდება, რად დაანებე თავიო?
ბალ-ბალჩა გაგიოხრდება, ვინლა მიუგდოს წყალიო?
ჯავრობდა წითელკაბაი: აღარ დაგვაგლო თვალიო,
წავიდა, გადაიხაფრა, მგონავ, იურში არიო.
თავისო ლაშარის ჯვარო, შენ დამინერე ჯვარიო!
სახატოდ მაინც მამივა თავის ფეხთეთრით ხარიო!
შენ მანდა ჰკვდები, საწყალო, წანალს სხვა გიფხანს ზურგ ზედა!
და-ძმობით შეტყუება კაცი, გამდგარი სულზედა.
ხელ კი არ აგალებინოს ნამუსზედა და რჯულზედა,
ნაფერებ წანლებს მიჰხედე, მანდ ნუ გძინია ყურზედა!“
(მერცხალა 2004:75-76)

მერცხალა ღარიბი კაცი იყო, სიღარიბემ წამოიყვანა იგი ქართლის სოფელ იურში მოჯამაგირედ. ამ დროს მერცხალა ახალგაზრდა კაცია, უცოლო და, საფიქრებელია, რომ ცოტაოდენ სახსარს აგროვებდეს დაოჯახებისათვის. მერცხალა ფშავში უკვე განთქმულ მოლექსედ ითვლება, მას გაზეთ „ივერიის“ მკითხველებიც იცნობენ ერთი წლის წინანდელი ვაჟას პუბლიკაციებით (1886 წ.). აი, სწორედ ამ დროს ლე-

ბულობს ვაჟას ლექსს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი სკაბრეზული ლექსების თქმით გამოირჩევა, ვაჟას მაინც თავშეკავებულად, ზრდილობიანად პასუხობს, რაც იმას მონიშნავს, რომ მერცხალა დიდ პატივს სცემს ვაჟა-ფშაველას. აი, მერცხალას პასუხიც, რომელშიც მისი არასახარბიელო მდგომარეობაა ასახული:

„ფშავით ნამუედ ქართლშია, მოჯამაგირედ დავდგები,
შამიქეს ბენინიკაი: „კაცია დიდად საქები!“
მივმეხე, მაგან მაჭამა ამ ზაფხულს ნანველ-ნადღეები,
ფაფიან ჯამებს მიუსხნა თავის გასანყვეტ ბაღლები,
მე კი წისქვილში გამგზავნა: „წყალია გადასაგდები!“
დავწვი მაგისი სიმდიდრე, სუ ჩამასტირის თავ-ბედი.
ჩამოვხოშნოდი ხატ-ღმერთნი, მაცილო, ნულარ დამყვები.
დაუდეგ ბენინიკასა, დამანყეინა თავ-ბედი.
თვეში რო თუმან მაძლიოს, მაგასთან აღარ დავდგები!
ჩემთან ნამოდი, ვაჟაო, ისევ ფშავისაკ შავხდები,
მიუვალ, უნდა ვალხინო თვალცრემლიანებ ნანლები.
თუ აქით არ დავითხიე, კლდეზე სამ გადავვარდები.
ისევ ჩემ გომენარს ნავალ, მალანალს კიდევ შავდგები!
შენ რადლა სწუნობ ჩარგალსა, რა იქი-აქათ აწყდები?!“
(მერცხალა 2004: 76-77)

ვაჟა მერცხალას საყვედურობდა: რატომ მიატოვე მშვიერი დედა, რად გადმოიკარგე ამსიშორეზო! არც მერცხალამ დააკლო და დანაბარები კაფიისათვის დამახასიათებელი მწვავე ტონით უთხრა: „შენ რადლა სწუნობ ჩარგალსა, რა იქი-აქათ აწყდები?!“

მერცხალამ, ვითარცა ნამდვილმა სახალხო მელექსემ, ზეპირად გამოთქვა აღნიშნული ლექსი, მაგრამ რადგანაც წერა-კითხვა არ იცოდა, იქვე მყოფ იასე გოგოლაურს უკარნახა და მისი ხელით გაუგზავნა ვაჟას.

ვაჟას პოეტური პაექრობა ჰქონდა აგრეთვე ფრუშკასთან, მაგრამ ეს შეჯიბრი მინერ-მონერის გარეშე, ზეპირი იმპროვიზაციის ფორმით მომხდარა სუფრასთან. ფრუშკა ივრის ხეობის სოფელ სოფლიონიდან იყო. სოფლიონი ჩარგლის მთის გადაღმა მდებარეობდა და ფრუშკა ხშირად გადადიოდა თურმე ჩარგალში. კაფია მოკლეა და სხარტი, კარგად წარმოაჩენს ფრუშკას მახვილგონიერებას.

ვაჟა: ჩემთან მოდი, სოფლივნელო,
ვაჟამ გითხრას არაკები.

ფრუშკა: ჩარგალს მიტომ გადმოვედი,
არტანს მოვსპე არაყები,
მე უბრალო მოლექსე ვარ,
პოეტებთან რას გავხდები!
(ჩიქოვანი 1961: 3)

ფრუშკაც თავმდაბლობას იჩენს ვაჟას მიმართ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, სიტყვას მაინც უჭრის დიდ პოეტს.

მაშასადამე, ორი ცნობილი მელექსე გონებამახვილური და ტაქტი-ანი პასუხებით ჯაბნის საქვეყნოდ აღიარებულ პოეტს, მაგრამ ეს ფაქ-ტი კი არ ამცირებს ვაჟას, როგორც მგოსნის, ავტორიტეტს, არამედ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლიტერატურული ნაწარმოების თხზვის პროცესი არსებითად განსხვავდება ხალხური ზეპირი იმპრო-ვიზაციისაგან, სადაც, როგორც წყალში თევზი, თავისუფლად გრძნო-ბენ თავს ხალხური მელექსენი. ინდივიდუალური პოეტის შემოქმედე-ბითი მუშაობის ატმოსფერო ჩაკეტილია და განტვირთულია სანახაობ-რივი ელემენტებისაგან, რაც კაფიობის ცოცხალ პროცესს ახასიათებს. „მე ეგრე ლექსს ვერ ვიტყვი, — აღნიშნავს ვაჟა მ. შამანაურთან სა-უბარში, — მე უნდა დავვდე ჩემთვის მარტოდ, მყუდროდ მაგიდასთან. სრული სიწყნარე და სიჩუმე უნდა სუფევდეს და გაფრენილ ბუზის მყუდროება არაფრით არ უნდა ირღვეოდეს“ (ყუბანიევილი 1937: 274).

ვაჟასდროინდელ ხალხურ მელექსეთა დიდმა ნაწილმა წერა-კითხ-ვაც კი არ იცის, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის გამარჯვებაში, თანაც „მესამე ლექსის“ მთქმელებს განსაკუთრებულად აქვთ გამახვილებუ-ლი იუმორის გრძნობა და სხვაგვარი, ანუ არაიუმორისტული ლექ-სების თხზვას არ მისდევენ (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა) ან სა-ერთოდ არ ეხერხებათ. ამ მხრივ საინტერესო მაგალითს იძლევა მე-ოცე საუკუნის სატირიკოსის, დაუმარცხებელი ფშაველი მოკაფიავის ვახტანგ თვარელაშვილის შემოქმედება, სადაც სატირის გარდა სხვა მოტივები ვერ მოიძებნება.

გაივლის ცოტა ხანი და ვაჟასთან დროებითი გამარჯვების შემდეგ ფრუმკა ისე გათამამდება, რომ ასეთ კაფიას იტყვის:

„არა მაქვს სანერ-კალამი,
არ ვალეინებ მაჯასა,
მაგრამ არ დაუვარდები
რაზიკაშვილსა ვაჟასა“.
(ჩიქოვანი 1961: 3)

ვაჟას ოჯახის ახლობელი და პოეტის ნიჭის თაყვანისმცემელი, თა-ვადაც განთქმული ხალხური მელექსე, ყრუვ გიორგი ძალიან იწყენს ფრუმკას გაყოყობას, მწარე პასუხს გაუგზავნის ფრუმკას, ვაჟასთან მის სიმცირეს შეახსენებს და მწარედ დაამუნათებს:

„ტყუილად მაჰკვებ, ფრუმკაო, იხრინიანებ ხმასაო.
იჩემებ მოლექსეობას, ლამაზად სიტყვის თქმასაო.
მოლექსე უნდა ისეთი, ვაჟა რო ჰყვანდა მთასაო,
ჩარგალში სიტყვას იტყოდა, ქალაქს აწვდენდა ხმასაო.
მოდი, დაჩუმდი, ფრუმკაო, მოდი, ნუ იგდებ თავსაო“.
(ხორნაული 1993: 25)

ყრუვ გიორგი მწვავედ ამათრახებს ფრუმკას და ვაჟას პოეზიის მნიშვნელობასაც ღირსეულად წარმოაჩენს: „ჩარგალში სიტყვას იტყ-ყოდა, ქალაქს აწვდენდა ხმასაო“.

ვაჟა-ფშაველასთან მიმართებით შესამჩნევია ერთი უსიამოვნო ტენდენცია: მოგონებათა ავტორები ზოგჯერ შეცდომებს უშვებენ და ვაჟას მიაკუთვნებენ მერცხალას, ჯაბანის, ფრუშკას, ყრუ გიორგის თუ სხვათა ნათქვამ კაფიებს. ასეთი შეცდომები მრავლადაა ვაჟას საიუბილეო წლებში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებსა თუ კრებულებში და ისინი უცვლელად, ყოველგვარი შემოწმებისა და კრიტიკული განსჯის გარეშე გადადიან მომდევნო გამოცემებში. ერთი ასეთი ახალი გამოცემაა კრებული „ვაჟას ლიმილი“, რომელიც შეუდგენია გიორგი გაბუნიას (ვაჟას ლიმილი 2008). ყურადღებას გავამახვილებ აღნიშნულ კრებულში დაბეჭდილ რამდენიმე უხემ შეცდომაზე:

ვაჟას ერთ-ერთ ნათქვამად წინამდებარე კრებულში მოტანილია ექსპრომტი:

„არ დამპატიჟეთ, ფშაველბო,
ფშავ-ხევსურეთის პოეტი“...
(ვაჟას ლიმილი 2008: 50).

მაგრამ უნდა დაეძინოთ, რომ ხსენებული ექსპრომტი მოკლე ვარიანტია ყრუ გიორგის კაფიისა „ფშავ-ხევსურეთის პუეტი ქორწილში ორჯერ მუედი“. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ფოლკლორულ კრებულებში (ყრუ გიორგი 1973: 102; ხორნაული 1993: 29 და 86-87; გოგოლაური 2005: 146) დაბეჭდილი მასალა საგულისხმო კომენტარებით. მაგალითად, გიგი ხორნაულის ნიგნში ვკითხულობთ შემდეგ მონათხრობს: „აკაკი მანიძე ყოფილა ფშავში, სოფ. თვალვიში. უთხოვია ფშაველებისთვის: ყრუ გიორგის შემახვენეთ, ჩამოიაროსო. ყრუ გიორგი ამ დროს სოფელ ზენამხარში ყოფილა ქორწილში. იქ მიუგინათ და გადაუციათ აკაკის დანაბარები. ის მაშინვე ამდგარა და ნამოსულა, ჩაუნერინებია ბევრი რამ. გასამრჯელოც მიუღია.“

ნასვლისას აკაკის უკითხავს:

- ეხლა სად ნახვალო?
- ქორწილშივე ნავალ, აბა, სად უნდა ნავიდეო.
- იქ რო მიხვალ, რას იტყვი, სად ვიყავიო?
- რას ვიტყვი და ამას ვიტყვიო, — მოუყოლებია ეს კაფია“

(ხორნაული 1993: 86-87).

ხალხურ სიტყვიერებაში გახმაურებული ლუკასა და ქავთარის კაფიის ერთ-ერთ მონაწილედ „ვაჟას ლიმილში“ ლუკა რაზიკაშვილია დასახელებული (ვაჟას ლიმილი 2008: 51-52). კრებულის შემდგენელს რომ ენახა თედო რაზიკაშვილის ფოლკლორული ჩანაწერები, დარწმუნდებოდა, რომ ხსენებული კაფიის ერთ-ერთი ავტორია ლუკა პეტრიაშვილი და არა ლუკა რაზიკაშვილი. ამის შესახებ თედო წერს: „ლუკა პეტრიაშვილი და ქავთარი მეზობლებია“ (ხალხური სიტყვიერება 1953: 190).

ვაჟას ქალიშვილი თამარი ყვება, თითქოს მამამ გამოუთქვა ლექსი „ენაცვლოს თავის პატრონი თავის თვალყვითელ ციცასა“... (ვაჟას ლიმილი 2008: 58-59). ამ აზრის გასაბათილებლად ისევ თედო რაზიკაშვილის ჩანაწერს დავიმოწმებთ, რომლის მიხედვითაც ლექსი ვაჟას

თანამედროვე ჯაბანს ეკუთვნის და ასეთი კომენტარი ახლავს: „საწყალ ჯაბანს არაფერი ებადა სახსნილო და კატის მოტანილი ხაჭოთი იგემრიელებდა პირსა“ (ხალხური სიტყვიერება 1953: 242).

ვაჟას ლექსად აგრეთვე წარმოდგენილია „მამამ ცხენ წამაყვანინა“ (ვაჟას ლიმილი 2008: 100). ამ ლექსის ვრცელი ვარიანტი თედო რაზიკაშვილსაც ჩაუნერია, მაგრამ ავტორი არ დაუსახელებია. ვაჟასი რომ ყოფილიყო, აუცილებლად აღნიშნავდა. ქართველ მწერლებსა და ზეპირსიტყვიერების მკვლევართ (დავით მჭედლოური, მამუკა ნიკლაური, ირაკლი გოგოლაური) ეს ლექსი მერცხალას ნათქვამად მიაჩნიათ. ბოლოხანს გამოცემულ მერცხალას კაფიების ნიგნში ხსენებულ ლექსში მოხსენიებულ პირთა ვინაობაცაა განმარტებული (მერცხალა 2004: 52).

ვაჟას შესახებ გამოქვეყნებულ მოგონებებში დამახინჯებულია ხალხურ მელექსეთა გვარ-სახელები და ფსევდონიმები. მაგალითად, მელექსე წინოთ კარატიელის ნაცვლად ნახსენებია „მოლექსე წინოტი“, რაც იმას მოწმობს, რომ მთხრობელს ყურმოკვრით გაუგონია მისი სახელი და არა აქვს წარმოდგენა ამ მელექსის ვინაობის შესახებ.

თუ საგულდაგულოდ შევისწავლით დღემდე გამოცემული ხალხური პოეზიის კრებულებს, საარქივო მასალას და ვაჟას ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს, ადვილი შესაძლებელი იქნება აღნიშნული შეცდომების გასწორება და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება მკითხველისათვის.

დამონებიანი:

გოგოლაური 2005: გოგოლაური თ. *საუბრები ფშაურ კილოზე*. თბ.: „ქართული ენა“, 2005.

ვაჟა 1936: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებანი*. ტ. V. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა, 1936.

ვაჟა 1956: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებანი*. ტ. VII. თბ.: სახელმწიფო გამომცემლობა, 1956.

ვაჟას ლიმილი 2008: *ვაჟას ლიმილი*. კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი გაბუნიაშვილი. თბ.: „თანა“, 2008.

მერცხალა 2004: „*ფოთოლოთ მერცხალაი ვარ*“. ლექსები. კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ვარიანტები დაურთო ირაკლი გოგოლაურმა. თბ.: „ლევა“, 2004.

ყრუე გიორგი 1973: *ყრუე გიორგი*. კაფიები. კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ლევან ბოძაშვილმა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1973.

ყუბანიშვილი 1937: ყუბანიშვილი ს. *ვაჟა-ფშაველა*. თბ.: 1937.

ჩიქოვანი 1961: ჩიქოვანი მ. „*მოლექსე ასეთი უნდა*“. გაზ. „კომუნისტი“, № 3, 27 ივლისი, 1961.

ხალხური სიტყვიერება 1953: *ხალხური სიტყვიერება*. III. თედო რაზიკაშვილის მიერ ჩანერილი ლექსები, მიხეილ ჩიქოვანის რედაქციით. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953.

ხორნაული 1993: ხორნაული გ. *ფშაური კაფია*. თბ.: „მემოქმედი“, 1993.

NANA MREVLISHVILI
Georgia, Tbilisi
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Cultural-Social Aspects of Phenomenon of Fear in Vazha-Pshavela's Works

Fear, as a social phenomenon in many cases defines the actions that a person will take. It affects the person's psychotope, his relations towards social entity and the outer worlds. The article on the basis of Vazha-Pshavela's work examines the phenomenon of fear from a standpoint of cultural phenomena, underlining the fact that fear is not only a social and psychological phenomenon. Based on Vazha's works the main aim of the article is to show in which category do Vazha Pshavela's characters fall into.

Key words: Fear, Cultural phenomenon

ნანა მრევლიშვილი

საქართველო, თბილისი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

შიშის ფენომენის კულტურულ-სოციალური ასპექტები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

შიშის, როგორც სოციალური ფენომენის, ფაქტორი, ხშირად განსაზღვრავს ინდივიდის ქმედებას, მის ფსიქოტიპს, მის დამოკიდებულებას სოციალურ გარემოს და, მთლიანად, — გარესამყაროსთანაც. თუმცა შიში არა მხოლოდ სოციალური და ფსიქოლოგიური, არამედ კულტურული ფენომენიცაა, რადგან ესა თუ ის კულტურა საკუთარ მსოფლმხედველობით სისტემაზე დაფუძნებით ქმნის გარკვეულ ნორმებს, რომლებთანაც რაიმე სახის პოზიციური წინააღმდეგობა ინდივიდისთვის საფრთხის და შესაბამისად — შიშის განმაპირობებელია. შიში დიფერენცირდება ფიზიკურ, ბიოლოგიურ შიშად და იდეალურ, მეტაფიზიკურ შიშად.

სიკვდილის შიში (რამდენადაც თავისი მეტაარსით აბსოლუტურად შეუცნობელია) ყველაზე არსებითი კატეგორია შიშისა, რომელიც სხვადასხვა ქვეკატეგორიებს მოიცავს და აერთიანებს, თუმცა, თავისთავად ეს შიშიც ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ, რამდენადაც სიკვდილია ორი მიმართულებით განსახილველი, სიკვდილი ხორციელი და სიკვდილი სულიერი. შესაბამისად — შიში ხორციელი, ფიზიკური სიკვდილისა და შიში სულიერი სიკვდილისა.

რადგანაც ყოფით რეალობაში, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ხშირად ადამიანთა ქმედებას შიში წარმართავს, შესაბამისად მხატვრულ ლიტერატურაშიც სიუჟეტი პერსონაჟთა ამგვარი ემოციური ფონის თანხლებით ვითარდება.

როგორ ხდება ამ ფენომენის წარმოჩენა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში?

კაი ყმის სტრუქტურული ტიპის კონსტრუირებისას პოეტი შიშს, როგორც ზოგადადამიანურ თვისებას, ნაკლებად წარმოაჩენს. თუმცა მუდმივად ახდენს ამ ფაქტორის აქცენტირებას.. ვაჟასეული კაი ყმები ის პერსონაჟები კი არ არიან, რომლებსაც შიში არ განუცდიათ და ამგვარი განცდის შესახებ წარმოდგენა არა აქვთ (არარსებულთან გამკლავებას რა ძალისხმევა სჭირდება?), უშიშრობის ამგვარ გაგებას არ გვთავაზობს ავტორი, ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც მოახერხეს და შიში მათი ყოფიერებიდან განდევნეს, რომლებმაც დაძლიეს ეს არც თუ მარტივად დასაძლევი ემოცია და ამგვარად გარკვეული ფორმით აღემატნენ საკუთარ ადამიანურ არსს (ზვიადაური). ასეთ მოყმეს არათუ სიკვდილის ეშინია, თავად სცემს სიკვდილს თავზარს („თავზარსა სცემდეს სიკვდილსა, ზედ ქორებულად ფრინავდეს...), ლექსში „კაი ყმა“ ავტორი თითქოს ამ ტიპის პერსონაჟების ერთგვარ ფორმულირებას გვთავაზობს და სისტემურად აყალიბებს თვისებათა იმ ერთობლიობას, რომელიც კარგი მოყმისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი: მეგობრებისთვის თავშეწირული („დარაჯად ედგას ლაშქარსა, როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს“), სიხარბისაგან თავისუფალი („სხვანი იყოფდენ ნადავლსა, ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს“), გონიერი („სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს“), სამართლიანი („იქ იდგას ხმალამონვდილი, საც ძალა აღმართს ჰკვალავედეს, დაბეჩავებულს სიმართლეს უსამართლობა სძალავდეს“), თავმდაბალი („სხვისა იუბნოს სახელი, თავის გარჯასა ჰმალავდეს“)... მაგრამ უმთავრეს აქცენტს ავტორი მაინც კაი ყმის უშიშარ ბუნებაზე აკეთებს. ამგვარი მოყმის წინაშე სიკვდილი უკან იხევს:

„წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე — თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი — ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი
ეგონოს სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა — ხორხოშა,
ღრუბელთა გადმონაყარი“.
(ვაჟა-ფშაველა 1985:67)

კაი ყმის სრულიად საპირისპირო მხატვრულ სახეა „ბახტრიონის“ პერსონაჟი წინოლა. იგი დაჯაბნა ფიზიკური განადგურების შიშმა, მტერს ზურგი უჩვენა და თანამომხმენი ბრძოლის ველს შეატოვა. წინოლა ფიზიკურად გადაურჩა მტრის ხელით სიკვდილს, მაგრამ ამ

ფორმით მან საკუთარი სული განირა სამუდამო ტანჯვისა და ქენჯნი-სათვის, რადგან მისი პიროვნული იდენტობა იმ საზოგადოებრივი ცნობიერების პროდუქტია, რომლისთვისაც ამგვარი სისუსტე (თავის-თავად ადამიანური, მოკვდავი არსებისთვის ლოგიკურ-კანონზომიერი მდგომარეობა) მიუტევებელი ცოდვაა. ღალატია ქვეყნისა, ხალხისა, კაცობის შერცხვეენა. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს გაგების, შენ-დობის დაშვება საზოგადოების მხრიდან, ასეთი ადამიანის მიმართ თე-მის ყველა წევრი კატეგორიულია და ზედმეტად მკაცრი:

„არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა;
მარტომ იტიროს დედამა,
ცრემლი წინ დაიგუბოსა!“
(ვაჟა-ფშაველა 1985:170)

ეს სიმკაცრე აღემატება მინიერი სიყვარულის ყველაზე უზენაეს ფორმას – დედაშვილობას. ვერც წინოლას დედა ამართლებს შვილის ქმედებას. დედისთვის გაცილებით მძიმეა შვილის შერცხვეენა, ვიდრე — მისი ბრძოლის ველზე სახელიანი სიკვდილი იქნებოდა:

„შვილო, სირცხვილი მაჭმე,
ძუძუ დასწყველე დედისა!
თვითონ შენა ხარ მწამლავი
თავის უბედო ბედისა.
რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩავო,
რად ხარ ყელ-საბელიანი?!
რად არ მამიხვედ, წინოლავ,
პირნათლი, სახელიანი?!
გასწირე თავის ხსენება,
სანყევარ-სარბევიანი!“
(ვაჟა-ფშაველა 1985:170)

თავად წინოლაც სწორედ ამგვარადვე სჯის და ფიქრობს, მის-თვისაც ცხადია, რას იმსახურებს, როგორ დამოკიდებულებას უნდა ელოდეს საზოგადოებისაგან საკუთარი სახელის გამწირველი. ვაჟა პერსონაჟის ტრაგიზმს აბოლოებს მისი თვითმკვლელობის სცენით. თვითგადარჩენის სურვილს დამორჩილებული, ბრძოლის ველიდან სიკვდილს გამოქცეული წინოლა ვერ უძლებს სირცხვილს, სინდისის მხილებას და სასონარკვეთილი საბოლოოდ თავადვე მოისწაფებს სიცოცხლეს:

„მუხაზე ჩამოკიდული
კაცი სჩანს სამკლავიანი.
თავი დაურჩევ მხედარსა,
თუ იყო გულჯავრიანი?
იორი ყურსაც არ უგდებს,

ნელად აქანებს ტალღებსა,
არ ედარდება, დაობლდენ,
მამა აღარ ჰყავ ბაღებსა.
თემისგან უარყოფილსა
გადაუგდებენ ძაღლებსა“,
(ვაჟა-ფშაველა 1985:169)*

შიშის დაძლევის ერთ-ერთ უმთავრეს მოტივად ვაჟას ესახება სოციალური გამოცდილება. სოციალიზაციის პროცესში ინდივიდი, ერთი მხრივ, თვითდაკვირვების შედეგად იძენს გარკვეულ გამოცდილებას და, მეორე მხრივ, სოციუმში მიზანმიმართულად მოქმედებს ინდივიდის ფსიქო-ემოციური სამყაროს ფორმირების პროცესზე. „გველისმჭამელში“ ვხედავთ ერთად თავშეყრილი ხევსურები როგორ ცდილობენ ახალგაზრდების შთაგონებას, წარსულის მაგალითებით სიმამაცის, ვაჟკაცობის გალვივებას:

„აღვ ზნებით გმირთა სახელებს
ლექსებში სთვლიდენ წმიდადა;
მოხუცნი ჩიბუხებს სწევდენ,
ბოლი ეხვიათ ნისლადა,
განმარტავდიან მათ ამბავს,
შანდობა თქვიან გმირთადა.
ახლების სანურთნელადა
იხსენებდიან ქებითა:
„თქვენ იცით, ამას იქითა
კაცად ვინც გამასდგებითა!“
(ვაჟა-ფშაველა 1985:217)

ვაჟას შემოქმედებისეული კრედოს განმსაზღვრელი ღვთის შიშია, ღვთის მოშიშების გაცნობიერება-შემეცნება ავტორისათვის ადამიანურობის არსის გაცნობიერების იდენტურია. ეს არის ვაჟას „გველისმჭამელის“ უმთავრესი მოტივი. პოემის რთულ კონფიგურაციას ავტორი ბიბლიის პარადიგმატიკაზე აფუძნებს, მთავარი პერსონაჟის, მინდიას პროტოტიპად კი ბიბლიურ ადამს მოიაზრებს. სიუჟეტი დინამიურად ვითარდება. ვხედავთ ტყვეობისგან განანამები მინდია როგორ ვარდება სასონარკვეთილებაში, როგორ არაფრად აგდებს სიკვდილის შიშს, რაკილა სიცოცხლე სატანჯველად ჰქცევიდა და როგორ გადაწყვეტს თავის მოკვლას, ვხედავთ პერსონაჟის ახლადმობას, სულიერ თუ ცნობიერ განახლებას, ჰარმონიულ თანაარსებობას სამ-

* შემთხვევითი არ არის ამ პერსონაჟის სახელი – ნინოლა.. ძველ ქართულში ამ ფუძის სანისი იყო ნინვა, შესაბამისი ზმნური ფორმა – ენიწვის. ამ სიტყვის სემანტიკური ველი მორიდებას, მოკრძალებას, შიშს და ამგვარი შინაარსის სემანტიკურ ერთეულებს მოიცავდა. თანამედროვე ქართულში შემორჩენილია ფუძეში *მონინე*-ბა. ამდენად, ვაჟა ამ პერსონაჟს სახელს მისი ბუნებისა და ხასიათის გათვალისწინებით არქმევს.

ყაროსთან და შემდეგ უკვე ცოდვით დაცემას – საკუთარი მრწამსის ლალატს და მის შედეგს – სულიერ სიკვდილს, რომელიც ისევ სასონარკვეთილებასთან აბრუნებს პერსონაჟს. სულიერი სიკვდილი, სინდისის ქენჯნა, პიროვნების ნაშლა არსებობის საფუძველს აცლის მინდიას. მისი გაცნობიერებული ცოდვის შედეგია ხევსურთა მარცხი და მოძმეთა სიკვდილი. ამიტომაც ჯერ ბრძოლის ველზე ცდილობს სიცოცხლის დასრულებას და ძლივს გამოარიდებენ მტრის ჯარს ხევსურნი:

„კაცო, რად იკლავ ძალად თავს, —
ძალად სიკვდილი გნადიან?
შიგნით რომ ინევ მტრის ჯარში,
ხომ ხედავ, რასაც სჩადიან?!“
(ვაჟა-ფშაველა 1985: 251)

შემდეგ მარტო დარჩენილი საკუთარი ხელით მოისწრაფებს სიცოცხლეს:

„ქუდს იხდის... სიტყვა ველარ სთქვა,
ხმლის ტარს შაეხო ცერითა,
ამოინვადა ქარქაშით,
გულს მიიბჯინა ნვერითა.
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა“.
(ვაჟა-ფშაველა 1985: 252)

პოემაში ავტორი გვიჩვენებს ადამიანის სულში მიმდინარე მძაფრჭიდილს სოფლის კაცსა და ღვთის კაცს შორის. სამყაროს მთლიანობასა და ჰარმონიაში ჩართული ადამიანის ნეტარებას, რომლის სულიც თავისუფალია შიშისა და ტანჯვის განცდისაგან, ძალადობის სურვილისაგან და გვიჩვენებს ცოდვის შედეგად დამძიმებული სულის ტრაგიზმს, რომელიც პიროვნების გახლეჩვას, განადგურებას, ჯერ სულიერ და შემდეგ ფიზიკურ სიკვდილს იწვევს.

ადამიანი სოციალური არსებაა და მისი არსებობა ეფუძნება პიროვნებათაშორის ურთიერთობებს. თავად სოციუმი ინდივიდისთვის არის ერთგვარი სტრუქტურული კონტექსტი, რომელშიც მოქმედებს. ამდენად, ინდივიდის ქმედებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სოციუმის სახე, რაობა, არსებობისა და განვითარების ტენდენციები.

ფორმა საზოგადოებისა, რომელიც წარმოდგენილია ვაჟას პოემებში („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“) პიროვნებისა და სოციუმის ამგვარ ურთიერთობას გულისხმობს. ხოლო წინააღმდეგობა, აზრობრივ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება — ინდივიდის სოციალურ იზოლაციას, უარყოფას, მოკვეთას... სასჯელის ეს ფორმა ხშირად სასონარკვეთაში აგდებს ინდივიდს. აქ ორი ძლიერი ემოცია ეჯახება ერთმანეთს — შიში მარტოობისა, საზოგადოებისაგან განდევნისა და სიკვდილის შიში. ფიზიკური არყოფნის შიში თავისი სიმძაფრით ვერ აღემატება მარტოობის, სოციალური იზოლაციის შიშს.

ეს საზოგადოება ახდენს ტრადიციის იდეოლოგიზაციას და მასზე აფუძნებს საკუთარ სოციო-კულტურულ იერ-სახეს. აქ საზოგადოება ერთი მთლიანი ორგანიზმია, რომელიც ქმნის გარკვეულ მოდელებს, ყალიბებს და მოდელებში აერთიანებს პიროვნებებს. ასე, მაგალითად, რაკილა ალუდას ბევრი ქისტი ჰყავს მოკლული, ის კიდევ ღირსია საფიხვნოს თავში იჯდეს და მის ავტორიტეტულ სიტყვას მოუსმინონ. ამდენად, ის თავისუფლად შეიძლება მიეკუთვნებოდეს იმ მოდელს, რომელიც „კაი ყმებს“ აერთიანებს. როგორც ვხედავთ, ამ საზოგადოებას აქვს თავისი სტანდარტული კონცეპტუალური ჩარჩოები და პიროვნების ქვეცნობიერი ცდილობს არ გასცდეს დადგენილ ზღვარს და ამგვარად აერიდოს ხიფათსა და განსცდელს.

„სტუმარ-მასპინძლის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ალაზას ცნობიერებაც ორიენტირებულია პიროვნების იმ ზოგად მოდელზე, რომლის კონსტრუირებაც მოხდა გარკვეულ ისტორიულ დროში, შემოსაზღვრულ სივრცულ არეალში და გაფორმდა ტრადიციულ მოდელად. ამ საზოგადოების სააზროვნო მოდელებთან ჰარმონიულ თანაარსებობას არღვევს ის განცდა, ფიქრი და უკვე ქმედებაც, რომელიც ცალსახად ცხადყოფს თავად ალაზასათვის, რომ ის საძრახის საქმეს სჩადის, ღალატის გზას ადგას, და რომ ეს ქმედება უნდა შეწყვიტოს! ეს მისი შინაგანი იმპერატივია, მაგრამ ამას მისი არსების რაციონალური ნაწილი ააშკარავებს, ცივი გონება საყვედურობს, რომელიც ქალის გრძობად-ემოციურ სამყაროს ველარ იმორჩილებს.

ალაზას შიში ეფუძნება მისსავე ცნობიერებაში აღძრულ წარმოსახვით მუქარას, ხოლო თავის მხრივ, ეს წარმოსახვითი მუქარა განპირობებულია იმ ფასეულობის დარღვევით, რომელიც მას კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში ჩამოუყალიბდა. ამ სოციალური ერთეულისთვის — თემისთვის კი მიუღებელია მტრის შებრალება, მისი პატივისცემა... არც რელიგიური მრწამსი აძლევს ალაზას ამგვარი ქმედების უფლებას:

„სტიროდა, მაგრამ ტირილი
არ იყო, ეხატებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით - ღმერთი აშინებს,
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდამ არა ჰქრებოდა“.
(ვაჟა-ფშაველა 1985:191)

როგორც ვხედავთ, ალაზას ქმედება მტრის შებრალებაზე ბევრად მეტია — ის მთელი არსებით თანაუგრძნობს ზვიადაურს და მას არათუ თავისი თანამოძმეების — ქისტების — ტოლად, მათზე უპირა-

ტესადაც კი მიიჩნევს: „ნატავი მომცა ცულიო, ნრტავი ნებას მაძლე-
დეს დედაკაცობის რჯულიო, რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას გავა-
ცხებინო სულიო,“ — ფიქრობს იგი (ვაჟა-ფშაველა 1985:188).

ავტორი წარმოაჩენს მძაფრი სულიერი მღელვარების დრამატულ სურათს, პერსონაჟის პანიკურ, უკიდურესობამდე მწვავე განცდებს... აღაზას შინაგანი ხმა მრისხანებს, მისი სინდისი აღშფოთებულია... პერსონაჟი თავგანწირული გარბის... გაურბის მდინარეს, მთებს, გარ-
დაცვლილი ძმის მწარე საყვედურს... (მეორეს საფლავში ჩამდევ, ერთს სამარეში მდებარი! მაგით მიმტკიცებ დობასა, შენი ქალობა ეგ არი?!“ 1:192), გაურბის ყველას, ვინც მისი „სამარცხვინო“ ქმედების მომსწრე და მხილველია... და, არსებითად, გაუბის საკუთარ პიროვნულ მეს, ეგოს იმ ნაწილს, რომელიც გაორებული სულის ერთი მხარეა და, რომელიც თავისი არსით მოიცავს მთელ სოციუმს, მის ტრადიციებს, გამოცდილებას, ღირებულებებს, რომელიც უპირისპირდება მეორე — მგრძობიარე, ემოციურ, ჰუმანურ ეგოს, რომლისთვისაც ადამიანის ღირსების შეფასების კრიტერიუმში მის ეთნიკურ წარმომავლობაზე და რელიგიურ მრწამსზე არ გადის.

თუმცაღა მწერალი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ აღაზა გაურბის ირეალურ, წარმოსახვით საფრთხეს, მაგრამ ამ შიშის სიმძაფრის გამო თავად პერსონაჟისათვის ეს საფრთხე პრაქტიკულად მატერიალიზებულია. პერსონაჟი თავად ქმნის საფრთხის ხატს, ილუზორულ სახეს და თავადვე ექცევა საკუთარი წარმოსახვის ტყვეობაში.

ამდენად, თუმცა არანაირი კონკრეტულ-რეალური საფრთხის წინაშე არ დგას, აღაზა, რადგან შემსწრე და მხილველი მის ქმედებას, საკუთარი თავის გარდა, არავინ ჰყავს, ჩვენ ვხედავთ როგორ ძრწის პანიკური შიშით შეპყრობილი მისი სული და როგორ ისწრაფის სახლისკენ, სადაც, იმედი აქვს, რომ საფრთხე აღარ დაემუქრება, დაცული იქნება.

ფსიქოლოგიაში ცნობილია ფობიის ერთ-ერთი სახე, სხვათაშორის - საკმაოდ გავრცელებული, რომელსაც აგორაფობია ეწოდება. ეს არის საკუთარი სამყოფელის, სახლის დატოვების პანიკური შიში, რადგან ინდივიდს სახლი დაცულობის, უხიფათობის განცდას ანიჭებს, შესაბამისად — მისგან შორს ყოფნა ამგვარი ფსიქიკური წყობის არსებისათვის საფრთხის მომასწავებელია. ეს კონკრეტული პათოლოგიური დამოკიდებულება განცდის სიმძაფრის შედეგია, რომელსაც სახლის, საკუთარი სამყოფელის მიმართ ზოგადად ადამიანური დამოკიდებულება უდევს საფუძვლად. აღაზას პერსონაჟი ამგვარი პათოლოგიით შეპყრობილი არსება ნამდვილად არ არის, თუმცა „მტრულად განწყობილი“ გარესამყაროსგან ხსნის გზად საკუთარი კერა ეგულება.

პერსონაჟის ცნობიერებაში სინთეზირდება რეალური და ირეალური, რაციონალური და ირაციონალური... ამ კონკრეტულ მომენტში მისთვის გარესამყაროც ისეთივე ქაოტურია, როგორც საკუთარი სული, უფრო ზუსტად, სწორედ ამადაც არის გარესამყარო ასეთი ქა-

ოტური, რომ მის სულშია ქაოსი, გაურკვეველობა, შინაგანი გაორება და უმთავრესი — სინდისის ქენჯნა, განცდა დანაშაულისა! „ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?“ — თითქოს გამუდმებით ჩასძახის შინაგანი ხმა. ამგვარი განცდითა და აფორიაქებული სულით ბრუნდება ალაზა სახლში. აქ განწყობილებათა მკვეთრი კონტრასტი შემოაქვს ავტორს — ალაზას აფორიაქებული სულიერი სამყაროს ფონზე წარმოგვიდგება დარდითა და შეურაცხყოფით მეტად დადინჯებული, წარბშეკრული, თემისა თუ, საზოგადოდ — წუთისოფლის უსამართლობაზე დაფიქრებული და მძიმედ თავჩაკიდული ჯოყოლას პერსონაჟი, რომელიც თითქოს კიდევ უფრო უმძაფრებს ალაზას დანაშაულისა და შიშის გრძნობას. ამისი დასტურია ალაზას სიცრუე:

„სასაფლაოდამ დავბრუნდი,
შენს ცხენს ვეძებდი ხევებში,
ცხენის მაგივრად ბედკრული
შიგ შევერიე დევებში.
დამიხვდა შავ-ნაბდიანი,
უზარმაზარის ტანისა,
ჯერაც თვალეში მიელავს
სიმყრალე იმის კანისა“.
(ვაჟა-ფშაველა 1985:194)

შიში სასონარკვეთის თანამდევია. ჩნდება იქ, სადაც იკარგება ღმერთი. და ამგვარი ყოფიერების შიში აღმეტებულია სიკვდილის შიშზე. ეს არის მარტოობის, განირვის, განკვეთის შიში და ამგვარ შემთხვევაში ინდივიდისთვის ფიზიკური არარსებობა გამოსავალი და მეტიც — ხსნაა. ალაზას ნაზი, მგრძნობიარე არსება, რომელიც წარმოსახვითი საფრთხის წინაშეც კი კანკალებს, ვერ უძლებს სოციალური იზოლაციის სიმძიმეს და თავს იკლავს. მას სრული უსასოობის განცდა და უფლებია, მისთვის სამყარო ერთიან, მტრულად განწყობილ რეალობად ქცეულა:

„— რაღად ვიცოცხლო, რიდასთვის?
ამას ჰფიქრობდა ქალია. -
ქისტეთში ჩემი ერთგული
კენჭიც კი არსად არია.
ორთავ შევცოდეთ ქისტებსა,
მათ შამიჩვენეს ქმარია...
მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს,
უცხოოსთვის ცრემლი ვღვარია.
ნაილო ნყალმა ალაზა,
ლამსა და ქვიშას შაჰრია“.
(ვაჟა-ფშაველა 1985: 203)

სოციალურ იზოლაციას ვერ უძლებს ვერც აღაზაზე ფიზიკურადაც და, ალბათ, ნების სიმტკიცითაც აღმატებული ჯოყოლა. ტრაგიკულია ჯოყოლას აღსასრულიც. მისი გადანყვეტილება („მარტოკამ უნდა ვიმომო...“) პრაქტიკულად, თვითმკვლელობის ტოლფასია. პერსონაჟის ქმედებას შეურაცხყოფა, ბრაზი და იმედგაცრუება წარმართავს:

„ქისტებს ორგული ვგონივარ,
გამდგარი თავის რჯულზედა,
ჰფიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ
თავი გაჰყიდა ფულზედა,
ქისტეთის მოლალატე ვარ,
ხელაღებული სულზედა;
მოაქვთ და ცოცხალს მადებენ
საფლავის ქვასა გულზედა“.
(ვაჟა-ფშაველა 1985:198)

ვაჟას პოემებში ეთიკური სრულყოფის გზა გულისხმობს არა უზენაესი არსების, ღვთის შემსგავსების პროცესს, არამედ კონკრეტული ადამიანური მოდელის — მოყმის ტრადიციული ხატის მატერიალიზებას. ამდენად, პიროვნული იდენტობა პერსონაჟებისათვის გარკვეულ ეტაპზე არის არა თვითგამორკვევის, არა ინდივიდუალიზმის, არამედ ზოგადკულტურული ღირებულებების გათავისების გზით თვითდამკვიდრების შედეგი. პრაქტიკულად, პიროვნული იდენტობა თანაარსია, თანშეზრდილია სოციალურ იდენტობასთან, პიროვნული ცნობიერება, კონკრეტულ-ინდივიდუალური მახასიათებლების გარეშე, თანაზიარია სოციალური მსოფლხედვისა. პიროვნება უკრიტიკოდ იღებს სოციუმის მიერ შექმნილ მოდელებს და ამ ფორმით ახდენს თვითრეალიზაციას საზოგადოებაში (შესაძლოა, ეს გავიაზროთ თავდაცვისა და უსაფრთხოების ქვეცნობიერ ინსტინქტადაც). ამგვარი პერსონაჟია ალუდა, რომელიც რთულ, ფსიქოლოგიური წინააღმდეგობებით აღსავსე გზას გადის, ვიდრე თვითგამორკვევას, თვითდადგინებასა და ფასეულობათა გადაფასებას მოახდენს. ალუდას სულიერი სიმტკიცე შეაძლებინებს, რომ, მიუხედავად სოციალური იზოლაციისა, სასონარკვეთილებაში არ ვარდება, არ განსჯის, არ საყვედურობს თემს, რადგან მისი პიროვნება მყარ, გაცნობიერებულ შინაგან მთლიანობას ეფუძნება, რადგან ხვდება, რომ საზოგადოების საზრისისეულ სტრუქტურას განვითარების გრძელი გზა აქვს გასავლელი იმ ღირებულების აღმოჩენამდე და აღიარებამდე, რომელსაც ალუდამ მიაკვლია. ეს გზა საზოგადოებამ თავად უნდა გაიაროს და თავად უნდა მიაკვლიოს ამ ღირებულებას. ამიტომ სივრცე ალუდასა და თემს შორის მდუმარებითაა გაჯერებული. დიალოგი ვერ შედგა, თუმცა, მიუხედავად გამიჯვნისა, კავშირი არ წყდება. ალუდა ტოვებს თემს ფიზიკურად, შორდება კონკრეტულ სივრცულ არეალს, მაგრამ სულიერი კავშირი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არ წყდება. ავტორის მინიშნებით, ეს არის ერთი, პირველი, დასაწყისი, ეს არის

გზა, რომელსაც შემდგომ მრავალნი გაუყვებიან... მიუხედავად სოცი-
ალური იზოლაციისა, ალუდას პერსონაჟი არ ძრწის შიშისა და სასო-
წარკვეთილებისაგან, გარესამყაროსთან დისონანს მისი შინაგანი ჰარ-
მონია და მყარი პიროვნული პოზიცია უპირისპირდება, რაც კიდევ
შეაძლებინებს სულიერი წონასწორობის დაცვას.

ამდენად, როგორც დავინახეთ, პერსონაჟთა შიშს, მათი ემოციის
მიმართულებასა და კონტექსტს განსაზღვრავს ის კონკრეტული სო-
ციო-კულტურული გარემო, რომელშიც მათი მსოფლმხედველობა
ყალიბდება. პიროვნება ზოგჯერ ახერხებს და უმკლავდება საზოგა-
დობასთან დაპირისპირებას, ხოლო უმეტეს შემთხვევაში ამგვარი
დაპირისპირება განაპირობებს პიროვნების ტრაგიზმს, მის ფიზიკურ
განადგურებას.

დამოწმებანი:

ვაჟა-ფშაველა 1985: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებანი*. თბ.: 1985.

AVTANDIL NIKOLEISHVILI
Georgia, Kutaisi
Akaki Tsereteli State University

The Problem of Foreign Migrants in Georgia According to Vazha-Pshavela's Viewpoint

Despite the positive attitude that Georgian people traditionally expressed towards the foreigners, it tends to be that migrants betrayed us instead of expressing their gratitude.

The poem 'Haos and Kartlos' is particularly important in order to conceptualize Vazha-Pshavela's viewpoint concerning foreign migrants. Unfortunately, the problem still remains to be relevant. Despite the fact, that it is necessary to be very careful when discussing the question we should not avoid discussions. The contemporary acute problems connected with a large number of foreign migrants living in Georgia should be impartially resolved in terms of our national-state interests as well as their civil rights.

Key words: Migrant, Georgian, Armenian.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო, ქუთაისი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში უცხოტომელთა ხიზნობის პრობლემა ვაჟა-ფშაველას თვალთახედვით

მიუხედავად იმ კეთილგანწყობითი დამოკიდებულებისა, რასაც ქართველი ხალხი საქართველოში მცხოვრები უცხოტომელებისადმი იჩენდა ხოლმე ტრადიციულად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იმის მაგალითებიც საკმაოდ გვხვდება, ყოველივე ამის სანაცვლოდ ქართულ მინას შემოხიზნულ უცხოელთა არც თუ მცირე ნაწილი მათდამი გამოვლენილი ამდაგვარი სიკეთის სანაცვლოდ რომ გვღალატობდა, ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეებს ეპატრონებოდა და ქართული ტერიტორიების მისაკუთრებას ცდილობდა. ჩვენს მწერლობაში ამ სამწუხარო მოვლენის მხილების ტენდენციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები სამოღვაწეო ასპარეზზე „თერგდალეულთა“ გამოსვლის დროიდან შეიძინა. ამ თაობისა და მომდევნო ხანის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში არაერთგზის ქცეულა უმწვავესი გულისწყრომის საგნად ის აგრესია, რომელსაც ქართულ მინა-წყალს შემოხიზნულ უცხოტომელ-

თა ერთი ნაწილი იჩენდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ როგორც საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ცალკეული წარმომადგენლები, ისე ე. წ. „დიდი სომხეთის“ სახელმწიფოს შექმნაზე მეოცნებე ის სომეხი ნაციონალისტები, რომლებიც ქართული ტერიტორიების უდიდეს ნაწილსაც და ქართველი ხალხის მიერ შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურის ხელთუქმნელ ძეგლებსაც თავიანთ კუთვნილებად აცხადებდნენ და მიზანსწრაფულად ცდილობდნენ მათ დაპატრონებას. ეს ყველაფერი სამწუხარო რეალობას რომ წარმოადგენდა, ამის დასტურად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება სომეხი ნაციონალისტების მზაკვრულ ქმედებათა სამხილებლად და გამოსააშკარავებლად ქართველ მწერალთა და მეცნიერთა მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს სომეხ ნაციონალისტთა ამგვარ ანტიქართულ აგრესიას მათი თანამემამულეების უმეტესობაც უჭერდა მხარს და ამით ქართველთა და სომეხთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობას რეალურად ეცლებოდა მკვიდრი საფუძველი. ეს რომ ასე არ ყოფილა, ამის დასტურად აქ თუნდაც მარტო ი. ჭავჭავაძის „ქეათა ლაღლის“ (1899) გახსენებაც იქნება საკმარისი. მიუხედავად იმ უკომპრომისო პოზიციისა, რომელსაც ილია სომეხ ნაციონალისტთა ანტიქართული ქმედებებისა და „ცულლუტური“ (ილიას გამოთქმა) მოთხოვნების მიმართ იჩენდა, იგი იქვე იმასაც აღნიშნავდა ხაზგასმით და დაბეჯითებით, რომ „სომხობით ქართველის ძულვებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არასოდეს ჰქონია“ (ჭავჭავაძე 1987: 110).

როგორც ხსენებულ ნარკვევში არაერთგზის ესმება ხაზი, სომეხ მეცნიერთა „გულნამცეცობის, უვიცობის, ნაცარქექიაობისა და ოინბაზობის“ შედეგად ჩვენი ხალხების ურთიერთობაში იმხანად წარმოქმნილი გარკვეული სირთულეები და წინააღმდეგობანი ილიას მხოლოდ დროებით მოვლენად მიაჩნდა. მწერლის აზრით, საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის ჭირ-ვარამის თანამოზიარეობისა და მეგობრული თანაცხოვრების დიდ ტრადიციას ჩვენი ხალხები მხოლოდ იმ შემთხვევაში გააგრძელებდნენ მყარად და გეზშეუცვლელად, თუ ზემოთ ნახსენებ სომეხ ნაციონალისტთა მიერ გაღვივებულ ანტიქართულ აგრესიას საბოლოოდ დაესმებოდა წერტილი.

სწორედ ამ იმედის ნათელ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის სიტყვები, რითაც ილიამ სომხური აგრესიის სამხილებლად დაწერილი თავისი ზემოთხსენებული ნარკვევი შეაჯამა საბოლოოდ: „ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიღამაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი

სახელის გატეხვით ნუ ცდილობენ თავიანთის სახელის კეთებას და შეემკობას.

ჩვენ, ბევრი გვექონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ მოგვეკიდებით. „მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა ნოლა სჯობია,“ — ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი“ (ჭავჭავაძე 1987: 111).

იმ ავტორთაგან, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ სომხური ნაციონალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, სერგეი მესხზეც მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა 1874 წელს გაზეთ „დროების“ 29 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „ახალი ქალაქის გამგეობა,“ რომელშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორი საკუთარ თვალსაზრისს ისეთი გულისწყრომით გამოთქვამდა, რომ ხსენებული წერილი საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გამოცემულ მის არც ერთ ნიგში აღარ დაუბეჭდავთ.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ავტორისეული თვალთახედვის არსზე, დავიმონმებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „უნდა გამოვტყდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი თფილისი დღეს სომხობის საკუთრებად შექმნილა. ახლანდელის თფილისის ნახევარ მცხოვრებლებს სომხები შეადგენენ; ვაჭრობა, ალებ-მიცემობა მათ ხელშია; ქალაქის მიწა იმათია; ამ მიწაზე აგებული შენობებიც თითქმის სულ სომხებისაა.

თითო-ოროლა იმერელს, ან მეგრელს თუ შეხვდებით სადმე, ისიც მოხელეთა და საზოგადოთ წვრილ ვაჭართა და მეპატრონეთა შორის, თორემ დანარჩენი ვაჭრობა და ავლა-დიდება ჩვენი ქალაქისა სულ სომხების ხელშია. ერთი სიტყვით, სომხები კარგა მაგარი ბრჭყალებით ჩაჰფრენიან ქალაქსა და ჯერ-ჯერობით ჰფლობენ და განაგებენ ყველა იმის საქმეს.“

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში სომეხთა აშკარად პრიორიტეტული როლი არა მარტო იმით ვლინდებოდა, რომ თბილისის უძრავ-მოძრავი ქონების უდიდესი ნაწილი იმხანად სწორედ მათ ხელში იყო თავმოყრილი, არამედ იმითაც, რომ ქალაქის მოსახლეობისა და მმართველობითი ორგანოების მესვეურთა უმეტესობასაც ისინი წარმოადგენდნენ. მაგალითად, როგორც ს. მესხის ზემოთ ხსენებული წერილიდან ირკვევა, 1874 წელს თბილისში საქალაქო მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით გამართულ თვითმმართველობის არჩევნებზე არჩეული 72 დეპუტატიდან მხოლოდ ოთხი იყო ქართველი, 65-ს კი სომეხი ეროვნების მოქალაქენი წარმოადგენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამწუხარო რეალობას ს. მესხი თბილისში მცხოვრებ სომეხ ვაჭართა აქტიურობითა და მათ მიერ უხვად გაღებული ფინანსებით ხსნიდა, იგი იქვე იმასაც უდიდესი გულისტკივილით უსვამდა ხაზს, რომ ეს ამბავი პირველ ყოვლისა მაინც ჩვენი

პასიურობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა და სავსებით მართებულად დაასკვნა: „ამ ამორჩევების შედეგი, მგონი, იმათ კი ღირს, რომ იმაზე ქართველი კაცი ცოტას მაინც დაფიქრდეს.“

ხსენებულ პერიოდში სომხური აგრესიის სამხილებლად გამოქვეყნებული წაწერების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მათი ავტორების დიდი ნაწილი არა მარტო ქართულ მიწა-წყალს დაპატრონებული სომხებისა და მათი ნაციონალისტი ლიდერების ანტიქართულ ქმედებებს ააშკარაებდა და ამხელდა პატრიოტული გულისწყრომით, არამედ ჩვენი ხალხის დიდი ნაწილის მეტისმეტ პასიურობასაც და გულარხეინობასაც. კერძოდ, ქართველ მამულიშვილთა უმეტესობა იმხანად სერიოზულად იყო შემოფოთებული იმის გამო, რომ საქართველოში უცხოტომელ ხიზანთა მოძალბა და აღზევება პირველ ყოვლისა იმით იყო განპირობებული, რომ ბევრი ქართველი ქვეყნის საჭირობო პრობლემების მოსაგვარებლად ბრძოლას იმხანად იმდენად იყო ჩამოშორებული, რომ ამ ბრძოლას საკუთარ საქმედ არ მიიჩნევდა და ეროვნულ ინტერესებზე მალა პიროვნულ მისწრაფებებს აყენებდა.

სამწუხაროდ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოში უცხოტომელთა ჩამოსახლების პროცესი მეოცე საუკუნეში არა თუ შესუსტდა, არამედ განახლებული ძალითაც გაგრძელდა, რაც 1900-1910-იან წლებში ფსევდოინტერნაციონალისტური იდეოლოგიის გაძლიერებამაც განაპირობა მნიშვნელოვანწილად. როგორც იმჟამად მოღვაწე მწერალთა შემოქმედებიდან თვალნათლივ ჩანს, მათ არც ეს სამწუხარო მოვლენა დაუტოვებიათ უყურადღებოდ. მაგალითად, 1910 წელს დაწერილ პიესაში — „რეაქცია“ ა. წერეთელმა ნილაბახდილი ფორმით წარმოაჩინა მაშინდელ პოლიტიკურ ასპარეზზე ფართოდ აღზევებული სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების ქართველ ლიდერთა ანტიეროვნული იდეები. მწერლის ხაზგასმით, „ათასგან ნათრევი“ ეს ადამიანები, რომელთაც „არც ღმერთი სწამდათ და არც ხატი“, საზოგადოებას ისეთი მაცდუნებელი ლოზუნგებით უბნევდნენ თავგზას, როგორებიცაა: „ძმობა“, „თანასწორობა“, „ერთობა და სიყვარული.“

აკაკი შემოფოთებით საუბრობდა იმ საშიშროებაზე, რომელიც ამ ლოზუნგებს ბრმად მიხდობილ ჩვენს საზოგადოებას შეიძლებოდა დატყდომოდა თავს. კერძოდ, თუ მოვლენები საკუთარი ქვეყნის ფაქტობრივ მოლაპატრებად ქცეულ ზემოთ ხსენებულ ლიდერთა გეგმით განვითარდებოდა, მაშინ ძმობის, ერთობისა და სიყვარულის სახელით ჩვენს ქვეყანაში ჩამოსახლებული გადამთიელები „რაოდენობრივად მალე ქართველებს გადააჭარბებდნენ და მერე გვეტყოდნენ: რადგანაც ყველა ვერ ვეტყვით, გადაგვიწყვეტია ხმის უმეტესობით, რომ შენ გაბრძანდე და ჩვენ დაგვიტოვო შენი სახლ-კარიო... გვეტყოდნენ იმიტომ, რომ ეს ხერხი წინდანინვე ედვათ გულში და თუ არ დავეთანხმებოდით, „შოვინისტს“ დაგვიძახებდნენ და ამით გვაშინებდნენ... ესლა

სახლის ნაცვლად ავიღოთ ეს საბრალო საქართველო. ფედერალისტების სახელით შემოდიან სხვადასხვა ერები და შენც იძახი ძმობისა და ერთობის სახელით: მობრძანდით, თქვენთვისაც არის ადგილი და სხვანი. იმათაც ისარგებლეს და შემოვიდნენ, დასახლდნენ და მერე გითხრეს: ჩვენ მეტი ვართ და ხმის უმეტესობას დაემორჩილეთ და ან წაბრძანდით აქედანაო“ (წერეთელი 1959: 127).

მსგავსად ა. წერეთლისა და განსახილველ პერიოდში მოღვაწე ბერი სხვა ქართველი მწერლისა, ზემოთ აღნიშნული პრობლემის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვით განსჯა-გაანალიზებამ ვაჟა-ფშაველას (1861-1915 წწ.) შემოქმედებაშიც დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი ის ნაწარმოებები, რომლებიც მან 1899 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, 1915 წლამდე, შექმნა. ხსენებული პრობლემისადმი მწერლის ინტერესის ამგვარი გამძაფრება არსებითად განაპირობა იმ ვითარებამ, რომელიც დასახელებულ პერიოდში შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ფართოდ აღზევების შედეგად. ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ კონკრეტული მაგალითები მწერლის შემოქმედებიდან.

როგორც ცნობილია, 1900-იანი წლების რუსეთის იმპერიაში, მათ შორის საქართველოშიც, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლები. სოციალური სამართლიანობისა და კლასობრივი ერთობის კოსმოპოლიტური იდეების ქადაგებით ისინი პრინციპულად უპირისპირდებოდნენ ეროვნულ ცნობიერებას და ადამიანური ბედნიერების განმაპირობებელ უმთავრეს პირობად ეროვნული გრძნობის „შებოჭილობისაგან“ განთავისუფლებულ ხალხთა ინტერნაციონალური ერთობას მიიჩნევდნენ. თავის პუბლიცისტურ წერილებში ვაჟამ მკაცრად გააკრიტიკა რეალურ ცხოვრებისეულ საფუძველს მოკლებული ამ ფსევდომეცნიერული თეორიის მქადაგებელთა მზაკვრული იდეები და 1900-იან წლებში დაწერილი თავისი სტატიებით ფართო მკითხველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ განუმარტა ნათლად და არაორაზროვნად კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ნამდვილი არსი და ბუნება.

ამის გაკეთება მწერალმა იმიტომაც ჩათვალა საჭიროდ, რომ კოსმოპოლიტური იდეების ქადაგება ჩვენს ქვეყანაში იმხანად საბედისწერო მასშტაბებს იქნდა და საფუძველს ურყევდა ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას. ვაჟა შეშფოთებით წინასწარმეტყველებდა იმ საშინელ მომავალზე, რომელსაც საკუთარი ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლი კოსმოპოლიტები უმზადებდნენ ჩვენს სამშობლოს. მაგალითად, აი, რას წერდა ის 1907 წელს „შინაურ ამბებში“ ყოველივე ამასთან დაკავშირებით: „პატარა ქვეყანა, უსამართლოდ და უმიზეზოდ ჩაგრული და წაბდენილი, ღარიბ-ღატაკი, სასაცილოდ აგებული, სიბნელეში მყოფი, აი საქართველოს რომ ეძახდნენ ძველად, ვილას ახსოვს! ვილა იცხელებს მისთვის თავს? აი ქვეყანას რომ გავაბედნიერებთ,

ძმობა-ერთობა-სათნობას რომ გავამეფებთ, პატარ-პატარა „სამშობლოების“ მაგიერ ერთ უზარმაზარ ცენტრალურ სახელმწიფოს რომ დავამყარებთ, სადაც შური, მტრობა და ბოროტება აღმოიფხვრება ძირფესვიანად, მაშინ, ამბობენ ოცნებით მონამღვლნი და საქმისათვის უვარგისნი, ქადა-ნაზუქის სუნი იმ ქვეყანასაც მოედინება, საქართველოს რომ ეძახდნენ ისტორიკოსებიო. ვიდრე წვერიანი და უწვერო ვაჟკაცები „ედემს“ „ააშენებენ, უეჭველია ქართველს ზღაპრული ჯორის ამბავი დაემართებათ და შიმშილით ფეხებს გავჭიმავთ“ (ვაჟა-ფშაველა 1961ბ: 233).

ვფიქრობ, მკითხველი ზედმეტი არგუმენტების მოშველიების გარეშეც იოლად დარწმუნდება იმაში, რომ ვაჟას მიერ სარკაზმით გაკენწლილ იმ წვერიან და უწვერო ვაჟკაცებში, რომლებიც „პატარ-პატარა „სამშობლოების“ მაგიერ „ერთი უზურმაზარი ცენტრალური სახელმწიფოს“ შექმნის იდეით იყვნენ მონამღვლნი, პირველ ყოვლისა ქართველი სოციალ-დემოკრატები იგულისხმებოდნენ.

მწერალი უდიდესი შეშფოთებით საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში ხელისუფლების მესვეურთა მიერ გატარებული პოლიტიკისა და სოციალ-დემოკრატების ფსევდო ინტერნაციონალური იდეების წყალობით ჩვენს მიწებს უცხოტომელები იტაცებდნენ და ისაკუთრებდნენ. ვაჟას თქმით, იმ დროს, როცა უმამულობითა და შიმშილით სასონარკვეთილი ქართველი მთიელები წინაპართა ფუძიდან იყრებოდნენ და ლუკმაპურის საძიებლად ჩრდილოეთ კავკასიასა და შიდა რუსეთში მიემართებოდნენ, „მსუქან დუმად ქცეულ საქართველოს“ უამრავი გადამთიელი „მიეტანა და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს. უფრო მდაბიოდ რომ მოგახსენოთ, ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას, ამ მიწანყლის გადასვლას სხვის ხელში როდი ვენინააღმდეგებით სასტიკად; როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას!.. განა სულ ერთი არ არის, ვის ხელში იქნება ქართლ-კახეთის ავლადიდება, ქართველისა თუ სხვისაო“ (ვაჟა-ფშაველა 1961ბ: 239).

ვაჟას გულისტკივილს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომელთათვისაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, „ქართლ-კახეთის ავლადიდება ვის ხელში იქნებოდა — ქართველისა თუ სხვისა,“ მის მიერ გამოთქმულ გულისწყრომას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ამისდა მიუხედავად, იგი თავის მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდა, უკან მაინც არ დაეხია და მთელი ქვეყნის გასაგონად კიდევ ერთხელ განეცხადებინა, რომ „თუ ამ გზით ვივლიდით, უეჭველია, ჩვენი ტერიტორია მალე დაიფუყებოდა და საქართველოს ნიადაგზე ისე აჭრელდებოდა სხვა და სხვა ტომთა და ერთა სოფელ-დაბანი, რომ თვით დახელოვნებული ეთნოგრაფიც კი ვეღარ იცნობდა აქაურობას და დაიკვივებდა: ეს რა ქვეყანაა — საქართველოა, თუ ეთნოგრაფიული გამოფენაო!“ (ვაჟა-ფშაველა 1961ბ: 240).

ვაჟა-ფშაველა ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მკითხველს იქვე ერთ კონკრეტულ მაგალითსაც უსახელებს – კახეთის სოფელ ნაფარეულში მალაკნების დასახლების გაჩენას. როგორც სამართლიანად წინასწარმეტყველებდა მწერალი, თუ ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდებოდა, „შიგ შუაგულ კახეთში გაჩენილი პირველი რუსული სოფელი“, სახვლიოდ „უეჭველად იბარტყებდა“ და ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ძლიერებას კიდევ უფრო მეტად დაასუსტებდა.

სამწუხაროდ, მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებით კი საბჭოთა ეპოქაში, მოვლენები სწორედ ვაჟას მიერ წინასწარმეტყველებული გზით განვითარდა და უცხოტომელების დაბა-სოფლებით აჭრელებული საქართველოს ცალკეული რეგიონები მართლაც იქცა „ეთნოგრაფიულ გამოფენად“. ყველაზე დიდი სირთულეები, რომელნიც დღეს ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ელოებებიან წინ, როგორც ცნობილია, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ „ეთნოგრაფიული სიჭრელის“ წიაღიდან მომდინარეობენ.

მაგრამ უცხოტომელებისადმი ვაჟას ამგვარი დამოკიდებულება ეროვნულ სეპარატიზმში არასოდეს გადაიზრდება და მწერალი ჩვენი ქვეყნიდან არაქართველი მოსახლეობის ერთიანად გასახლების მოთხოვნით როდი გამოდის. პირიქით, იგი ისტორიული გამოცდილების მოშველიებით თავის წერილებში იმ კეთილგანწყობილების ტრადიციასაც ხშირად უსვამს ხოლმე ხაზს, რითაც ქართველებთან ერთად საქართველოში სხვა ხალხთა ხანგრძლივი ცხოვრება ხასიათდება.

აი, რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ვაჟა ერთგან: „როდის არა ჰქონია საქართველოს კეთილი განწყობილება მეზობელ ერთან? ან როდის და ვის უფიქრია იმათი გაძევება საქართველოდამ ან გაჟლეტა?! ჯერ ურიები, დევნილნი მთელს ევროპაში, თავშესაფარს მხოლოდ საქართველოში პოულობდენ და ეს მეზობელი ერი ხომ (იგულისხმებიან სომხები — ა. ნ.) დიდი ხანია, რაც ჩვენი მეზობელია და ჩვენ იმისი“ (ვაჟა-ფშაველა 1961ბ: 242).

ვაჟა-ფშაველა ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში უცხოტომელ ხიზანთა მომძლავრებასა და გაბატონებას იმ არაგონივრულმა დამოკიდებულებამაც შეუწყო ხელი, რომელსაც XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი იჩენდა მათ მიმართ უნებურად და გაუცნობიერებლად. კერძოდ, მწერლის მტკიცებით, „ქართველ ერს ცხოვრების გზაკვალი“ პირველ ყოვლისა სწორედ იმდროინდელი ჩვენი ინტელიგენციის არაგონივრულმა მოქმედებამაც აურია მნიშვნელოვანწილად. მართალია, „ამას ინტელიგენცია შეგნებით განგებ არ აკეთებდა, მაგრამ საქმე ასე გამოვიდა. ნაყოფი მათ მოღვაწეობისა ამას გვამცნებს! ერისთვის უნდა ერგოთ, მაგრამ ჰვნებდენ“ (ვაჟა-ფშაველა 1961ბ: 248).

ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი, რომელიც ვაჟას ჩვენი ინტელიგენციისთვის წაყენებული ამ უმძიმესი ბრალდების დასამტკიცებლად მოაქვს, საქართველოში მცხოვრები სომხების ვაჭრული საქმი-

ანობისადმი ქართველთა ყოვლად გაუმართლებელი ცინიკური დამოკიდებულებაა. კერძოდ, მისი მართებული ხაზგასმით, XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ყველა ქართველ მწერალს „ზნედ სჭირდა დაესურათებინა სომეხი მხდალად, ხოლო მისი ხელობა ვაჭრობა — საზიზღრად. ვაჭრობა, ნაცვლად იმისა, რომ შეეყვარებინათ ხალხისათვის, შეაზიზღეს“ და მის „სინონიმად მხდალობა გახადეს.

თამაშობდნენ სცენაზე იმისთანა პიესებს, სადაც სომეხი იყო გამოყვანილი, როგორც მატყუარა, მშიშარა. ვიცინოდით, ვხითხითებდით და დღეს კი ვსტირით... ამ პიესებს ესწრებოდა ჩვენი სოფლის ბელადი თავადაზნაურობა, რომლის ბედოვლათობას, დარდიმანდობას ამგვარმა ლიტერატურამ შეუწყო ხელი.“ ვაჟას აზრით, ყოველივე ამან კი საბოლოოდ ის სავალალო შედეგი გამოიღო, რომ „მაშინდელმა ჩვენმა ინტელიგენციამ თავის ერს ისე ვერ მოუარა, როგორც მისი სარგებლობა მოითხოვდა, ვერ დააყენა საქმე ისე, როგორც გამოსადეგი იყო ჩვენთვის“ (ვაჟა-ფშაველა 1961ბ: 248).

ვაჟას გულისტკივილს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებდა გაცნობიერება იმისა, რომ ამ სავალალო მდგომარეობის შესაცვლელად და „ეკლიანი ბარდიდან“ ერის გამოსაყვანად არც მისი დროის ქართველი ინტელიგენცია „აკეთებდა არაფერს“.

უცხოტომელ ხიზნებთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველას თვალთახედვის სიღრმისეულად შესაცნობად და გასააზრებლად განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო მის პოემას „ჰაოს და ქართლოს“ (1899 წ.) (ვაჟა-ფშაველა 1961ა: 155-160). მიუხედავად იმისა, რომ მასში ჩვენი ქვეყნის მინა-წყალს შემოხიზნულ სომეხთა ძალადობისა და უმადურობის აღმაშფოთებელი ამბავია მხილებული, პოემის შექმნის უმთავრესი და უპირველესი მიზანი, ჩემის ღრმა რწმენით, მაინც იმ არაგონივრული ხელგაშლილობისა და მეტისმეტად მიმნდობი დამოკიდებულების უმწვავესი ფორმით კრიტიკაა, რასაც ქართველთა ერთი ნაწილი იჩენდა ჩვენს ქვეყანას შემოხიზნული გადამთიელების მიმართ.

აღნიშნული პრობლემის განსჯის დროს თავისი პოემის მთავარ პერსონაჟად ვაჟა-ფშაველამ, მართალია, სომეხი ეროვნების კაცი გამოიყვანა, მაგრამ ეს გარემოება ისე სულაც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ავტორისეული გულისწყრომა მხოლოდ სომეხი ეროვნების ხიზანთა წინააღმდეგ იყოს მიმართული. რასაკვირველია, არა. ჩემი აზრით, აღნიშნული საკითხის განსჯა-შეფასებას ვაჟა გაცილებით ფართო მასშტაბებს სძენს და განსახილველი ნაწარმოები არამც და არამც არ უნდა მივიჩნიოთ ანტისომხური სულისკვეთების გამომხატველ ქმნილებად. ასე რომ, მისი შექმნის უმთავრეს მიზანს ჩვენს ხალხებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივება კი არ წარმოადგენდა, არამედ იმ უმადურობისა და ძალადობის მხილება, რასაც საქართველოს შემოხიზნული ნებისმიერი უცხოელი იჩენდა ჩვენი ხალხის მიმართ მათდამი უშურველად გაღებული სიკეთის სანაცვლოდ.

იმის ნათელსაყოფად, ეს ყველაფერი პოემაში როგორი სიმძაფრითაა მოთხრობილი, რამდენიმე სიტყვით გავიხსენოთ მისი სიუჟეტური ქარგა. მომხვედური მტრისაგან დევნილი ჰაოსი ქართლოსს კარზე გასაწყლებული სახით მოადგა და თავშესაფარი თხოვა. ქართლოსმა თვალცრემლიანი მოძმე შინ მიიპატიჟა, კარგად გაუმასპინძლდა, თავისი ავლა-დიდების ნახევარი უშურველად უბოძა და ამ სიტყვებით დაამშვიდა:

**რა სათქმელია! ნუ იტყვი, რად გინდა ბევრი მუდარა?
ერთად ვიცხოვროთ ძმურადა, მტერს შეუთვალთ მუქარა.**

ქართლოსის ამგვარი მოქმედებით აღფრთოვანებული ჰაოსი მას-პინძელს გულაჩვილებული ეუბნება ერთგულების ფიცს და დაბეჯითებით არწმუნებს, რომ მათი ერთობა ბოლომდე იქნება მტკიცე და დაურღვეველი. თავის მხრივ, ქართლოსი ჰაოსს კიდევ ერთხელ განუმარტავს იმ პირობის არსს, რითაც მან იგი საკუთარ კარ-მიდამოში შეიხიზნა:

**რაცა მაქვს, შუა გაგიყოფ, ბენეიც არ მინდა მეტია.
ვინ გაიფიქრებს, დაგჩაგროს, ის ცოლ-შვილ გასაწყვეტია.
რაც გითხარ, ღვთის წინაშე ვსთქვი, ცრუდ არა დამიყბედია,
თუნდ რომ ისურვო ხვალ გაყრა, წაილე სწორი წილია.**

გარდა გასაჭირში ჩავარდნილი მოყვასისადმი კაცთმოყვარული გრძნობის გამოვლინებისა და მშობლიური კარმიდამოდან გამოდევნილი მოძმისათვის ძმურად ხელის გამართვისა, ჰაოსისადმი ქართლოსის ამგვარი დამოკიდებულება იმ ფაქტმაც განსაზღვრა არსებითად, რომ ქართველებსა და სომეხებს, ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, უხსოვარ დროში ერთი საერთო წინაპარი ჰყავდათ.

სამწუხაროდ, ქართლოსისა და ჰაოსის შეხმატებლებული ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა და ჰაოსმა პირველი შესაძლებლობისთანავე გამოავლინა თავისი მზაკვრული ბუნება. შემოდგომაზე ქართლოსი მეფემ მომხვედური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაიწვია. სალაშქროდ მიმავალმა ქართლოსმა ცოლ-შვილი თავის ახალ „მოძმეს“ ჩააბარა იმედიანად. ლაშქრად ყოფნის დრო საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. ამ ხნის მანძილზე ჰაოსმა ქართლოსის ავლა-დიდება მთლიანად მიიტაცა და მისი ოჯახი საკუთარი ფუძიდან გამოაძევა. ქართლოსის ბედოვლათობისა და ჰაოსის თავხედური ქმედების შედეგად შექმნილი ტრაგიკული მდგომარეობა პოემაში შემდეგნაირადაა აღწერილი:

მას აქეთია კერაზე, საცა თამარი თბებოდა,
ქართლოსი ხმალსა ჰლესავდა, ცოლ-შვილის მზერით სტკებოდა,
ჰაოს-ხანუმა დაფუძენ, მათ ძენი: მიკირ, გალუსტა,
სულ „ვარჰალალოს“ მღერიან, ბედი თავს დაჰყეფს: „ბაშუსტა!“
ხოლო ქართლოსის ცოლ-შვილნი სადღაც სოროში შემძვრლან,
თითქოს ობოლი ბლარტები ხმელს ხის ტოტზედა შემსხდარან.

გავიდა დრო და მძიმედ დაჭრილი ქართლოსი მისმა თანამებრძო-
ლებმა ჰაოსის მიერ მისაკუთრებულ სახლში მიიყვანეს იმის იმედით,
რომ სომეხი სტუმარი თავის ქართველ მასპინძელს მისივე კარ-მიდა-
მოში სიყვარულით მიიღებდა, მოუვლიდა და უპატრონებდა. მაგრამ
ჰაოსმა თავი შორს დაიჭირა და უტიფრად განაცხადა:

**მე რა ვალი მაქვს მოვლისა, ექიმი არ ვარ ჯარაო...
მიჰბარდეს თავის სახლ-კარსა, აქ მას ბინა აქვს არაო.
ამდენი ხანი სად იყო? ქურდულად გაიპარაო...
რომ მოდის, რა პირით მოდის, ნეტავ ვინ დაიბარაო?**

ავტორისეული მრწამსის გასააზრებლად მეტად მნიშვნელოვანია
ის შეფასება, რომელსაც ქართლოსის ბედოვლათურ სიკეთესა და წინ-
დაუხედლობას აძლევს საკუთარი კარ-მიდამოდან გამოძევებული მისი
მეუღლე:

**ღირსი არ არის, ნუ სტირით, შვილებო, თავის მამასა.
თქვენთვის ყელების საჭრელად ჰაოსს აძლევდა დანასა.
დღეს სხვა ჰმკის გადამთიელი თქვენის მამულის ყანასა.
თქვენი სახლიდამ გაგრეკათ, ვაჰ, ყოფნას ამისთანასა!**

როგორც პოემის სიუჟეტური ქარგის ამ სქემატური გახსენებითაც
ნათლად ჩანს, „ჰაოსი და ქართლოსი“ ტრაგიკული სიმწვავით წარმოა-
ჩენს ჩვენი ერის ისტორიული ყოფის ერთ-ერთი უაღრესად მტკივნეუ-
ლი პრობლემისადმი ავტორის დამოკიდებულების უმთავრესს არსს.
სამწუხაროდ, ვაჟას პოემაში დასმულმა პრობლემამ საბჭოთა ეპოქაში
კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა, რის შედეგადაც ქართულ მი-
წა-წყალს ჰაოსისებური შენიღბული აგრესიით უამრავი უცხოტომელი
შემოეხიზნა და დაეპატრონა.

ყოველივე ზემოთქმულს განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც
უნდა მივაქციოთ, რომ აღნიშნულ მოვლენას სიმწვავე და აქტუალობა
არც დღეს დაუკარგავს და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღდგენის შემდეგ ჩვენს ქვეყანას შემოხიზნულ უცხოტომელთაგან
არაერთხელ შეექმნა საკმაოდ ბევრი პრობლემა. ჩემის ღრმა რწმენით,
მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი საკითხი საკმაოდ დელიკატუ-
რია და მისი განსჯა-გაანალიზების დროს დიდი სიფრთილის გამოჩე-
ნაა აუცილებელი, მასზე გულახდილი მსჯელობისაგან თავი მაინც არ
უნდა შევიკავოთ და საქართველოში დღესაც საკმაოდ მრავლად

მცხოვრებ უცხოელ ხიზნებთან დაკავშირებით არსებული საჭირო-
როტო პრობლემები ობიექტურად და მიუკერძოებლად გავაანალიზოთ
როგორც ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვა-
ლისწინებით, ისე მათი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვით.

დამონეგანი:

მესხი 1874: მესხი ს. „ახალი ქალაქის გამგეობა“. გაზ. „დროება“, 29 ნოემბერი,
1874.

ვაჟა-ფშაველა 1961ა: ვაჟა-ფშაველა. თბზ. სრული კრებული ხუთ ტომად. ტ.
II, 1961.

ვაჟა-ფშაველა 1961ბ: ვაჟა-ფშაველა. თბზ. სრული კრებული ხუთ ტომად. ტ.
V, 1961.

წერეთელი 1959: წერეთელი ა. თბზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. X,
1959.

ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. V, 1987.

ETER KAVTARADZE

Georgia, Tbilisi

National Centre of Manuscripts

Archive of Vazha-Pshavela in the National Center of Manuscripts

Documents reflecting life and creative work of Vazha Pshavela are preserved in different depositories. As a result of paleographic and codicologic analysis of the material preserved in the National Center of Manuscripts corrections were made to dating of Vazha's several poems.

Several graphic sketches are enclosed with the autobiographic units, which need further research from the perspective of psychology and art criticism. Among the many questions one question becomes the most prominent, how much an emotional charge of a sketch is related to the content and artistic meaning of an autographic unit according to which it is created.

Key words: archive, sketches, dating.

ეთერ ქავთარაძე

საქართველო, თბილისი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ვაჟა-ფშაველას არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

ბედნიერია მკითხველი, რომელსაც თავისი დიდი მწერლის და მოღვაწის არქივი შემორჩა, რადგან არქივი, როგორც მწერლის უნდა იყოს დოკუმენტების რაოდენობის თვალსაზრისით, მუდამ შეიცავს არახილულ, სიღრმისეულ ინფორმაციებს. ამიტომ ის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ძლიერი და ცოცხალი წყაროა. ყოველ არქივში წამი შეჩერებულია, როგორც ფოტოკადრში და მისი ნაკითხვის უნარზე დამოკიდებული ეპოქის გაცოცხლების ხარისხი. ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთის სოციალურ-პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ, კულტურულ-ეთიკურ ფონზე იკითხება მოღვაწის ცხოვრება და, შესაბამისად, ეს ფონიც აისახება. ამდენად, ყოველი არქივი საგაა ეპოქაზე, ოღონდ გამორჩეული, დოკუმენტურობის განუმეორებელი ხიბლით შეფერილი. სიღრმისეული ნაკითხვის შემდეგ ყოველი არქივი ისეთსავე სევდას ტოვებს, როგორც ეპოქალური მოვლენებით გაჯერებული დიდტანიანი მხატვრული ნაწარმოები. ამით იგი მხატვრული დატვირთვის მატარებელიცაა.

ამ თვალსაზრისით, ვაჟა-ფშაველას არქივიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. რთულია ვაჟას არქივის ისტორია; იგი გაბნეულია სხვადასხვა საცავში. მისი ძირითადი ნაწილი ინახება ხელნა-

წერთა ეროვნულ ცენტრში, ლიტერატურის მუზეუმსა და ცენტრალურ ეროვნულ არქივში. სტატიაში შემოვიფარგლებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მასალაზე საუბრით. თავის მხრივ, ამ არქივსაც თავისი ისტორია აქვს. იგი შექმნილია ხელნაწერთა S, A, H, Q კოლექციებიდან ამოკრებილი მასალით 1958 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება ცალკე ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ეს ის მასალაა, რომელიც თავის დროზე ინახებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებსა და საეკლესიო მუზეუმში.

ვაჟა-ფშაველას არქივი 262 ერთეულისაგან შედგება. შემოქმედებითი მასალა ძირითადად ავტოგრაფებს წარმოადგენს. არქივში დაცულია ვაჟას ლექსები, პოემები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები და თარგმანები. მიმონწერაში ვაჟას მხოლოდ სამი წერილია. არის ვაჟასთან მინერილი გიორგი ბაქრაძის, დიმიტრი დუმბაძის, პაოლო იაშვილის, ალექსანდრე მათურელის, შიო მღვიმელის, სანდრო შანშიაშვილის, სანდრო რაზიკაშვილის, სიკო ფაშალიშვილის, ივანე ცისკარიშვილისა და სხვათა წერილები.

არქივში შემოქმედებითი მასალის უდიდესი ნაწილი ლექსებია. კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად დაზუსტდა რამდენიმე ლექსის დაწერის თარიღი. ერთ ხელნაწერში (ხეც, ვაჟა-ფშაველას ფონდი, № 28) მოთავსებულია ორი ლექსი — „ზმანება“ (მოვიდნენ, მოდგნენ აჩრდილნი...) და „გაზაფხული“ (კიდე ველირსე გაზაფხულს...). 1964 წლის აკადემიურ გამოცემაში (ვაჟა-ფშაველა 1964: 240, 290). ორივე ლექსი დათარიღებულია ნაბეჭდი ტექსტების მიხედვით, რადგან ავტოგრაფული ხელნაწერები უთარიღოა. „ზმანება“ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ („ივერია“, 1901 წლის 25 დეკემბერი, № 280), ხოლო „გაზაფხული“ — ჟურნალ „მომამბეში“ 1898 წელს („მომამბე“, 1898 წელი, № 4). ხელნაწერი № 28 შესრულებულია ერთნაირ ქალღმერთზე, ერთნაირი მეღვინით, ერთი ხელწერითა და კალმით. სავარაუდოა, რომ ორივე ლექსი ერთდროულად. ადრეულ თარიღად, რა თქმა უნდა, 1898 წელი უნდა მივიღოთ, რადგან ჯერჯერობით სხვა ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ლექსი „ზმანებაც“ ამ თარიღზე გვიან ვერ დაიწერებოდა.

იგივე სურათია სხვა ხელნაწერშიც (ხეც, ვაჟა-ფშაველას ფონდი, № 42), სადაც შესულია ლექსი „მტრისამც გულია ასეთი“. ეს ლექსი აკადემიურ გამოცემაში დათარიღებულია ნაბეჭდი ვარიანტით (გაზეთი „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“, 1904 წლის 28 მარტი, № 205). აქვე მოთავსებული მეორე ლექსი „ოცნებავ ჩანგი მომართე“ დაიბეჭდა იმავე გაზეთში (გაზეთი „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“, 1903 წლის 2 ოქტომბერი, № 164). ორივე ლექსის დაწერის თარიღად 1903 წელი უნდა მივიღოთ.

№ 43 ავტოგრაფულ ხელნაწერში (ხეც, ვაჟა-ფშაველას ფონდი, № 43) ერთ ფურცელზე სამი ლექსია მოთავსებული: 1. „სიმღერა“ (ცხოვრებამ არ შემობრაღა...), 2. უსათაურო (ღმერთმა დასწყევლოს ეშმა-

კი...), 3. უსათაურო (უამბეს ბებერს ბერდიას...). აკადემიური გამოცემის მიხედვით, პირველი ლექსი დათარიღებულია 1904 წლით (ლიტერატურის მუზეუმის დათარიღებული ავტოგრაფული ხელნაწერის მიხედვით), მეორე უთარიღობშია გატანილი, მესამე კი დათარიღებულია 1906 წლით. თარიღდება ნაბეჭდი ვარიანტით (გაზეთი „ივერია“, 1906 წლის 20 აგვისტო, № 25). კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ეს სამი ლექსი ერთდროულადაა შექმნილი და 1904 წლით უნდა დათარიღდეს.

№ 134 (ხეც, ვაჟა-ფშაველას ფონდი, № 134) ხელნაწერი შეიცავს ლექსებს: „განა კაცია?!“ და „მელიას სიმღერა“. ხელნაწერის მეორე გვერდზე მოთავსებულია ვაჟა-ფშაველას განცხადება თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლის სახელზე. სთხოვს, მის შვილს თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლეს ლევან რაზიკაშვილს დაუნიშნონ სტიპენდია. განცხადება დაწერილია რუსულ ენაზე. აკადემიურ გამოცემაში ლექსები შეტანილია უთარიღობში. ამ ლექსების დათარიღება შეიძლება ლევანის სათავადაზნაურო სკოლაში სწავლის პერიოდის გარკვევით.

ამ თვალსაზრისით, მომდევნო არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური ანალიზი კიდევ ახალი დაზუსტებების საშუალებას მოგვცემს.

ხელნაწერი № 30 (ხეც, ვაჟა-ფშაველას ფონდი, № 30) საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იქ მოთავსებულია ვაჟას გამოუქვეყნებელი ჩანაწერი: „საქართველოს მწერალთა“. იგი არ შესულა 1964 წლის აკადემიურ გამოცემაში. ცნობა მის შესახებ გატანილია მხოლოდ შენიშვნებში (ვაჟა-ფშაველა 1964: 408). ხელნაწერი დაზიანებულია, მარჯვენა გვერდი ისეა ჩამოხეული, ტექსტის ნაწილიც დაკარგულია. იკითხება შემდეგი: „აკაკი - რა კარგი, ილია — უცხო ხილია, ცახელი — ცალხელი, იაკობ — „დედა ენასა“ ვშობ..., გრიგოლი — მუზების მიმყოლი, შოთა — შორს გააბოტა, დავით — გულით მწვავეთ“. იმავე ფურცელზე მოთავსებული ლექსი „კითხვა-პასუხი“ აკადემიურ გამოცემაში დათარიღებულია ნაბეჭდი ვარიანტით (გაზეთი „ივერია“, 1901 წლის 20 დეკემბერი, № 276). ხელნაწერის ერთი განიერი ფურცელი გაკეცილია სამად. ერთ-ერთ დაზიანებულ ფურცელზეა მოთავსებული ჩვენთვის საინტერესო „საქართველოს მწერალთა“.

ვაჟას წერილი მიხილ ლობჯანიძესთან (ხეც, ვაჟა-ფშაველას ფონდი, № 229) აკადემიურ გამოცემაში გამოქვეყნებულია კუპიურით. კონიუნქტურული მოსაზრებით ამოღებულია აბზაცი, რომელიც ილიას მკვლევლობას შეეხება. ამ აბზაცში იკითხება: „დასელების (იგულისხმება მესამე დასი, ე.ქ.) საქციელი როდი მაკვირვებს. სხვა რა დაჰრჩენიათ საცოდავებს? მაშ, სხვით რით გამოისყიდონ თავის დანაშაული, თუ არ ჯამბაზობით?! ილიას მოკვლით მაგათ თავისი თავი, თავის მოძღვრება მოჰკლეს და ნუთუ ჰგონიათ აკაკის პატივისცემით დაიბრუნონ კვალად სიცოცხლე? სულ ტყუილია.“

გამოვყოფთ კიდევ ერთ მომენტს, ვაჟას შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისათვის მართლაც საგანგებოს. რამდენიმე ავტორაფულ ნუსხაზე (ხეც, ვაჟა-ფშაველას ფონდი, № № 18, 28, 143) მოთავსებულია გრაფიკული ჩანახატები. ძნელია, ეჭვი შევიტანოთ ვაჟას ავტორობაში, რადგან შესრულებულია ზედ ტექსტზე ტექსტის მელნით და კალმით (ვგულისხმობთ კალმის მონახაზის ზომას).

ვაჟას არქივი მრავალ ფიქრს აღძრავს ყველა თვალსაზრისით. მარადიული საკაცობრიო პრობლემების მატარებელი მისი შემოქმედება ყოველი თაობის კუთვნილებაა და, შესაბამისად, ყოველი თაობა საკუთარი პრობლემების ჭრილში შეისწავლის მას, რაც შეუძლებელია ავთენტური მასალის მომარჯვების გარეშე. ქართული ფილოლოგია ვალშია ვაჟას არქივის წინაშე. არქივთმცოდნეობის ძირითადი პრინციპი ცენტრალიზაციის პრინციპია. ამიტომ ყოველად საშური საქმეა ამ არქივის გაერთიანება მეცნიერული აღწერილობის დონეზე, რადგან არსებული საკანონმდებლო ბაზა მისი ფიზიკური გაერთიანების საშუალებას არ იძლევა.

ვაჟა-ფშაველას არქივში არის სტრიქონებს შუა ამოსაკითხი ინფორმაციები იმ ეპოქასა და გარემოზე, რომელშიც ფიზიკურ ცხოვრებაში იღვანა პოეტმა. მსოფლშეგრძნებითი თვალსაზრისით, შემოქმედი ორი სამყაროს რეალიზებას ემსახურება. ერთია ის, რომელშიც რეალობას ასახავს ყოფით თუ ფილოსოფიურ ჭრილში და მეორე — თავისი სულის მოძრაობას, სულის რეალობას აძლევს მატერიალურ სახეს სიტყვაში. ვაჟა ყოველნაირი მკითხველის მწერალია. თუ მკითხველთა გარკვეული წრისათვის იგი ისაა, ვინც თქვა, მტრისთვის მტერობა ღმერთმა გააჩინაო, ან ის, ვინც ალუდას შეუქო, რომ „ბევრს ქისტს მოაჭრა მარჯვენა“, გარკვეული წრისთვის მთლიანად ისაა ვაჟა, ვისაც აღმოხდა, „ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა, ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა“. ეს არის მისი სულის სიტყვებად ამოფრქვეული რეალობა.

ვაჟამ მთლიანად შემოუშვა ბუნება თავის არსებაში და ბუნებამაც ყველა გზა გაუხსნა, რამაც სამყაროს მთლიანობის ჰარმონიისა და მარადიულობის განცდას აზიარა.

ვაჟას არქივის საშუალებით იკვეთება ზნეობრივი გმირი არა მხოლოდ ფიქრთა მდინარებით, არამედ ცხოვრების წესით, იმ დიდი სიყვარულით და ზრუნვით, რომელსაც გარშემო მყოფთათვის გაიღებდა. ამიტომ გვეძვირფასება ვაჟას ხელით ჩანერილი ფერმკრთალი ადამიანების სახელები, რომელთა სამყაროში არსებობა მხოლოდ ვაჟას კალამმა დააფიქსირა. მელორეები ბასილა ჯანგირაშვილი და შაქრო ღვინიაშვილი, მარიამ მათიაშვილი, რომელსაც განცხადება შეუდგინა რუსულ ენაზე, აბრამა აკოფოვი, დუშეთის ქუჩა № 25-ში რომ ცხოვრობდა. გვეძვირფასება მით უფრო, რომ ეს სახელები ლექსების ავტორგრაფულ ნუსხებზეა მიწერილი.

არქივი საკრალური განცდის მატარებელია. თუ ბეჭდური სახით მის აზრებსა და მსოფლშეგრძნებას ვეზიარებით, არქივში სხვა ვაჟას მივეახლებით. ნათლად დავინახავთ, აზრთა მდინარების რა მოტივაციით, რა გაუსაძლის ყოფაში გამოატარა თავისი სათქმელი და მოქალაქეობრივი მრწამსი, როგორც დიდმა მოქალაქემ და დიდმა შემოქმედმა.

ვაჟა-ფშაველა იმ გამონკლისთა რიცხვშია, ვინც სამყაროს მართლ ანმყოფად კი არა, წარსულიდან და მომავლიდანაც უყურებდა. ამიტომ ეპოქა ვერ მართავდა მას, პირიქით, თავისი შემოქმედებით მომავლიდან დაიქვემდებარა იგი. ვაჟას ფენომენის ბოლომდე გაგება შეუძლებელია მისი უნიკალური შემოქმედებისა და საარქივო მასალის მთლიანობაში გააზრების გარეშე.

ამ არქივის გაცრეცილ, დალაქავებულ ფურცლებზე არეკლილი მინანურ-ჩანანურები იკითხება როგორც საგა იმაზე, როგორ ზნეობასთან უკომპრომისოდ განვლო ცხოვრება კონკრეტულ დროსა და სივრცეში მოქცეულმა ერთმა მოკვდავმა ლუკა რაზიკაშვილმა და რა ნატიფად გამოძერწა თავის თავში დროსა და სივრცეზე ამალეზებული, უკვდავებასთან ნაზიარები ფშაველი ვაჟა. ეს არ იყო ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ფშავში ლოკალიზება. ეს იყო ლოკალური ფშავის, ზოგადად, მთელი იმ გეოგრაფიული არეალის, მარადიულ ფასეულობებში ინტეგრირება. ვაჟა-ფშაველამ შეძლო ერთი კუთხის წარმავალი მაგალითები წარუვალ ღირებულებებად გარდაექმნა.

დამონეგანი:

ვაჟა-ფშაველა 1964: *ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.* ტ. I, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 18: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, *ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი № 18.*

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 28: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, *ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი № 28.*

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 30: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, *ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი № 30.*

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 43: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, *ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი № 43.*

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 134: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, *ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი № 134.*

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 143: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, *ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი № 143.*

ხეც, ვაჟა-ფშაველას პირადი ფონდი № 229: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, *ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი № 229.*



MANANA SHAMILISHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Vazha-Pshavela – Columnist

Vazha-Pshavela's journalistic essays are very interesting. His media texts are adequate to the requirements of a column. His articles "Cosmopolitanism and Patriotism", "Language (minor comment)", "Thoughts", etc published in printed media ("Droeba", "Iveria", "Imedi", "Theatre", "Shroma") are examples of opinion columns. His letters "Chreli Ambebi", "Pictures from Pshaveli's Life", etc could be called Pastoral Columns which is similar to Metro Column.

The material analyzed confirms that on the early stage of Georgian journalism apart from literary essays, examples of columnism can also be found in Georgian Journalism at an early stage.

Key Words: Vazha-Pshavela, opinion columns, pastoral columns, feuilleton columns.

მანანა შამილიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვაჟა-ფშაველა – მესვეტე

შემოქმედებითი მრავალმხრივობა მწერლის უდიდესი ღირსებაა. განსაკუთრებით ჟურნალისტური სარბიელი ეხმარება მას, რომ ცხოვრების შუაგულში იტრიალოს, არ მოწყდეს რეალობას. მხატვრული სიტყვის თანამედროვე ოსტატი რომ დავიმონმოთ, ჟურნალისტიკა „...გაიძულებს, დატოვო სპილოს ძვლის კოშკი და თვალი გაუსწორო სამყაროს, რომელშიც ცხოვრობ“ (მარკესი 2009: 38). მსგავსად ამისა, სხვაც იტყოდა: პუბლიცისტური ნიჭი თავიდან აცილებს პოეტს ესთეტიზმში ღრმად ჩაძირვის საფრთხეს და მასში აღძრავს გონებისა და რეფლექსიის უნარს (ბენაშვილი 1997: 442). თავის მხრივ, მწერლის სიტყვას ძალუძს ცხოველმყოფელობა, დღეგრძელობა მიანიჭოს პერიოდულ გამოცემას, სასიკეთო გავლენა მოახდინოს ადამიანთა ცხოვრებაზე. პრესის ფურცლებზე საავტორო გამოსვლები ეხმარება მწერალს პირუთვნელად და მტკიცედ გამოხატოს საკუთარი პოზიცია ქვეყნაში მიმდინარე პროცესებისა თუ საჭირობოროტო პრობლემატიკისადმი. ნათქვამს ყველაზე უკეთ ქართული ჟურნალიზმის წარსული გამოცდილება დაგვიდასტურებს.

მე-19 საუკუნეში, როდესაც საქართველო დენაციონალიზმის აშკარა საფრთხის წინაშე იდგა, მძიმე საშინაო ვითარება იმდროინდელი მწერლობისათვის განსხვავებულ დღის წესრიგს აყალიბებდა: მას საზოგადოებისთვის ფორუმის შემთავაზებლის, ერთგვარი მედიატორის, პრესას კი — განათლების „აგენტის“ ფუნქციას აკისრებდა. მაშინ სწორედ მწერლობამ იტვირთა ჟურნალიზმის რთული მისია, რამაც, სავარაუდოა, ბევრიც დააკლო ლიტერატურულ პროცესს, მაგრამ ეს „მსხვერპლი“, უწინარეს ყოვლისა, საზოგადო ინტერესების მსახურებით მართლდებოდა. და მანაც იმ პერიოდისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მაორიენტირებლის როლი წარმატებით მოიხრგო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მწერლის ამოცანაც რთულდებოდა. მხატვრულ — ესთეტიკურ ღირებულებასთან ერთად, მისი მედიატექსტები პოლიინფორმაციული, მეტადრე, პრობლემურ თემებზე ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო. ავტორს ცხადლივ უნდა წარმოეჩინა არსებული ვითარება, ეპოქის კონტექსტში გაეაზრებინა ქვეყნის ხვედრი და სამსჯავროზე გამოეტანა ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდა საზოგადოების წინსვლას, დემოკრატიულ ღირებულებათა შეთვისების პროცესს. ამ თვალსაზრისით გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ევროპული კულტურის პროპაგანდას, განათლებისა და კულტურის ევროპეიზების საკითხს. მდიდარი დასავლური გამოცდილების მოხმობით, შთამბეჭდავი ანალოგების მოშველიებით მწერალი ცდილობდა სათქმელი ისე მიენოებინა მკითხველისთვის, რომ მასზე ეფექტური გავლენა მოეხდინა. და მართლაც, მხატვრული ხერხებით გაჯერებული მწერლის ექსპრესიული თხრობა საუკეთესოდ აღწევდა მიზანს. მკითხველზე ზემოქმედების ხარისხი იზრდებოდა, განსჯისკენ მოუწოდებდა, საფიქრალს უტოვებდა.

საგრძნობი დროითი დისტანცირებისა და რადიკალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, მწერალი — პუბლიცისტი დღესაც ინარჩუნებს ოდინდელ მიზანდასახულობას. მისი ჟურნალისტური ნაღვანი კვლავაც აქტუალური და ყურადსაღებია. ცხადია, შეიცვალა გამოსვლის ფორმა, — ლიტერატურულმა ჟურნალისტიკამ პოზიციები ინფორმაციულის სასარგებლოდ დათმო, ანალიტიკაში კი მათ შორის შუალედურ პოზიციას დასჯერდა. გლობალურ ცვლილებათა ფორსირებულმა ტემპმა შემოქმედების ამ სფეროშიც მინიმალიზებისკენ სწრაფვის ტენდენცია და შესაბამისად, მოქნილი, კომპაქტური ფორმების საჭიროება წარმოქმნა. მყარი ჟურნალისტური ჟანრები წარსულს ჩაბარდა. მეტიც, დღეს ე.წ. ვერტიკალურ, ტრადიციულ მედიას ჰორიზონტალური, იგივე სოციალური, გნებავთ, ახალ მედიად სახელდებული ჟურნალისტიკა სერიოზულ საფიქრალს აძლევს. ტრადიციული აშკარად თმობს პოზიციებს ახლის სასარგებლოდ, სადაც ნებისმიერს შეუძლია იყოს კომუნიკატორი.

ამ ვითარებაში მწერლის პუბლიცისტურ სიტყვას თითქოს ყავლი უნდა გასვლოდა, ძველებური გავლენა დაეკარგა, მისდამი ინტერესი

განვლებულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა, — მეტი სიცოცხლისუნარიანობა შეიძინა. ღირებულებათა გადაფასების, გლობალური ტრანსფორმაციის თანმდევი ნეგატიური პროცესების განსჯა — შეფასება, დემოკრატიულ ღირებულებათა ერთგულება, მარადიულ თემათა შეხსენება, — ეს ის საკითხებია, რომელთა აქტუალიზებასაც თავიანთ მედიაგამოსვლებში ცდილობენ ჩვენი თანადროული მწერლები.

ვრცელი წინათქმა იმისთვის დაგვჭირდა, რომ ნათლად გვეჩვენებინა, თუ რა დიდი გავლენა და მნიშვნელობა აქვს პრესით გაცხადებულ მწერლის ნამაქიან სიტყვას. მით უფრო, როცა ის სრულიად გამორჩეულ შემოქმედს, ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის. ვაჟას პუბლიცისტური ნაღვანი, ილიასა და აკაკისთან ერთად, ამ მხრივაც ინარჩუნებს უპირატესობას ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

სანამ ამ ერთობ საპასუხისმგებლო საქმეს შევუდგებოდეთ, ერთსაც დავძენთ: დღეს ჟურნალისტიკის ქართველი თეორეტიკოსები მომეტებულად საუბრობენ დასავლური მედიისთვის სახასიათო ფორმებზე, მათ მნიშვნელობასა და თავისებურებებზე. თუმცა, ჩვენი ემპირიული მედიაგამოცდილება ხშირად ამ თემაზე საუბრის ხელოვნურობაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე ავთენტურ სივრცეში აღნიშნულ ფორმათა სიცოცხლისუნარიანობაზე. რატომღაც გვაინწყდება, რომ შინაარსი თავად ეძიებს მანიფესტაციის ფორმებს. რაღა თქმა უნდა, არავინ დაობს დასავლურ ჟურნალისტურ ტრადიციათა გაცნობა-გაზიარების სარგებლიანობაზე, მაგრამ ნებისმიერი თეორიის ფასეულობა სწორედ იმით განისაზღვრება, თუ რამდენად გვეხმარება პრაქტიკულ ძალისხმევათა ათვისებაში. ბევრი „სიახლე“ სულაც კარგად დავინწყებული ძველია და ზოგჯერ იმაზე ძველიც, ვიდრე წარმოგვიდგენია.

აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტური სვეტის დასავლურ მედიაში ერთობ გავრცელებული ფორმა არც ქართული ჟურნალისტიკისთვისაა უცხო და ახალი. აქ უფრო სახელდების განსხვავებულობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე არსობრივ სხვაობასთან. ჩვენი მდიდარი პუბლიცისტური არქივიდან ამ ფორმის შესატყვისი არაერთი ნიმუში შეგვიძლია მოვიძიოთ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვები“ სხვა არაფერია, თუ არა საავტორო სვეტები, გადაქცეული რედაქტორის გვერდებად, ე.წ. „ედიტორიალებად“ (Editorial Page).

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური მოღვაწეობა ამ კუთხითაც ნაყოფიერი კვლევის საშუალებას გვაძლევს. თუმცა, ასევე ნათლად ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს მონადინებასაც, მავანთა თვალში, შესაძლოა ხელოვნურობის, შეუთავსებლის შეთავსების მცდელობის ელფერი დაკრავდეს. მაგრამ კრიტიკოსთ, თუკი ასეთები გამოჩნდებიან, ბექგრაუნდ-ინფორმაციის სახით შევახსენებთ, რომ ჟურნალისტური სვეტის ისტორია დღეს არ დანყებულა. იგი ლამის საუკუნოვანი ისტორიისაა, ხოლო მისი დასავლურ პრესაში დამკვიდრების ხანა ვაჟას მოღვაწეობის ბოლო პერიოდსაც სავსებით ემთხვევა (ჟურნალისტური სვეტები

პირველად მე-20 საუკუნის დასაწყისში, ამერიკულ მედიაპრაქტიკაში დამკვიდრდა).

რაც შეეხება თვით იდეას ქართველთა „კალამისტობის“ წარსულში ძიებისა, — ქალბატონ დიანა ტყეზურავას ვუმაღლით, რომელმაც ჟურნალისტური სვეტები თანამედროვე მედიასივრცეში ერთ-ერთმა პირველმა იკვლია (ტყეზურავა 2009: 67-88). ჟურნალისტიკის დასავლელი თეორეტიკოს — პრაქტიკოსების ნააზრევთან ერთად, დამონმებული ავტორის შრომა ჩვენთვის განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა. აქვე აღსანიშნია ჟურნალისტური სვეტების შესახებ მ. გერსამიას საყურადღებო ძიებაც (გერსამია 2011: 35 - 61). წინამდებარე სტატია სწორედ ზემოთ ნახსენები „ნაჩუქარი“ იდეის ხორცშესხმის მოკრძალებული მცდელობა გახლავთ.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, რთულმა ეპოქამ წინა პლანზე პუბლიცისტურობის მოთხოვნა დააყენა. ხშირად, საჭიროებიდან გამომდინარე, მწერალს სწრაფი რეაგირება უნდა მოეხდინა მოვლენაზე, მისთვის ზუსტი კვალიფიკაცია მიენიჭებინა, ფაქტი პირდაპირ შეეფასებინა. ამის თაობაზე შეგვიძლია თავად მწერლის შეხედულება მოვიხმოთ. ვაჟას აზრით, ლიტერატურა ერთსახოვან-ერთგვაროვანი არ არის. სიმართლე, მწერლობაში ორნაირად ითქმის, ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს: ერთია პოეტურ-ბელეტრისტული და მეორე — პუბლიცისტური. ნოდარ ტაბიძის შეფასებით, ეს გამიჯვნა არსებითად სწორია. პუბლიცისტიკა ვაჟას ესმის ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, როგორც ცხოვრების მიერ წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი საკითხების, სინამდვილეში არსებული მწვავე და საჭირობოროტო პრობლემების დროული და პირდაპირი, მკვეთრად გამოვლენილი ტენდენციით გაშუქება. (ტაბიძე 1978: 201) ვაჟა წერს: „პოეტი სურათებით, გრძობად — კონკრეტული სახეებით გვესაუბრება, პუბლიცისტი კი ცხოვრების მოვლენათ არკვევს და მის მიზეზებს უჩვენებს“. აქ მწერალი ნათლად მიგვანიშნებს, რომ საკითხის გარკვევის, ახსნის, განსჯის გარეშე ნამდვილი პუბლიცისტიკა არ არსებობს. მისი ნაღვანი ამ სიტყვების პრაქტიკული დადასტურებაა.

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური ხელწერა ისევე გამოირჩევა თავისთავადობით, როგორც მთელი მისი დაუვინყარი შემოქმედება. „იგი (მწერლის პუბლიცისტიკა — მ.მ.) დამოუკიდებელი სამყაროა, სადაც თავისებურადაა დანახული საგნები და მოვლენები, განსაზღვრული მიზნით და გარკვეული კონცეფციის საფუძველზე“. (ნ. ტაბიძე 1978: 216). ვაჟას, როგორც პუბლიცისტის პოზიცია მისივე მსოფლალქმის ნაწილია. იგი შეფასების განსაზღვრულ წილს, ზნეობრივ ორიენტირებსა და გააზრებულ პიროვნულ პასუხისმგებლობას მოიცავს. ეს სოციალური პასუხისმგებლობაა თქმულის გამო, რადგან საგაზეთო სივრცეში გამოხატული თვალსაზრისი ფართო აუდიტორიისადმი მიმართული. მწერალს ბოლომდე შესისხლხორცებული ჰქონდა ეს დიდი მისია, რასაც თავისი შესანიშნავი წერილებით საუკეთესოდ გამოხატავ-

და. იგი მუდმივ დიალოგში იყო ჩართული მკითხველთან. ამიტომაც მწერლის ჟურნალისტური პოზიცია უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც შეხედულებათა სისტემა, არამედ — ზოგადად ტექსტში ავტორის არსებობა. ასევე, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ავტორის კონცეფციის გამოვლინების ლექსიკურ და სტილისტიკურ საშუალებებზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევისას გვერდი ავუარეთ იმ მასალათა განხილვას, რომლებშიც პუბლიცისტურ თხრობას ესეისტური სჭარბობს და შესაბამისად, ლიტერატურული წერილების რიგს მეტად განეკუთვნება, ვიდრე წმინდა ჟურნალისტურისას.

საკითხი შემდეგი თანმიმდევრობით ვიკვლიეთ:

- განვსაზღვრეთ ტექსტში ავტორის პოზიცია და მისი გამოხატვის ხერხები
- მწერლის მედიატექსტებზე დაყრდნობით გამოვარკვიეთ სვეტის, როგორც ფორმის (ჟანრის) თავისებურებანი
- გამოვავლინეთ მწერალი-მესვეტის შემოქმედებითი ნიშან-თვისებანი

ვიდრე უშუალოდ მწერლის პუბლიცისტურ ნაღვანზე ჩამოვადგებდეთ სიტყვას, კვლევის ტერმინოლოგიურ აპარატზე, კერძოდ, სახელწოდება „სვეტის“ ეტიმოლოგიასა და ქართულ მედიაში მისი დამკვიდრების ისტორიაზე დავყოვნდებით.

რა არის ჟურნალისტური სვეტი? იგი ორგვარი მნიშვნელობით წარმოგვიდგება: სვეტი, როგორც ჟურნალისა და გაზეთის დაკაბადონებისას ტექნიკური გაფორმება და სვეტი, როგორც სპეციფიკური პუბლიცისტური თვისებების მქონე მედიატექსტი (გერსამია 2011: 35). ზოგადად, სვეტი ინგლისური სიტყვის, „Column“- ის, ქართული შესატყვისია, რომელიც საავტორო ჟურნალისტიკის დეფინიციისთვის გამოიყენება. ტერმინი შეგვიძლია უცვლელადაც გადმოვიტანოთ, როგორც კალამნისტი. მას ბარბარიზმადაც ვერ ჩავთვლით, უფრო ვინროსპეციალურ, საერთაშორისო ლექსიკიდან ნასესხებ ტერმინთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

ცხადია, ვაცნობიერებთ იმ პასუხისმგებლობასაც, რასაც გვაკისრებს ჩვენი მცდელობა, უცხოენოვანი ტერმინოლოგია მივუსადაგოთ ენის „გახორკლიანების“ წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის შემოქმედებას. მაგრამ აქაც ისევ მგოსანი მოგვეშველება ენის სინმინდის თაობაზე თავისი „მცირე შენიშვნით“: „წინ წასვლა ენისა და წარმატება მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ენა მდიდრდება ახალის სიტყვებით, რომელიც საჭიროა ახალთა ცნებათა გამოსახატავად“ (ვაჟა-ფშაველა 1975: 633). ვაჟა თვლიდა, რომ სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ზრდა-განვითარება ხალხური ლექსიკიდან შესული სიტყვების ხარჯზე უნდა მომხდარიყო, თუმცა არ უარყოფდა ნეოლოგიზმების საჭიროებასაც, - სხვა ენებიდან საგნებისა და ცნებების აღმნიშვნელი იმგვარი ლექსიკური მასალის შემოტანას, რო-

მელთა გამომსახველი სიტყვები ქართულში არ მოგვეპოვება. ამასთან, იგი პროცესის გააზრებულად, დიდი წინდახედულობითა და აუჩქარებლად წარმართვის საჭიროებაზე გვაფრთხილებდა.

ზემოთ ვამბობდით, რომ სვეტი ამერიკაში მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, დღეს იმდენად პოპულარულია, მთელ მსოფლიოში „კალამნისტა“ სპეციალური შემოქმედებითი გაერთიანებებიც კი იქმნება. ქართულ პრესაში იგი პირველად 90-იანი წლების მიწურულს, გაზეთ „ახალ ვერსიაში“ გამოჩნდა, გიგი მესვეტის (ჟურნალისტი გია იაკობაშვილი) ფსევდონიმით. თანამედროვე ქართულ მედიაში „მესვეტეობას“ ბევრი მიმდევარი ჰყავს (აღსანიშნავია ცნობილ მწერალთა: აკა მორჩილაძის, ლაშა ბულაძის, რატი ამაღლობელის საავტორო სვეტები). ხშირად მიმართავენ ამ ჟურნალისტურ ფორმას სოციალურ მედიაშიც.

როგორც უკვე ვახსენეთ, ბოლო წლებში ჟურნალისტიკაში ჟანრთა შორის მიჯნათა ნაშლის, მათი ნიშნებისა და ფუნქციების შერწყმის ტენდენცია მძლავრობს, — ერთნი თავისსავე თავს სპობენ, სხვანი, პირიქით, მეტისმეტ პოპულარობას იძენენ. ამიტომაც მათი წარმოქმნა დოგმად კი არ უნდა ჩავთვალოთ, უბრალოდ უნდა გავითვალისწინოთ. ეს პროცესი იმდენად გვინტერესებს, რამდენადაც საუკეთესოდ წარმოაჩენს, თუ რა მეთოდსა და ფორმას ირჩევს ავტორი საკუთარი პოზიციის რეპრეზენტაციისათვის.

თუკი ინფორმაციული ჟურნალისტიკა ძირითად მეთოდად ემპირიულ დონეს ირჩევს, რითაც მოვლენის მხოლოდ სურათს ქმნის, ანალიტიკური ჟურნალისტიკა და მასთან, სვეტის სახესხვაობა რაციონალურ-შემეცნებით (ლოგიკურ) მეთოდს ემყარება. იგი ორიენტირებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, განვითარების ტენდენციების სიღრმისეულ შესწავლაზე, შეფასებაზე, არგუმენტაციის გამყარებაზე და ა.შ.

ვაჟა, როგორც ჟურნალისტური სვეტის ავტორი, მკითხველთან მჭიდრო კავშირს ამყარებს და მას თანაგანცდისა და თანაგააზრებისკენ მოუწოდებს. სურს მისი საქმის კურსში ჩაყენება, სინამდვილის რეალობისგან გაუმიჯნავად ჩვენება, სიტუაციის შესაძლო განვითარების ერთობლივად განსჯა. ეს ყოველივე ცხადყოფს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჟანრის (ტექსტისთვის ფორმის) შერჩევას, რადგან იგი ავტორისეულ პოზიციას მკაფიოდ წარმოაჩენს.

თუკი ამერიკელი თეორეტიკოსების კლასიფიკაციას გამოვიყენებთ და მწერლის საავტორო სვეტებს თემატურად დავაჯგუფებთ, აღმოჩნდება, რომ წერილების ერთი ნაწილი ჟურნალისტური სვეტის ფართოდ გავრცელებულ სახეობას ზუსტად მიესადაგება. პუბლიკაციათა გარკვეულ ნაწილს, მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ სახელდებულ ჯგუფებში გავაერთიანებთ.

გამოსახვის მეთოდის შესაბამისად, სვეტის სხვადასხვა სახეობა ფორმირდება. მათგან ერთ-ერთი გავრცელებული თვალსაზრისის სა-

ავტორო სვეტია (Opinion), რომელიც ჩვენშიაც მონონებით სარგებლობს. მისი ნიმუშები მე-19 საუკუნის პერიოდიკიდანაც უხვად შეგვიძლია მოვიხმოთ. განსაკუთრებული შთამბეჭდაობით იგი ვაჟა-ფშაველასთანაა ნარმოდგენილი. სხვადასხვა დროს პრესაში (თითქმის არ დარჩენილა იმხანად პერიოდული გამოცემა, რომლის ფურცლებზეც მისი წერილი არ დაბეჭდილიყოს. დავასახელებთ: „დროება“, „ივერია“, „იმედი“, „ისარი“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო ფურცელი“, „თეატრი“, „შრომა“, „სახალხო გაზეთი“) დასტამბული მწერლის ცნობილი პუბლიკაციები: „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, „ენა“ (მცირე შენიშვნა), „ფიქრები“ („უნდა ვიფიქრო, ვინაიდგან...“), „ზოგი რამ ფიქრებიდან“, „საახალწლო ფიქრები“, „დიდ-მარხვა“, „ქალთა შესახებ“ და ა.შ. თვალსაზრისის საავტორო სვეტებად შეგვიძლია განვიხილოთ. მათგან ყველასთვის კარგად ცნობილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ამას საუცხოოდ გვიდასტურებს. 1905 წელს, გაზეთ „ივერიაში“ (№ 172) გამოქვეყნებული ეს მცირე შედეგრი გვიჩვენებს, თუ რაოდენ აქტუალური და გაუხუნარია ის პრობლემები, რომლებიც ასე პრინციპულად დასვა ვაჟამ თანადროული საზოგადოების წინაშე. ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ცნება მან სამშობლოსა და კაცობრიობის სიყვარულის ერთიანობაში გამოხატა. გამოცდილი ამერიკელი „მესვეტეების“ მტკიცებით: „Columnist-ტობა კონცენტრირებული ამბავთ-თხრობაა“ (ტყებუჩავა 2009: 73). ეს კრიტერიუმი მწერლის არაერთი შესანიშნავ წერილს მიესადაგება, რომელთაგან „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ მართლაც რომ დიდი ოსტატობით, ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი ნიმუშია. განუმეორებელია ვაჟას, როგორც პუბლიცისტის ხელწერა. იგი კომპოზიციური დახვეწილობით, ასოციაციებისა და პარალელების სიუხვით, ეფექტური შედარება — შეპირისპირების ხერხებით, მეტყველი მეტაფორებით გვხიბლავს. პუბლიკაციის მაგისტრალური ხაზი სათაურშივეა გამჟღავნებული და ამ ორი ცნების კორელაციის თემას გამოკვეთს. ვაჟამ ისეთი დასაბუთებული და შეუმცდარი ახსნა შემოგვთავაზა ამ საჭირობოროტო საკითხისა, — სადღეისოდაც არ საჭიროებს კორექტირებას.

მარადიულ ჭეშმარიტებად აღიქმება მწერლის დებულება, რომ „ყოველი მამულიშვილი თვის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისთვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისთვის“ (ივერია 1905: 3). აქვე გავიხსენოთ მოგვიანებით, 1910 წელს დასტამბული წერილი „მცირე შენიშვნა“, ქუთაისში გამართული ილიას საღამოს კრიტიკოსთა საპასუხოდ რომ დაიწერა და რომელშიც ვაჟა განავრცობს კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართების თემას. ავტორი სრულიად მართებულად ასკვნის: „ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?“ (ვაჟა-ფშაველა 1975: 710).

მართებული და გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ვაჟასთან სადღეისოდ მხოლოდ ტერმინი „კოსმოპოლიტიზმი“ ითხოვს დაზუსტებას. „შინაარსი, რომელიც მასში არის ნაგულისხმევი, უფრო მოსახერხებელია სიტყვა „ჰუმანიზმი“ აღნიშნოთ და მაშინ ყველაფერი სრულიად თვალსაჩინო გახდება: პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი ერთმანეთიდან გამომდინარეობს, გულისხმობს ერთმანეთს და ერთად წარმოადგენს ეფექტიან წამალს კანიზალობის, როგორც ნაციტური, ისე კოსმოპოლიტური სახესხვაობის წინააღმდეგ“ (ბერძენიშვილი 2003: 10).

თვალსაზრისის სვეტების ნიმუშთა განხილვა გვარწმუნებს, რომ პუბლიცისტური გამოსვლის აღნიშნული ფორმა ავტორის პოზიციის გასამყლავნებლად ძალზე ეფექტური საშუალებაა. მასში მწერლის ინდივიდუალიზმი და სტილი საუკეთესოდ ვლინდება.

ამჯერად განსაკუთრებულ ყურადღებას მწერლის მიერ 1877-1878 წლებში, გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ კორესპონდენციებს მივაპყრობთ. უპირველესად იმის გამო, რომ ისინი ვაჟას ერთ-ერთი პირველი საგაზეთო ტექსტებია და თანაც, „წმინდა“ პუბლიცისტური ხელწერისა, მწერლისთვის ნიშნული ესეისტური მანერისგან განსხვავებით. ვგულისხმობთ, რომ ამ წერილებში ინფორმაციულობის ხარისხი იზრდება, თუმცა არა მხატვრულ — ესთეტიკურის ხარჯზე. წერილები გაზეთის მუდმივი რუბრიკის ქვეშ — „დროების კორესპონდენციები“ — ქვეყნდება და ყოველთვის, გამოცემის პირველ ან მეორე გვერდზე იბეჭდება. პირველ გვერდზე მარჯვენა სვეტი უჭირავს, ხოლო მეორეზე — უმეტესად მარცხენა, ზოგჯერ კი — საპირისპირო მხარე აქვს შემოსაზღვრული. საერთოდ, „დროების“ გვერდი, როგორც იმ დროს გამომავალი გაზეთების უმრავლესობისა, მუქი ხაზებით გამოკვეთილ სვეტებად იყოფოდა, ამ შემთხვევაში სამ სვეტად და ე.წ. „სარდაფად“, რომელსაც „ფელეტონი“ ერქვა. მაგრამ აღნიშნულ სახელდებას ჟანრთან კავშირი არ აქვს, ამ განყოფილებაში უმთავრესად მხატვრული ნაწარმოებები და ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები თავსდება. ასევე, რუბრიკის სახელწოდება „კორესპონდენციები“ ვერ განსაზღვრავს მის ქუდქვეშ მოთავსებული ტექსტების მოცემული ჟანრისადმი მიკუთვნებულობას. როგორც ვიცით, კორესპონდენციები მშრალი, ინფორმაციული ხასიათისაა, „დროება“ კი აღნიშნული სახელწოდებით ანალიტიკურ მასალას გვთავაზობდა. ცხადია, რაიმე მხრივ არც სვეტი, როგორც გაზეთის გაფორმების დეტალი, მიგვანიშნებდა მის პუბლიცისტურ შინაარსზე.

ყმანვილი ვაჟას (იგი სრულიად ახალგაზრდა, 17-18 წლისა გახლდათ, პირველი პუბლიკაციებით რომ გაიბრწყინა „დროების“ ფურცლებზე) ერწო-თიანეთიდან, ხევსურეთიდან, ფშავის ხევიდან, დიდი თონეთიდან გამოგზავნილ წერილებსა და კორესპონდენციებს პირობითად პასტორალური თემატიკის სვეტებს (Pastorale Column) ვუნოდებთ, მსგავსად „მესვეტეობის“ ამერიკულ თეორიაში არსებული მეტ-

როთემატიკის სვეტისა (Metro Column), რომელიც მეტროპოლისის თემებს ეძღვნება.

„დროების“ კორესპონდენციები ვაჟას მიერ ხელმოწერილია ინიციალებით: „ლ. რ-ზ“, „ლ. პ-ზ“ (მწერალი „PRO DOMO SUA“-ში აღნიშნავს, რომ გაზეთში ერთგან ინიციალები შეცდომით დაიბეჭდა: „ლ. ზ-რ“) ან ფსევდონიმებით: „კათაკმეველი“, „თუმ-ფშავ-ხევსური“, „თიანეთელი“. ისინი ძირითადად მთის რთული ყოფის აღმწესხველი წერილებია. ვაჟა თავისი განუმეორებელი ხელწერით — ცოცხალი იუმორით, სარკაზმით, ხან გამჭვირვალე ქვეტექსტებით, ხანაც ქარაგმით — მთიელთა ცხოვრების წარუშლელ სურათებს ხატავს.

ნიმუშებად შეგვიძლია მოვიტანოთ 1878 წლის „დროებაში“ დასტამბული 5, 12 და 29 აპრილის „კორესპონდენციები“ თიანეთიდან (სვეტები ხელმოწერილია „თუმ-ფშავ-ხევსურის“ ფსევდონიმით). ასევე, იმავე წლის გაზეთის № 220-ში დასტამბული „რამდენიმე სურათი ხევსურების ცხოვრებიდან“ (ხელმოწერილია ინიციალებით — „ვ.ბ.“), 3 მაისის (№ 85) კორესპონდენცია „თიანეთელის“ ხელმოწერით და ა.შ. ეს წერილები „მთის კაცის“ ცხოვრებიდან აღებულ კონკრეტულ ფაქტებზეა აგებული (თიანეთის „მროვი სუდიის“ „მეენის“ ვინმე „კ.ჭ.“-ს მზაკვრობები, „ალუდას ქალთან“ შეხვედრა, სომეხ ვაჭართაგან დაზარალებული ფშაველის, დავით თინიბეგაშვილის ამბავი და სხვა) აღნიშნული ტექსტები მრავალაქცენტიანია. აქ მეტად პრობლემური საკითხებია სამსჯავროზე გამოტანილი: იქნება ეს მოხელეთა თვითნებობის, მექრთამეობის, მართლმსაჯულების დანაშაულებრივი ქმედების (მწერალი „ყაენობით“ ნათლავს მოსამართლეთა თავაშვებულობას) ამსახველი ფაქტები თუ მაზრის უფროსებისა და პოლიციელ მაღალჩინოსანთა თავაშვებულობის მამხილებელი დაუფარავი კრიტიკა. საქართველოს ერთი ულამაზესი კუთხის ფონზე მთელი საქართველოს პრობლემებს ვხედავთ. პუბლიცისტის ფხიზელი განსჯით, კრიტიკული პათოსით აღსავსე ეს პუბლიკაციები სავსებით შესაძლებელია, კრიტიკული მიმოხილვის სვეტებისთვისაც (Critic Reviewer) მიგვეკუთვნებინა.

ვაჟას პუბლიცისტურად მახვილ, სატირულ-იუმორისტული შინაარსის მასალას ფელეტონის სვეტის (Feuilleton Column) სახელწოდება მოეუძებნეთ, ამერიკელ თეორეტიკოსთა კლასიფიკაციით შემოთავაზებული იუმორისტული სვეტის (Humour) ყაიდაზე. სვეტის ამ ფორმას გაზეთ „ივერიაში“ დასტამბული (1901, № 263, 1902, № 74) „თიანური ფელეტონები“ ესადაგება. მწერალი თიანელებს უნიგნურობის გამო საყვედურობს, კიცხავს „გონებით მძინარე“ იქაურ ინტელიგენციას, რომელსაც მხოლოდ ჭორი თუ გამოაფხიზლებს. ნათქვამს სინამდვილიდან მოტანილი მაგალითებით ასაბუთებს. პუბლიცისტური გამოსვლის ამ მოქნილი და ეფექტური ფორმის მნიშვნელობაზე თავადაც შენიშნავს: „საფელეტონო მასალა აუარებელი გვაქვს, ხოლო მეგაზეთენი ვსდუმვართ და არაფერს ვამბობთ, და არც არაფერს ვწერთ. დაგვიშვია მხრები, ჩაგვვარდნია მუცელში ენა; რა უყოთ, ზოგჯერ თუ

თქმითაც დაშავდების, ზოგჯერ ხომ თქმა სჯობს უთქმელობას, — ეს მცნებაც დავივიწყეთ“ (ივერია 1901: 1-2).

სვეტის ამ სახესხვაობას შეგვიძლია მივუსადაგოთ ასევე ფელეტონი „ბიუროკრატის ჩივილი“, რომელიც 1905 წლის გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა, რუბრიკით „სადღეისო“ (ივერია 1905: 3). იგი მწერლის მიერ ხელმონერილია და გაზეთის მესამე გვერდის მარჯვენა სვეტი უჭირავს. წერილში მხილებულია იმდროინდელი ბიუროკრატის მანკიერებანი: ჩამორჩენილობა, სისასტიკე, დაუნდობლობა. ბიუროკრატის პირით აქ ცარიზმი მეტყველებს თავისი უხეში, ტლანქი, ტირანული ბუნების გამო. ბიუროკრატი ხალხის კანონიერ მოთხოვნას „ტვინის გადაბრუნებად“ ნათლავს; ილიას ჩინოვნიკისა არ იყოს, კულტურისა და ცივილიზაციის მაღალ დონეს გენერლების რიცხვის სიმრავლით ზომავს და ამით ააშკარავებს თავის გონებრივ უმწეობას, და არა მარტო თავის უმწეობას, არამედ გაბატონებული საზოგადოების მორალურ სილატაკეს. „იყავი ნიბლიასავით განაბული, იცხოვრე თავმდაბლად“, ნუ გასწევ წინააღმდეგობას და ბედნიერი იქნები, — ესაა ბიუროკრატის ცხოვრებისეული კრედო. ამგვარი მოქმედების შედეგად მიიღო მეფის მონყალება პენსიისა და ორდენების სახით. ამგვარ ცხოვრებას იგი გონიერ, ჭეშმარიტ ცხოვრებას ეძახის.

მწერლის მიერ სატირიკოსის დიდი ოსტატობით დახატული ბიუროკრატის სახეში მთელი სისტემის სიმახინჯე მოჩანს, მაგრამ „ვაჟას ხელში გესლიანი სატირა არადროს გადადის იაფფასიან გროტესკში და ყოველთვის ინარჩუნებს ჭეშმარიტი პუბლიცისტის ღირსებას“ (ბენაშვილი 1997: 455).

ერთგან აღნიშნავს: „პირადის ანგარიშების გასწორებამ კი არ დამანერინა ჩემი ფელეტონი, სწორედ გულშემატკივრობამო“; სხვაგან კი ამბობს: „თუ თქვენთან ერთად სამიც არის შეგნებული ქართველი ამასვე იტყვის ჩემზე, ე.ი. რომ მე გული არ შემტკივა ქვეყნისათვის, მაშინ მე კალამს ვაგდებ ხელიდამ და გამოვეთხოვები სამწერლო ასპარეზს“. ეს და სხვა ცალკეული გამონათქვამები გენიალური მწერლის მოღვაწეობის არსსა და მისი წერის მანერაზე მიუთითებს. მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა საზოგადოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობას, ობიექტურობასა და სიმართლის თქმას ემყარება.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველას საავტორო სვეტები მრავალფეროვანი და აქტუალური თემატიკის შემცველია. წერის პერსონალური მანერა, კოლორიტული სტილი სხვათაგან მკვეთრად გამოარჩევს სადღეისოდაც ყავლგაუსვლელ მის ჟურნალისტურ ნაღვანს, დიდი შემოქმედის მსოფლალქმით აღბეჭდილს. მამხილებელი პათოსი, პოლემისტური ოსტატობა, მოქალაქეობრიობრივი პოზიცია, მდიდარი ეთნოგრაფიული ფონი, ცოცხალი, მეტყველი ფაქტები, მიმზიდველი თხრობა, პროგრესული თვალსაზრისი მწერლის მედიატექსტების სუბიექტური სინამდვილის სტრუქტურას ქმნის.

ვაჟას ჟურნალისტურ სვეტებზე დაკვირვებისას შემდეგი ძირითადი თავისებურებები გამოიკვეთა:

1. მწერლის სხვა პუბლიცისტური ნაღვანისგან სვეტებს განასხვავებს ლაკონური და ტევადი თხრობის მანერა.

2. ვაჟას სვეტებისთვის სახასიათოა დიალოგურობა, მკითხველთან მუდმივი კავშირის მოთხოვნილება, თანამოაზრობისკენ, თანაგანცდისკენ მონოდება.

3. თხზვისას გამოყენებულია სვეტებისთვის ნიშნული ინდივიდუალური დაკვირვების მეთოდი: ავტორის მიერ სხვადასხვა წყაროდან მოძიებული ინფორმაცია ცხოვრებისეული პრაქტიკითა და პირადი გამოცდილებითაა დადასტურებული. ეს ყოველივე საზოგადო სიმართლის წარმოჩენის მიზანს ემსახურება.

4. მხატვრული აქსესუარის უხვად გამოყენებით, სუბიექტური „მე“-ს წინ წამოწევიტ პუბლიცისტურ სვეტებშიც აქტიურად მჟღავნდება ესეისტური მიდგომა, — ვაჟას ხელწერისთვის სახასიათო ე.წ. „ფანჯრის ეფექტი“, რომლითაც იგი ცხოვრებასა და სამყაროზე უნიკალურ ხედვას გვიზიარებს. თუმცა, „სარკისებულ ეფექტსაც“ (ტერმინები პროფესორ მარკ მასეს ეკუთვნის) ხშირად მიმართავს, როდესაც მკითხველს საკუთარი ყოფის ამსახველ გამოცდილებას სთავაზობს.

ამგვარია ვაჟა-ფშაველას, როგორც ჟურნალისტური სვეტების ავტორის, ხელრთვა და მიზანდასახულობა.

ცხადია, ნაშრომში მოხმობილი ნიმუშები ამ მეტად საინტერესო საკითხზე სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. მის შესასწავლად უფრო სიღრმისეული, მრავალმხრივი კვლევაა საჭირო. ამჯერად ვეცადეთ მხოლოდ ძირითადი ტენდენციები გვეჩვენებინა. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ თვალთახედვის მიღმა მწერლის არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია დაგვრჩა. კვლავაც შევნიშნავთ: ამოცანად მხოლოდ იმ მასალის მოძიებას ვისახავდით, რომელიც ჟურნალისტური სვეტის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა და არა ზოგადად ვაჟას მდიდარი პუბლიცისტური შემოქმედების ანალიზს.

ფიქრობთ, ჩვენ მიერ განხილული წერილები საკმაო საფუძველს გვაძლევს, რომ ქართული ჟურნალისტიკის წარსულ ეტაპზე გაბატონებული ლიტერატურული პუბლიცისტიკის გვერდით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის (თუ უფრო გვიანდელი პერიოდის) „მესვეტეობაზეც“ ვისაუბროთ.

დამონებიანი:

ბენაშვილი 1997: ბენაშვილი დ. *ვაჟა, როგორც პუბლიცისტი* — ვაჟა-ფშაველა. თბ.: 1997.

ბერძენიშვილი 2003: ბერძენიშვილი ლ. *პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე* [ონ-ლაინ სტატია] (განთავსებულია 2008 წლიდან) მის.: <http://www.lib.ge/index.html>; internet.

გერსამია 2011: გერსამია მ. *საავტორო სვეტების შესახებ*. — ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში. თბ.: 2011.

ვაჟა-ფშაველა 1975: ვაჟა-ფშაველა. *თხზულებანი*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

ივერია 1901: „თიანური ფელეტონი“. გაზ. „ივერია“, № 263, 1901.

ივერია 1905: „ბიუროკრატის ჩივილი“. გაზ. „ივერია“, № 139, ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 1905.

ივერია 1905: „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. გაზ. „ივერია“, № 172, 1905.

მარკესი 2009: მარკესი გ. გ. *საუკეთესო საქმე ამქვეყნად* (თარგმანი მანანა შამილიშვილისა). ჟ. „დრომიკოსი“, № 1 თბ.: 2009.

ტაბიძე 1978: ტაბიძე ნ. *წერილები მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობის შესახებ*. თბ.: 1978.

ტყეზურავა 2009: ტყეზურავა დ. *ქართველი Columnist-ები ანუ ჟურნალისტური სვეტების ეფექტი ჩვენს თანამედროვე მედიასივრცეში*. — ჟურნალისტიკათმცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში. თბ.: „უნივერსალი“, 2009.

NATELA CHITOURI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Vazha-Pshavela in Georgian Emigrant Literature

The inheritance of XX century Georgian writers in Europe and USA, taboed in Soviet reality, with its “clichés” (Freedom from conjuncture of Soviet totalitarian system, special interest in national write), is especially valuable for post Soviet Georgian thinking space.

In this case we are interested in the evaluation of Vazha-Pshavela from emigrants’ point of view. Viktor Nozadze devoted several letters to Vazha-Pshavela-s creative work in journal “Kavkasioni” (XX Century, 60-ies, Paris). (In one letter he remembers meeting with Vazha-Pshavela). His not yet published work “Tales and stories of past time” (Written in 1948, France.) is extremely interesting.

Key words: emigrant writing, Vazha-Pshavela.

ნათელა ჩიტაური

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვაჟა-ფშაველა ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში

ინტერკულტურულმა, კომპარატივისტულმა კვლევებმა გამოკვეთა საზღვარგარეთ შექმნილი ეროვნული მწერლობის სპეციფიკური ხასიათი: განსაკუთრებული ფსიქოლოგიზმი (სხვა კულტურული მოდელის მიღებისას ნაციონალური მეხსიერების შენახვის შესაძლებლობა), „ხედვის კუთხის“ გადანაცვლება (ე. ნ. იმაგოლოგია) და სხვა. ქართული საზღვარგარეთული მწერლობის მნიშვნელოვანი ეტაპი (ინყება XX საუკუნის ოციანი წლებიდან ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლამდე) სხვადასხვა მიზეზთა გამო (იძულებითი ემიგრაცია, ჩაკეტილი სივრცე და ა.შ.) ცნობილია ემიგრანტულ მწერლობად. საბჭოთა სინამდვილეში ტაბუდადებული XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მემკვიდრეობა ევროპასა და ამერიკაში თავისი „კლიშეებით“ (თავისუფლება საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის კონიუნქტურისგან, განსაკუთრებული ინტერესი ეროვნული მწერლობის მიმართ, არასქემატურობა და ა.შ.), ვფიქრობთ, განსაკუთრებით ფასეულია პოსტსაბჭოთა ქართული საზღვარგარეთული მწერლობისთვის.

ამჯერად XX ს. ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში დაგვიანტერესა მოსაზრებებმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ არა მხოლოდ სრულფასოვნებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ ვაჟას შემოქმედებითმა სიახლეებმა, ბუნებასთან უჩვეულო დამოკიდებულებამ, მითოლოგიისა და ხალხური თქმულებების ამგვარმა გამოყენებამ, სინამდვილის მართლაც უცნაურმა, იდუმალებით მოსილმა აღქმამ ბიძგი მისცა და გზა გაუკვალა სხვადასხვა შეხედულებებს მწერლის მსოფლმხედველობის შესახებ, განსაკუთრებით XX ს-ის 40-50-იან წლებში.

XX ს. 20-30-იან წლებიდანვე კრიტიკოსებმა გამოთქვეს აზრი ვაჟას წარმართობის შესახებ. ს. დანელიას აზრით, ვაჟა „დარჩა იმ პირველ-ყოფილი გულუბრყვილო რეალიზმის ფარგლებში, რომელსაც ჯერ არ განეცადა ანალიტიკური ძალა აზროვნებისა...“ (დანელია 1927: 65-66).

გ. ქიქოძე: „ვაჟა-ფშაველა სამყაროს უცქერს, როგორც ნამდვილი წარმართი“ (ქიქოძე 1936: 48).

ს. ჩიქოვანი: ვაჟას სრულიადაც არ ჰყავდა ქრისტიანული ღმერთი და ვაჟა უფრო წარმართულად უცქეროდა სამყაროს“ (ჩიქოვანი 1940: 3).

მ. რადიანი: ვაჟა-ფშაველას პანთეიზმი იყო არა მხოლოდ უბრალო განწყობილებათა წყება, ან წერის მანერა, არამედ მთელი მსოფლმხედველობა...“ (რადიანი 1954: 540-541).

ტ. ტაბიძე: „ვაჟას აქვს ნამდვილი წარმართის მსოფლმხედველობა“ (ტაბიძე 1928: 18).

ამ შეხედულებათა საფუძვლების და მართებულობის განხილვა შორს წავიყვანს. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ვაჟას მსოფლმხედველობაში განსაკუთრებულად ესმის ხაზი მის პოლითეიზმს (მრავალღმერთიანობა), პანთეიზმს (ბუნებისა და ღმერთის გაიგივება, „ღმერთი არის ყველაფერი“ და „ყველაფერი არის ღმერთი“, კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ვაჟასთან საგნების სამყარო გაიგივებულია უსასრულობასთან, ბუნების „ყოველ სახეში“ ღვთაება იგულისხმება, ყოველი ცალკეული დაკარგულია ერთ მთლიანში, ინდივიდუალური სახე არ არსებობს, მკვდარი ბუნებაში არაფერია;) განსაკუთრებულად გამოყოფენ ვაჟას ანიმიზმობას (ბუნების ყოველი წარმონაქმნის გასულიერება, ყოველი ნივთი, ყოველი საგანი აღიქმება ცოცხლად, სული მიჩნეულია ინდივიდუალური არსების საკუთრებად. სულს შეუძლია მიაშუროს ინდივიდს ან მიატოვოს ის. ანიმიზმი არ გულისხმობს სულის დამოუკიდებელ არსებობას, სული ამ შემთხვევაში — ესაა საგნის სიცოცხლე).

ვაჟას შემოქმედების უჩვეულობამ ბიძგი მისცა მის ნაწარმოებებში ანთროპომორფიზმის საკითხის ძიებებსაც (უსულო საგნებს ან თუნდაც სულიერთ მიაწერენ ადამიანისათვის დამახასიათებელ გარეგნულ იერს, ქცევასა და მორალურ თვისებებს).

ამკარაა, რომ ადრეული კრიტიკა უდავოდ მოიკოჭლებდა ვაჟას პოეტური ხელოვნების შეფასებაში. ის უმთავრესად დიდი მოაზროვნის შემოქმედების მხოლოდ იდეურ-მინაარსობლივი პრობლემების

გარკვევით იყო დაკავებული, ხოლო ნაწარმოებთა მხატვრული მხარე უყურადღებოდ მიატოვა.

ვაჟას შემოქმედების სიღრმისეულად გააზრებამ, მისი პოეტური ოსტატობის, მისი მხატვრული მეთოდების შესწავლამ თავისთავად, სრულიად ძალდაუტანებლად ადრევე (XX ს-ის 50-60-იანი წლებიდან-ვე) გამოაცალა საფუძველი ვაჟას ნაწარმოებებში ამ „იზმებისა“ და თეორიების მოძიებას.

საკმარისია დავასახელოთ თუნდაც გრ. კიკნაძის ნიგნი „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ (1943, 1957 წ.წ.) ასევე თ. ჩხენკელის გამოკვლევები („ტრაგიკული ნიღბები“, 1971 წ.) და ა.შ., რომლებშიც ვაჟას მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი სიახლეების კვლევამ სწორი მიმართულება მიიღო.

ვაჟას ფენომენი თავიდანვე შმართებულად სწორად შეაფასეს XX ს. ქართველმა ემიგრანტმა მოღვაწეებმა. ცნობილია გრ. რობაქიძის არაერთი სიღრმისეული მოსაზრება ვაჟას შემოქმედების ისეთ პრობლემატურ საკითხებზე, როგორცაა დამოკიდებულება რელიგიასთან, მითოსთან, ხალხურ სიტყვიერებასთან. ამჯერად გვინდა ძალიან მოკლედ წარმოვადგინოთ დღესდღეობით რუსთველოლოგად ცნობილი მკვლევრის ვ. ნოზაძის ზოგიერთი მოსაზრება ვაჟას მხატვრული სტილისა და აზროვნების შესახებ.

ფაქტია და, რა თქმა უნდა, ლოგიკურია, რომ უცხოეთში მყოფი ქართველები ყოველ ღონეს ხმარობდნენ სამშობლოსთან დასაკავშირებლად, საქართველოში ახლად გამოსული ნიგნების მისაღებად უცნაური კონსპირაციული ხერხების გამოყენება სჭირდებოდათ. ისინი ცდილობდნენ თვალყური ედევნებინათ ქართული ლიტერატურის, კრიტიკული აზრის განვითარებისათვის, შეეფასებინათ, გაეანალიზებინათ ყველაფერი. როგორც ზემოთ აღინიშნა, XX საუკუნის ემიგრანტული მწერლობა ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულია საბჭოთა კონიუნქტურული წნეხის არარსებობის გამო. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იქ არსებული ინტელექტუალური პოტენციალიც, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში უფრო სწრაფად რეაგირებდა რაიმე მოვლენაზე, ნიგნზე „განსხვავებულ აზრსა და შეხედულებაზე, ვიდრე სამამულო აზროვნება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ემიგრანტული ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც, შეიძლება ითქვას, უნიკალურ ცნობებს გვანვდის ემიგრანტების სამშობლოსთან, ნათესავებთან ურთიერთობის შესახებ. სწორედ მიმონერიდან ირკვევა, რომ ვიქტორ ნოზაძემ, მაგალითად, იმავე წელს მიიღო 1924წ. „მნათობში“ დაბეჭდილი ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ასევე; ახლობლებს სთხოვდა გამოეგზავნათ მისთვის კრიტიკული ლიტერატურა ვაჟას შემოქმედების შესახებ.

საინტერესოა დღემდე ხელნაწერის სახით დაცული, ვიქტორ ნოზაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „გარდასულ დღეთა საქმენი და ამბავნი“ (დანერილია 1948 წელს, საფრანგეთში). ამ გამოკვლევის მე-4 თავ-

ში განხილულია მე-19 ს. ქართული ლიტერატურა. მათ შორის ვაჟას ზოგიერთი ნაწარმოებიც. ასევე ჟურნალ „კავკასიონში“ (XX ს. 60-იანი წლები, პარიზი) რამდენიმე წერილი მიუძღვნა ვაჟას შემოქმედებას. „კავკასიონის“ 1967 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მკვლევარი იგონებს დიდ პოეტთან შეხვედრას, რომელიც 1913 წელს მომხდარა. ამ დროს ვ. ნოზაძე ქართული გიმნაზიის მოწაფე გახლდათ. „ვაჟა კავკასიონის მთებიდან გადმოქუხს და თან მოაქვს ძლიერება და დიდება მთებისა. იგია მომღერალი გიჟ მდინარეთა და სალ კლდეთა, ბიბინა ყვავილთა და ნაირნაირ ფრინველთა და ნადირთა... იგია დიდი ფილოსოფოსი, ბუნების დიდი მესაიდუმლე; ძველ ჩვეულებათა და ცხოვრებათა ბრწყინვალე მხატვარი, ეროვნული მომღერალი...“ (ნოზაძე 1948: 685).

ვიქტორ ნოზაძე მკვეთრად ემიჯნება მკვლევრებს, რომელნიც ვაჟას წარმართად, ანამისტად, პანთეისტად აცხადებენ. რა თქმა უნდა, ვ. ნოზაძეს აქვს თავისი არგუმენტები.

უპირველეს ყოვლისა, ის ნამდვილად სწორ კვალს ადგას იმ თვალსაზრისით, რომ გასულიერება, პერსონიფიკაცია. ე.ი. უსულო საგნისათვის სულიერი ან ადამიანური თვისებების მიკუთვნება ანუ ის, რასაც ვაჟა ამბობს: „უსულო საგნებს სული ჩავბერე, ავასაუბრე ლოდები კლდისა“... (ვ. ნოზაძე იყენებს ტერმინს „პროსოპოპეა“, რომლის ზუსტი განმარტებაა სწორედ პერსონიფიკაცია, გაპიროვნება, გასულიერება) ვაჟასთან არის არა მსოფლმხედველობა, არამედ გამოსახვის ხერხი.

მართალიც არის: ვაჟა თავისი იდეების, ზნეობრივი კრიტიკრიუმების, ღირებულებების გადმოსაცემად, ასე ვთქვათ, „ვერ ჩაეტია“ ადამიანური სამყაროს, სულიერი სამყაროს ჩარჩოებში, მას დასჭირდა უსულო სამყაროს, ცხოველთა, ფრინველთა საზოგადოების გამოყენება, ამიტომაც უსულო წარმონაქმნთ სულიერის თვისებები, ადამიანის მსგავსი განწყობილებები და გარეგნობა მიაწერა (გავიხსენოთ: თუნდაც მთა ვაჟასთან ადამიანური გრძნობისა და თვისების ყველა ნიუანსს ითავსებს: ფიქრი, ოცნება, ტრფობა, შინაგანი ამაღლება, ზნეობრივი სრულყოფა და ა.შ.); ასევე: შთაგონებისა და აღმაფრენისათვის ბუნების ნიაღი საუკეთესო სფეროდ მიიჩნია. ამიტომაც არაა მასთან არც პანთეიზმი, არც წარმართობა და არც არანაირი „იზმები“. ვაჟასთან არ არის პანთეიზმის ძირითადი ფორმულა: „ღმერთი არის ყველაფერი“ და „ყველაფერი არის ღმერთი“. პანთეიზმი არ უშვებს წინააღმდეგობას კეთილსა და ბოროტს შორის, შეუთანხმებლობებს (როგორც ითქვა, პანთეიზმისათვის ყველაფერი ერთია ინდივიდუალობის გარეშე). ვაჟამ კი წარმოგვიდგინა ინდივიდუალური სახეები, მოვლენები თავისი ღირებულებებით, მოგვცა ზნეობრივი იდეალები, ასახა წინააღმდეგობანი, გამოკვეთა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ადამიანი მიიჩნია თავისუფალ პიროვნებად, მისი ქმედება ყო-

ველთვის არ ემთხვევა უცხო, თუნდაც ბუნებრივ ძალებს: ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს ღვთისა და ბუნების სანინალმდევო.

ვიქტორ ნოზაძის ნააზრევიდან გამომდინარე, ვაჟასთან გასულიერება, ბუნების ფენომენის ამგვარად წარმოდგენა — ეს არის არა რალაც წინასწარ შემუშავებული თეორია, რელიგიური აზროვნების განსაკუთრებული მიმართულება, არამედ მხატვრული მეტყველების ხერხი, პრინციპი, რომლის საშუალებითაც მწერალი აკვირდება ყოფიერების, ყოველდღიურობისათვის შეუმჩნეველ სფეროებს, სწვდება ადამიანური ბუნების უღრმეს შრეებს და ამგვარი მხატვრული ხერხებით, ტროპული სახეებით მკითხველამდე მიაქვს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური დაკვირვებები, ზნეობრივი სათქმელი, იდეები, რომლებიც სცილდება მის დროსივრცულ არეალს... (ისევე, როგორც სიმბოლოები სათქმელისათვის იყენებდნენ სიმბოლოებს). აქედან გამომდინარე, ჩვენ უფლება არა გვაქვს ხელოვანის ბუნება, მსოფლმხედველობა ჩავკეტოთ რომელიმე თეორიის ჩარჩოებში. ანთროპომორფიზმის, ანიმიზმის, პანთეიზმის, წარმართობის ცნებათა და მოძღვრებათა საფუძველზე ვაჟას შემოქმედება დავუახლოვოთ პირველყოფილ ადამიანთა აზროვნებას, პირველყოფილ შეგრძნებებს (განა ვაჟამ არ იცის, რომ ადამიანი სხვა და კლდე, მდინარე, ფრინველი, ცხოველი სხვა?).

გასულიერების ხერხი ბევრ მწერალს გამოუყენებია, მაგრამ ვაჟამ ამ მხრივ გამოამყლავნა გაბედულება, გამოიჩინა ზღვარდაუდებელი ნიჭი. ამ ვირტუოზულობამ, მხატვრული ოსტატობის სიღრმემ, აზროვნების უცნაურობამ და თავისებურებამ, სახეთა სიუხვემ ზოგიერთი მკვლევარი აიძულა ეძებნათ თეორიები მის მსოფლმხედველობაში, აზროვნებაში, არადა თავად აზროვნება, მსოფლმხედველობა და იდეალები თავისუფლად, ძალდაუტანებლად, ლამაზად არჩევს ტროპული ასახვის საშუალებებს, განსაზღვრავს მწერლის მხატვრულ სტილსა და ოსტატობას.

ამისი დანახვა ვ. ნოზაძეს არ გასჭირვებია, ამიტომაც აღნიშნავს: „მწერლობაში პროსოპოპეა არის ის ხერხი, რომლითაც მწერალს თავისი აზრი, შეხედულება და გრძნობა გადააქვს უსულო, ან ცოცხალ რამეზე და ამას აღჭურავს ადამიანური გონებითა და გრძნობით — მკვდარ და ცოცხალ ბუნებას ალაპარაკებს. თითქმის ყველა მწერალს გამოუყენებია ეს ხერხი, მაგრამ მსოფლიო მწერლობის ისტორიაში არ არის არც ერთი ისეთი მწერალი, რომელსაც იგი — პროსოპოპეა — თავის საგნად გაეხადოს. ყოველ შემთხვევაში ასეთ მწერალს არ ვიცნობ და ასეთი მწერალი კი არის ვაჟა-ფშაველა... ვაჟა-ფშაველასთან მკვდარი და ცოცხალი ბუნება — ორივე — არის სულიერი და მგრძნობადი; ორივე არის განპიროვნებული და ამან საბაზი მისცა ზოგ კრიტიკოსს, ვაჟა-ფშაველა ანიმისტად, ან პანთეისტად გამოეცხადებინა, რაც არის სრული გაუგებლობა და გაუგებრობა“ (ჟურნალი „კავკასიონი“, 1967, XII).

ვიქტორ ნოზაძე ეხება ვაჟას გასულიერების ხერხის თავისებურებებს და აღნიშნავს, რომ ესა დინამიზმი, მოძრაობა. ვაჟა ამ ხერხებით გვაზიარებს ფერისცვალება-გარდაქმნის პროცესებს. ყველაფერი — ბუნება, რელიგიური, მითოსური თუ ხალხური მოტივები — ასახულია არა განწყენებულად, არამედ ურთიერთკავშირის და წინააღმდეგობათა ფონზე დინამიკაში, ჩამოყალიბებულია მათთან განსაკუთრებული დამოკიდებულება. „ვაჟა-ფშაველას პროსოპოპეაში პლასტიციზმი არის დინამიური; ყოველივეს გასულიერება და ცოცხლობა მოძრავი სურათი არის და ესაა ვაჟას ესთეტიკის უშესანიშნავესი მიღწევა, მგონი განუმეორებელი“ (ჟურნალი „კავკასიონი“, 1967, XIII).

მკვლევრის აზრით, ვაჟას მსოფლმხედველობა ვერ თავსდება რომელიმე მოძღვრების ან ლიტერატურული მიმართულების ჩარჩოებში. რასაკვირველია. ვიქტორ ნოზაძისათვის, რომელიც შესანიშნავად იცნობდა თანადროული, ე.წ. ადრეული მოდერნიზმის დასავლელ ავტორთა ესთეტიკას, თავიდანვე სრულიად გასაგები იყო ლიტერატურული უტილიტარიზმისაგან დაცლილი ვაჟას მხატვრული სამყარო..

შესაძლოა, ახალი ვერაფერი ვთქვით ვაჟას შემოქმედების შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, დღეს კულტურათა ინტეგრაციის, კულტურათშორისი კვეთის კონტექსტში სრულფასოვნებისათვის და დღევანდელობაში სწორად გააზრებისათვის აუცილებელია ქართული კრიტიკული აზრის განვითარების სრულყოფილი აღქმა, ანუ: საჭიროა მწერლების, განსაკუთრებით კლასიკოსების, კვლევამ მოიცვას ეროვნული კრიტიკული აზრის განვითარების ყველა სფერო და ეტაპი, თუნდაც უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების ნააზრვეი განუსჯელად იმისა, ვეთანხმებით თუ არა ამ შეხედულებებს.

ღამონიშნები:

დანელია 1927: დანელია ს. *ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი*. ტფ.: 1927 .

კიკნაძე 1957: კიკნაძე გრ. *ვაჟა-ფშაველას შემოქმედება*. 1957.

ნოზაძე 1948: ნოზაძე ვ. *გარდასულად ჟამთა საქმენი და ამბავნი*. წიგნი IV, კარი III, თავი VI, ახალი ქართული მწერლობა. 1948 (ხელნაწერი).

ნოზაძე 1967: ნოზაძე ვ. *ვაჟა-ფშაველა*. ჟ. „კავკასიონი“, № 12, 1967.

რადიანი 1954: რადიანი შ. *ახალი ქართული ლიტერატურა*. თბ.1954..

ტაბიძე 1928: ტაბიძე ტ. *შესავალი წერილი*. — ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. ტ. I, თბ.: 1928.

ქიქოძე 1936: ქიქოძე გ. *წერილები ხელოვნებაზე*. თბ.: 1936.

ჩიქოვანი 1940: ჩიქოვანი ს. *აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოეტიკა*. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 21-22, 1940.

ჩხენკელი 1971: ჩხენკელი თ. *ტრაგიკული ნიღბები*. თბ.:1971.

მითისქმნალობა და მხატვრულ სახეთა სისტემა The Creation of Myth and the System of Artistic Images

VERA Y. BARBAZYUK, KRISTINA D. VOROZHKO

Russia, Moscow

Symbolic Function of Image in a Fiction Text

The paper examines the interest in the modern study of literature as category of 'image'. In modern philology, linguistic and semiotics, image as one of the universal categories becomes applicable to the analysis and description of semantic phenomena in speech and language competing with such concepts as a sign and symbol. This article attempts not only to present the existing scientific approaches for studying and identifying the image, but also an attempt to show the connection between the image, myth and symbol.

Key words: image, symbol, identity, myth, metaphor

В. Ю. БАРБАЗЮК, К. Д. ВОРОЖКО

Россия, Москва

Символическая функция образа в художественном тексте

На сегодняшний день такое понятие как “образ” или “образность” – одно из самых изучаемых языковых явлений – явлений, заданных в языке или связанных с языком (поэтому, можно говорить о достаточно широкой сфере языковой образности). Понятие образ имеет 2 трактовки: 1) в широком смысле (по философии) образ - отражение конкретного объекта в сознании человека. 2) в узком смысле (в филологии) образ – противопоставляется научному понятию и основан на переносном значении слова.

В современной науке образность изучалась и изучается на самом различном фактическом материале, с различных точек зрения, что позволяет в свою очередь выделить несколько основных научных подходов:

- Внешний формальный подход к средствам языковой образности с точки зрения признаков их контекстной сочетаемости (В.В. Виноградов, В.Н. Телия, Н.Д. Арутюнова);

- Предельно общий генетический подход, где понятие образности охватывает не только языковые, но и фольклорные речевые единицы (А.А. Потебня, А. Белый, А.Ф. Лосев, Н.В. Иванов);

- Структурно-семантический подход, с опорой на логические методики анализа, где объектом рассмотрения служат образные средства языка, тропы и языковая идиоматика (А.В. Кунин, В.Г. Гак, Н.Д. Арутюнова и др.).

Анализируя, существующие в настоящее время подходы, можно заключить, что основное внимание ученых-филологов сконцентрировано на анализе внутренних факторов образности, “лежащую в основе образа связь представлений, механизм переноса значения и присущие последнему внутренние структурные признаки” (Шнякина 2010: 2).

В терминологическом аппарате филологии, лингвистики, семиотики образ, как одна из универсальных категорий, применяемых при анализе и описании семантических явлений в речи и языке, соперничает с такими понятиями как знак и символ.

Образ как особая символическая форма обычно не выделяется. Более привычными считаются трактовки образа, в которых он отрывается от момента формы и ассоциируется исключительно с функцией значения. Для любой семантики (литературоведческой, лингвистической) естественно стремление развернуть образ до масштабов значения и понять значение как образ. Действительно, без образного представления значение совершенно лишается смысловой формы, теряет осязаемость. Поэтому семантика старается не обращать внимания на поставленный когда-то знак равенства между категориями образа и значения.

Односторонняя семантизация образа лишает ученого возможности рассмотреть эту категорию как семиотический концепт, понять ее как форму символического понимания реальности. По мнению Н.Д. Арутюнова, взятый в реальности семантического представления,

“образ не может быть объектом понимания”. Даже обычное словоупотребление доказывает это:

“можно понять человека..., но нельзя понять образ человека” (Арутюнова 1998: 315). Из этого можно сделать вывод, что “Образ – идеальный посредник связи формы и значения, который эксплицирует эту связь как выразительную” (Иванов 2002: 174).

Georgia. All monks went on their knees. And the Christ damned them: “Be damned forever, you monks, who spilled your brothers’ blood and fell in love with gold more than your neighbour!” And with the damnation, the monks clamber each night with bags of gold in Kazbek, and when the first rays of sun come out, they run headlong back into the place of their eternal dwelling, where they were turned to stone rocks. Only remains are left from the monastery, and stagnant stone monks are not pitied by the passers-by as well as stark winds. Only cold clouds caress them, feel pity and keep asking, but hearing, sullen, cold and not uttering a word they travel further.

Analysis of “Damned monks“. Concepts, presented in the article, are one of possible theoretic methodological approaches for the analysis of the aforementioned legends. Therefore, after defining the trajectory of studies of myth - archetypes ontological forms-semiotics of passions - values - aesthetic expression - musical forms, we will shortly describe the brightest dominants of these aspects in the legends of Vienuolis, especially in the discussed “Damned monks“. At the same time, one wants to emphasize that precisely in musical form of the work, at the same time perceived as in process and the result of that process, there focus ideological, technological, communicative structures’ and meaningful structures parameters. The unity of all these parameters gains a united expression in musical discourse and in the compositional rhetoric of literary text. Exactly the form, text musicality, features of its dynamic process make a special influence to the subconscious, and the glow of archetypical forms allows semantic text layers to sound otherwise with its depth dynamics. In semiotic expression of passion structure, which was presented by Greimas, one emphasizes the contrast of love and hatred, but it is presented on the level of human passions. In myths and legends the scale of values is formed on other levels – exactly with the help of divine aspects of eternal values. Expression of concern, astonishing sight, emotion and moralization, presented by Greimas, is sanctioned with love or hatred at the end. But legend and myth, give a fatal – divine blessing or refuse. In Christian love, where the most important thing is mercy, sanction of damnation from the Christ himself for the traitors of the Mother-country gains especially strong influence. There happens the-so-called discourse break where already act not only artistic, stylistic, expressive and emotional dimensions, but which means the break of human entity in divine discourse. That fatal irreversibility back into the arms of God after the great sin – betrayal of the Mother-country – even after understanding of own sin, it is still close to pagan world outlook: turning of monks into stone is the expression of folklore mentality. The same speaking about love to the Mother-country, braveness of the Georgian nation and their fight for freedom after the Christ damns monks-traitors – gains the dimension of the highest value.

How is the poetical rhetoric of the legend created? In musical discourse there merge all other aforementioned elements - semantic, emotional, logic and communicative. Therefore, what would be the form of a legend? This is like a

three part multiple form, in the middle of which there is trio with an introduction and coda. The introductory part presents main thematic motifs – Georgian and Persian conflict – as love for Mother-country and hatred – its destruction. Further, these motifs are developed, revealing the images of Georgian gallantry and fierce fight with the Persians, demonstrating the tenacity as well. The part ends in a dramatic way – defeat of the Georgians. The second part is devoted to the monastery life in summer and winter. It is painted idyllic (images of summer, sacral together with the elements horror – in winter (souls, blizzards, self-ringing bells or burning candles, etc.). Entertainment of monks in the mountains in winter is like the middle of trio, when they make fire, drink wine, play the instruments, dance and later come back to the monastery after going out with sacred psalms. All the mountains are sounding. This is the brightest emotional dynamic part of the work. The third part prolongs the topicality of the first one. The Georgian braves are let into the monastery. But after promising, gold is spared and it is brought out, and the courier is killed. The latter damns the traitors of the Mother-country, indeed – having to sacredly protect their native land... The dynamics of the work is rising, images and emotional tension is contrasting, and tension is becoming stronger. The damnation is repeated, finally, we see the Christ who fatally and irreversibly damned the monks for betrayal of their Mother-country. The work ends in coda analogues, in which one tells about horrifying eternal destiny of the traitors. Fatal note is tuning. Suggestibility and fatalism of the work is strengthened by three part form and triad segmentation. This is a classical model in music, how ontological/archetypical form and canonical rhetoric genres form which gives the sense of stability and maturity. Fatal destiny is irreversible.

The legend speaks about great things. They are sometimes now perceived as non-relevant. But the heard colour and depth semantics of the legend, which there was no possibility to comment more, is one of the greatest values of entity, forcing us looking back at the sacral entity, at noble, sublime adoration of selfless fundamental values. Musical influence of the legend, rhetoric expression, melodics of the sentence and intonation melodics, and passions of fundamental values create a work of a rare artistic suggestion which sounds like a testament for the deep overlap of human and divine entity.

Generalization

1. Caucasian lands and their culture were from everlasting interesting Lithuanian artists and intellectuals. One of such creators is Antanas Vienuolis, who has created the cycle of “Caucasian legends” on the motifs of folklore stories and myths of Caucasian nations. Some legends are created on the grounds of myths or etymological stories and have the features of myth poetics. “Caucasian legends” have a special meaning in Lithuanian literature as the

beginning of literary legend genre and as one of the brightest its dominants till our days.

2. Myth's structure is multilayered, and it can be interpreted in various levels and according to different methodologies. One of meaningful features of the myth is the-so-called "over-semantics" and at the same time deep emotional and rhetorical effect on the basis of the affected means – compositional, stylistic, passion.

3. Some passion semiotics aspects of A. J. Greimas are used for the semantic analysis of deep passion. Emotional influence of legends is strengthened by stylistic: musical form, syntactical expression, which is characterized by long periods, repetitions, melodious intonation, inner musicality and also vivid verbs of musical images and sounds.

4. Emotional oneness and influence of the legend "Damned monks", like some other legends created by Vienuolis, is determined not only by Caucasian exotics, but by fundamental values (love for Mother-country) and its fatal scorn (betrayal of Mother-country for fortune) – as the break of godhead dimension in sacral life of monks. Emotional surge, musical images, compositional principles create a three part fatal stability, expiring code – ring of despair of the damn never elapsing in the space. But in fact, this damn is of human pathos – it is the apotheosis of love to Mother-country as unparalleled divine and human value.

REFERENCES:

- Bukelienė 1984:** Bukelienė E. Antanas Vienuolis. In: *Antanas Vienuolis*. Vilnius: Vaga. 1984.
- Erpf 1967:** Erpf H. *Form und Struktur in der Musik*. Mainz. Schott. 1967.
- Karbusicky 1997:** Karbusicky V. Antropologinės ir gamtinės universalijos muzikoje. In: *Baltos lankos*. Nr. 9. 7-28.
- Kubilius 1996:** Kubilius V. *XX a. lietuvių literatūros istorija*. Alma littera. 1996.
- Levi-Strauss 1996:** Levi-Strauss Cl. Mitų struktūra. In: *Mitologija šiandien*. Vilnius: Baltos lankos.
- Nastopka 2010:** Nastopka K. *Literatūros semiotika*. Vilnius: Baltos lankos. 2010.
- Skliutauskas 1984:** Skliutauskas J. Antanas Vienuolis ir Gruzija. In: *Antanas Vienuolis šiandien*. Vilnius: Vaga. 1984.
- Sluckis 1984:** Sluckis M. Vienuolis ir žvaigždės. In: *Antanas Vienuolis šiandien*. Vilnius: Vaga. 1984.
- Vienuolis 1994:** Vienuolis A. *Raštai*. T.1. Vilnius: Vaga. 1994.
- Vienuolis 1982:** Vienuolis A. *Iš mano atsiminimų*. Kaunas: Šviesa. 1982.
- Zalatorius 2003:** Zalatorius A. *Vincas Krėvė. Nebaigta monografija*. Vilnius: Lietuvių literatūros ir tautosakos institutas. 2003.
- Tarasti 1979:** Tarasti E. *Myth and Music*. Mouton publishers: The Hague, Paris, New York. 1979.
- Tarasti 1994:** Tarasti E. *A Theory of Musical Semiotics*. Bloomington and Indianapolis: Indiana University Press. 1994.

ELENE GOGIASHVILI

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

**Interpretations of Collective Beliefs in Folk Tales
(Folk Tale Study and Psychoanalysis)**

Psychologists and anthropologists have shown the universality of most myths, founded as they are on human's universal need to justify and in some sense to explain away reality. Inasmuch as myths, which are expressions of human needs both individual and collective, are specific and different. In shamanic narrations, in dreams, and in fairy tales, whatever unconscious elements there are appear encoded in cultural patterns and motifs. This must be taken into account, not to swiftly dismiss folkloristic data but rather to extensively investigate it before deciding whether, and in what terms, the philosophical or psychoanalytic interpretations may be helpful in understanding folklore.

Key words: Folk Tale Study, Psychoanalysis, Beliefs, Brutality.

ელენე გოგიაშვილი

საქართველო, თბილისი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

**კოლექტიური რწმენა-წარმოდგენების ინტერპრეტაცია
ხალხურ ზღაპრებში
(ზღაპარმცოდნეობა და ფსიქოანალიზი)**

ფსიქოლოგებისა და ანთროპოლოგების გამოკვლევებით, მითების უმრავლესობა უნივერსალურია და მომდინარეობს ადამიანის ზოგადი მოთხოვნილებიდან, დაადგინოს და ერთგვარად ახსნას კიდევ რეალობა. ყოველი საზოგადოება თავისი ძირითადი სურვილების მანიფესტაციას ახდენს და ასახავს უნიკალური ფორმით, რომელიც მის საკუთარ ისტორიასა და გარემოებებს შეესაბამება. რამდენადაც მითები ადამიანის ინდივიდუალურ და კოლექტიურ მოთხოვნილებებს გამოხატავენ, სპეციფიკური და ურთიერთგანსხვავებული არიან. ისინი ცალკეული საზოგადოებების სურვილებს ავლენენ, დაკონკრეტებული არიან დროსა და სივრცეში და არ წარმოდგენენ უბრალოდ ბუნდოვან აბსტრაქციებს.

იმის მიუხედავად, რომ ზღაპრის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა, ჩვეულებრივ, ზიგმუნდ ფროიდთან, მის მიმდევარ ფსიქო-

ანალიტიკოსებთან და მე-20 საუკუნის სხვა თეორიების ავტორებთან (გუსტავ იუნგი, ფრანც რიკლინი, ერნესტ ჯონსი, ჰერბერტ სილბერერი) ასოცირდება, ამის წინამძღვრები მე-19 საუკუნეშივე არსებობდა. ნაციონალური სულისკვებით განმსჭვალული მკვლევრები ზღაპრებს „ხალხის სულის“ გამოხატვად მიიჩნევენ (ი.გ. ჰერდერის იდეის თანახმად). ზღაპრისა და მითის ურთიერთობის გაშუქებისას მეცნიერები ზეპირ მოთხრობებში სხვადასხვა ღირებულებებს, ნესჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს ხედავენ, რომლებიც ხალხთა კულტურულ იდენტობებს გამოხატავენ. მე-19-20 საუკუნეებში ზღაპრის მითოლოგიური და ანთროპოლოგიური მეთოდებით შესწავლამ გააღვიძა იდეა, რომ ზღაპრის კვლევას შეეძლო გაეცოცხლებინა ეთნიკური კულტურების, განსაკუთრებით კი ე.წ. პრიმიტიული ხალხების ფსიქოლოგია (ფუნდტი 1921).

ხალხური ზღაპარი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მეცნიერებათა სრულიად განსხვავებულ სფეროებში. არ დარჩენილა კვლევის არცერთი მცდელობა ისე, რომ ზღაპარში სასურველი არგუმენტები ვერ აღმოეჩინა. თუმცა ხალხური შემოქმედების თავისებურებების გათვალისწინების გარეშე ზღაპრის ინტერპრეტაცია სრულყოფილი ვერ გახდება.

ხშირ შემთხვევაში, როცა ხალხურ ზღაპარს არაფოლკლორისტიკი ეხებიან, მათ ყურადღებას იპყრობს ზღაპრის გმირის არაინდივიდუალური ბუნება, რაც ლიტერატურის კრიტიკოსის პოზიციიდან მართლაც თვალმისაცემია. ზღაპრის პერსონაჟის „პიროვნულობისა“ თუ „არაპიროვნულობის“ საკითხი ფოლკლორისტიკაში ყოველთვის აქტუალური იყო და სხვადასხვა დროს ბევრი მეცნიერის (მ. ლიუთი, ლ. რერიხი, ე. მელეტინსკი, თ. ქურდოვანიძე, რ. ჩოლოყაშვილი) შესწავლის საგანს წარმოადგენდა. ჯადოსნური ზღაპრის პოეტიკის ერთ-ერთი ჟანრობრივი სპეციფიკური ნიშანია ის, რომ ზღაპარი არ გადმოსცემს გმირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ფუნდამენტურ სამეცნიერო ნაშრომებში ხალხური ზღაპრის შესახებ ეს საგანგებოდ არის ხაზგასმული (ლიუთი 1960; რერიხი 1964; რერიხი 1976; მელეტინსკი 1970; ქურდოვანიძე 1983; ჩოლოყაშვილი 2003 და სხვა). ინდივიდუალობის ნიშნები, ხასიათი და ტიპი მოგვიანებით, ჩანასახების სახით გაჩნდა ხალხურ ნოველაში, ე.წ. საყოფაცხოვრებო ზღაპარში.

ლიტერატურული პერსონაჟისგან განსხვავებით, ზღაპრის გმირის ფუნქციები ერთი და იგივეა ყველა ჯადოსნურ ზღაპარში: 1) სახლიდან გასვლა, 2) მჩუქებლის მოთხოვნაზე რეაქცია, 3) ანტაგონისტთან ბრძოლა, 4) ქორწილი და 5) შინ დაბრუნება (პროპი 1984: 121). ამავე დროს, ჩვეულებრივი მოვლენაა პერსონაჟთა ფუნქციების ურთიერთგაცვლა, განსაკუთრებით კი, გმირის ფუნქციების შემწის მიერ შესრულება (კერძოდ, ATU 505, ATU 506, ATU 507 ტიპებში). ბევრგან მთავარ პერსონაჟად შემწე გვევლინება და არა გმირი. ასეთი ზღაპრები ცალკე კომპოზიციურ ტიპს განეკუთვნებიან და არა ნაკლოვან ან

არასრულყოფილ ტექსტებს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ ზეპირსიტყვიერი და ლიტერატურული ნაწარმოებები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფენომენებია. ფოლკლორული მასალის ფიქსაციის დროს ძალიან მნიშვნელოვანია მისი აუთენტური სახით წარმოდგენა. ფოლკლორული ტექსტის რედაქტირება და დამუშავება გამართლებულია მხოლოდ პოპულარული გამოცემებისთვის. სხვა შემთხვევაში, კერძოდ, აკადემიურ გამოცემაში ტექსტი აუთენტური სახით უნდა დაიბეჭდოს. ამით შესაძლებელი ხდება თხრობის პროცესზე დაკვირვება და „სრულყოფილი“ და „არასრულყოფილი“ ტექსტების შედარება.

ზეპირად გადაცემული ტექსტი ეკუთვნის თხრობის ცოცხალ პროცესს, რომელშიც ჩანანერები მხოლოდ ფიქსაციას წარმოადგენენ. ზეპირსიტყვიერების სხვა პროზაული ჟანრებისგან განსხვავებით, ზღაპარი მხატვრული გამოწვევაა, რომელსაც საზოგადოებაში თავისი სოციალური ფუნქციები აქვს: გასართობი, სარიტუალო და აღმზრდელობითი. ზღაპარი არც მთხრობლისა და არც მსმენლის მიერ არ არის აღქმული ნამდვილ ამბად მაშინ, როცა თქმულებასა და ლეგენდაში ამბის ნამდვილობაში დარწმუნების ტენდენცია ჭარბობს. ზღაპრის მთხრობელი არ იძიებს გმირის პირადი ცხოვრების დეტალებს, რითაც, ადვილი შესაძლებელია, დაინტერესებულიყო რეალურად მომხდარი ამბის შემთხვევაში.

კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ხალხური ზღაპარი კრიტიკული განსჯის ობიექტი ხდება არაფოლკლორისტიკის მიერ, არის სსასტიკის ასახვა.

ხალხურ ზღაპარში სისასტიკისა და კანიბალიზმის ასახვის კვლევას ფოლკლორისტიკასა და ეთნოლოგიაში საუკუნოვანი ტრადიცია აქვს და მჭიდროდ არის დაკავშირებული უძველეს რწმენა-წარმოდგენებსა და მაგიურ რიტუალებთან. ხშირია დისკუსიები ზღაპრებში სისასტიკის არსებობის გამო სხვა სამეცნიერო სფეროების წარმომადგენელთა წრეებში, მაგრამ არსებობს იმის საშიშროებაც, რომ კვლევამ მცდარი მიმართულება მიიღოს ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა ნაშრომების გაუთვალისწინებლობის გამო.

1970-80-იან წლებში ევროპა, ერთი მხრივ, „ანტი-ზღაპრის“ განწყობამდე მივიდა — „ბოროტება მოდის საბავშვო წიგნებიდან“ (გმელინი 1972; მალე 1985), მეორე მხრივ კი ზღაპარი ხელახლა აღმოაჩინეს — „ბავშვებს ზღაპრები სჭირდებათ“ (ბეტელჰაიმი 1977). ძმები გრიმების კრებულის კრიტიკა არასპეციალისტების მხრიდან დღემდე არ ცხრება. „საბავშვო და საოჯახო ზღაპრებს“ საკონცენტრაციო ბანაკებზე პასუხისმგებლობაც კი დააკისრეს (რერიხი 1990: 99). KHM-ის ზღაპრები სრულებით არ ასხამენ ხოტბას სიძულვილს, მაგრამ უახლოესი წარსულის გამოცდილებამ ამ საკითხზე მეტად მგრძნობიარე

გახადა ევროპელი საზოგადოება და დაავინყა, რომ სისასტიკე მხოლოდ გრიმების ზღაპრებში არ გვხვდება.

ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სისასტიკის ასახვას ზღაპრებში არა მარტო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური, არამედ ლიტერატურულ-სტილისტური და სოციალური საფუძველი აქვს. ასეა ქართულ ზღაპრებშიც.

ზღაპრებში ასახული უამრავი მოვლენა მაგიურ წარმოდგენებსა და რიტუალურ ქმედებებს უკავშირდება. ადამიანის მსხვერპლშენიერვის ელემენტები, რომელთაც ჯადოსნურ ზღაპრებში ვხვდებით, სავარაუდოდ, ამგვარი წეს-ჩვეულების ანარეკლს შეიცავს. სისხლიანი მსხვერპლის მაგალითები უხვადაა ხალხურ ზღაპრებში, განსაკუთრებით ATU 516 ტიპის ტექსტებში, სადაც უდანაშაულო სისხლი გმირის გაცოცხლების ერთადერთი გზაა.

მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ ქართული ზღაპარი „ყარაბ-ოღლი და ალექსანდრე“, რომელშიც გაქვავებული გმირის გაცოცხლება მხოლოდ სისხლიან მსხვერპლს შეუძლია:

„ერთ ღამეს სიზმარში გამაეცხადა ანგელოზი და უთხრა იმ ქალსა: როდამდენ უნდა იტიროვო და შენი სიცოცხლე ეგრე მწუხარებით ატაროვო? თუ გაიმეტებო, შენ ორივე შვილებს ყელეები დასჭერიო, იმათი სისხლით ეგ ქვა გაჰბანეო და მაშინ გაცოცხლდებაო. გამაელვიძა ქალსა და მიეცა დიდ სიხარულსა, რადგანაც ეს ჩვენება ნახა. იმ დილით ალექსანდრე თავის სასამართლოში წავიდა. ყმანვილებს ისევ ეძინათ. ქალი მივიდა, ყმანვილებს ორივეს ყელეები დასჭრა და იმათი სისხლი გამაიტანა. გაჰბანა თუ არა, ყარაბ-ოღლი მაშინათვე გაცოცხლდა“ (უმიკაშვილი 1964: 229). შინ დაბრუნებულ ალექსანდრეს ცოლი შეეკითხა: რა გერჩინა, შენი შვილები დახოცილიყვნენ, თუ შენი ძმა გაცოცხლებულიყო? „ალექსანდრემ უთხრა: შვილები საყვარლებიაო, მაგრამა ამისი გაცოცხლება მერჩინაო. მერე ცოლმა შეიყვანა ალექსანდრე და თავისი შვილები უჩვენა, — შენი ძმა ამათმა სისხლმა გაგიცოცხლაო. ალექსანდრემა თქვა: რახან ამისი გაცოცხლება მეღირსაო, შვილები მითომც არც კი გამჩენიაო. ღმერთს კიდევაც დიდი მადლობა შასწირა, რადგანაც ჩემი ძმის გაცოცხლება მეღირსაო“ (იქვე: 299). ყარაბ-ოღლიმ დახოცილი ბავშვები უკვდავების წყლით გააცოცხლა. „ახლა მეორე სიხარული იმ ყმანვილების გაცოცხლება გაუხდათ და ღმერთს მადლობა გადაუხადეს, რომა ამ დიდი განსაცდელის შემდეგ ბოლოს სიხარული მიერგოთ“ (იქვე: 230).

ზღაპრული და მითოსური მოტივები გვამის დანაწევრების, ძვლის მოხარშვისა და სხვათა შესახებ სამონადირეო წეს-ჩვეულებების შემადგენელი ნაწილია. ზღაპრული ზებუნებრივი არსებები (კუდიანი დედაბრები, დევეები, ჯადოქრები, ეშმაკები) რომ კაცის ხორცს ჭამენ, ამას მაგიური კანიბალიზმის სახე აქვს და მაქციობის რწმენის უძველეს შრეს ასახავს. მოტივები რიტუალური მსხვერპლის შესახებ არქაული სახით არის შენარჩუნებული კავკასიურ მითოლოგიაში განსხვავ-

ვებით ბერძნული მითოლოგიისგან, რომელსაც მითოსური სიუჟეტი მორალურ-ეთიკურ სფეროში გადაჰყავს. მაგალითად, ტანტალოსის მითში მამა საკუთარ შვილს, პელოპსს კლავს და მისი ხორციით სტუმრად მისულ ღმერთებს უმასპინძლდება. ღმერთები მაშინვე ხვდებიან, რა მიართვა მათ ტანტალოსმა და არ ეკარებიან კერძს. მხოლოდ დემეტრა, რომელიც თავისი ქალიშვილის დაკარგვის გამო დამნუხრებული და ჩაფიქრებული იყო, ჭამს ხორცს. ღმერთები აცოცხლებენ პელოპსს, შეჭმული ბეჭის მაგივრად კი ჰეფესტო ახალ ბეჭს ჩაუსვამს.

ქართულ და კავკასიურ ფოლკლორში ამგვარი მოტივები დაკავშირებულია როგორც სამონადირეო ტრადიციებთან, ასევე მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების მითოსთან. ირაკლი სურგულაძის ნარკვევში „გაცოცხლების იდეა ქართულ მითოსში და მისი რეალიზაციის ისტორიული ფორმები“ შედარებითი კვლევის საფუძველზე მტკიცედ არის არგუმენტირებული მოსაზრება, რომ ამგვარი სიუჟეტები ღვთაებათა მიერ ცხოველის გაცოცხლების არქაულ ციკლს განეკუთვნებიან:

„მითოსური სიუჟეტი [იგულისხმება ტანტალოსის მითი — ე.გ.] უკვე მთლიანად დაშორებულია თავის საწყის მნიშვნელობას და სიკვდილ-აღდგენისა და მარადი განახლების მითოსურ-რელიგიური კონცეფცია, რასაც ოდესღაც გამოხატავდა ხსენებული სიუჟეტი, უკვე მორალურ-ეთიკურსა და ესთეტიკურ-ლიტერატურულ სამყაროშია გადაყვანილი. ასეთი ცვლილებები ტიპიურია ბერძნული მითოსისათვის. უძველესი სიუჟეტები მსხვერპლისა და განახლების შესახებ, რომელთაც გამოეცალათ მრწამსობრივი ნიადაგი, შეიჭრა ხელოვნებაში და იქცნენ უკიდურესი ზნეობრივი კრიზისის სიმბოლოებად (ტანტალოსი, მედეა, ატრევსი, ფიესტი, ოიდიპოსი და სხვა), რომელთა ამამოქმედებელი იმპულსები განლაგებულნი არიან ადამიანური არსის ცნობიერ, თუ გაუცნობიერებელ დონეებზე. ადამიანის (შვილის) შეწირვის სცენა ამ სიუჟეტებში შესაძლოა მოგვიანებით მოხვდა და ცხოველის შეწირვის სცენას ჩაენაცვლა, თუმცა ბერძნულ მითოსში გვაქვს შებრუნებული მაგალითი, როცა შეწირული ადამიანი ღვთაების ნებით იცვლება ცხოველით (შეწირულ იფიგენიას ცვლის შველი). ასეთი მოვლენები, ჩვეულებრივ, მეორადია და სერიოზულ იდეოლოგიურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. ვფიქრობთ, რომ ტანტალოსის მითოსის სათანადო გაგებისა და შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბერძნული და კავკასიური სიუჟეტების პარალელურად შესწავლას, რადგან კავკასიურ მითოსში კარგად არის შენახული ამ სიუჟეტთა პირველმნიშვნელობის გამომხატველი ეპიზოდები, რაც ბერძნულში დაკარგულია და გარდასახული“ (სურგულაძე 2003: 91).

ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში ირმის ნებაყოფლობითი მსხვერპლი მფარველ ღვთაებას უკავშირდება და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული. ზ. კიკნაძის გამოკვლევით, ჩვეულებრივ, მსხვერპლად იწირება შინაური ცხოველი, გარეული ცხოველი კი ნადირობისთვის არის განკუთვნილი. გადმოცემებში,

რომლებშიც ირმის მსხვერპლად შეწირვის ამბავია მოთხრობილი (გადმოცემები ოქუმის წმინდა გიორგის, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიების შესახებ და სხვა), „ჯერ კიდევ არ არსებობს გამიჯვნა შინაურსა (სამსხვერპლო) და გარეულ (სანადირო) პირუტყვის შორის, ირემი ნანადირევიც არის და არის მსხვერპლიც“: „ირემს საკუთარი თავი მიაქვს მსხვერპლად წმ. გიორგის სალოცავში. გარეულ პირუტყვთა შორის, რომელიც მისი სამწყსოა, წმ. გიორგი ყველაზე წმიდა ცხოველს უგზავნის ადამიანებს. გარე სამყაროს საუკეთესო წარმომადგენელი – ირემი მონაწილეობს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში, ამ ცხოვრების უმაღლეს გამოხატულებაში – საკულტო რიტუალში“ (კიკნაძე 2002: 219).

ეთნოლოგიური კვლევების თანახმად, ყოველგვარი მსხვერპლშენიშვა გულისხმობს მსახურის, ღვათებისა და შესანიშნავი საგნის ურთიერთსოლიდარობას. იქნება ეს საგანი ცხოველი, მცენარე თუ ნივთი, რომელსაც ექცევიან როგორც ცოცხალს, მისი მოსაპოვა გამოსასყიდ მსხვერპლს უდრის.

მსხვერპლშენიშვის იდეა მჭიდრო კავშირშია ტოტემიზმთან. მსხვერპლშენიშვას მთლიანობაში ხსნიდნენ როგორც გადმონაშთს ან როგორც ტოტემიზმის ნიშანს, ანდა ამგვარ გაგებას ანაწევრებდნენ, რათა განესხვავებინათ მსხვერპლშენიშვის ორი ტიპი, განსხვავებულნი თავიანთი წარმოშობითა და მნიშვნელობით. კ. ლევი-სტროსის განმარტებით, არსებობს არა ტოტემიზმი, არამედ ილუზია, რაც მისი სემანტიკური ველის დამახინჯებიდან მომდინარეობს:

„ამ ველის რამდენიმე ასპექტმა პრივილეგიებული მდგომარეობა დაიკავა სხვების საზარალოდ, რომლის შედეგადაც მათ მიეწერათ სინამდვილეში მათთვის არადადამახასიათებელი ორიგინალობა და უჩვეულობა: ისინი ხომ გამოუცნობნი მხოლოდ იმის გამო წარმოედგინათ, რომ ისინი განიდევენ სისტემიდან, რომლის ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენდნენ მისი გარდაქმნის სახით. [...] ჩვენ არ გვყოფნის ამ მენტალობის ჩვენს მენტალობასთან შესაბამისობა. ჩვენი ლოგიკა დაიბადა ამ ლოგიკისგან. დღეს ისევე, როგორც უწინ, ახსნა ნიშნავს იმის ჩვენებას, თუ როგორ განეკუთვნება ნივთი ერთს ან რამდენიმე სხვას. [...] ყოველ ჯერზე, როცა კი შინაგანი კავშირით სხვადასხვაგვარ ტერმინებს ვაერთიანებთ, ჩვენ აუცილებლად ვაიგივებთ საპირისპირო მხარეებს. უეჭველია, ჩვენ მიერ გაერთიანებული ტერმინები ის არ არის, როგორც ამას აერთიანებს ავსტრალიელი; ჩვენ მათ ვარჩევთ, ამოვდივართ რა სხვა კრიტერიუმებიდან და სხვა დასაბუთებიდან; მაგრამ თვით მოქმედება, რომლის საშუალებითაც გონება მათ აკავშირებს, არსებითად არ განსხვავდება“ (ლევი-სტროსი 1994: 102).

მოტივები, რომლებსაც მითოსურ სიუჟეტში სემანტიკური მნიშვნელობა აქვთ, ახლებური მნიშვნელობით იტვირთებიან ყოველ ახალ კულტურულ-ისტორიულ და რელიგიურ გარემოში. კანიზალიზმი ზღაპარში არ შეიძლება დღევანდელი ან თუნდაც მე-19 საუკუნის კონტექსტში განვიხილოთ. ამ მოტივებს მრავალმხრივი კავშირი აქვს

ისტორიულად არსებულ რწმენა-წარმოდგენებთან და ისინი მუდმივად ისტორიულ ასპექტთან უნდა იყოს შეფარდებული. სისასტიკე ზღაპარში სტრუქტურულ პირობითობას წარმოადგენს, მას ზღაპრის თხრობაში ტექნიკურ-ეპიკური ფუნქცია აკისრია როგორც დაძაბულობის ელემენტს. ადამიანის მსხვერპლს ზღაპარი ხედავს როგორც თხრობით გამოწვეულ აუცილებლობას. გმირის მსხვერპლი არის არა ტრაგიკული სინამდვილე, არამედ მხოლოდ ხიფათი.

კანიბალიზმის ელემენტები ზღაპარში დამაინტრიგებელ ფორმულებს ქმნიან. ისიც ზღაპრის სტილის პრინციპია, რომ სხეული არ არის მგრძობიარე დასახიჩრების დროს. ზღაპარში არ არსებობს „გრძობა“. არც დაზარალებული მთავარი გმირები და არც დასჯილი მონინალმდეგეები არ ჩივიან სისასტიკეზე და არც ტკივილზე ამბობენ რამეს.

სხვა ჟანრებში სისასტიკე არანაკლებ როლს თამაშობს ჟანრის სპეციფიკისთვის. სისასტიკის თემა პოპულარულია ანეკდოტებშიც. გვამის დანაწევრებისა და კანიბალიზმის გარდა ანეკდოტის ერთ-ერთი ჟანრული თავისებურება სულიერი სისასტიკის ასახვაა — ანეკდოტები ხეიბრებისა და სულით ავადმყოფებზე, თვითმფრინავის კატასტროფებზე, გაუხსნელ პარაშუტებზე და სხვ. ყველაზე საშინელ შემთხვევებზეც კი, როგორცაა ატომური ბომბის აფეთქება ან მასობრივი მკვლელობა — იქმნება ანეკდოტი. ფსიქონალიტიკური თეორიის თანახმად, სასტიკი ანეკდოტები უკუურეაქციას ემსახურებიან.

ფანტაზია რომ წმინდა ადამიანური ქმედებაა და ხელს არ უშლის ჭეშმარიტების აღქმას, ხალხური თხრობითი ტრადიცია ამის საუკეთესო დადასტურებაა. ჯონ ტოლკიენის 1947 წელს დაწერილი სამეცნიერო ესე „ჯადოსნური ზღაპრის შესახებ“ სხვადასხვა ჟანრებს ეხება, რომლებიც ზღაპარსა და მითოსს უკავშირდება: ხალხურ ზღაპრებს, ლიტერატურულ ზღაპრებს, ფენტეზის (fantasy), მითოპოეზიასა (mythopoesis) და სპეკულაციურ ფიქციას (speculative fiction). გარდა იმისა, რომ ჯ. ტოლკიენმა ამ ნარკვევში თავისი ფილოსოფია ჩამოაყალიბა მითოპოეზიისა და ფენტეზის ჟანრის თხზულებებზე, ამავე დროს განმარტა და ახსნა შემოქმედებითი ფანტაზიის ბუნება ხალხურ ზღაპარშიც:

„შემოქმედებითი ფანტაზიის საფუძველში დევს მყარი მტკიცება, რომ მუდმივი სამყარო ისეთია, როგორც ის გამოიყურება; მაგრამ ფაქტის აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის მონობაში ყოფნას. [...] რა თქმა უნდა, ფანტაზიაშიც შესაძლებელია გადამეტება. ის შეიძლება ცუდად „ამუშავებული“ იყოს. ის შეიძლება ბოროტების სამსახურში იდგეს. მას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს გონება, რომელმაც იგი წარმოშვა. მაგრამ განა რა არის ადამიანის მიერ შექმნილი ამ დაცემულ სამყაროში ისეთი, რომ ნამდვილი არ იყოს? [...] ფანტაზია არის ადამიანის უფლებების გაგრძელება: ჩვენ ვქმნით ჩვენი საზომებით და ჩვენი სურვილისა და მიხედვით, რადგან ჩვენ თვითონ შექმნილი ვართ,

და არა უბრალოდ შექმნილნი, არამედ სახედ და ხატად შემოქმედისა“ (ტოლკიენი 1966: 58).

სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში ხალხური ზღაპრის ინტერპრეტაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საზღაპრო რეპერტუარის მრავალფეროვნება ჯადოსნური ზღაპრის კვლევის უამრავ პერსპექტივას შლის და გარდა ფოლკლორისტიკისა, სხვა მეცნიერებათა დაკვირვების ობიექტსაც წარმოადგენს. ამასთან, ზღაპრის ნებისმიერი ასპექტის შესასწავლად გასათვალისწინებელია ზეპირ და ლიტერატურულ ტრადიციათა შორის არსებითი განსხვავება და ზღაპრის ჟანრული თავისებურებები (კომპოზიციის მთლიანობა, კონტამინაცია და მისი გავლენა კომპოზიციაზე, მხატვრული გამოსახვის ენობრივი საშუალებები, მხატვრული გამონაგონის ფუნქცია და სხვა), რომელთა გარეშეც ზღაპრის ნებისმიერი ინტერპრეტაცია მხოლოდ ინტელექტუალური კონსტრუქცია იქნება და არა რეალური, არამედ ჰიპოთეტური ტექსტი.

ფოლკლორული მონაცემების სიღრმისეული შესწავლა წინ უნდა უძღოდეს სხვადასხვა განზოგადებულ ინტერპრეტაციებს – განსაკუთრებით, ფილოსოფიურსა და ფსიქოანალიტიკურს. ფსიქოანალიზის პოზიციიდან შეიძლება უამრავი საკითხი გადაიჭრას და ღირებულ დასკვნები გაკეთდეს, მაგრამ კოლექტიური რწმენა-წარმოდგენებისა და სიმბოლოთა კვლევისას აუცილებელია თავად ფოლკლორული შემოქმედების თავისებურების გათვალისწინება.

ღამომეგზანი:

ბეტელჰაიმი 1977: Bettelheim, B. *Kinder brauchen Märchen*. München: DTV, 1980.

გმელინი 1972: Gmelin, O. F. *Böses kommt aus Kinderbüchern*. München: 1972.

ვუნდტი 1921: Wundt, W. *Probleme der Völkerpsychologie*. Stuttgart: Kröner, 1921.

კიკნაძე 2002: კიკნაძე ზ. „ხანში ირემი მოვიდა“. ოჩხარი. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბ.: „მემატიანე“, 2002.

ლევი-სტროსი 1994: Леви-Строс К. *Первобытное мышление*. М.: «Республика», 1994.

ლიუთი 1985: Lüthi, M. *Das europäische Volksmärchen. Form und Wesen*. Bern / München: Francke, 1960.

მალე 1985: Mallet, K.-H. *Kopf ab! Gewalt im Märchen*. Hamburg / Zürich 1985.

მელეტინსკი 1970: Мелетинский, Э. М. *Миф и сказка*. В «Фольклор и этнография». М.: 1970.

პროპი 1984: პროპი პ. *ზღაპრის მორფოლოგია*. თბ.: „მეცნიერება“, 1984.

რერიხი 1990: Röhrich, L. *Grausamkeit*. In: *Enzyklopädie des Märchens*. Bd. 6. Berlin / New York: Walter de Gruyter, 1990.

რერიხი 1964: Röhrich, L. *Märchen und Wirklichkeit*. Wiesbaden: Steiner, 1964.

რერიხი 1976: Röhrich, L. *Sage und Märchen. Erzählforschung heute.* Freiburg / Basel / Wien: Herder, 1976.

სურგულაძე 2003: სურგულაძე ი. *მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში.* თბ.: თსუ გამომცემლობა, 2003.

ტოლკიენი 1966: The Tolkien Reader. *An Anthology of works by J. R. R. Tolkien.* Ballantine Books 1966. <http://brainstorm-services.com/wcu-2004/fairystories-tolkien.pdf>

უმიკაშვილი 1964: უმიკაშვილი პ. *ხალხური სიტყვიერება.* ტ. III. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

ქურდოვანიძე 1983: ქურდოვანიძე თ. *ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი.* თბ.: თსუ გამომცემლობა, 1983.

ჩოლოყაშვილი 2003: ჩოლოყაშვილი რ. *ჯადოსნური და ნოველისტური ზღაპრების გმირთა გენეტიკური კავშირი.* — ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბ.: 2003.

შემოკლებათა ახსნა

ATU: Uther, Hans-Jörg: *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1.* Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004.

KHM: Grimm, Brüder: *Kinder und Hausmärchen.* München: Winkler, 1996.

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Poet of the Sky Path
(Aspiration Range in Vazha-Pshavela's Fiction)**

Actually the biography of “Georgian Mountain” takes start from Romanticism. But here mountain appears to be the monument of petrified spike of the past magnificence, only Vazha-Pshavela manifests mountain in a natural and pristine state. Vazha-Pshavela's mountain has its thoughts, thrill of dream, spiritual and human dignity. All the symbols reveal the spiritual rise of the poet.

As for the unity of the sky and the earth only Vazha-Pshavela can create the best characteristic features. “Night in the Mountain” “Stars Blossom” “Strike by the sky” “Why am I created as human” Vazha –Pshavela is the greatest poet creating such a marvelous poetry.

Keywords: Vazha-Pshavela, sky, mountain, symbol.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**ცის ბილიკის პოეტი
(ზესწრაფვის მხატვრული დიაპაზონი ვაჟა-ფშაველასთან)**

შემოქმედებითი იმპულსი ღვთაებრივი შეცნობის თავისუფალი ანუ ადამიანური ზესწრაფვის მიწიერი გააზრებაა; დროსა თუ სივრცეში სრულიად სტიქიური, თუმცა კონკრეტული შემოქმედის მიერ, ხელნერის დიაპაზონის უსასრულო სრულყოფილებით, პირველშეგრძნების იდუმალეზამდე დაყვანილი.

ამიტომაც, ამ „ალმაფრენის ველი“ გარეშეთათვის ოდენ მომნუსხავი და სანატრელი, თავად შემოქმედისათვის ის ლაბირინთია, საიდანაც თავის დაღწევა (თუ გალაკტიონს დავესესხებთ) „სიკვდილის ვარდისფერი გზით“ ხდება მარტოოდენ...

თუმცადა, არსებობს კიდევ ერთი გზაც — წუთისოფელში ფრიად უჩინო, მხოლოდ განდობილთა სხეულში ფესვგადგმული — მარადიული ღერძი კაცობრიობის მოდგმისა... ეს კი საკუთარი სხეულის მიღმა იმგვარი იდუმალი სვლაა — „მიწიერი ბილიკიდან“ ერთგვარი ცდომისა, რომ ზესწრაფვის მარადიული არსის შეგრძნების ჟამს პოეტურ აღსარებად უნდა ამოიფრქვეს და, რაც მთავარია, თუნდაც წამიერი,

სულიერი სიმყუდროვის აბსოლუტური ნეტარება უნდა განაცდევინოს ერთადერთ თანამესულედ ქცეულ მკითხველს.

ვაჟა-ფშაველაც ხომ სწორედ ამგვარი შემოქმედია და მის „ლიტერატურულ მთებში“ მოგზაურობისას — ის თავდაპირველად უჩვეულობის მხატვრული ემოციით გვნუსხავს... და მხოლოდ შემდეგ, „პოეტური ბანგით“ ჰყრობილნი, ვაცნობიერებთ სადა სინატიფით ამოთქმული სიტყვის სიღრმესა და მომნუსხველ უსასრულობას. პირველთქმული სიტყვის უზადო არსი პოეტს ხომ „ცის სვეტთა“ (მთის ბიბლიური პარადიგმა) ზეციური სიმაღლიდან მოაქვს ჩვენამდე და წუთისოფლის ქარბორბალით გზააბნეულ ადამიანს კვლავ სისათუთისა და სულიერი წონასწორობის განცდას უბრუნებს.

ამიტომაც, მთისმეტყველების არსი, ისევე როგორც ცის ყოვლისმომცველი სილაჟვარდე, ვაჟა-ფშაველასთან სულიერი ამაღლების (შესაბამისად — განწმენდის) მეტაფორაა, ანუ პოეტური ზესწრაფვის სიტყვიერი ხატი.

„სახის მწერლობაში“ (სახისმეტყველების საბასეული განმარტება) სწორედ ვაჟადან იწყება სრულიად უჩვეულო და საკრალური „სიმბოლოდქმნადობის“ მხატვრული მისტერია. ეგებ იმიტომაც, რომ თავად პოეტი სამყაროს შეცნობას მთის მწვერვლებში ჩაკარგული ცის ბილიკიდან იწყებს ხოლმე.

ცის მარტოოდენ ზეცის ფენომენით განცდამ, მთაში მარტოოდენ „ზეციური კიბის შეგრძნებამ (და, რაც მთავარია, მათი ოდენ ღვთაებრივი სანყისით საკრალიზებამ), — ამ სიმბოლოთა სახისმეტყველებითი დიაპაზონი მხოლოდღა ბიბლიური ალუზიებით შემოფარგლა, რამაც ფაქტიურად მოიცვა მთელი ძველი ქართული მწერლობა.

ამ „ღვთაებრივმა მიჯაჭვულობამ“ საკრალური არქეტიპებიდან ლიტერატურულ სიმბოლოდქმნადობის პროცესიც ერთგვარად შეაფერხა; მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთაველმა რელიგიური ცნობიერების მხატვრული ინტერპრეტირების უნივერსალური ნიმუში შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ სახით (ამ პოემაში ხომ სამეფო ტახტი მთის სიმბოლოური ანალოგიაა და ამიტომაც, ტარიელის სულიერი ინიციაცია ხდება არა მწვერვალის დაპყრობით, არამედ ინდოეთის სამეფო ტახტზე აღსვლის ჟამს...); დავით გურამიშვილმა კი კლასიკურ მხატვრულ აზროვნებას ბიბლიური პერიპეტიები შესძინა („მთაო ღვთისაო, მთაო პოხილო, დავითის საგალობელო“...), შემდგომ, ამ თვალსაზრისით, მაინც ერთგვარი სახისმეტყველებითი ვაკუუმი იკვეთება XIX საუკუნემდე.

ფაქტობრივად, „ქართული მთის“ ლიტერატურული ბიოგრაფია რომანტიკოსებიდან იწყება. ოღონდ აქ, მთა მარტოოდენ წარსული დიდების უტყვი კოლოსია (დანყებული ალექსანდრე ჭავჭავაძეთი — „კავკასიით“ და იმავე ინერციით გაგრძელებით თუნდაც ილიას „მგზავრის წერილებში“...).

მხოლოდ ვაჟასთან დაიბრუნებს მთა თავის პირველქმნილ „თვინიერ სულის მეტყველებას“ და ზედმიწევნით ასახავს ლიტერატურული სიმბოლოს ყველა ასპექტს.

ვაჟას მთა „ზეციური კიბის“ პირველქმნისა თუ სრულიად განზოგადებული მისტიკური ჭვრეტის ანუ ადამიანის თვალსაწიერიდან აღმოცენებული ზესწრაფვის, მარადიული „ღვთაებრივი ენერჯის“ პოეტური განსხეულებაა.

„წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით, — განსაკუთრებით საინტერესოა არქეტიპული სიმბოლოს ლიტერატურულ სიმბოლოდ გარდასახვის თვალმიდევნება, რითაც საცნაური ხდება სიმბოლოს მხატვრული დიაპაზონი... სახისმეტყველებითი ცნობიერება კონკრეტულ შემოქმედთა „ლიტერატურულ სივრცეში“ აბსოლუტურ თავისთავადობას იძენს და ამიტომაც, ლიტერატურული სიმბოლო საკუთარი „ქმნადობის“ მთელ სპექტრს გვთავაზობს. ამგვარადვეა ვაჟასთანაც — „ბუნების ჩვეულებისაებრ სვლის“ პოეტთან (ელაშვილი 2009: 99). მისთვის სამყაროს შეცნობის „პოეტური ფილოსოფია“ მინიერი სრულყოფილების (თუნდაც მთათა მომნუსხავი და იმავდროულად ნატიფი სრლუქმნილება...) ზებუნებრივ ხედვაშია საძიებელი. ეს კი, თავის მხრივ, ზეგრძნობათა მხატვრულ დიაპაზონს იმგვარად გამოჰკვეთს, რომ ვაჟას „წარმოსახვითი სივრცე“ საოცრად ბუნებრივია, მაგრამ იდუმალი და მიუწვდომელი, როგორც პირველქმნილი ჭეშმარიტება“ (ელაშვილი 2009: 94). ამის საილუსტრაციოდ მთის ყოვლისმომცველი სიმბოლური თვალსაწიერიც კმარა.

„მთა — ესაა ვიზუალური გამოხატულება ადამიანის ზესწრაფვისა; მიწისა და ზეცის შერწყმის ადგილი, ღრუბლითა და ნისლით მოსილი იდუმალი „სვეტნი ცათანი“, სადაც ღმერთნი ბინადრობენ, ღმერთობენ და საიდანაც დროდადრო ადამიანებს ამცნობენ თავიანთ ბუნებას.

მთის შთამბეჭდაობამ — სიმაღლემ, ფორმამ, რაც საერთო ჯამში, სიდიადის შეგრძნებას ბადებს, — წარმოშვა მთის სიმბოლიზმის მთელი სისტემა, რომელიც აერთიანებს ზეანეულ სულიერებას, მადლმოსილებას, შთაგონებას, სიძლიერეს... იგულისხმება, რომ არც ერთი ეს თვისება არ არის სტატიკური და საფეხურებრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ — მთად ნოდებულ ცისკენ აღმართულ კიბეზე...“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2006: 145). ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ ვაჟას „შემოქმედებითი მისტიკის“ თავსატეხს ლიტერატურათმცოდნეები სწორედ „მთისმეტყველებაში“ ეძებენ.

გრიგოლ კიკნაძე: „ვაჟა-ფშაველა მთის შვილია, მთის მასალას განიხილავს, მაგრამ არა მარტო მთის ვიწრო თვალსაზრისით; იგი ახალ თვალსაზრისს ეყრდნობა, მთაში მხოლოდ მთას არ ხედავს, მთის მასალა, თუ შეიძლება ითქვას, ვაჟა-ფშაველას ახალ სიმაღლეზე აჰყავს, ვაჟასთვის მთა ამოსავალია, რათა დიდი და საყოველთაო მნიშვნელობის საკითხები დასვას“ (კიკნაძე 1957: 47).

ზაზა აბზიანიძე: „დილით, როცა მზის პირველი სხივი დაეცემოდა ივლიანთ გორას, ვაჟა პირზე წყალს შეისხამდა, თაფლისფერ წვერზე გადაისვამდა ხელს და გახედავდა ჩარგლულას ხეობას, სამების მთას და სარაყდრის გორს — რამდენჯერ ჩასძინებია მის კალთაზე ხევსურეთიდან მობრუნებულს... მერე, ჩაფიქრებული, თავისთვის ჩაიდუღუნებდა:

მთას ვუცქერ ყელ-მოღერებულს,
მთელის ხმელეთის მფლობელსა,
თვის დღეში ცრემლ-დარად უნახველს,
არვისთვის არრის მთხოვნელსა, —
ერთს ბედნიერად გაჩენილს,
გაჩენით ბედის მპოვნელსა,
რაც უნდა, რაც ენატრება,
ყველას უჯაფოდ მპოვნელსა.
ვეცქერ ხევს მოქუხარესა,
ლალსა და ლალად მდინარსა, —
ქვეყანას, ტურფად მოკაზმულს,
მზეს, მთვარეს, ნათლის მფინარსა,
და ჩვილს ყრმას, აკვანს მწოლარეს,
ტკბილს ოცნებაში მძინარსა;
განათლებისა ნაყოფსა,
უფლის ტახტამდე მყივანსა.
(„მთას ვუცქერ ყელმოღერებულს“)

იმეორებს ვაჟა ამ ლექსს და „ამჟამინდელი ხედვის სიამე“ მომავალზე ფიქრით ენამლება — „რით დასრულდება სიტრუფე სიცოცხლის, მთისა, ბარისა?“... (აბზიანიძე 2009: 234).

თამაზ ჩხენკელისთვის კი მთის კოსმოგონია ვაჟას მითოსურ-ფილოსოფიურ პოემაში „კოპალა“ ამგვარადაა გაცხადებული; — „ღრმა ფიქრით შებურვილი მთები, რომელთა შუბლზე ჯერ კიდევ აღბეჭდილია შესაქმის ღვთაებრივი აზრი, მალლით დასცქერიან შეძრწუნებულ დედამინას, რომელიც მკვდართა ბინასა ჰგავს...“ (ჩხენკელი 1989: 76).

თამარ შარაბიძის თქმით: „ვაჟას შემოქმედებაში მთა ამოუწურავი ფენომენია... მთა ხან სამშობლოს სიმბოლოა და პატრიოტული გრძნობის ამშლელია, ხან ფიქრისა და მელანქოლიის საფუძველია, ხან ვაჟკაცობის, შეუდრეკელობის, სიმხნევის, ერთგულების, თავდადებული სიყვარულის გამოხატულებაა. მთა ხან ახლობელია, ხან დაუძლეველი და გადაულახავი. ეს მრავალფეროვნება იმის შედეგია, რომ ვაჟა ქმნის მთის ხატს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტუაციაში. ვაჟას მიერ შექმნილი მთის ხატი ერთ-ერთი სახე-სიმბოლოა ბიბლიური „ტრფობისა“ და „გრძნობის“ მთა, რომელთანაც უშუალო კავშირშია ქრისტიანული, თავგანწირული სიყვარული“ (შარაბიძე 2005: 143).

ზემომოხმობილი ციტატები (რალა თქმა უნდა, მთის ეს სამეცნიერო ილუსტრაციების სრული ნუსხა არაა...) მთის ფენომენის გათავისების და შესაბამისად, ზესწრაფვის მხატვრულ ქარგაში მოქცევის იმგვარი მცდელობაა, სადაც ბუნებრივად იკვეთება ვაჟას „პოეტური ფილოსოფიის“ ნიშანდობლივი აქცენტები... საკრალურობის ზღვარზე ამალღებულ ხედვას, რალა თქმა უნდა, არ გამოორჩებოდა „ლიტერატურული პეიზაჟის“ განუყოფელი კომპონენტი — „ზებუნებრივი ლაბირინთის“ — ნისლის სახით:

„ნისლი ფიქრია მთებისა
იმათ კაცობის გვირგვინი.
მიყვარს შეუდრეკს მათს მკერდზე
ხშირის ბალახის ბიბინი,
ტილის ობლის ნიავის
გულის მგმირავი სისინი“.
(„ბახტრონი“, ვაჟა-ფშაველა 1960: 440)

ვაჟას „ნისლთამეტყველება“ ღვთაებრივი ამალღების ზედმინვენით განცდას ბადებს. სიმალლის ამ გადასახედიდან მარადიულ მღუმარებას მიცემულ მთებს გარეშე თვალთათვის უჩინარი ოცნების თრთოლვაც კი გააჩნიათ — „მთის მშვენიერ ყვავილთა სახით“ („მთანი მალაღნი“), გრძნობის უზენაესობაც და ზნეკეთილობაც. ამიტომაც მთა სულიერი ღირსებისა თუ პიროვნული კეთილშობილების ერთგვარი გვირგვინია („მთათ მითხრეს“). ამიტომაც, მწვერვალის დაპყრობა თუ მთასთან დიალოგი („მთას ვიყავ“) პოეტისათვის შინაგანი ამალღების, „ღმერთთან ლაპარაკის“ ტოლფასია... და უკვე სავსებით ბუნებრივია, რომ ვაჟა-ფშაველა თავის ლირიკულ ავტოპორტრეტსაც მთის თვალსაწიერით რკალავს:

„მიყვარს სიმალღე,
მით მიყვარს მთები...
მიტომ ვმალღები
და არა ვკვდები“.
(„მთას“, ვაჟა-ფშაველა 1960: 254)

მთის ყოვლისმომცველი შთაბეჭდილებით მონუსხული პოეტი ცის სილაჟვარდის მისტიკურ უსაზღვროებას მხატვრული ზესწრაფით გაგვაცდევინებს. „ცა (ზეცა) ადამიანის თვალსაწიერის უკიდვანობისა და „ფრთაშესხმულ ოცნებათა“ უნივერსალური სიმბოლოა... ბუნებრივია, რომ ცით სიმბოლიზირებულია ყოველივე ტრანსცენდენტური, უსასრულო და ღვთაებრივი“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 117).

ქართულ მწერლობაში „ლიტერატურული ცის გახსნაც“ (მთისმეტყველების მსგავსად...) რომანტიკოსთა „პრივილეგიაა“, რომლებთანაც ცა (და არა ზეცა!) მეოცნებე – ცდომილი სულის ნავთსაყუდელია... ეს პოეტური მისტერია ნიკოლოზ ბარათაშვილის „ცისა ფერი-

დან“ იწყება; აქ ხომ სულიერი ტკივილი ლაჟვარდის უსასრულობაშია გაბნეული და ცა თავისი უძირო და შეუცნობელი ფერთამეტყველებით პოეტური სულის მარადიულ ზესწრაფვადაა გარდასახული.

რაც შეეხება, მინისა და ცის ერთიან „შემოქმედებით ჭერეტას“, – თუნდაც ცაზე „ვარსკვლავთ აყვავებას“ ანუ მინიერი სრულყოფილების ზეციურ პროეცირებას („ღამე მთაში“) — ეს უკვე ვაჟა-ფშაველას სფეროა. გავიხსენოთ მისი სულიერი სიძლიერისა თუ მამაკაცური ნებელობის პოეტური ნიმუში — ცით მოვლენილი სეტყვის მედგარი დახვედრა („დამსეტყვე ცაო“), ანდა, ადამიანად მოვლენის გაუსაძლისი მინიერი ტკივილი და წვიმად გარდასახვის („რამ შემქმნა ადამიანად“) ზეციური თავისუფლება, ცად დამკვიდრების უპირობო პრივილეგიით:

„რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოვედ წვიმად,
რომ ვყოფილიყავ მუდამა
.....
ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილად...“
(„რამ შემქმნა ადამიანად“,
ვაჟა-ფშაველა 1960: 291)

ადამიანური საწყისის დედა-მინიდან ამოზრდის, თუმცაღა იმავდროულად „ცად აღსვლის“ პოეტური მისტერიაა ვაჟასთვის წვიმა — თავისი ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველი „ზეციური კურთხევიტ“...

სიმბოლოლოგიური თვალსაზრისით, წვიმა — ერთადერთი გამონაკლისია წყლის ზოგად განსხეულებათაგან (იქნება ეს ზღვა, მდინარე, ტბა, წყარო თუ ჭა — ეს უკანასკნელნი მკვეთრად გამოხატული მდებდრობითი ნიშნით), რომელიც მამაკაცური საწყისისაა, ანუ შესაბამისად ღვთაებრივი ენერჯის ერთგვარი მატარებელიც. ამიტომაც, „სანამ ადამიანში არ ჩაკლულა მითოპოეტური ხედვა, ის ყოველთვის აღიქვამს ციდან გადმომდინარე წყალს, როგორც ღვთაებრივ მადლსა და სასწაულს. წვიმის სიმბოლიზმი ენათესავება მზის სხივებისას, როდესაც ის განასახიერებს სულიერ გასხივოსნებასა და ნაყოფიერებას“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 143). რალა თქმა უნდა, სავსებით ბუნებრივია, რომ სწორედ ვაჟას მსგავსმა ყოვლისშემგრძნე შემოქმედმა შეძლო წვიმის „ზებუნებრივი მეტყველების“ წვდომა და პოეტურ მეტაფორად გარდასახვა; ამგვარი წვდომა მთისა თუ ცისმეტყველების საკრალური ფენომენის ოდენ შემოქმედებითი თანაგანცდითაა შესაძლებელი. თუმცაღა ერთი მხრივ, ეს მედიტაციური ზესწრაფვა გრძნობის იდუმალ სვეტადაა ჩამოქნილი; ხოლო მეორე მხრივ — იმგვარად შეუვალი და სრულიად შეუცნობელი, რომ სიმაღლის „უსასრულო არაარსის“ განცდასაც კი ბადებს.

ვაჟა-ფშაველამ მთის საწყისის ღვთაებრივი არსი თითქოსდა გამოიწვნა „ბინდისფერ ტკვილთაგან“ და მწვერვალთა იმგვარი დაპყრობა გვასწავლა — რომ თავად მისი სიტყვა ხილულს ხდის ზეალმავალ უჩინარ ბილიკს. ასეთ ნამს, შენც, მკითხველი, პოეტთან ერთად ექცევი მთაგრეხილთა მარადიულ დინამიკაში, ატაცებული საკრალური ზესწრაფვის „სულისმიერი მეტყველებით“, „გონების თვალისთვის“ ესოდენ უხედველი რომაა...

დამონეგებიანი:

აბზიანიძე 2009: აბზიანიძე ზ. *ვაჟა-ფშაველა*. — ლიტერატურული პორტრეტები. 2009.

აბზიანიძე, ელაშვილი 2006: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია*. I, თბ.: „ბაკმი“, 2006.

აბზიანიძე, ელაშვილი 2007: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. *სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია*. II, თბ.: „ბაკმი“, 2007.

ელაშვილი 2009: ელაშვილი ქ. *სიმბოლოს მხატვრული დიაპაზონი ანუ „ნისლთამეტყველება“ ვაჟა-ფშაველასთან*. — სიტყვით თრობა. თბ.: „ბაკმი“, 2009.

ელაშვილი 2009: ელაშვილი ქ. *სრულქმნილების მხატვრული ტრანსფორმაცია*. — სიტყვით თრობა. თბ.: „ბაკმი“, 2009.

ვაჟა-ფშაველა 1960: ვაჟა-ფშაველა. *რჩეული*. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1960.

კიკნაძე 1957: კიკნაძე გრ. *ვაჟა-ფშაველას შემოქმედება*. თბ.: „სახელგამი“. 1957.

შარაბიძე 2005: შარაბიძე თ. *ქრისტიანული მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში*. თბ.: 2005.

ჩხენკელი 1989: ჩხენკელი თ. *მშენიერი მძლევარი*. თბ.: „მერანი“, 1989.

MOHAMMAD EXIR

Iran, Bushehr

Islamic Azad University

The Reflection of Epistemological Anxieties in Joseph Conrad's *Heart of Darkness* through the Mythic Character "Kurtz"

The significance of myth is shared by numerous Modernist writers, and Joseph Conrad seems to have anticipated them. *Heart of Darkness* has taken on some of the power of myth through the journey of a protagonist, Marlow, into Africa's dark heart to find a missing explorer. In this novella Kurtz has been considered as a mythic character with no resemblance to others. Conrad personifies the epistemological anxieties which lay at the heart of modernity. This paper is an attempt to examine how *Heart of Darkness* expresses the epistemological crisis of meaning and Conrad's attacks upon imperialism in modernist literature.

Key words: Joseph Conrad, Heart of Darkness, Epistemological Crisis, Imperialism, Kurtz-Myth.

MOHAMMAD EXIR

Iran, Bushehr

Islamic Azad University

The Reflection of Epistemological Anxieties in Joseph Conrad's *Heart of Darkness* Through the Mythic Character "Kurtz"

For more than a hundred years the perception of "mythical thinking" has already existed. A very compact study that includes only the most significant points and representative names are both interesting and instructive. Freud and Jung and later on Northrop Frye, Joseph Campbell, and Claude Levi-Strauss show their interest in the importance of myth and then is shared by numerous Modernist writers, and Conrad seems to have anticipated them. In *Heart of Darkness* Conrad employs an archetypal myth which is performed in much great literature in the story of a lonely journey concerning thoughtful spiritual change in the adventurer. In *Heart of Darkness*, Conrad uses Marlow's lonely journey and spiritual change as a setting for his fundamental subject matter. Conrad creates Kurtz in the way which is considered as the super-human, the unattainable, and the mysterious. Kurtz is mysterious and almost mythological in nature. This gives him an almost royal or divine status. Indeed, even the bitter brick maker of the Central Station admits that Kurtz "is a prodigy... To-day he is the chief of the best station, next year he will be Assistant-Manager, two years more and... but I dare say you know what he will be in two years' time" (Conrad 1995:25). Moreover, the greater part of the novel is centered on Mar-

low's mission to save Kurtz; Kurtz is the final goal. But Marlow himself has never met Kurtz. Marlow has only heard rumors and stories about Kurtz. Because Marlow has time to construct an idealized Kurtz in his mind, Marlow awaits speaking with Kurtz before he even lays eyes on him. He is hopeless about the idea that Kurtz might already be dead, saying:

"There was a sense of extreme disappointment as though I had found out I had been striving after something altogether without a substance. I couldn't have been more disgusted if I had travelled all this way for the sole purpose of talking with Mr. Kurtz" (Conrad 1995:47).

Marlow and the reader together become enchanted with the man behind the mythology, a mythology which once lost as Kurtz's body fades away, but is again returned to its original attraction and ambiguity in the dying man's indecipherable last cry, "The horror! The horror!" throughout a close and thoughtful study of the text and of the linguistic phenomena that informs it. It can be seen how Conrad's novel serves as a unique and enlightening literary expression of the crisis of knowledge that so defined modernity in the twentieth century.

Heart of Darkness is a great and helpful critic of imperialism, which showing the hypocrisy and imperialism, signifies through the hostility in Africa. This absolutely challenged the convictions of the late 19th century European society, as it undermines their central viewpoints. In *Criticism and Ideology* has written that the 'message' of *Heart of Darkness* is Western civilization which is at base as barbarous as African society - a viewpoint which disturbs imperialist supposition to the exact degree that it reinforces them. (Eagleton 1976: 135). *Heart of Darkness* is universally considered as a great reflection and critic of imperialism. It is understood for the reason that Conrad's parents were victims of Russia's imperialism over Poland; he was predisposed to be against imperialism. It is essential to note that because Conrad and Marlow share the same experiences, so Conrad's view of imperialism is reflected in the course of Marlow. Marlow reproduces the cultural myths about imperialism through his idea that imperialism is excellent in theory, "There was a vast amount of red-gold to see at any time", but challenges the practice of it when done unsuccessfully, "It was just robbery with violence, aggravated murder on a great scale, and men going at it blind what redeems it is the idea only". The theory of imperialism is also mainly based about Social-Darwinism. Social Darwinism was a broadly accepted belief throughout the turn of the century, which Conrad mirrors in his works. In social Darwinism it is believed that a certain group of people were more suitable for survival than others and therefore were intended by the natural world to take over and protect their inferior races. Conrad represents this theory, through classification of the Freselven as the "supernatural being", which suggests that a European has the God-like capacity to rule over the Africans.

Heart of Darkness was provoked mostly by Conrad's own journey into the Congo in 1890. During this journey, he noted evidence of atrocities, exploitation, inefficiency, and hypocrisy, and it fully convinced him of the disparity

between imperialism's rhetoric and the harsh reality of "the vilest scramble for loot that ever disfigured the history of human conscience. That experience provided a source for the knowledgeable annoyance of *Heart of Darkness*. Definitely the mixture of that annoyance and a visionary-symbolic aim results in satiric exaggeration: the inadequacy and incompetence presented in the tale are so common as to make it seem unlikely that the imperialists in Africa could ever set up possible railways, road systems, or towns. As Sherry exposes, the real-life counterpart to Kurtz, Klein is a counterpart only in the fact that he was an ailing trader in the Congo who had to be transported back downstream on Conrad's vessel and who died on the journey. There is no proof at all that he shared Kurtz's brilliance and decadence. Another writer, C. P. Sarvan argues that while Conrad was definitely unsure on racial matters, *Heart of Darkness* is progressive in its satiric accounts of the colonialists. Sarvan concludes: "Conrad was not entirely immune to the infection of the beliefs and attitudes of his age, but he was ahead of most in trying to break free". (Sarvan 1980:10). To examine *Heart of Darkness*, as to any literary text, its date is important. As Sarvan shows, relative to the standards prevailing in the 1890s, the peak of Victorian imperialism, *Heart of Darkness* is really progressive in its criticism of imperialist activities in Africa, and absolutely of imperialist activities. Conrad was writing at a time when most British people, including many socialists, would have regarded imperialism as an admirable activity.

- Аверинцев 1970:** Аверинцев С. *Судьба* // *Философская энциклопедия*. Т. 5. М., 1970.
- Грибоедов 1988:** А.С. Грибоедов. *Сочинения*. М., Художественная литература, 1988.
- Дубин 1995:** Дубин Б.В. *Биография, репутация, анкета (о формах интеграции опыта в письменной культуре)* // *Биографический альманах*, 6. М. - СПб, 1995.
- Исупов 1994:** Исупов К.Г. *Русская философия смерти (XVIII–XX вв.)* // *Смерть как феномен культуры*. Сыктывкар, 1994.
- Лермонтов 1979:** Лермонтов М.Ю. *Собрание сочинений в 4-х тт.* М., 1979. Т.1.
- Лосев 1987:** Лосев А.Ф. *Демон* // *Мифы народов мира: Энциклопедия*: В 2 т. М., 1987. Т. 1.
- Лотман 1992:** Лотман Ю.М. *Литературная биография в историко-культурном контексте (к типологическому соотношению текста и личности автора)* // Лотман Ю.М. *Избранные статьи: в трех томах. Т.1. Статьи по семиотике и типологии культуры*. Таллинн, 1992
- Магомедова 1998:** Магомедова Д.М. *Автобиографический миф в творчестве Александра Блока*. Дисс. в виде научного доклада ... докт. филол. наук. М., 1998.
- Мегрелишвили 2000:** Мегрелишвили Т. *Антиномии Михаила Лермонтова*. Тбилиси, 2000.
- Толстой 1982:** Толстой Л.Н. *Собр. соч. в 22 тт.* Т.4. М., 1982.
- Томашевский 1923:** Томашевский Б. *Литература и биография* // *Книга и революция*. 1923. №4(28).
- Чаадаев 1991:** Чаадаев П.Я. *Избранные сочинения и письма*. М.: «Правда», 1991.
- Чхартишвили 1999:** Чхартишвили Г. *Писатель и самоубийство*. М., 1999.

DAREJAN MENABDE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

On the Issue of Dinara-Tamar Identity

The Story of Dinara composed at the turn of the 15th-16th centuries is a Russian chronicle which is based on Georgian historical material. Of special interest is the main protagonist Queen Dinara.

Georgian and Russian scholars have argued over the historical figure whose prototype Dinara may be. Many believe that Dinara is a prototype of Georgian Queen Tamar. Despite this identifying Dinara as Queen Tamar failed. The article attempts to argue that the Queen of Hereti Dinar is the main prototype to whom this story is devoted.

Key words: „The Story of Dinara“; Queen Tamar; Queen of Hereti Dinar.

დარეჯან მენაბდე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დინარა-თამარის იდენტურობის საკითხისათვის

„მოთხრობა დინარაზე“ XV-XVI სს. მიჯნაზე დანერგილი რუსული თხზულებაა, რომელსაც ქართული ისტორიული მასალა უდევს საფუძვლად. ავტორი თხზულებისა უცნობია. სავარაუდოდ, იგი იყო მოსკოველ მწიგნობარ-დიპლომატთა იმ წრიდან, რომელიც იბრძოდა თვითმპყრობელური სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და ამტკიცებდა მოსკოვის მეფის ძალაუფლების ღვთიურ წარმომავლობას. იმ დროს (კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ) რუსეთი თავს ბიზანტიის მემკვიდრედ აცხადებდა და მის ინტერესებში შედიოდა კეთილმეზობლური ურთიერთობა მართლმადიდებლურ საქართველოსთან, რომელსაც თავის მომავალ მოკავშირედ მოიაზრებდა.

საქართველოში ამ თხზულებას XVI საუკუნიდან იცნობდნენ. მისი ქართული თარგმანი (მთარგმნელი — ბ. ბარათაშვილი) დაიბეჭდა ვ. შადურის მიერ შედგენილ კრებულში „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“ (დინარა 1949: 6-10; ბოლო მონაკვეთი, რომელიც არ არის შესული ვ. შადურის პუბლიკაციაში, თარგმნა და გამოაქვეყნა თ. ბუაჩიძემ — ბუაჩიძე 1970: 272-273). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „მოთხრობის“ მთავარი პერსონაჟი, მეფე-ქალი დინარა, რომელიც

სპარსთა მეფეს ებრძვის არა მარტო თავისი ქვეყნის შესანარჩუნებლად, არამედ საერთოდ ქრისტიანული სარწმუნოების გადასარჩენად.

„მოთხრობის“ პრობლემატიკამ არაერთი მეცნიერი დააინტერესა (ადრიანოვა-პერეტცი, პოკროვსკაია 1940: 217-224; ნაზარეფსკი 1955: 96-99 და ა. შ.). საერთოდ, სამეცნიერო მიმოქცევაში „მოთხრობა დინარაზე“ შემოდის 1820 წლიდან, როდესაც პ. სტროევი მის მიერ შედგენილ ხელნაწერთა კატალოგში შეიტანა XVII ს. ხელნაწერი, რომელიც ყოფილა „...отрывок, без заглавия, о войне Динары, дочери Иверского царя Александра Мелеха, с царем персским“ (სტროევი 1820: XXVI). შემდეგ ეს თხზულება მოიხსენია პ. ბუტკოვმა, როგორც მოთხრობა „...о геройских деяниях... Динары или Тамары“ (ბუტკოვი 1825: 324). მ. მაკაროვმა ის ქართულ ხალხურ ზღაპრად მიიჩნია (მაკაროვი 1833: 505-507), ხოლო ი. სახაროვმა სერბეთიდან თუ ბულგარეთიდან შემოტანილ ნაწარმოებად გამოაცხადა (სახაროვი 1841: CXVIII). მოკლედ, საკითხის კვლევა თითქმის ორასი წლის წინ დაიწყო, მაგრამ პირველი სპეციალური გამოკვლევა (რომელიც, სხვათა შორის, პ. სტროევისა და პ. ბუტკოვის დასკვნებსაც არ გამოირიცხავდა) ამ თხზულებას მიუძღვნა მ. ბროსემ, რომლისგანაც, ფაქტობრივად, იწყება ძეგლის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა (ბროსე 1852ა: 289-304; ბროსე 1852ბ: 563-578; ბროსე 1853: 478-490).

მ. ბროსემ წამოაყენა დებულება, რომ დინარა თამარ მეფეა და მისი სპარსეთზე გამარჯვება შამქორის ომს დაუკავშირა (ბროსე 1853: 478-490). მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობაში თამარის ნაცვლად დინარა იხსენიება, თამარის მამის, გიორგის, ნაცვლად კი — ალექსანდრე, ძნელია იმის ამოცნობაც, თუ ვინ არის ადრამელები, საიდან გაჩნდა ნაწარმოებში შაბრენის მონასტერი და სხვ.; მ. ბროსედან მოკიდებული, მრავალი მეცნიერი იზიარებდა მოსაზრებას, რომ თქმულებაში თამარი და მისი ეპოქაა ასახული.

განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა კირიონ II-ს (საძაგლიშვილს). იგი ამტკიცებდა, რომ მოთხრობის მთავარი გმირის სახით მოცემულია ჰერეთის დედოფალი დინარა, რომელიც X საუკუნეში ცხოვრობდა (კირიონი 1910: 18-19, 110-113).

საკითხში გარკვევის მიზნით ი. ცინცაძემ „მოთხრობის“ ტექსტი საგანგებოდ შეუდარა თამარის ისტორიკოსთა თხზულებებს, შეისწავლა სხვადასხვა „ელჩობის“ მასალები, „ქართლის ცხოვრების“ ცნობები დინარ დედოფლის შესახებ და დაასაბუთა, რომ „მოთხრობაში“ მოხსენიებული დინარა არის თამარ მეფე. ი. ცინცაძის თქმით, „რუსულ თქმულებას საფუძვლად უდევს თამარ მეფის დროის საქართველოს ისტორიიდან არა მარტო შამქორის ომის აღწერილობა, არამედ მთელი ეპიზოდები თამარის მეფობიდან“ (ცინცაძე 1939: 91). შემდგომში დინარასა და თამარ მეფის იდენტურობის თვალსაზრისი მეტ-ნაკლებად გაიზიარეს ტ. რუხაძემ (რუხაძე 1961: 117-128), ვ. შადურმა (შადური 1949; 1960), ლ. ძონენიძემ (ძონენიძე 1955) და სხვებმა.

„მოთხრობის“ მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები ა. სობოლევსკი და მ. სპერანსკი (სობოლევსკი 1928; სპერანსკი 1926), რომელთა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელი რიგი საკითხების კვლევაში. ა. სობოლევსკიმ ჯერ კიდევ 1897 წელს გამოთქვა აზრი, რომ „მოთხრობა დინარაზე“ არის თარგმნილი ბერძნული ორიგინალიდან, ხოლო მოგვიანებით იგი წერდა: „По моему мнению, древне-русская повесть о Динаре переведена с греческого текста в стихах обычного для поздних греков восьмистопного ямбического размера... Я вижу в повести о Динаре одно из произведений трапезундско-греческой литературы, пришедшее в Русь“ (სობოლევსკი 1928: 391, 395). სხვათა შორის, ა. სობოლევსკის ამ მოსაზრებას თავის დროზე ეთანხმებოდნენ ქართველი მეცნიერებიც (ჯავახიშვილი, ჯანაშია, ბერძენიშვილი 1948: 225; ინგოროყვა 1978: 170-176).

ა. სობოლევსკის თვალსაზრისი არ გაიზიარა მ. სპერანსკიმ (სპერანსკი 1926: 43-92), რომელმაც, შეიძლება ითქვას, რუს მეცნიერთა შორის ყველაზე საფუძვლიანად შეისწავლა თხზულების მრავალი ხელნაწერი და სამეცნიერო ლიტერატურა. საკმაოდ ვრცელ გამოკვლევაში იგი ამტკიცებდა, რომ „მოთხრობა დინარაზე“ არის ლიტერატურული გადაშუქება ქართული თქმულებისა, რომელიც შეიქმნა რუსეთში ე. წ. „მოსკოვურ პერიოდში“. მან უარყო თხზულების ბერძნული წარმომავლობა. მისი მოსაზრებით: „Грузинская легенда принесенная в Московскую Русь, вероятно в XV была обработана в конце этого века, может быть, в следующем, русским книжником в духе ходячих повестей того времени“ (სპერანსკი 1926: 82; სხვათა შორის მანვე გამოაქვეყნა ნმ. დინარას ხატი და თხზულების ერთ-ერთ ნუსხაში შემონახული მინიატურები — სპერანსკი 1926: 85-87). მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. სპერანსკიმ ვერ შეძლო ა. სობოლევსკის შეხედულებათა გაბათილება და ბევრი კითხვა ისევ უპასუხოდ დარჩა.

გასული საუკუნის 60-იანი წწ. ბოლოს ა. სობოლევსკის შეხედულება გაიზიარა თ. ბუაჩიძემ, რომელმაც წამოაყენა ჰიპოთეზა — „ბიზანტიაში ან ტრაპიზონის სამეფოში, ალბათ, XIII საუკუნეში შეიქმნა პოეტური ნაწარმოები ივერიის დედოფალ დინარაზე, რომელშიც, შესაძლებელია, რამდენადმე აისახა თამარ მეფის ცხოვრების ზოგიერთი ამბავიც. ნაწარმოები სასულიერო წრეში უნდა შეთხზულიყო... რუსეთში ნაწარმოები, ალბათ, შეტანილ იქნა ბერძენი ბერების იმ ემიგრანტული ტალღის მიერ, რომელიც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მიიწყდა ევროპის ქვეყნებს, განსაკუთრებით — მოსკოვის სამეფოს. აქ „მოთხრობა დინარაზე“ ითარგმნა იმ სასულიერო წრეში, რომელიც ახლოს იდგა მეფის გარემოცვასთან, როგორც რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის სასრგებლოა, აქტუალური ნაწარმოები“ (ბუაჩიძე 1970: 347). უკანასკნელ ხანს ა. სობოლევსკის თვალსაზრისი გაიმეორა მ. გაბაშვილმა (გაბაშვილი 2007: 30-38).

ერთი სიტყვით, მ. ბროსეს მოსაზრებამ არაერთ მეცნიერზე მოახდინა ზეგავლენა, თუმცა პირველი, ვინც ჰერეთის დედოფალი დინარა ახსენა, იყო თავად მ. ბროსე, მაგრამ მან იქვე გამოიყენა თხზულების დინარასა და ჰერეთის დედოფლის იდენტურობა [იმ მოტივით, რომ თხზულებაში მოცემული ისტორიული ფაქტები „ნახევრადგანსწავლულმა“ („полуучённые грузины“) ქართველებმა გაავრცელეს რუსეთში და, ამდენად, ნაკლებადცნობილი დედოფლის სახელიც („молодавская царица“) მათ მონათხრობს დაუკავშირა].

რა ვიცი ჩვენ დედოფალ დინარას შესახებ?

დავინწყით იმით, რომ დინარა იყო ჰერეთის დედოფალი, რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. 13 ივლისს (ახ. სტ.) არის ხსენება „კეთილმორწმუნე დინარა დედოფლისა“ (კალენდარი 2006: 68). იგი ძველ და ახალ საეკლესიო გამოცემებში ყველგან მოიხსენიება როგორც წმინდანი: „საქართველოს ეკლესია დიდ პატივს მიაგებდა წმინდა დედოფალ დინარას. თუ არა მისი თავგამოდებული ღვაწლი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა შეემატებოდა მწვალებელ-მონოფიზიტთა რიგებს, რომელნიც აქ გაბატონებული იყვნენ სპარსელთა ხელშეწყობით“ (ცხოვრებანი 2003: 158).

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში“ არაერთხელ იხსენიება ჰერეთის დედოფალი დინარა (ჯაფარიძე 1996: 347-354), რომელმაც VI-IX საუკუნეების მონოფიზიტური ჰერეთი ქალკედონიტობაზე მოაქცია, რითიც აღადგინა ამ მხარეში მართლმადიდებლობა. ა. ჯაფარიძის მიხედვით, „ჰერები ქართულენოვანი ხალხი იყო, რომელმაც VI-X საუკუნეებში განიცადა ნაწილობრივი არმენიზაცია ალბანეთის სხვა კუთხეთა მსგავსად, ხოლო XI ს-დან ჰერეთი კვლავ ქალკედონიტური ქვეყანა გახდა და ამიტომაც აქ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ენად აღდგა ჰერეთის მშობლიური ქართულენოვანი ღვთისმსახურება... X ს-ში მონოფიზიტური ჰერეთი ქალკედონიტობაზე მოაქცია დინარა დედოფალმა. VI-IX სს-ში ჰერეთი მონოფიზიტური იყო. მონოფიზიტების საეკლესიო ენა ამ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ სომხური ენა იყო. ამიტომაც მაშინ, როცა ჰერეთი მონოფიზიტური იყო, აქ წირვა-ლოცვის ენა სომხური ენა იყო, ხოლო როცა ჰერეთი კვლავ დაუბრუნდა ქალკედონიტობას, მისი საეკლესიო ენა კვლავ ქართული ენა გახდა... X ს-ში ჰერეთის მთლიანად ქალკედონიტობაზე მოქცევა დინარა დედოფლის მიერ წარმოადგენდა ჰერეთის სრულ გამოყოფას მონოფიზიტური ალბანეთიდან, უფრო ზუსტად IX საუკუნეში ჰერეთი პოლიტიკურად გამოეყო ალბანეთს, ხოლო X ს-ში — სარწმუნოებრივად“ (ჯაფარიძე 1996: 349-350).

ჰერეთის სამეფოსა და დინარა დედოფალზე ქართულ ენციკლოპედიაში წერია: „ჰერეთის სამეფო (IX ს. დასასრ. — XI ს. დასაწყისი) — ქართული ფეოდალური სახელმწიფო დაახლ. 943-X ს. 60-იან წწ. ჰერეთის მეფე იყო ადარნასე პატრიკის ძე იშხანიკი. მასთან ერთად

ჰერეთს მართავდა დედამისი — დინარ დედოფალი (ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი, ადარნასე II-ის ასული და ცნობილი გურგენ IV დიდის, ერისთავთერისთავის, მაგისტროსის და)... ქართული წყაროების მიხედვით, იმხანისა და დინარ დედოფლის მმართველობის ხანაში ჰერეთმა უარყო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკედონური მრწამსი. ამ დიდმნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული აქტით განხორციელდა ჰერთა საბოლოო გაერთიანება ერთიან ქართულ (მცხეთის) ეკლესიასთან“ (პაპუაშვილი 1987: 628).

ვფიქრობ, უკვე ამ მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, რომ დედოფალი დინარა სულაც არ არის „ნაკლებადცნობილი“ ისტორიული პირი, როგორც ამას მ. ბროსე აღნიშნავდა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, პირველი, ვინც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ თხზულებაში იგულისხმება ჰერეთის დედოფალი დინარა, იყო კათალიკოსი კირიონი, რომელიც თავის წიგნში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ დინარას შესახებ წერდა: „Она историческая личность и хорошо известна нашим отечественным летописцам и армянским писателям. Тамара слишком близко была знакома русским, чтобы смешивать ее с Динарой... более подробных сведений о ней в Картлис Цховреба нет потому, что Эретское царство имело свою летопись, которая, к сожалению, находится пока в неизвестности“ (კირიონი 1910: 112).

კირიონმა არაერთი არგუმენტით დაასაბუთა, რომ თხზულება ჰერეთის დედოფალ დინარას ეძღვნება (მაგალითად, კირიონის ცნობით, კახეთში ჩამოსულ რუსეთის ელჩს თ. ვოლკონსკის ალავერდის არქივისკოპოსმა ზებედემ 1639 წელს უამბო, რომ ალავერდის ტაძარი დაუარსებია ქართველი დედოფლის, დინარას, შვილს, რომელიც იქვე დაუსაფლავებიათ. კირიონის აზრით, აქ რომ თამარ მეფე იგულისხმებოდეს, მისი შვილებიც ნახსენები იქნებოდნენ და მთხრობელს ისიც ეცოდინებოდა, რომ ისინი გელათში განისვენებენო — კირიონი 1910: 112-113). მაგრამ, რადგან საერთოდ მიჩნეულია, რომ კირიონის ნაშრომი გარკვეულწილად ტენდენციურია, ამდენად, ამ საკითხშიც მას მომხრეები არ გამოუჩნდნენ.

„მოთხრობა დინარაზე“ საგანგებოდ შეისწავლა რუსმა მკვლევარმა ლ. შეპელიოვამ (შეპელიოვა 1953: 297-322), რომელიც რუსულ მასალებთან ერთად კარგად იცნობდა ქართულ საისტორიო წყაროებსა და ქართველ მეცნიერთა მოსაზრებებს. მან თავისებურად ახსნა თამარის დინარად გადაქცევა: „Преобразование Тамары в Динару – не искажение имени, а контаминация. Автор „Повести о Динаре“ спутал имена двух цариц, о которых ему рассказывали. На факт контаминации указывает то, что отцом героини повести назван царь Александр, тогда как отцом Тамары был Георгий III. Имя Алескандр скорее всего

есть искажение имени отца царицы Динары – Адарнерсе“ (შეპელიოვა 1953: 307).

ლ. შეპელიოვა ყურადღებას ამახვილებს კახეთიდან რუსეთში ჩასულ ელჩებზე, რომლებიც უამბობდნენ რუსებს საქართველოს გაქრისტიანებაზე. მკვლევრის აზრით, სწორედ მათ ჩაიტანეს რუსეთში ამბავი დედოფალ დინარასი, რომელმაც ჰერეთი გააქრისტიანა (უფრო ზუსტად, მოაქცია მართლმადიდებლობაზე — დ. მ.). ლ. შეპელიოვა კირიონ კათალიკოსის შემდეგ პირველია, ვინც უშვებს შესაძლებლობას, რომ ამ თხზულებაში მოთხრობილია ჰერეთის დედოფლის, დინარას, ისტორია (შეპელიოვა 1953: 307-310). მისი აზრით, თხზულებას საფუძვლად დასდებია უცნობი ქართული ლიტერატურული წყარო, რომელიც რუს ავტორს თავისებურად გადაუმუშავებია, თუმცა, ბევრი რამ ვერ გაურკვევია და ერთმანეთში არეგია.

უცნობი ლიტერატურული წყარო მიაჩნია თხზულების საფუძვლად თ. ბუაჩიძესაც, რომლის მოსაზრებით, ეს უნდა იყოს ბიზანტიაში ან ტრაპიზონის სამეფოში, დაახლ. XIII საუკუნეში, სასულიერო წრეში შექმნილი პოემა ივერიის დედოფალ დინარაზე (ბუაჩიძე 1970: 347). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ. ბუაჩიძემ დანვრილებით შეისწავლა „მოთხრობასთან“ დაკავშირებული ლიტერატურული და ისტორიული მასალები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „მოთხრობის დინარა არ არის საქართველოს მეფე თამარი“ (ბუაჩიძე 1970: 261), რაც სათანადოდ დაასაბუთა კიდეც (ბუაჩიძე 1970: 285-298). თუმცა, ამ თემას მას შემდეგ მხოლოდ გ. პაიჭაძე შეეხო, რომელმაც ნაწილობრივ გაიზიარა თ. ბუაჩიძის თვალსაზრისი და გამოაცხადა, რომ თხზულების ავტორმა გააერთიანა თამარ მეფისა და დინარ დედოფლის სახელები: „Автор сознательно их объединил и вывел художественный, вымышленный образ, однако в общих чертах вполне соответствующий исторической действительности“ (პაიჭაძე 1976: 271).

სხვათა შორის, თხზულების სათაურზე მსჯელობისას გ. პაიჭაძე აღნიშნავდა, რომ ავტორმა ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს დაარქვა რელიგიური გმირის სახელი — დინარა, რათა ერთხელ კიდეც წმინდანად ელიარებინა დინარა, რომლის ხატიც ცნობილი იყო რუსეთში და რომლის შესახებ ისიც იცოდნენ, რომ მან ჰერეთის მხარე მოაქცია მართლმადიდებლობაზე (პაიჭაძე 1976: 272).

ქართულ საისტორიო წყაროებში ძალიან მწირი მასალაა შემორჩენილი დინარ დედოფლის შესახებ.

„მატიანე ქართლისას“ ცნობით: „...ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწუალებელნი; ხოლო იშხანიკი დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან“ (ქართლის ცხოვრება 1955: 266). „გამოვიდა ყოვლითა სპითა თჳსითა ბაგრატ [III], აღიღო

მეორედ ჰერეთი, დაიჭირა* დინარ დედოფალი თუსად“ (ქართლის ცხოვრება 1955: 279).

ცნობებს დინარ დედოფლის შესახებ გვანჯდის ვახუშტი ბაგრატიონი: „ხოლო ადარნასე პატრიკმან მოგუარა ცოლი ძესა თუსსა ასული ადარნასესი და დაე გურგენ ერისთავთ-ერისთავისა ძის ძის ძისა აშოტ კურაძეპალატისა სახელით დინარ, და ამის ძის იხმანიკისამდე იყო ჰერეთი მწუალებელი... ქასრეს ჟამითგან აქამომდე. ხოლო ამან დინარ დედოფალმან მოაქცია ჰერეთი სომეხთა წუალებისაგან მართლმადიდებლობისა აღმსაარებლად“ (ქართლის ცხოვრება 1973: 559);

„ხოლო ჰერეთს მომკუდარ იყო იმხანიკ და არღარავინ იყო მკუდრი, თუნიერ დინარ დედოფლისა. მოვიდა ბაგრატ მეფე, დაიპყრა თუთ ჰერეთი და წარიყვანა დინარ დედოფალი და დასხნა ერისთავნი თუსნი“ (ქართლის ცხოვრება 1973: 561);

„ხოლო იმხანიკის ჟამამდე ჰერეთი მწუალებელი იყო, არამედ იმხანიკ დისწული იყო გუარამ ერისთავთ-ერისთავისა და დედოფალმან დინარ, დამან გუარამისმან, მოაქცივნა მართლმადიდებლად“ (ქართლის ცხოვრება 1973: 134);

„მაშინ გამოვიდა კუალად მეფე ბაგრატ და ალილო ჰერეთი და დაიჭირა დედოფალი დინარ“ (ქართლის ცხოვრება 1973: 140).

მასალები ჰერეთის დედოფალ დინარას შესახებ მრავლად გვხვდება თ. პაპუაშვილის წიგნში „ჰერეთის ისტორიის საკითხები“ (პაპუაშვილი 1970), რომელშიც საფუძვლიანადაა შესწავლილი ჰერეთის გაქალკედონიტება-„გაქართველების“ ისტორია. თ. პაპუაშვილის სიტყვით: „ქართული წყაროები იმხანიკისა და დინარ დედოფლის ჰერეთში მმართველობის ხანას უკავშირებენ ჰერთა „მოქცევას“ სომხური „მწვალელობისაგან“ (ე.ი. მონოფიზიტობიდან) მართლმადიდებლობაზე (ე. ი. დიოფიზიტიზმ-ქალკედონიზმზე). „მატიანე ქართლისა“ და ვახუშტი „სულ რაღაც რამოდენიმე სიტყვით მოგვითხრობენ ჰერეთის ისტორიის ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ... არ მოგვეპოვება იმხანიკისა და დინარის თანამედროვე არც ერთი ისეთი წყარო, რომელშიც ასახული იქნებოდა ჰერეთის ისტორიის მოვლენები. არა და, X ს-ის 40-50-იანი წლები ერთი ბრწყინვალე ფურცელია ჰე-

* ეს ნიშნავს: ბაგრატმა მიითვისა წმინდანად აღიარებული დინარ დედოფლის ნეშტი (მ. ბროსე 1852²: 298-299; ჯავახიშვილი 1983: 131; პაპუაშვილი 1970: 215). თ. ბუაჩიძის ვარაუდით, „წმინდა დინარ-დედოფლის ნეშტი ბაგრატმა ან ბედიას ან ქუთაისს დაასაფლავა. საეპისკოპოსოდ ახლად ნაკურთხ საყდარს ან ქუთაისის ეკლესიის კურთხევის დროს გამართულ დიდ ზეიმს სწორედ რომ დაამშვენებდა წმინდანის ნეშტის დასვენების ან გადმოტანის რიტუალი“ (ბუაჩიძე 1970: 298). სხვათა შორის, იმერეთში დედოფალ დინარას საფლავის არსებობას ადასტურებს თეიმურაზ I-ის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ილუმენ ხარიტონის მონათხრობი: „...в имерельской земле, где лежит Динара царица“ და თავად თეიმურაზის წერილიც — იგი რუსეთის მეფეს აცნობებდა, რომ გადახვენილი იყო იმერეთში, სადაც განისვენებდა დედოფალი დინარა: „А та земля православная ж крестьянская вера, а по грузински имя той земли Имерел, а тут лежит Динара царица“ (ბუაჩიძე 1970: 292-293).

რეთის ისტორიაში. აღნიშნულ ხანაში, სამსაუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ, ჰერეთში საბოლოოდ იმარჯვებს ქალკედონიზმი... ჰერეთში ქალკედონიზმის გამარჯვება იყო აქაურ ხელისუფალთა მიერ წარმოებული მორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგი“ (პაპუაშვილი 1970: 202, 210).

ჰერეთი, სადაც VII-დან X საუკუნემდე განუწყვეტილად მიმდინარეობდა ბრძოლა ქალკედონიტობასა და ანტიქალკედონიტობას შორის, დინარ დედოფლის წყალობით დაუბრუნდა მართლმადიდებლობას. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს, თუ რატომ უამბობდნენ რუსეთის სამეფო კარზე კახეთიდან ჩასული ელჩები თუ სახელმწიფო მოღვაწეები, სხვა ისტორიულ ამბებთან ერთად, რუსებს დედოფალ დინარას შესახებ, მის ღვანლზე მართლმადიდებლური სარწმუნოების წინაშე.

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ მიხედვით, „ჰერეთის ცნობილი დედოფალი დინარა უცხოელ ავტორთა მიერ ივერიის დედოფალ დინარად იქნა წოდებული, რაც აისახა კიდეც რუსულ თქმულებაში „ივერიის დედოფალ დინარას“ შესახებ. დინარას დედოფლობის დროს ჰერეთი დიდი სახელმწიფო იყო, მოიცავდა ტერიტორიებს, რომელთაც შემდგომ ეწოდა შაქი, საინგილო, კამბეჩიანი და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩრდილოკავკასიელ ტომებსა და მის ჩრდილოეთით მცხოვრებ სავრომატულ ტომებს აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ალბანეთთან (და ჰერეთთან) „ჩორის“, დერბენდის, კასპიის კარით. ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხები ალბანეთსა და ჰერეთს უკეთ იცნობდნენ, ვიდრე, ვთქვათ, საქართველოს სხვა კუთხეებს. ალბანეთთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ ხაზარებსაც, ხოლო მათ შემდეგ სლავურ და რუსულ ტომებსაც. ამიტომაც დედოფალი დინარა, რომელმაც ალბანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი — ჰერეთი — ქალკედონიტობაზე მოაქცია, ჩრდილოეთის ხალხებისათვის ლეგენდარულ პიროვნებად იქცა, ხოლო თვით ჰერეთი ჩრდილოელი ხალხებისათვის იბერიის შესასვლელი, მთავარი ქვეყანა იყო (ჩრდილოეთის ტომები ალბანეთში შედიოდნენ კასპიის გზით, დერბენდიდან, „ჩორის კარით“ — ჯაფარიძე 1996: 351-352).

როგორც ამ მიმოხილვიდანაც ჩანს, ჰერეთის დედოფალი დინარა თავისი დროის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მან დიდი როლი შეასრულა ჰერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მას თავისი ადგილი აქვს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ რუსი მკვლევრებისათვის, რასაკვირველია, დინარას მოღვაწეობა სრულად არ იყო ცნობილი. რუსი მკვლევრები მეტ ანალოგიას ხედავდნენ თამართან მიმართებაში, რადგან მათ თამარის შესახებ მეტი იცოდნენ. საკვირველია ი. ცინცაძის პოზიცია, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებდა თხზულებაში თამარის მოხსენიებას და სათანადო არგუმენტებით ასაბუთებდა კიდეც, ხოლო დინარ დედოფლის შესახებ იქვე წერდა: „თუ ქართველებს რუსული „დინარა“ თამარ-მეფედ ესმოდათ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ როცა კახელებს რუს ელჩებთან საუბარი ჰქონდათ და „დი-

ნარა“-ზე ლაპარაკობდნენ, ალბათ „დინარა“-ს „თამარად“ გამოთქვამდნენ“ (ცინცაძე 1939: 68).

თხზულების რელიგიური შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ მასში სწორედ საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ჰერეთის დედოფალი დინარა (X ს.) იგულისხმება, რომლის სახელსაც უკავშირდება ჰერეთის მოსახლეობის მოქცევა მართლმადიდებლობაზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ, თუ თხზულების დასაწყისში საუბარი იყო „ქრისტიანული რჯულის“ „ურჯულოთაგან“ დაცვაზე, „მოთხრობის“ ბოლოს დინარა ამბობს: „მსურს თავი დავდო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ზვედრისათვის, ჩემი ღვთისმოსავობის, მართლმადიდებლობის, ჩვენი სახელმწიფოს სარწმუნოებისათვის“ (დინარა 1949: 10). აქ უცნობი რუსი ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დინარა არის მართლმადიდებლობის დაცვისთვის მებრძოლი დედოფალი.

ჩვენი ფიქრით, რუსეთში, მეფე იოანე მესამეს კარზე ჩასული კახეთის სამეფოს ელჩები, როგორც „ნახევრადგანსწავლულნიც“ არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, პირველ რიგში, მაინც კახეთის სამეფოს ქრისტიანობაზე, მის მართლმადიდებლობასა და რუსეთთან ერთმონაშენობაზე ილაპარაკებდნენ. ამ კონტექსტში კი, რასაკვირველია, დინარ დედოფალსაც მოიხსენიებდნენ. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ იმ დროისათვის რუსეთში უკვე ჰქონდათ ინფორმაცია თამარ მეფის შესახებ (როგორც ეს არაერთმა მეცნიერმა დაასაბუთა). XV-XVI საუკუნეების რუსმა ავტორმა კი დინარას ღვანლს ქრისტიანული რელიგიის წინაშე დაუკავშირა ის საბრძოლო ისტორიებიც, რაც გაგონილი ჰქონდა თამარ მეფის შესახებ. ამდენად, „მოთხრობაში“ მოხდა ორი ისტორიული პირის სახელთა გაიგივება, რასაც რიგი ფაქტებისა და სახელების აღრევა მოჰყვა, რის შედეგადაც მივიღეთ ამგვარი კონტამინაცია.

ამ მიმართულებით ძიება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, ვინაიდან ჰერეთის დედოფალ დინარას ამბავი საინტერესოა არა მხოლოდ „მოთხრობის“ მკვლევართათვის, არამედ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებისთვისაც.

დამონებიანი:

ადრიანოვა-პერეტცი, პოკროვსკაია 1940: *Древнерусская повесть*. Составители В.П. Адрианова-Перетц и В.Ф. Покровская, вып. I, М.: 1940.

ბროსე 1852ა: Brosset. *Notice sur deux fragments relatifs a l'histoire de la Georgie, au XIIIe siecle, sous le regne de Tamar*. „Bulletin de la classe Historique Philologique de Academie imperiale des Sciences de St. Petersburg“, t. 9, №19, 1852.

ბროსე 1852ბ: Brosset. „*Melanges asiatiques tires du Bulletin historico-philologique de Academie imperiale des Sciences de St. Petersburg*“, t. I, 1852.

ბროსე 1853: Броссе М. *Сведения о грузинской царице Тамаре в древней русской литературе*. „Ученые записки императорской Академии наук по первому и третьему отделениям“. Т. I, вып. 4, СПб, 1853.

ბუაჩიძე 1970: ბუაჩიძე თ. *ლიტერატურული წერილები*. II, თბ.: 1970.

ბუტკოვი 1825: Бутков П.Г. *О браках князей русских с грузинами и ясынами в XII веке*. „Северный архив“, 1825, IV.

- გაბაშვილი 2007:** გაბაშვილი მ. *თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა*. „ჩვენი მწერლობა“, 2007, № 3.
- დინარა 1949:** *თქმულება დინარაზე*. კრბ. „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“. შეადგინა ვ. შადურმა. I, თბ.: 1949.
- ინგოროყვა 1978:** ინგოროყვა პ. *შოთა რუსთაველი (1166-1250)*. — თხზულებათა კრებული შვიდ ტომად. ტ. IV, თბ.: 1978.
- კალენდარი 2006:** *საქართველოს ეკლესიის კალენდარი — 2007*. თბ.: 2006.
- კირიონი 1910:** Епископ Кирион. *Культурная роль Иверии в истории Руси*. Т.: 1910.
- მაკაროვი 1833:** Макаров М. *Каталог нескольких сказок*. „Телескоп“, 1833, №24.
- ნაზარევსკი 1955:** *Библиография древнерусской повести*. Составитель А.А. Назаревский, М.-Л.: 1955.
- პაიჭაძე 1976:** Пайчадзе Г. *Повесть о Динаре (Критический обзор истории изучения памятника)*. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ.: 1976.
- პაპუაშვილი 1970:** პაპუაშვილი თ. *ჰერეთის ისტორიის საკითხები* (ნარკვევები სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიიდან). თბ.: 1970.
- პაპუაშვილი 1987:** პაპუაშვილი თ. *ჰერეთის სამეფო*. — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11, თბ.: 1987.
- რუხაძე 1961:** რუხაძე ტ. *ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან*. თბ.: 1961.
- სახაროვი 1841:** Сахаров И.П. *Русские народные сказки*. Ч. I, СПб.: 1841.
- სობოლევსკი 1928:** Соболевский А. *К повести о царице Динаре*. Известия по русскому языку и словесности АН СССР. т. I, кн. 2, Л.: 1928.
- სპერანსკი 1926:** Сперанский М. *Повесть о Динаре в русской письменности*. Известия отделения русского языка и словесности Академии наук СССР. т. XXXI, Л.: 1926.
- სტროევი 1820:** Строев П.М. *Софийский временник или русская летопись*. Ч. I. (С 862 по 1425 год), М.: 1820.
- ქართლის ცხოვრება 1955:** *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. II, თბ.: 1955.
- ქართლის ცხოვრება 1973:** *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV, თბ.: 1973.
- შადური 1949:** *რუსი მწერლები საქართველოს შესახებ*. შეადგინა ვ. შადურმა. I, თბ.: 1949.
- შადური 1960:** *რუსული ლიტერატურის ისტორია*. ვ. შადურისა და გ. ტალიაშვილის რედაქციით. I, თბ.: 1960.
- შეპელიოვა 1953:** Шепелева Л. *Культурные связи Грузии с Россией в X-XVII веках*. Труды Отдела Древнерусской Литературы АН СССР. т. IX, 1953.
- ცინცაძე 1939:** ცინცაძე ი. *რუსული თქმულება დინარას საკითხისათვის*. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, X, 1939.
- ცხოვრებანი 2003:** *ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი*. თბ.: 2003.
- ძონენიძე 1955:** Дзодендзе Л. Г. *Повесть о Динаре*. Сб. научных работ студентов ТГУ, т. 7, 1955.
- ჯავახიშვილი... 1948:** ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., ბერძენიშვილი ნ. *საქართველოს ისტორია* (სახელმძღვანელო), თბ.: 1948.
- ჯავახიშვილი 1983:** ჯავახიშვილი ივ. *თხზულებანი თორმეტ ტომად*. II (ტომის რედაქტორი ვ. გაბაშვილი). თბ.: 1983.
- ჯაფარიძე 1996:** ჯაფარიძე ა. *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*. I, თბ.: 1996.

VERA T. MIKHAYLOVA

Buryat, Ulan-Ude

The «secret» languages of the culture: a system of signs in the Shamanism

The article examines the sacral meaning of 'ongons'. Although the politics of Russia was Christianization and missionary work among the Buryat, Yakuts and Evenks in a territory of East Siberia in XVII-XIX centuries, still some of Buryats run from Mongolia in XVII devoting themselves to Shamanism, making ongons a symbolic process. The chronicles of escape, «ongons» keep in memory the history of their heroes, progenitors. A tendency of revival of the cult of «ongons» consolidates the folks in changing world, giving them an identity.

Key words: The cult of ongons, a language of translation, the «underground» complex of the New Age, a symbolic information, the secret cult, a language of the ancestral society, an informational field of the ongons, destruction of tribal complex.

В.Т. МИХАЙЛОВА

РФ, Бурятия, Улан-Удэ

Музей истории Бурятии им. М.Н. Хангалова

«Тайные» языки культуры: знаковая система в шаманизме

Этические нормы как ключевые в жизни социума передаются от поколения к поколению разными способами. Существуют письменные традиции в передаче знаний и опыта, а также в устной форме в виде мифов и преданий, визуально - в произведениях материальной культуры. В Байкальском регионе большое значение имела система религиозных традиций, в том числе передача знаний в виде конкретных предметов культа. Знаковая система, передаваемая таковыми предметами, уникальна. Сибирь с ее бескрайними просторами, образ жизни местного населения – бурят, тунгусов, якут (саха), располагала к созданию таких знаковых систем, которые не могли бы потеряться, исчезнуть в пространстве и времени. Знаковая система культовых предметов шаманизма рассматривается впервые. Уникальный ряд культовых предметов еще ни разу не раскрывался в исследованиях как источник этических смыслов.

Передача этических норм в виде определенных предметов культа была возможна именно в рассматриваемый период – времени освоения края русскими землепроходцами в 1630-е гг. вплоть до 1920-х гг., когда

изготовление подобных культовых предметов уже не фиксировалось исследователями-этнографами. Фактически в течение XVII, XVIII и XIX веков, будучи в составе Российской империи, монголоязычные буряты, тунгусо-маньчжурские племена тунгусов и тюркоязычные якуты продолжали свою традиционную религиозную жизнь полулегально, под преследованием Русской православной церкви и буддизма. Три века преследований и гонений на шаманизм не прошли даром. Идеи и ценности традиционной религиозной культуры передавались новым поколениям через образы и знаки, без письменных текстов. На русском языке нет записей шаманских преданий и легенд, генеалогий и исторических песнопений, осуществленные самими носителями субкультуры шаманизма. Народ в XVII-XVIII вв. фактически не пользовался русским языком, а те немногие, кто получил начальное образование в русских школах, переходили в православие и начинали активно изучать библейские тексты и православные традиции. Об этом уже писали автор данной статьи, исследователи А.И. Андреев, К.М. Герасимова, М.Д. Зоменов, З.А. Шагжиева, и др. (Михайлова 2002). Носители шаманской традиции в XVIII-XIX вв., будучи скотоводами, охотниками и рыбаками, не понимали ни научной ценности устного народного творчества, ни целей и задач изучения их образа жизни. Ценность этических норм они постигали на практике, в обыденной жизни.

В данном историческом контексте огромный интерес представляют шаманские культовые предметы, хранящиеся в музеях Иркутска, Улан-Удэ, Якутска, Читы и других городах Байкальского региона, а также в музеях Москвы, Санкт-Петербурга. Автору данной статьи посчастливилось работать с этими экспонатами, впервые создать выставку шаманских культовых предметов в г. Улан-Удэ, в Музее истории Бурятии им. М.Н. Хангалова. В результате культурологического анализа самих предметов, рисунков и знаков на них выявляется загадочный, «закадровый» смысл. Это сложнейшая знаковая система, разработанная в условиях неравной конкуренции религиозных традиций и однозначно понимаемой политики правительства – русификации и христианизации.

По заданию Антирелигиозного музея (г. Москва) и Областного Антирелигиозного музея Бурят-Монгольской АССР в 1926-1957 гг. С.П. Балдаев объехал и прошел огромное количество точек на карте. В маршрут были определены села и улусы Бурят-Монгольской АССР, имевшей тогда иные границы. Онгоны, собранные исследователем, не изучены, хотя представляют собой огромный пласт культуры – материальной и духовной. В этнографической литературе они относятся к культовым предметам, между тем как семантика их шире и далеко не однозначна.

Опираясь на ценностный подход в анализе культурной деятельности, можно предполагать, что производство продуктов культуры и потребление этих продуктов необходимы государству, эти процессы решают определенные и важные задачи развития государства и власти. К примеру, про-

изведение изобразительного искусства создается художником для реализации собственных эмоциональных, зрительных, чувственных и иных переживаний в конкретное материальное нечто, способное вызвать подобные, или адекватные чувства у предполагаемых потребителей. Погружаясь в мир чувств и эмоций, эстетических переживаний, создания аналогий и ощущений перемещения в пространстве, человек потребляющий создает внутри себя новые миры, новые реальности.

Онгоны – это изображения духов в виде масок (железных, деревянных, берестяных), звериных шкурок, кусочков ткани с рисунками (*зураг*). Названия онгонам на русском языке в переводах с бурятского были даны еще С.П. Балдаевым (Балдаев 1926) – например, указывали на принадлежность кому-либо или чему-либо. Это онгоны кузнечные, женские, горные, подушечные, задней половины юрты, северные, имеющие золото, имеющие светильник, с желтой шелковой ленточкой. Другие названия подчеркивали характер нарисованных онгонов или духов – бешеные, искривленная капризная женщина, а также на количество изображенных лиц – пять нарисованных, десять нарисованных, личные имена духов – Абан госпожа, Мэгэлэн девушка; возрастной статус или социальное положение – девушка-онгон, старушка-онгон, женщина-онгон, женщина-мать-онгон, другие признаки - телячий онгон, счастья создатель.

В музее хранятся следующие онгоны: Хан-Хоото баабай – властитель острова Ольхон, Хадайн онгон – изображение умерших шаманов – покровителей местности, горные онгоны в ящиках, в виде кусочков ткани с нарисованными людьми. Яманай онгон – ящик из улуса Дархат, внутри шкурка ягненка, Мурин басаган – Муринская (название местности) девушка - покровительница чадородия и семейного благополучия, алтатан (золотой онгон) – ткань с изображениями четырех духов-хранителей от болезней, сайтаны бурхад – чайные божества, ткань с изображением нескольких человеческих фигур – покровителей административно-хозяйственной деятельности, а также веточка шиповника - для очистительного обряда у детей грудного возраста, тугалхан онгон – телячий онгон - оберег для домашнего скота, войлочный мешочек с палочкой, Хан Хоотэ баабай – покровитель чадородия – ящик, внутри ткань с нарисованными фигурками людей, табан хушута – шкурки пяти зверьков – горноста, белки, зайца, колонка, хорька.

Назначение онгонов многофункциональное – это и обереги, и культовые предметы при совершении обрядов, и безмолвные носители тайн рода. Онгоны могли свидетельствовать о происхождении данного рода. Например, Хан Хоото баабай – властитель острова Ольхон, по преданию, пришел из Монголии во время междоусобных войн XVI-XVII вв. Изготовление, хранение и освящение онгонов для бурят – не только религиозное действие, одновременно здесь закладывался тайный смысл, тайная история родов. Во время проведения обрядов, связанных с почитанием

онгонов, представители одного рода собирались в определенном месте – опушке леса, в доме, во дворе и т.д.; существовал сложный церемониал, предшествовавший собственно поклонению хозяину онгона. Так, например, Балдаев С.П. дал описание приготовлений к исполнению обряда, посвященного двум очень юным девушкам-сиротам. Так как при жизни они голодали и мерзли, спали в ямах, вырытых свиньями, то участники обряда наряжались в лучшие одежды, ставили на стол лучшую еду и питье, и даже табак. Алкоголь строго запрещался для данного обряда. При жизни девушки-мученицы не видели хорошей жизни, - думали участники обряда, - так пусть хотя бы после смерти видят, как их потчуют и угощают те люди, для которых две сироты, две святые мученицы стали покровительницами (Балдаев 1926).

Участники обряда, таким образом, вспоминают о тех, кто около трех столетий назад погибли здесь, измученные жизнью, поскольку это был, очевидно, трудный период массовых переселений бурят в Предбайкалье. Также в данном обряде жители улуса благодарили онгонов - «хозяев» местности, которая оказалась благоприятной для переселенцев, устройства их жизни и быта. Разросся скот на сочных травах, размножился народ, бежавший от жестоких преследователей, стал вновь многочисленным.

Уничтожение онгонов означало уничтожение памяти этноса, его корней, презрение и забвение родного очага, своих близких родственников. Для скотоводов всегда было характерно определение места жительства не только в виде дома и хозяйственных построек. Домашний мир для бурята – это окрестности, ручьи, реки, горы и холмы, окружающие *улус* (деревню) со всех сторон. Здесь пасся скот, происходили события с людьми, обитали божества и духи, невидимые для людей. Злые и дурные поступки людей осуждались, трагедии отдельных личностей становились причиной создания культа страдальцев-мучеников. Кормящий ландшафт становился воистину кормящей матерью-землей. Аграрные культы в еще в Древней Греции объединяли людей с плодородной землей в нечто целое, без единства и гармонии которых не будет урожая и сытой жизни. Сытость и благополучие, - надежные основания для возникновения аграрных культов. Только сытый, благополучный человек может гармонично развиваться в обществе себе равных.

«Телячий» онгон – это мешочек из войлока с привязанной на волосяной веревке палочкой-кольшком. Воткнув колышек в щель между бревнами своего жилища, в правой стороне юрты - месте хранения онгона, скотовод представлял в своем воображении целый мир, полный духом природы. В войлочном мешочке жил дух, покровитель всех телят, принадлежавших данной семье. Пастбища ежегодно распределялись на общих собраниях, существовала традиция огораживания каждой семьей отдельных участков особо качественных лугов - *утугов*, куда заботливо вносились удобрения. Сочная трава утугов была гордостью хозяев, здесь пасся

скот в периоды между пастьбой на отдаленных пастбищах, набирая вес перед осенним забоем.

Отнимите у человека такой онгон-оберег, высмеивайте этот мешочек, висящий в хозяйственной части дома, - у человека фактически отнимается часть души, рушится гармония мира домашней и семейной жизни и счастья. Обереги-онгоны на разные случаи жизни грели сердца людей, разгоняли страхи, служили средством единения с сородичами. Хангалов М.Н., известный этнограф, собиратель старины писал в своем путевом дневнике, как плакал старик по имени Пятаг, обнаружив в потайной пещере сломанные и частично расхищенные культовые предметы своего отца – шамана. Колокольчики похищены, трость сломана приезжими любопытными переселенцами, для которых эти незнакомые вещи были странными и подозрительными – языческими, погаными. Для старика же это была память о родителе и о своем древнем шаманском роде. У старика умер давно его единственный сын, не оставив потомства, и слезы, душившие его, тронули чувства Матвея Николаевича, который собирал предметы шаманского культа и увозил их в Иркутский музей. Здесь же исследователь, собиратель предметов старины М.Н. Хангалов задумался о бытии земном, столь кратком для человека и, будучи христианином, перекрестился и не стал брать этих памятных для старика шаманских предметов (Хангалов 1912).

Разрушение традиционного мира, привычного мироустройства, системы ценностей было далеко не простым процессом, несмотря на ускорение темпов развития сибирского общества в целом. В шаманизме религиозный культ был един с традиционным укладом жизни, где особое место принадлежало сложившейся системе ценностей, в центре которой находился окружающий ландшафт.

Точка зрения православного миссионера была иной. «Миссионеру приходится считаться с умственной неразвитостью бурят и тунгусов, которые выше своих животных потребностей - пищи, питья, сна и прочего мало чем интересуются. Даже к своей религии они относятся индифферентно, говоря, что все веры Бог дал, что все они хороши и что нужно умирать в той вере, в которой каждый родился. Быть крещеным, по мнению бурята, – значит быть русским и по образу жизни, жить оседло, заниматься земледелием и другими промыслами, есть хлеб, говорить и одеваться по-русски и проч» (Состоящее... 1902: 62). Бурят-язычник по принятии крещения пользуется насмешками сородичей, лишается того надела земли, которым владел до сих пор, и несет рода повинности, от которых прежде был свободен (Состоящее... 1912: 41).

Таким образом, сюжеты на онгонах посвящены истории родов, перекочевкам, побегам, переселениям, гонениям, основателям сел, загубленным жизням сирот, великим шаманам, тунгусским и монгольским шаманам, истории данной местности - гор, ущелий, пещер, озер, рек и ручьев, а также другим историям, касающимся конкретного рода. Рисунки, зачатую

выполненные примитивно и схематично, таковы не случайно – это умершие, духи, у них нет плоти и крови, это символы людей. Не имеют значения ни их наряды, ни украшения, ни количество домов и скота, поскольку в этих историях важны поступки и их ценностный смысл. Знаковая система запечатлевает поступки, а культ определяет форму поклонения, участия в общих обрядах.

Использование монгольской письменности органами самоуправления – Степными думами, было официально узаконено. Сохранились архивы Степных дум с момента их создания в XVIII в. Старомонгольская письменность использовалась не только органами управления и власти, но и в бытовой переписке. Однако в Бурятии до сих пор не зафиксировано наличие шаманских текстов на старомонгольской письменности. С этим фактом можно согласиться, поскольку буддийская церковь получила официальное признание фактически одновременно с созданием органов самоуправления. Буддизм негласно преследовал шаманов. В архиве С.П. Балдаева сохранились неопубликованные записи о происхождении отдельных шаманских родов, многие из которых бежали из Монголии от преследований. Ни русской администрации, ни местному родовому управлению шаманисты-язычники не были нужны. Неприятие шаманских обрядов отразилось особенно ярко в этнографических записках православных миссионеров, в проповедях против язычества. Разоблачение шаманизма и поклонения географическим предметам и объектам ландшафта, предкам отрывало людей от осознания принадлежности к определенному роду и племени, унифицируя их по иным признакам – называя бурятами, эвенками или якутами вместо прежних племенных названий. Поэтому онгоны для бурят, якутов и эвенков оставались знаками родовой принадлежности, хранившими память о скитаниях основателей рода, испытаниях, выпавших на их судьбу. Яркие образы и впечатления воспитывали чувства подрастающего поколения, а обряды, посвященные онгонам, порой театрализованные, закрепляли родовую память.

Унификация местного коренного населения была выгодна царской администрации, так как легче управлять одномерным и однозначным человеческим материалом. Буддийская церковь, в свою очередь, сумела построить 44 монастыря, создать систему буддийского образования и воспитания. Язычники, или шаманисты, оказались более восприимчивыми к христианизации и русификации образа жизни и быта. Как показывает практика, их мировоззрение оставалось неизменным, и образы богов, предков, создателей гор и рек до настоящего времени не потеряли актуальности. Совершаются молебствия, обряды в честь основателей родов, деревень, «хозяев» местностей.

Бурятский шаманизм воскрес вновь, и в конце XX - первом десятилетии XXI в. в Республике Бурятия, Иркутской области были зарегистрированы и действуют официально бурятские шаманские общины. В пос-

тсоветское время вновь практикуется проведение общественных молений – *тайлаганов*. Календарь их проведения связан с календарным циклом обрядности и родо-племенными традициями - Весенний (апрель), Большой летний (июнь), Посвященный Нижней сфере и Водной стихии (июль), Земным властителям, Небесным божествам - тэнгриям (сентябрь), Осенний (октябрь), Родовым божествам (июнь-июль) (Базаров 2000: 48).

На молениях собираются по родовому признаку. Здесь представители какого-либо рода знакомятся, находят своих родственников, общаются с представителями молодого поколения. В данных религиозных мероприятиях сочетаются светское и собственно религиозное начала культуры, объединяющей людей. Обмен информацией о жизни представителей рода занимает здесь не последнюю роль.

Онгоны как оригинальный продукт шаманской религии – прообраз иконописи в мировых религиях. Есть смысл утверждать, что у бурят-шаманистов существовала своеобразная «народная» иконопись, то есть рисование и изготовление онгонов из разнообразных материалов - *зураг* и поклонение им. *Зураг* – рисунок на ткани, один из разновидностей онгонов. Техника изготовления иная, чем, например, в православной иконописи, формы поклонения также другие, но смысл один. Возникает закономерный вывод о том, что рисование богов и духов, историй их деяний на ткани, то есть изготовление *зурагов* по сути иконопись. В отличие от греческой традиции и, соответственно, православной русской, *зураги* кажутся более примитивными предметами в сравнении с иконами православными. Не просто примитивными, а даже очень примитивными. Шаблоны и образцы *зурагов* несомненно существовали, передавались из поколения в поколение. В отличие от предметов быта – посуды, мебели, орудий труда, одежды, на онгонах не было орнамента, столь характерного для народного декоративно-прикладного творчества. Сакральные рисунки, аппликация на зурагах как будто специально примитивны и схематичны. Так, изображения людей состоят из кружочков, овалов, черточек и точек. Детальной прорисовки лиц, одежды персонажей в образцах онгонов из музейной коллекции мы не обнаружили.

Сакральные рисунки укладываются в систему ценностей и традиций кочевых цивилизаций древности как культурные тексты. Подчеркнутая декоративность бытовых предметов противопоставлялась схематичности мира потустороннего. Потусторонний мир непонятен и темен. Цель жизни для шаманиста, как и для древнего грека, и гунна, - гармония с природой, в отношениях с людьми, относительное материальное благополучие, наличие крепкой семьи, многочисленного и здорового потомства. Рисунки на камлальном плаще и бубне шамана доказывают данную схему – мир богов и духов изображен нереалистично, мир людей наполнен живыми существами – косулями, оленями, собаками. Длинные веревки из ткани, символически изображающие змей – проводников в потусторонние миры, из-

готовлены как живые – с коготками, глазами, «змеиным» орнаментом на туловище. Собаки бегут по поверхности бубна как живые – они защищают шамана в его опасных путешествиях по «нижнему» и «верхнему» мирам. Лишь «средний» мир полон красок и жизни – мир земного существования. Потусторонние миры бестелесны, виртуальны.

Отсутствие жестко структурированной церковной организации в шаманизме – очевидный результат выпадения отдельных монголоязычных племен, таких как бурятские, из раннесредневековой государственности – империи Чингис-хана, где шаманизм был официальной религией, существовали тексты. Поскольку исследований о структуре шаманизма и его социальной роли в эпоху средневековья нет, отметим, что в тексте «Сокровенного сказания монголов» XIII в. сведений о существовании шаманских письменных источников нет. Тексты средневековых шаманских гимнов у бурят в письменном виде не сохранились, но их отражение можно услышать в текстах священных для бурят *улигеров* – обширных устных песнопениях о Гэсэр-хане и других демиургах, создавших Землю и людей. Титаны, разгромившие врагов, создали для людей все условия для благополучной жизни, – так явствует из текстов шаманских гимнов. Величие богов и почти равное общение с ними людей, отсутствие жесткой структурной организации, отправление обрядов без особой пышности, приближенность к семье отличают шаманизм народов Сибири и сближают религию с жизнью, сакральное и профанное в жизнедеятельности социума в единое целое.

Онгоны возникли и существовали в религиозной традиции тех племен, которые бежали из пределов Монголии в XVII в. и стали своеобразными летописями бегства. Бегство – это протест. Это был протест против угрозы физического порабощения монгольскими и маньчжурскими феодалами, а также против смены идеологии, в том числе религии. Известно, что буддизм распространился в пределах Монголии уже в XIV-XV вв. Та часть племен и родов, что бежали в Прибайкалье и Забайкалье, оставались шаманистами, елах, а изготовление онгонов придавало символический смысл всему процессу переселения и приспособления к местным условиям. Проживавшие здесь тунгусо-маньчжурские племена – эвенки – также исповедовали шаманизм. Согласно устным преданиям, эвенкийские шаманы сотрудничали с бурятскими, бурятские шаманы «обслуживали» духовные нужды эвенков, и наоборот, – об этом упоминают в своих полевых записях и дневниках М.Н. Хангалов, С.П. Балдаев.

В начале XX в. около 20% бурят усилиями православных миссий были крещены. Литературы по данному вопросу опубликовано достаточно, исследованы многие архивохранилища на предмет деятельности Иркутской и Забайкальской православных миссий. Не останавливаясь на подробностях крещения бурят и их православного воспитания, отметим, что, в отличие от истинного шаманиста, крещеный бурят представлял перед выбо-

ром – что считать наиболее ценным в жизни для себя и своей семьи – единого Бога - Иисуса Христа, иконы, дым ладана, звуки колоколов - либо запах навоза, оставленный скотом, стены родной юрты с висящими на них онгонами-оберегами, мычание коров и телят на зеленых семейных *утугах*. Свой выбор они останавливали на традиционном укладе жизни, привычных и сподручных способах ведения хозяйства, продолжали совершать родовые и семейные шаманские обряды, но формально крестились и ходили в миссионерскую церковь. Двоеверие – отнюдь не феноменальное явление в религиозной культуре бурят. Слова о всепрощении, о страданиях Иисуса действительно приводили многих бурят-шаманистов к обретению новых ценностей. «Боги за печкой» продолжали свое существование и не теряли актуальности.

Возрождение шаманизма не случайное явление, а закономерность. На волне идеологии перестройки сложилось общественное мнение о необходимости возрождения национальных традиций, сохранения положительных сторон традиционного уклада жизни. Шаманы заняли пустующую нишу, там, где необходима работа души; как и любая другая религия, она приспособлялась к новым условиям. После века «тайной» жизни наступил век XXI – век информационных технологий, религиозного менеджмента, космополитизма. В новом информационном пространстве, где нет границ, шаманизм выступил как традиция, объединяющая людей, родственных по крови, по историческому прошлому, на фундаменте положительных воспоминаний детства и юности того поколения бурят, кто помнит старый уклад жизни. Этот ценностный слой культуры продолжает нести нужную информацию.

- Пока неясно. Польза кувшина в его пустоте.

- Как это?

- Будешь мягким – сомнут. Будешь жестким – сломают. Будь водой. Холодных утопишь, горячих – потушишь.

- Как это?

- Будь водой. У воды нет препятствий» (Турсунов 2009b: 31).

Вода - главное божество, покровительствующее тюркам.

Мифический образ воина, верного рыцаря Аллаха, возник в суфийской и шиитской среде. Затем он проник в фольклор тюркских народов, проповедующих исламскую религию. В казахской мифопоэтике его образ дополнен чертами доисламских местных мифологических образов.

Свой путь воина Аллаха он начинает рабом, «самым храбрым воином, каждый день которого - последний» (Турсунов 2009b: 40). Когда ему исполняется четырнадцать лет, почтенный Раис Острова повелевает

каждому избрать для себя путь воина Аллаха: «*Всякий, кто устрашится этого пути, остается без выбора, ибо не ведает он самого смысла выбора*» (Турсунов 2009b: 70).

Кульминацией исторического романа является победа Махутбека над Кит-Букой. Мамлюк становится героем и получает новое имя Бейбарса. Учитель Вэй, покидая главного героя, произносит: «*Теперь ты – воин Аллаха. И да пребудет Он с тобой*» (Турсунов 2009b: 219).

В книге Е.Турсунова есть гуманистическая нацеленность, и читатель должен прочесть между строк основной меседж: Бейбарс – примиренческая фигура, с которой следует начать историю становления национального духа, характера. Роман сохраняет связь с повестью М. Симашко «Емшан» и «Книгой воина света» П. Козльо, что подчеркивается на формальном и содержательном уровнях текстов.

Таким образом, в трилогии Е. Турсунова создана единая мифосистема. «Мустафа Шокай» и «Мамлюк» - это мифологизация истории и личности главных героев произведения, а притча «Келин» - это авторская неомифология.

ЛИТЕРАТУРА:

Жанайдаров 2006. О.Жанайдаров. *Мифы Древнего Казахстана*. Алматы, 2006.

Каракузова Ж.К., Хасанов М.Ш 1993. Ж.К.Каракузова, М.Ш.Хасанов *Космос казахской культуры*. Алматы: Евразия, 1993.

Каскабасов 1992: С. Каскабасов. *Колыбель искусства*. Алма-Ата: Өнер, 1992.

Кондыбай 2005: С. Кондыбай. *Казахская мифология*. Краткий словарь. Алматы, 2005.

Савельева, Абдуллина, Васильева 2007: В. Савельева, Л. Абдуллина, М.Васильева *Художественная антропология и творчество писателя*. Усть-Каменогорск - Алматы, 2007.

Чокай 2001: М. Чокай. *Я пишу Вам из Ножана*. Алматы, 2001.

Турсунов 2008: *Мустафа Чокай*. Кинороман. - Алматы: Балалар әдебиеті,

Турсунов 2009а: Е. Турсунов. *Келин*: Киносценарий. Алматы, 2009.

Турсунов 2009b: Е.Турсунов. *Мамлюк*: Исторический роман. Алматы, 2009.

DAVID JACQUES
UK, Cambridge
Cambridge University

**Time After Time: A Reassessment of Vespaian's
Camp Importance in the Stonehenge Landscape**

The paper examines the archeological findings at the camp of Vespaian near Stonehenge. It discusses the issue that although the roman camp and the native dwellers of Britain lived near each other the tendency shows that there is a huge difference in life expectancy, in the standards of living, etc. While the people in the roman camps had doctors and were better well off, the native-dwellers had to undergo many difficulties. The paper may serve as an important issue in understanding the life in Vespaian's camp, highlighting the archaeological findings that has been conducted.

Key Words: Vespaian, camp, Stonehenge.

DAVID JACQUES
UK, Cambridge
Cambridge University

**Time After Time: A Reassessment of Vespaian's
Camp Importance in the Stonehenge Landscape**

Salisbury Plain is one of the most famous pre-historic ritual landscapes in the world, with recent research extending it further revealing how important the River Avon was for connecting pre-historic people to various monuments and sites.

Results from small-scale fieldwork by the Open University between 2005-2011 at Vespaian's camp, a site hitherto restricted to being primarily classified as a early Iron Age hillfort site, situated 1.8 km between Stonehenge and Durrington Walls and overlooking The Avenue and Bluestonehenge on its western side and the river Avon on its eastern and southern flanks, appears to add significant detail to the idea of this 'connecting' landscape and suggests that a new, much earlier part of it has been discovered. Furthermore, our results point to a longer occupation of the hill fort in the Iron Age as well as possible Romano British contexts for the sites use.

Outside of the early-to-mid Iron Age hillfort categorisation of the site, the camp's life in earlier pre-historic periods, and later ones, has been steadfastly under researched. This is odd, as even a cursory glance at the OS map suggests that the site was in a potentially highly significant position topographically in the pre-Iron Age Salisbury Plain landscape, as well as during and after it.

Pre field work, the initial aims of the investigation were to gauge the extent of Charles Bridgeman's 18th century landscaping of the camp. Assumptions about the extent of it appear to have contributed to the lack of research at the camp as it has been a dominant view that the sites early archaeology had been largely denuded by it. We particularly wished to establish the nature of the water feature in the northeast area of the camp, and a field to its west, as both areas appeared to lie outside of the landscaping plans. Finally, we wanted reassess the categorisation of the site as being largely only active in the early-to-mid Iron age (Hunter Mann 1999).

Since 2005 15 test pits in and around the water feature have been dug and a further 5 pits dug in the field to the west of the water feature. A geophysical survey of both areas was conducted in 2009 and field walking surveys were made along the western ramparts and southeast and southwest areas of the camp.

Research of the Camp's records in the 18th Century revealed that though Bridgeman's 1738 plans for the camp and the adjoining park and gardens were extensive, only certain sections of it were actually carried out for a variety of reasons. We found evidence for some later landscaping in the late 18th century for hunting purposes, but overall the styles of landscaping employed at the site left large swathes of it potentially undamaged in terms of the ways it might have affected the archaeological record.

Once it was apparent that the landscaping was less intrusive than had been previously assumed, we surveyed the targeted areas which appeared to have no or little landscaping.

Our work at the water feature in the north east corner of the camp revealed conclusively that it is in fact a natural spring (Hoare, pers comm) and is the largest of a number of springs in the immediate area.

The excavations in the spring resulted in the find of over 7000 flint tools and worked flint ranging from the Mesolithic to early Bronze Age periods. Over 5500 of these were found in a 6m by 4m trench and a 2m by 2 m one 35 metres away. The tool types and a C14 date show that they are from a sealed Mesolithic period level around 6250 BC. The deposit is mixed in with over 200 pieces of aurochs bone, much of which is cooked, and over 2000 pieces of burnt flint.

The tool types and the mixed assemblage indicate that we have found a rare Mesolithic 'home base' (Bishop, pers comm), a place which people repeatedly returned to. This is the first 'home base' to be discovered in the Stonehenge landscape and is the oldest place of settlement found in it by over 3000 years (Bishop and Jacques publication forthcoming). The site also predates the building of Stonehenge by around 3500 years and possibly relates to the earliest structure found in the vicinity of the stones, the enigmatic Mesolithic posts found in the area of the Stonehenge car park. Mesolithic finds are rare in this landscape with the previous highest being just a scatter of 50 pieces of flint work found at Kings Barrow Ridge, a site just over one quarter of a kilometer

from the spring. Overall our assemblage suggests a place of intense domestic activity and ritual.

A broken mid-Bronze Age dagger (@1400BC), refashioned from a rapier and engraved with a chevron, was also found in the spring. This dagger only had one rivet hole and was likely to be an important ceremonial tool (Barrowclough pers comm). A likely mid-Bronze Age chisel fragment was also found (both identifications by Barrowclough), suggesting a mid Bronze Age ritual function to the site.

Further, a lead object, likely to be a Romano - British curse (Hurst pers comm). A target for next year's excavation will be to examine the platform like feature adjacent to the spring as that may provide a further Romano-British context to this part of the site (Bowden, Field and Mcomish pers comm).

Another significant find from one of the smaller springs close to the site was of a 5th century Anglo-Saxon Disc Brooch brooch (Chester-Kendall pers comm) which was originally covered in gilt. It's design suggests a continuity of Roman metalworking traditions rather than Northern European ones. There have also been a small number of medieval artefacts found at the spring, including some well preserved staves (carbon date 1320-1410) along part of its western rim perhaps indicating water management of the site by nearby Amesbury Abbey.

In 2009 the geophysical survey of the spring revealed a ditch feature running at a NE-SW diagonal across it. We have been unable thus far to date this feature, but overall our finds in the spring point to the earliest ritual and settlement phase found so far in the Stonehenge landscape, as well as one with ritual associations in later pre-historic and Romano-British, perhaps early Anglo-Saxon, periods.

Geophysics, field survey and excavation work on a field to the west of the spring since 2009 revealed that though much of it was covered by an unrecorded chalk dumping ground from the A303 road re-widening in the area in the 1960's, it's eastern edge clearly preserves Celtic field systems, likely to have a Bronze Age antecedents (Field, Mcomish and Bowden). Some likely holloways and track ways were also discovered in this area, the north eastern corner of which leads down to the spring.

Field work in the south -east part of the camp has also resulted in potentially significant discoveries. This 'corner' of the camp abuts the present Stonehenge Road (the road cuts through the original Iron Age dimensions of hillfort) and here we discovered a previously unrecorded Bronze Age barrow which is a close diagonal away from another likely barrow (also unrecorded, though both are evident on Dury and Andrews 1773 map) on the other side of the road. Interestingly there is no trace of the Iron Age rampart on the Vespasian's Camp side. The gap between the two barrows could have provided an entry point across this part of the camp in the Iron Age (the ramparts in the south-west corner of the site are truncated, which indicates that any routeway would have been cut off or controlled by the camp here). Pre Iron Age it might have continued as

a route way. If so, it would have led in the direction of the Avenue.

A hollow way route leading down towards an ancient fording point on the Avon and potentially towards the Avenue in the other direction was also discovered in the south-east corner of the camp close to the barrow.

Since 2007 field surveys of the western ramparts of the camp have led to the finding of over 50 sherds of Iron Age pottery, which extend the range of the Iron Age occupation of the site from the early Iron Age through to 50BC (Mepham, pers comm). This result challenges the long running assumption that the hill fort was restricted to a largely early Iron Age context and suggests that it may have been the fulcrum of the landscape for most of the Iron Age period, and possibly before.

In conclusion, during our 12 long weekend field seasons, funded on average with £1000 per year, as well as a great deal of support by Open University students, academics from Cambridge and other universities, field archaeologists from Oxford East and the custodians of the site, we have found evidence which starts to extend and develop existing knowledge about Vespasian's camp across a number of pre-historic and historic periods. In our view this evidence points to the site needing to be reassessed as a highly important place in a significant topographical position in the Salisbury Plain landscape from at least the mid Mesolithic period onwards.

IRMA RATIANI

Tbilisi, Georgia

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Anthropological Theory of “Sacrifice”
and Al. Qazbegi's Fiction**

Alexandre Qazbegi (1848-1893) is an outstanding Georgian writer and the inclusion of his literary inheritance into the international literary process is an urgent matter. Qazbegi alongside some other Georgian writers verifies the thesis that each national literature, connected with the world literary process at the same time widens its aesthetical possibilities by means of individual originality. But to prove any literary thesis it is important to put the text within the concrete theoretical methodology and find the proper arguments. As much as the qualitative literary text is supposed to be a complicated system with numerous layers, we are encouraged to move to the new level of theoretical research and to interpret Qazbegi's fiction in the context of anthropological theory, particularly in the context of Rene Girard's “Theory of Sacrifice”.

Key words: Rene Girard, Theory of Sacrifice, Alexandre Qazbegi

ირმა რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**„მსხვერპლისა და მსხვერპლშენიერვის“ ანთროპოლოგიური
თეორია და ალ. ყაზბეგის პროზა**

ალ. ყაზბეგი (1848-1893) ქართველ მწერალთა იმ რიგს განეკუთვნება, რომელთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ჩართვა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესში არათუ შესაძლებელი, არამედ — ძალზე საშურია. სწორედ ყაზბეგის რანგის მწერლები ასაბუთებენ იმ დებულებას, რომ ყოველი ნაციონალური ლიტერატურა, თავსდება რა საერთოლიტერატურულ კონტექსტში, ამავე დროს, ინარჩუნებს ორიგინალური სააზროვნო ფორფოსტის სტატუსს და, თავის მხრივ, აფართოებს საერთაშორისო ლიტერატურული პროცესის, ე.წ. „მსოფლიო ლიტერატურული კანონის“ ჰორიზონტებსა და მასშტაბებს. მაგრამ ნებისმიერი ლიტერატურული დებულების თეორიული დასაბუთება სცდება ოდენ ისტორიულ ან ესთეტიკურ ფაქტორებს და კონკრეტულ მეთოდოლოგიურ მიდგომასა და დამაჯერებელ არგუმენტაციას საჭიროებს. ალ. ყაზბეგის პროზასთან მიმართებაში მსგავს წარმატებულ მცდელობად უნდა შეფასდეს ვახტანგ კოტეტიშვილის გამოკვლევა

„ალ. ყაზბეგი“, სადაც ყაზბეგის ტექსტების ინტერპრეტაცია თანამიმდევრულად და დამაჯერებლად განხორციელდა ფსიქოლოგიური (და არა ფსიქოანალიტიკური – ი.რ.) და ეთიკური კრიტიკის ჭრილში. ის ფაქტი, რომ ხარისხიანი მხატვრული ტექსტი შრეობრივი სისტემაა და ფართო ინტერპრეტაციული შესაძლებლობები გააჩნია, გვაძლევს მოტივაციას, გადავინაცვლოთ თეორიული კვლევების ახალ ეტაპზე და ვცადოთ ალ. ყაზბეგის რიგი ტექსტების გააზრება ანთროპოლოგიური თეორიის, კერძოდ, რენე ჟირარის მიერ დამუშავებული **მსხვერპლის თეორიის** კონტექსტში. თეორია ჟირარს არ მიუსადაგებია მხატვრული ლიტერატურული ტექსტის ზოგად მოდელთან, არამედ გამოიყენა ანტიკური ტრაგედიის უფრო დაზუსტებით, ოდიპოსის სიუჟეტური ქარგის განმარტების მიზნით. ვფიქრობთ, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის გაფართოებული საზღვრები საშუალებას იძლევა განვიხილოთ ჟირარის თეორია, როგორც მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი საყურადღებო მეთოდოლოგია. განსაკუთრებით იმ ტიპის ტექსტებში, სადაც აქცენტირებულია პრინციპული დაპირისპირება ინდივიდსა და საზოგადოების ინტერესებს შორის.

ჟირარის თეორია სათავეს იღებს აბრაჰამისა და ისააკის ბიბლიური მითიდან და მეთოდოლოგიურად სამ საბაზისო ცნებას ეფუძნება — **მსხვერპლი/მსხვერპლშენიშვა/განტყვევის ვატი**. თეორია მიზნად ისახავს ამ ცნებების ინტერპრეტაციას როგორც მითოლოგიური სტანდარტის, ისე უფრო ფართო თვალსაზრისითაც, კერძოდ, **ინდივიდისა და საზოგადოების** ცნებებთან მიმართებაში. მიგვაჩნია, რომ ალ. ყაზბეგის პროზა, რომელიც ორიენტირებულია როგორც ცალკეული პერსონალების, ისე — ინდივიდისა და საზოგადოების მტკივნეულ ურთიერთობებზე, შესაძლებელია ნავიკითხვით **მსხვერპლის ანთროპოლოგიური თეორიის** ჭრილში. ამგვარი ნაკითხვა, ერთი მხრივ, გაამრავალფეროვნებს ყაზბეგის შემოქმედების კვლევას, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის ქართული ლიტერატურის ჩართულობის ხარისხს საერთაშორისო ინტერპრეტაციულ სისტემაში.

ანთროპოლოგიური მეთოდების ჩართვა ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებში ჩვენი ხანგრძლივი ინტერესის საგანია. პირველად ასეთი ექსპერიმენტი ათიოდე წლის წინათ განვახორციელეთ, როდესაც მივმართეთ ლიმინალობის თეორიას, შემუშავებულს პოზიტიური ანთროპოლოგიის ნიაღში, და გამოვიყენეთ იგი, როგორც მეთოდოლოგია, მხატვრული ტექსტის ჟანრული და დრო-სივრცული სპეციფიკის დადგენის მიზნით. შედეგად, გამოიცა არაერთი მონოგრაფია, მათ შორის — „ტექსტი და ქრონოტოპი“ (2010 წელი). ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით კვლევების ანთროპოლოგიურ ჭრილს, რომლის ფარგლებშიც კვლევა ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებს და წარმოადგენს ლიტერატურულ-თეორიული პოზიციის გადაკვეთას ანთროპოლოგიურ თეორიასთან. ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს რენე ჟირარის მიერ შემოთავაზებული **მსხვერპლის თეორია**.

ვიდრე უშუალოდ საკვლევ პრობლემას შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ აღნიშნული თეორიის საფუძვლებს და მოტივაციებს. ჟირარის ხედვა, ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებით, სრულიად ინოვაციური აღმოჩნდა გასული საუკუნის 60-70-იანი წლებში. მისი აზრით, საყოველთაოდ მიღებული თეორია, რომლის თანახმადაც ხასიათები, რომლებიც ტექსტის ძირითად საკომუნიკაციო ბერკეტებს წარმოადგენს და ჩართულობის არიან ტექსტის ყოველ კონტექსტში, საჭიროებს გადახედვას: კერძოდ, ხასიათების სწორად მართვა მხოლოდ გენიალურ მწერალს შეუძლია, ვინაიდან ტექსტში მუშაობს ხასიათის „ფსიქოლოგიური კანონი“ (მარსელ პრუსტის ტერმინი), რომელიც მწერლის მიერ განსახოვნებული რეალობის თანამიმდევრული რეცეფციის შედეგებს ეფუძნება და რომელსაც ჟირარი „სურვილის მიმეტურ ბუნებად“ ნათლავს. არც ერთი ხასიათი არასოდეს არ არის ავტონომიური ერთეული: ყოველი ხასიათი *სურვილის ესთეტიკით* იკვეთება მეორე ხასიათთან — ხასიათებს ერთმანეთთან ან არიგებს ანაც აპირისპირებს სურვილის საერთო ობიექტების სისტემა. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის ტექსტში არ არის პირდაპირი: სახეზეა ერთგვარი სამკუთხედი — **სუბიექტი, ობიექტი და სურვილი**, როგორც შუალედური მოდელი. სურვილს, რომელიც სცდება ჭამის ან სხვა აუცილებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ფარგლებს, ჟირარი განმარტავს როგორც მეტაფიზიკურ განზომილებას, რომელიც შეესაბამება მედიატორის სტატუსს. მიმეტური სურვილი შეიძლება იყოს მრავალი სახის: ის შეიძლება იყოს აბსტრაქტული ან — კონკრეტული, გარეგანი ან — შინაგანი, შესაბამისად, იყოს ობიექტი ან — სუბიექტი. ყველა ამ შემთხვევაში შუამავალის როგორც ფუნქცია, ისე არსი განსხვავებულია. სწორედ სურვილების ამ განსხვავებულობათა შეჯახების ველია ტექსტი, რომლის კონცეპტუალურ და ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობათა დაძლევა უჭირს საშუალო რანგის მწერალს*. მწერალს უხდება გარკვევა ხასიათთა ყველა შესაძლებელი მოქმედების, მანერის, ტყუილის, აზრობრივი თუ ნერვული მდგომარეობის და ა.შ. დეტალებში. ამრიგად, ჟირარის მიერ შემოთავაზებულ *მიმეტური სურვილის თეორიას* მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ხასიათის თეორიის ტრადიციულ მოდელში (არისტოტელედან ჰეგელამდე და ჰეგელიდან ფროიდამდე) და უბიძგებს მეცნიერებს მსჯელობის შემდგომი გაღრმავებისკენ.

მიმეტური სურვილის თეორია აღმოჩნდა პირველი საფეხური ჟირარის ანთროპოლოგიურ პირამიდაში, რომლის შემდეგი საფეხურიც ჩვენთვის საინტერესო მხვერპლის თეორიაა, დაფუძნებული მიმეტური სურვილის თეორიაზე. *მსხვერპლის* ცნება ჟირარმა იმთავითვე დაუკავშირა რამდენიმე სხვა ცნებას. კერძოდ: *კრიზისს, დევნას,*

* საგულისხმოა, რომ მიხაილ ბახტინი ტექსტს მიიჩნევდა სხვადასხვა ენობრივი მოდელების შეჯახების ველად.

ბრალდებას, ძალადობას, საზოგადოებრივ სისტემას, ინდივიდს და საკრალურს. კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეულ იქნა ანთროპოლოგიური მეთოდი, რომლის საფუძველზეც ჟირარმა იმთავითვე განაცხადა: მსხვერპლმწიროვის პროცესი წარმოადგენს რეფლექსიას არქაულ რელიგიურ მითზე (იგულისხმება აბრაჰამისა და ისააკის ბიბლიური მითი) და აუცილებლად ითვალისწინებს ორ საწინააღმდეგო პოლუსს — **ძალადობას**, როგორც აქტს, და **საკრალურს**, როგორც არსებულს.

როგორ შეიძლება მოვახდინოთ ტექსტში ძალადობის მითოლოგიური მოდელის ტექსტუალიზება და პროვოცირება? ვუბრუნდებით მიმეტური სურვილის თეორიას: თუკი ორ ადამიანს, ანუ ორ მხატვრულ ხასიათს, ალექსანდრე ერთი და იგივე ტიპის სურვილი, აუცილებლად გამოჩნდება მესამე ხასიათი, შეიძლება მეოთხეც იგივე მისწრაფებით და პროცესი ჯაჭვური რეაქციით იხლართება. შედეგად, შექმნილ ვითარებაში, პირველადი სურვილი გადაინაცვლებს უკანა პლანზე, გარკვეულწილად დავინწყებასაც მიეცემა და თითქოს უწყინარი მიმეტური კონფლიქტი მკითხველის თვალწინ ტრანსფორმირდება პრინციპულ ანტაგონიზმში. სახეზეა **კრიზისი**, რომელიც სურვილის თავდაპირველი მოდელიდან გამომდინარე, სრულიად სხვადასხვა შინაარსის ანტაგონიზმს შეიძლება იწვევდეს: პოლიტიკურს, სოციალურს, საზოგადოებრივს, ისტორიულს, პიროვნულს და სხვა. კრიზისის პირობებში დაპირისპირებულ მხარეთა წინააღმდეგობის საგანი აღარ არის პირველადი მიმეტური სურვილი, არამედ — მათი ანტაგონიზმი რომელიმე გლობალურ იდეასთან მიმართებაში: საერთო სურვილის გაზიარების შეუძლებლობა გარდაიქმნება ერთმანეთის განადგურების მიზეზად. ძალადობა მკვიდრდება როგორც დიალოგის ერთადერთი ფორმა. თუკი დავუშვებთ ძალადობის არსებობას, მაშასადამე, უნდა დავუშვათ მსხვერპლისა და მოძალადის არსებობაც. ვინ არის მსხვერპლი და ვინ არის მოძალადე?

ძალადობის პაროქსიზმი ფოკუსირებას ახდენს მსხვერპლზე, ინდივიდზე, ამ შემთხვევაში ხასიათზე, რომელიც იმსახურებს (რალაც მიზეზით) საყოველთაო ანტიპატიას და რომელიც უნდა გასამართლდეს. ბრუტალური წესით მსხვერპლის დასჯა დაამშვიდებს აგზნებულ საზოგადოებას. მაგრამ, რა ბედი ეწევა თავად მსხვერპლს? ის დამცირებული დგას საზოგადოების წინაშე და მიიჩნევა, ერთი მხრივ, შექმნილი მიმეტური კრიზისის პირველმიზეზად, ხოლო მეორე მხრივ — ამავე კრიზისის განაღმვის საშუალებად.

ჟირარის აზრით, ძალადობის აქტისა და მსხვერპლის ეს ანთროპოლოგიური მოდელი დაკავშირებულია როგორც არქაულ რელიგიურ პლასტებთან, ისე — ცხოველთა ბიოლოგიურ სამყაროსთან. ეს თავისთავად ძალზე საინტერესო მოსაზრებაა, თუმცა, ამჯერად ჩვენ მას აღარ განვაგრცობთ, არამედ მეტი სკრუპულოზულობით განვიხილავთ მსხვერპლის თეორიის ლიტერატურათმცოდნეობით შესაძლებლობებს.

ჟირარის თეზა შეიძლება ამდაგვარად ჩამოყალიბდეს: **მსხვერპლის ლიტერატურული მოდელი მიმეტური კრიზისის შექმნისა და დაძლე-**

ვის საშუალებაა. შეიქმნა კრიზისი? რეაქციაც არ აგვიანებს: „დამნაშავე“ მიკვლეულია, „გასამართლებულია“, „დასჯილია“. მაგრამ კითხვა, რომელიც ამ თეორიაში გვანუხებს, შემდეგია: ვინ არის მართალი? არისტოტელეს „პოეტიკაში“ „მართლისა“ და „დამნაშავის“ საკითხი ტრაგედიის ფორმის თეორიის ჭრილში წყდება*: ტრაგედიის გმირი საბედისწერო შეცდომის გამო ვარდება უბედურებაში. მას იმთავითვე აქვს ბზარი (მისი ნებისაგან დამოუკიდებლად), რაც იწვევს კიდევაც მის გაუბედურებას, ხოლო მაყურებელს შიშსა და სიბრაულს აღუძრავს. ჭეშმარიტი ტრაგედიის ეპიცენტრში მოქცეულია **უდანაშაულოდ დამნაშავე** ადამიანი, რომელიც ბედისწერის განჩინებით აღმოჩნდება უბედურ მდგომარეობაში და საკუთარი ქმედებით გამოიმუშავებს მაყურებლის ემოციურ რეაქციას. რენესანსის ეპოქამ მოხსნა რა „დღის წესრიგიდან“ ანტიკური პოეტიკისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი ბედისწერის ფაქტორი, გააფართოვა „მართლისა“ და „დამნაშავის“, „მსხვერპლისა“ და „მოძალადის“ ინტერპრეტაციის შესაძლებლობები, რის უშუალო შედეგადაც შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ პოსტ-რენესანსული ხანის ერთ-ერთმა უდიდესმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა, ანტიკური ტრაგედიის ნაკითხვის თვალსაზრისით, **ორი სიმართლის თეორია** დაამკვიდრა.

ჰეგელის თეორიის არსი შემდგომში მდგომარეობს (ძალიან მოკლედ): ტრაგედია ორი თვითმყოფადი პოზიციის კონფლიქტია, სადაც ორივე მხარე უძღურია, აღიაროს მეორის კანონიერება ან — სამართლიანობა. გამოსავალი მხოლოდ „გმირის დაცემაა“, რის შედეგადაც უნდა აღდგეს დარღვეული კავშირი და განხორციელდეს ეთიკური კათარსისი, როგორც „უნივერსალური შერიგების“ წინაპირობა. ჰეგელის თეორიაში აქცენტირებულია, თუ როგორ იხლართება გმირების **შეცდომა** მათსავე **სიღიადესთან** და ტრაგიკული **კოლიზიის** ნიაღში როგორ წარდგება ერთმანეთის პირისპირ **ორი სარწმუნო, დამაჯერებელი**, თითქოს სარკისმიერი ორეული (მაგალითად, ანტიგონე და კრეონი). ჰეგელის თეორიის მნიშვნელოვანების მიუხედავად, უნივერსალურობის თვალსაზრისით, ის ვერ უტოლდება არისტოტელისეულ მეთოდოლოგიას, გამორჩეულს მეტი თავისუფლებითა და მასშტაბურობით: მაგალითად, ე.წ. „დამსახურებული სასჯელისა“ და „მსხვერპლშენიერვის“ ტრაგედიები სრულად გამორიცხავს ჰეგელისეული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ჰეგელი ეძებს ჰარმონიას ტარგედი-აში, რასაც ვერასდიდებით ვერ ხედავს ნიცშე.

ნიცშეანური განცდა ტრაგედიისა, ჩამოყალიბებული ნაშრომებში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ და „ტრაგედიის დაბადება, ანუ ელინიზმი და პესიმიზმი“, ეფუძნება ისეთ ოპოზიციებს, როგორიცაა აპოლონი და დიონისე, სინათლე და ქაოსი, ელინისტური და პესი-

* დანვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ი. რატინის ნაშრომში „ფაბულა და სიუჟეტი. Pro Et Contra“ (2011).

მისტური და სხვა. მისთვის ტრაგედია პერცეპტუალურ გამოცდილებაშია განთავსებული (მაგალითად, ოდიპოსის განცდებზე მეტად მნიშვნელობს მაცურებლის განცდები, რომელიც ფიზიკურად დაშორებულია ოდიპოსისაგან!), რაც ინვესს **შუალედური დისტანციის** სუბლიმაციას **მყისიერ გამოცდილებასთან**.

მთლიანად სუბიექტისა და სუბიექტური განცდების მნიშვნელობას დააფუძნა საკუთარი ინტერპრეტაციული მეთოდი ფროიდმა*: **„ოდიპოსის კომპლექსით“** მან ახსნა, ერთი მხრივ, პერსონაჟის გაუცნობიერებელი და დათრგუნული სურვილების რეალიზაციის, ხოლო მეორე მხრივ, ავტორის სექსუალური და აგრესიული ლტოლვების სუბლიმაციის პროცესი.

საგულისხმოა, რომ ჟირარის მეთოდოლოგია ყველა ამ პოზიციას ითვალისწინებს და ფარავს კიდევაც: მიმეტური სურვილის თეორიით ის აწესრიგებს ურთიერთობას ნიცშესა და ფროიდის თეორიებთან, ხოლო მსხვერპლის თეორიით — არისტოტელესა და ჰეგელის თეორიებთან. მონესრიგება არ გულისხმობს თანხმობას, არამედ — გათვალისწინებას და ხშირად უარყოფას, როგორც ეს ხდება ჰეგელის თეორიის შემთხვევაში: მსხვერპლისა და მსხვერპლშენიერვის ანთროპოლოგიური თეორიის ლიტერატურული იმპლიკაციები გამორიცხავს ორი სიმართლის არსებობას. სიმართლე ერთია, თუმცა, დასადგენი. დადგენის კრიტერიუმები კი, რომელსც ჟირარი გვთავაზობს, ასეთია:

ა) კრიზისის გამომწვევი რეალური მიზეზის აღმოჩენა;

ბ) კრიზისის არსის განსაზღვრა;

გ) კრიზისთან მსხვერპლისა და საზოგადოების მიმართების დეფინიცია.

ჟირარის პოზიციით, ტრაგიკული სიტუაციის პროვოცირება დამოკიდებულია კრიზისის აღმოცენებაზე: საზოგადოება აღმოჩნდება „რალაც ტიპის“ კრიზისში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვინშნეთ, ამოზრდილია სურვილის თავდაპირველი მოდელიდან და ინვესს შესაბამისი სახის ანტაგონიზმს. ანტაგონიზმი გლობალურ იდეასთან მიმართებაში თანდათან ღრმავდება და საერთო სურვილის გაზიარების შეუძლებლობა გარდაიქმნება ერთმანეთის განადგურების მიზეზად. განადგურების იარაღია ძალადობა.

ძალადობის აქტი ისეთივე რეალურია, როგორც თავად კრიზისი. ძალადობის აქტს განსახორციელებლად მინიმუმ ორი ინდივიდი ესაჭიროება: მოძალადე და მსხვერპლი. მსხვერპლის შერჩევის პროცესი, ჟირარის აზრით, სულაც არ არის შემთხვევითი. ვფიქრობთ, ჟირარის პოზიცია ლოგიკურ მოტივაციას უძებნის არისტოტელესეულ „უდანაშაულო დამნაშავის“ ცნებას: მსხვერპლი შესაძლოა მართლაც უდანაშაულოა, მაგრამ აუცილებლად არის „რალაც ნიშნით“ გამორჩეული.

* დაწვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ლ. ბრეგადის ნერილში „ფსიქონალიზი და მხატვრული შემოქმედება“ (კრებულში „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, 2008).

მსხვერპლის ნიშანი, როგორც მარკერთა სისტემა, ჟირარის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური ბერკეტია, „გამორჩეულობა“ კი საგულისხმო კრიტერიუმებს ითვალისწინებს, რომელთა მორგებაც ტრეკიულ სიუჟეტზე სირთულეს აღარ წარმოადგენს. გამორჩეულობა: ფიზიკური ნიშნით (ოიდიპოსი კოჭლია), სოციალური ნიშნით (ოიდიპოსი მეფეა), კუთვნილების ნიშნით (ოიდიპოსი „უცხოელია“), წარმომავლობის ნიშნით (ოიდიპოსი მეფის შვილია), ფსიქოლოგიური ნიშნით (ოიდიპოსი თავადაც მოძალადეა — მოკლა მამა და ცოლად შეირთო დედა). ნიშანთა სისტემა საზოგადოებრივი სისტემის დონეზე, ცხადია, ინდივიდუალურია და ასევე უნდა ვივარაუდოთ ტრაგედიების გმირებთან მიმართებაშიც — იქნება ეს ანტიგონე, მედეა, ჰერაკლე, ელექტრა, ორესტეა, აგამემნონი, ფედრა თუ სხვა. გმირი, რომელიც ფლობს მსხვერპლის ნიშნებს, თუნდაც მათ ნაწილს, უკვე აადვილებს შერჩევის პროცესს. როგორც კი აღმოცენებული კრიზისის ფონზე გამოიკვეთება ვინმესამე გამორჩეულობა, ჟირარის აზრით, პროცესი გადაინაცვლებს ახალ ეტაპზე, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც **დევნა**.

ვინ დევნის ვის? კრიზისით თავზარდაცემული **საზოგადოებრივი სისტემა** უპირისპირდება მას, ვინც მისი აზრით, დამნაშავეა ამ კრიზისში:

საზოგადოება დევნის **ინდივიდს**, რომელიც გამორჩეულია. ჟირარი დევნის სხვადასხვა ანთროპოლოგიურ მოდელებს გამოყოფს, რომელთაგანაც, ჩვენი აზრით, ყველა ვერ რეალიზდება მხატვრულ ტექსტებში, არამედ ის მოდელები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ტექსტში ესთეტიკური ღირებულებების დეკლარირებას. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დაპირისპირებასთან საზოგადოებასა და ინდივიდს შორის, რაც გამოიხატება პრინციპულ ანტაგონიზმში: ერთი მხრივ დგას **სავალალო ერთნაირობით** შეპყრობილი საზოგადოება, ხოლო მეორე მხრივ — **იდენტიფიცირებული მსხვერპლი**. პრობლემის საფუძველს საზოგადოება ეძებს არა საკუთარ თავში, არამედ — ადამიანებში, რომლებიც, მისი აზრით, საზოგადოებისათვის მავნებლურად გამოიყურებიან ან იქცევიან. მას აქვს ურყევი რწმენა, რომ მის მიერ დევნილი მსხვერპლი (ან მსხვერპლთა ჯგუფი) დიდ ზიანს აყენებს საზოგადოების სიმყარესა და ავტორიტეტს, რაც აუცილებლად უნდა გამოიხატოს მოტივირებულ **ბრალდებაში**. ბრალდებათა დიდი ნაწილი სტერეოტიპულია, აცხადებს ჟირარი, და ჩვენ სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ განცხადების გადმოტანა მხატვრული ტექსტის სიბრტყეზე: უდიდესი უმრავლესობა ტექსტებისა, რომელიც ზემოთ განხილული პროცესების სიუჟეტურ გაშლას ემსახურება, სტერეოტიპულ ბრალდებებს ეფუძნება (ეს ბრალდებები შესაძლოა იყოს მითოლოგიური ხასიათისა) — ამგვარი ბრალდებები თითქოს სამოტივაციო ხიდია იმ ნაპრაღში, რომელიც არსებობს ინდივიდის უმნიშვნელობასა და საზოგადოების შემზარაობას შორის. ბრბო ეძებს მოქმედებას და არა მიზეზებს, ინდივიდი ეძებს მიზეზებს, რომლებიც გაამართლებს მის მოქმედებას. სახეზეა სრული ცთომილება, რაც აუცილებლად

უნდა დასრულდეს **ძალადობის** აქტით: გაცოფებულიმა ბრბომ უნდა მოითხოვოს ინდივიდის გასამართლება. **მსხვერპლშენიღვის აქტი**, რომელიც გარდაუვალად ახლავს თან ზემოთ ჩამოთვლილ პროცესებს, ორ განსხვავებულ ასპექტში ვლინდება: ა) ეს არის **საკრალური მოვალეობა** (საღვთო მოვალეობა); ბ) **კრიმინალური ქმედება**. პირველ შემთხვევაში ის კანონიერია და სახალხო, მეორე შემთხვევაში — უკანონო და დაფარული.

რასაკვირველია, მითოლოგიური ხასიათის მხატვრულ ტექსტებში, ვგულისხმობთ ანტიკურ ტრაგედიებს, ძალადობისა და მსხვერპლშენიღვის პროცესი უფრო „მაღალ რეგისტრში“ წარმოებს, ვიდრე — არამითოლოგიური ხასიათის (თუნდაც ისტორიული) ტექსტებში. თუმცა არამითოლოგიური ხასიათის ტექსტებში ვითარება რამდენადმე რთულდება: მითოლოგიურ სიუჟეტებში „დამნაშავე“ (მხვერპლი) თავისი „დანაშაულის“ უტყუარი ნაწილია, ანუ — „დანაშაული“ მისი ონტოლოგიური ატრიბუტია (არისტოტელე, ჰეგელი) და კავშირიც დანაშაულსა და კოლექტიურ კრიზისს შორის ძალზე ძლიერია; არამითოლოგიურ სიუჟეტებში კი რამდენადმე არადაამაჯერებელია როგორც „დამნაშავის“ (მხვერპლის), ისე — „დანაშაულის“ იდენტიფიკაცია: რაც მეტად აგრესიულია საზოგადოება, მით მეტად არადაამაჯერებლად გამოიყურება იგი და მით მეტად არადაამაჯერებელია მსხვერპლშენიღვის აქტიც. ამ მეორე ტიპის ტექსტებს განეკუთვნება ანტიკური ეპოქის შემდგომი ხანის არამითოლოგიური სიუჟეტების დიდი ნაწილი, რომელიც აღნიშნულ პრობლემატიკას უღრმავდება. მათ შორის უნდა მოვიზოთ ერთი დიდი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის პროზა („ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“ და სხვა).

ალ. ყაზბეგის პროზა უპირატესად ორიენტირებულია საზოგადოებისა და ინდივიდის რთულ ურთიერთობებზე კრიზისის პირობებში. კრიზისი შეიძლება იყოს ცალმხრივი (მაგალითად, სასიყვარულო, პოლიტიკური, რელიგიური), ან — კომბინირებული (რამდენიმე სახის კრიზისი ერთდროულად). ნებისმიერ შემთხვევაში, ყაზბეგი ქმნის სამკუთხედებს, რომელთა მიხედვითაც „მართალისა“ და „დამნაშავის“ დადგენა მარტივი არ არის. მიგვაჩნია, რომ ყირარის თეორიის მომარჯვება ამ საქმეს არა მარტო გააადვილებს, არამედ — ნათელსაც მოჰფენს. რატომ მაინცადამაინც ონისე და ძიძია? შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მათ საერთოდაც არ უყვართ ერთმანეთი? სიყვარულია ეს თუ წარმოსახვის ნაყოფი? შეიძლება, რომ გოჩას ქმედება ნავიკითხოთ როგორც საკრალური აქტი? ხომ არ არის მისი სიგიჟე ღვთიური? მაშინ, ვინაა არის მსხვერპლი?... სხვაგან: რას წარმოადგენს ონოფრე საზოგადოებისათვის? ხომ არ ცდილობს ონოფრე, მოძებნოს ახალი გზები საკუთარი თავის იდენტიფიკაციისა გარესამყაროსთან ან კოსმიურ უსამართლობასთან?..

ვფიქრობთ, კვლევების წარმოება ამ მიმართულებით ალ. ყაზბეგის შემოქმედების ნაკითხვის კიდევ ერთ ჭრილთან მიგვიყვანს და საშუალებას მოგვცემს, გავიაზროთ ამ გამორჩეული შემოქმედის ტექსტები ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის ფარგლებში.

NESTAN RATIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

One Strange Custom – a Fact or a Fiction

One custom described in “Argonautica” by Apollonius Rhodius can be ridiculous for some readers. As it turns out Tibarenian men - while their wives suffer from the pains during the childbirth process - lie into beds, bind their heads and start moaning and groaning.

The paper tries to examine whether the information preserved in the ancient text was a real fact or was it a fiction invented by Apollonius Rhodius to amuse his readers. The key of solving the problem may be found in Georgian folklore materials. The article aims to prove that sometimes information which is preserved in the ancient texts and is not easy to explain can be understood after analyzing folklore materials carefully.

Key words: Argonautica, Tibarenians, white, red and black horses, infectious diseases.

ნესტან რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ერთი უცნაური ჩვეულება — სინამდვილე თუ გამონაგონი?

ნებისმიერი ვარაუდი, სულ ერთია — საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში — დაკვირვებებს ემყარება. მაგრამ მხოლოდ დაკვირვებებზე (თუნდაც იმავე) დაყრდნობით წარმოუდგენელია მსჯელობის აგება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში არგუმენტების გასამყარებლად ექსპერიმენტებს მიმართავენ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კი ამგვარი რამ წარმოუდგენელია. რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობ ფსიქოლოგიას, რომელიც საკმაოდ ხშირად მიმართავს ექსპერიმენტებს, თუმცა ამ ექსპერიმენტების ცენტრში ადამიანია, არადა ყველა ადამიანი განსხვავებულია და შესაბამისად, ექსპერიმენტების პასუხებიც ასი პროცენტით სანდო ვერ იქნება. კარგადაა ცნობილი, რომ ხშირად ექსპერიმენტის მოწყობისას ე. წ. დატვირთული შეკითხვები გამოიყენება და სასურველი პასუხი თითქმის გარდუვალია; ასევე ასეთ დროს გვერდს ვერ ავუვლით დამკვირვებლის ფაქტორსაც. იმის გამო, რომ მას აკვირდებიან, ადამიანები პასუხებს ცვლიან და არცთუ ისე გულწრფელნი არიან. საბუნებისმეტყველო დარგებში ექსპერიმენტების დროს კი პასუხები არც დატვირთულ შე-

კითხვებზე და მოკიდებული და ვერც დამკვირვებლის ფაქტორი შეცვლის შედეგებს. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტიპის მეცნიერება მონაცემებს ეყრდნობა, ერთი მანც უფრო სარწმუნო და სანდო ჩანს, ვიდრე მეორე. რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთის ცენტრში ადამიანი დგას (თავისი მრავალფეროვანი, ამოუცნობი ხასიათით), მეორის ცენტრში კი — ბუნება. ადამიანთან დაკავშირებული, ადამიანის მიერ წარმოდგენილი მონაცემები კი, სამწუხაროდ, სხვადასხვა გასაგები მიზეზიდან გამომდინარე, ნაკლებად სანდოა. მაგალითად, სანამ ისტორიული რეალობის აღდგენას შევეცდებით, უნდა მოვავროვოთ მონაცემები (თუკი ასეთი რამ საერთოდ შემორჩენილია), რომლებიც წყაროებშია გაბნეული და შემდეგ შეჯერების საფუძველზე გავაანალიზოთ მასალა. წყარო, როგორც წესი, ადამიანის მონათხრობი ან დაწერილი ან გადაღებულია (უახლოეს ისტორიასაც თუ ვიგულისხმებთ). ადამიანი კი, შეიძლება, უნებლიეთ, სუბიექტური და მიკერძოებულია, იგი მიდრეკილია მოცემულიდან ამოარჩიოს, ამოკრიფოს მხოლოდ სასურველი ფაქტები და მხოლოდ ის გადმოგვცეს. შესაბამისად წყარო, რომელსაც ისტორიკოსი ვარაუდის გამოთქმისას დაეყრდნობა, უკვე სუბიექტურია. ანდა ფსიქოლოგიაში: პაციენტების ჩანაწერები იქნება ეს თუ სხვა მასალა, ძალიან სუბიექტური შეიძლება აღმოჩნდეს. აღარაფერს ვამბობ სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე, იქნება ეს პოლიტოლოგია, იურისპრუდენცია, ბიზნესი თუ ფილოლოგია, ყველა ამ დარგის ცენტრში ისევ ადამიანი დგას და ამდენად მათთვისაც ისევეა დამახასიათებელი ტენდენციურობა, როგორც სხვა დანარჩენი ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის. სწორედ ამიტომაც ერთი ჯგუფის დარგები, საუბარი მაქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, „უპირატეს“ მდგომარეობაში მეორე ჯგუფის დარგებთან შედარებით. ჩვენ შემთხვევაშიც ასეა, საუბარი მაქვს ლიტერატურული ტექსტის კვლევაზე, ლიტერატურული წყარო იმდენნაირად შეიძლება იქნას გაგებული, რამდენი თვალის ნაიკითხავს მას.* ამიტომაც, ჩემ მიერ გამოთქმულ ვარაუდსაც ბევრი შეიძლება არ დაეთანხმოს, რადგან იგი ეყრდნობა ორგვარ წყაროს: მხატვრულ ლიტერატურასა და ზღაპარს. მხატვრულ ლიტერატურაში დაცული მონაცემი მოგონილი შეიძლება იყოს და ნამდვილიც, აღარაფერს ვამბობ ზღაპარზე, რომელიც იმდენი ადამიანის „ხელში“ გაივლის, რომ ძალზე რთულია დაადგინო, რომელი შრეა ადრეული და რომელი გვიანდელი, რომელი პლასტია ფანტაზიის ნაყოფი და რომელი უახლოვდება სინამდვილეს.

კიდევ ერთი რამ ითხოვს დაზუსტებას: ლოგიკური მსჯელობის დროს მოხმობილი არგუმენტების წყალობით ადამიანები ხშირად უშ-

* აქ არ ვგულისხმობ ცნობილ ფრაზას: „The birth of the reader must be at the cost of the death of the author“ (ავტორის სიკვდილი განაპირობებს მკითხველის დაბადებას) (Barthes, Roland, *The death of the Author*, evans-experientialism.freewebspace.com/barthes06.htm)

ვებენ შეცდომებს, რომელთა შორის ერთ-ერთს მცდარ ანალოგიასაც უწოდებენ. ამ სტატიაში ორი წყაროს მონაცემებს რომ ვადარებ ერთმანეთს, არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ, რომ ბერძნული ლიტერატურული წყარო დაეყრდნო ქართულ ფოლკლორულ მონაცემს ან პირიქით – ქართული ფოლკლორი მომდინარეობს ბერძნული ლიტერატურული წყაროდან. უბრალოდ მიმაჩნია, რომ თუკი კარგად გავაანალიზებთ ზეპირ მასალას, შევეცდებით უძველესი შრის დადგენას, მიღებული მონაცემები კი დამაჯერებელი აღმოჩნდება, კვლევის იგივე მეთოდი შეგვიძლია გავიმეოროთ ლიტერატურული მასალის დამუშავებისას. იმედია, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მცდარ ანალოგიად არ ჩამეთვლება.

ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ ტექსტზე. აპოლონიოს როდოსელმა „არგონავტიკა“ ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში დაწერა. ეს არის არგონავტების ექსპედიციის თემაზე შექმნილი ყველაზე სრულყოფილი ტექსტი, თუმცა მანამდეც და მერეც ლაშქრობის ცალკეული ეპიზოდები სხვადასხვა ავტორებმაც დაამუშავეს.* შესაძლოა, „არგონავტიკის“ ავტორი რაიმე ასეთივე სრულ ტექსტს ეყრდნობოდა, რადგან არსებობს ინფორმაცია, თითქოს ამ ამბის უძველესი კორინთული ვერსია პოეტ ევმელოსს დაუმუშავებია. როგორც ბიოგრაფიიდანაც ცნობილი, აპოლონიოს როდოსელი ალექსანდრიის ბიბლიოთეკას განაგებდა. ამდენად, დასაშვებია, რომ მას ხელთ სხვა, ჩვენთვის უცნობი წყაროებიც ექნებოდა. ასეა თუ ისე, ავტორი ბევრ საინტერესო ცნობას გვანვდის. აქედან რალაც ნაწილი ე. წ. ქართველურ ტომებს უკავშირდება. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, ის ინფორმაცია, რასაც აპოლონიოს როდოსელი ამ ტომების შესახებ გვანვდის, რეალობა იყო თუ მხოლოდდამხოლოდ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი. ამ ტომთა ზოგიერთ ჩვეულებას მართო „არგონავტიკის“ წყალობით ვიცნობთ. მაგალითად, ე. წ. ორფიკულ არგონავტიკაში არაფერია ნათქვამი იმავე ჩვეულებებზე.** მაგრამ, ორფიკული არგონავტიკა რომც მოიხსენიებდეს ამ დეტალებს, კვლევისთვის საინტერესო მაინც არ იქნებოდა, რადგან ამკარაა, რომ ამ ტექსტის ძირითადი წყარო აპოლონიოს როდოსელის

* არგონავტების თქმულებას იცნობდნენ: ჰომეროსი, კიკლიკური ეპოსი — „ილიადასა“ და „ოდისეას“ შემავსებელი პოემები, ჰესიოდე, ლირიკოსი პოეტებიდან — მიმნერმე, სიმონიდე კეოსელი, პინდაროსი, ანტიმაქოს კოლოფონელი, ტრაგიკოსებიდან — ჰეკატოს მილეტელი, აკუსილაოს არგოსელი, ფერეკიდოსი, ჰელანიკოს მიტილენელი, ქსენოფონი, ფილოსოფოსებიდან — პლატონი და არისტოტელე. აგრეთვე ამ თქმულებით დაინტერესდა რომაული სამყაროც და ამის საუკეთესო დასტურია ვალერიუს ფლაკუსის თხზულება.

** „მახლობლად კი ცხენთამძლე ამადონების ქალაქები მდებარეობს და ხალიბების, ტიბარენების ტომები და ბეკირების ხალხი მოსინებთან ერთად ველის გარშემო ცხოვრობენ“ (ორფიკული არგონავტიკა 1977: გვ.104).

„არგონავტიკა“ და ფსევდო-ორფევსიც იმ ცნობებს, რომელიც ნანარმოების ასაგებად სჭირდება, „არგონავტიკიდან“ სესხულობს.

კოლხეთისკენ მიმავალი არგო რამდენიმე დასახლებულ პუნქტში შეჩერდა. ამ ადგილებში მცხოვრებ ხალხებს თავიანთი რაღაც სრულიად განსაკუთრებული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ჩვეულება ჰქონდათ: ლემნოსელმა ქალებმა ქმრები ამონყვიტეს და ახლა მამაკაცებს დანატრებულნი სასიყვარულო განცხრომას მიეცნენ მოსულებთან; სამოთრაკეში კაბირები სხვათაგან განსხვავებულ მისტიკურ რიტებს მისდევდნენ; არქტოსში ველური ხალხი ცხოვრობდა, ეს გიგანტები საზარელი აღნაგობით ყველას შიშის ზარს სცემდნენ და მოსულებს მტრულად ხვდებოდნენ: ვეებერთელა ლოდებს უშენდნენ; ბებრიკთა მხარეში მეფე ამიკოსი ყველა სტუმარს კრივში ერკინებოდა; მდინარე თერმოდონთან მეზობლი ქალები – ამადონები სახლობდნენ; ხალიბები რკინის მოპოვება-დამუშავებით ირჩენდნენ თავს და დღენიანად კვამლსა და ჭვარტლში ცხოვრობდნენ; ტიბარენი მამაკაცები თავნაკრულნი მშობიარე ცოლების ნაცვლად კვნესოდნენ, მელოგინეს ბაძავდნენ ყველაფერში; მოსინიკები კი ფარულად აკეთებდნენ იმას, რასაც სხვები საამკაროდ შვრებოდნენ, ხოლო საჯაროდ იმას აკეთებდნენ, რასაც სხვები — დაფარულად. მათ კოშკში მეფე ჰყავდათ გამომწყვდეული, რომელსაც შეცდომის შემთხვევაში აშიმშილებდნენ.

ორფიკულ არგონავტიკაში აღწერილი ეს მარშრუტი არ ემთხვევა ოდისევსის მარშრუტს, რომლითაც გმირი აიაიასზე კირკესთან მოხვდა, თუმცა არგონავტების კოლხიდისკენ მიმავალი გზა და ოდისევსის უკანა გზა ერთმანეთს ზოგ რამეში ემთხვევა.* მაგრამ არგონავტების წინა გზა უნიკალურია იმ გაგებით, რომ მას მხოლოდ არგონავტებთან დაკავშირებულ ტექსტებში ვხვდებით და იქ აღწერილი ამბებიც არგონავტების თქმულების კუთვნილებაა. ძნელი სათქმელია, რა ინფორმაციას ფლობდა აპოლონიოს როდოსელი, როდესაც ცალკეულ დეტალზე ამახვილებდა ყურადღებას: ითვალისწინებდა მის დროს არსებულ გეოგრაფიულ რეალურ ვითარებას, აღწერილი ხალხის თავისებურებებს თუ ითვალისწინებდა ადრეულ წყაროებში დაფიქსირებულ გეოგრაფიულ მდგომარეობას, ჩვეულებებს, რომლებიც დავიწყებას მიეცა თუ საქმე პოეტურ ფანტაზიასთან გვაქვს და ყველაფერი მწერ-

* ოდისევსს აიაიადან სახლისკენ მიმავალ გზას კირკე ასწავლის. თუმცა, ჰომეროსის ცნობით, კირკეს სამკვიდრებელი ტირენიის ზღვის აუზში იყო, ამკარაა, იმისათვის რომ ოდისევსი შინ მოხვდეს, საშიში კიანები უნდა გაიაროს. ეს ის მოძრავი კლდეებია, რომლებიც ისე სწრაფად იხურება, რომ ვერცერთი მესაჭე იქიდან ხომალდის გაყვანას ვერ ახერხებს და ილუპება. მხოლოდ „არგომ“ გაიარა მათ შორის მშვიდობიანად, როდესაც კოლხეთისკენ მიდიოდა. იასონს მფარველი ღვთაება ჰერა ასწავლის, რომ სანამ ხომალდს გაატარებენ მოძრავ კლდეებს შორის, გაუშვას მტრედი (ზოგ შემთხვევაში სხვა ფრინველი) და მხოლოდ ამის შემდეგ გაიარონ თვითონაც. რომ არა ქალღმერთი, არ ვიცით, რით დასრულდებოდა არგონავტების მოგზაურობა, მოახერხებდნენ თუ არა ისინი მშვიდობიანად კოლხეთში ჩასვლას.

ლის მოგონილია. ამ კითხვაზე პირდაპირი და დაზუსტებული პასუხი ვერაფრით ვერ გვექნება, სანამ რაიმე ახალი მასალა არ წამოგვეშველება არქეოლოგიიდან ან თუნდაც ისევ ლიტერატურიდან. ამ შემთხვევაში ისეთ ლიტერატურულ ცნობას ვგულისხმობ, რომელიც არ საზრდოობდა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკით“ და ავთენტიკურია.

ახლა კი ყურადღებას ტიბარენების ჩვეულებაზე შევაჩერებ: როგორც აღვნიშნეთ, მაშინ, როდესაც ცოლები მშობიარობდნენ, ტიბარენი მამაკაცები თავს ნაიკრავდნენ, ლოგინში ჩანვებოდნენ და მშობიარეებივით კვნესოდნენ. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, ეს ჩვეულება ამ ტომში ქალთა განსაკუთრებულ მდგომარეობაზე მიგვითითებს. ნება მომეცით, არ დავეთანხმო ამ მოსაზრებას, უფრო სწორად ვთქვა, რომ ეს ცნობა არ გვანვდის საკმარის მასალას იმის თაობაზე, რომ ტიბარენებში ქალთა რაიმე განსაკუთრებულ მდგომარეობაზე ვისაუბროთ. ამ ჩვეულების ასახსნელად კი, ჩემი აზრით, ერთი ტიპის ზღაპართა ჯგუფის შესწავლა დაგვეხმარება. ქართულ ფოლკლორში გვხვდება ჯადოსნურ ზღაპართა ერთი ტიპი, რომელთაც პირობითად ვუნოდე „შაფჩიტას“ ტიპის ზღაპრები. ამ ტიპის ზღაპრების შინაარსი ასეთია: მეფის ასულს დაუკითხავად ათხოვებენ, არასასურველი სასიძოთაგან თავის დაღწევაში ქალიშვილს ცხენი ეხმარება, რომელიც მანამდე, კრიტიკულ მომენტამდე, რაიმე განსაკუთრებულ თვისებას არ ავლენდა. სასიძო ზღაპარში შავი არაბის სახითაა წარმოდგენილი, სადაც შავი არ მიუთითებს სასიძოს მხოლოდ ეთნიკურ წარმომავლობაზე, არამედ საქმე სხვა რამესთან გვაქვს.* მაგრამ ქალიშვილს ცხოვრების ამ გარდამტეხ ეტაპზე ცხენი ლაპარაკს იწყებს და დაიხსნის მეფის ასულს. საინტერესოა, რომ სიუჟეტის განვითარების რაღაც ეტაპზე საჭირო ხდება ამ რაშის დაკვლა გმირის გადასარჩენად, რაც რაშისვე მოთხოვნით ხდება. რასთან გვაქვს საქმე? ამის ასახსნელად ალბათ დაგვეხმარება იმ სახელების გათვალისწინებაც, რომელიც ზღაპრის პერსონაჟ რაშს ჰქვია. ზოგიერთ ვარიანტში (და ეს ყველაზე ხშირია) რაშის სახელი შაფჩიტაა. სხვა შემთხვევაში რაშს შეიძლება თვალჩიტა ერქვას, ხოლო ერთ ზღაპარში ცხენის სახელი ვარდჩიტაც კი იყო. სამივე კომპოზიციის მეორე ნაწილი ჩიტია, რაც მიანიშნებს ცხენის განსაკუთრებულ სიმარდეზე, მის უნარზე, სწრაფი იყოს. აი პირველი ნაწილი კომპოზიციისა კი განსხვავებულია. ცხენს სახელს დაბადებისთანავე არქმევენ, ეს სახელები კი ხშირად რაიმე ნიშანს უკავშირდება, მაგ. „სალარა“ ნიშნავს, რომ ცხენს შუბლზე თეთრი ხალი აქვს თანდაყოლილი, ნისლა, ლეგა, ნაბლა – ფერების მიხედვით შერჩეული სახელებია. ნისლა და ლეგა – მოლურჯო და მონაცრისფრო ცხენი არ იბადება, მაგრამ იგულისხმება, რომ შავი ცხენი სანამ გაჭა-

* ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. ნ. რატიანი, სიტყვა არაბის ორაზროვნება, ქართული ფოლკლორი 5, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

ღარავდება ან ლეგა ან ნისლა გახდება. რაც შეეხება შავჩიტას, თვალჩიტას და ვარდჩიტას, ვფიქრობ, რომ შეძლებულ ადამიანს თავლაში სამივე სახელის (და მეტის) ცხენი შეიძლებოდა ჰყოლოდა. ანდა არა-შეძლებულ ადამიანს ეყოლებოდა ერთი ცხენი, რომელსაც სახელს უცვლიდნენ ან არქმევდნენ კონკრეტულ მომენტში. რა მომენტზე ვსაუბრობ? რამდენადაც ვიცი, ქართულ სამყაროში ბევრი დაავადება პერსონიფიცირებულია და ისინი ადამიანებთან ე. წ. ბატონების სახით მოდიან. ეს ბატონები, როგორც წესი, თავიანთ ქვეყანაში ცხოვრობენ და ეს ქვეყანა ზოგჯერ ზღვის იქითაა. ზღვიდან მოსული თეთრი ბატონები კეთილები არიან, მათი მოლოზობიერება, გულის მოგება და უკან გასტუმრება ადვილია, რაც იმას ნიშნავს, რომ თეთრი ბატონების სტუმრობისას ავადმყოფი არასოდეს კვდება. ამ კეთილ ბატონებს იებსა და ვარდებს უფენენ და ყველანაირად ელოლიავენ იან ნასვლამდე, ე. ი. ელოლიავენ სნეულს გამოჯანმრთელებამდე. ნითელი ბატონების სტუმრობა შედარებით მეტ პრობლემას ბადებს. ამ დაავადებას გართულებებიც ახასიათებს და ზოგჯერ, თუმცა არა ყოველთვის, ავადმყოფის სიკვდილითაც სრულდება. ნითელ ბატონებს უკავშირდება ნითელა და ნითურა – ნითელა საფრთხეს მხედველობას უქმნის, ნითურა კი ორსულისთვისაა განსაკუთრებით საშიში. აი შავი ბატონების სტუმრობა კი ყოველთვის არასასურველია და მისი მოახლოებაც კი სიკვდილთან ასოცირდება. მისგან თავის დაძვრენა პრინციპში წარმოუდგენელია.

ვინაიდან ზღაპარი მარტივი, გასაგები სახეებითა და ენით ასახავს უძველეს წარმოდგენებს, ხშირად ისეთსაც, რომელიც უკვე კარგა ხანია, ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენს, ხომ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჯადოსნურ ზღაპარში სასიძოს ფორმით შავი კაცის ჩართვა ყველაზე უფრო საშიში და მომაკვდინებელი დაავადების გამოჩენის მარტივ და გასაგებ ენაზე გამოთქმაა. დაავადებამ უნდა ნაიყვანოს ქალიშვილი და სავსებით შესაძლებელია, რომ დაავადება არასასურველ სასიძოდ ტრანსფორმირდეს ზღაპარში. ამ დაავადებას ვერავინ დაუძვრება, მაგრამ ჯადოსნურ ზღაპარში ყოველთვის გვეგულება შემწე. აქ, „შავჩიტას“ ტიპის ზღაპრებში, ასეთი შემწეა ცხენი. საინტერესოა ისიც, რომ თუკი ზღაპრის სიუჟეტს დავეყრდნობით, გმირის გადასარჩენად ხდება ამ რაშის დაკვლა. ალბათ რეალობისგან შორს არ უნდა იყოს, თუკი ვივარაუდებთ, რომ დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ხდებოდა ცხოველის მსხვერლად შეწირვა დაავადების ღვთაებისადმი. ცხენის დაკვლა სწორედ ამის ანარეკლი უნდა იყოს ზღაპარში, თანაც ცხენის სახელებიც ხომ დაავადებებთან ასოცირდება. თუკი ერთ შემთხვევაში ცხენის სახელი შავჩიტაა, ჩანს, რომ (თუკი ჩემი მოსაზრება მართებულია) შავი ბატონების შემთხვევაში შავი ფერის ცხოველი იწირებოდა. რაც შეეხება კომპოზიტ თვალჩიტას, მისი პირველი ნაწილი თვალაა. როგორც აღვნიშნეთ, ძველ დროში დაავადება ნითელა ხშირად მხედველობის დაკარგვით სრულდებოდა, ესაა დაავადება, რომელიც თვალს აზიანებს. ალბათ, იმის ნაცვლად,

რომ სამსხვერპლო ცხოველის სხეულის ცალკეული კონკრეტული ნაწილის შენირვა მომხდარიყო, ხდებოდა სრულიად განსხვავებული და თავისებური ქმედება – მსხვერპლის სახელდება ანუ ცხოველის სახელი პირდაპირ მიუთითებდა, რომ მსხვერპლის მიღებით ღვთაებამ თავიდან უნდა ააცილოს შემწირველს თვალისჩინის დაკარგვა. გარდა ამისა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ტიპის ზღაპრებში ცხენი ქალიშვილს ურჩევს მამაკაცურად გადაცმას. ამ მარტივი ხრიკითაც ხდებოდა პერსონიფიცირებული ავადმყოფობის მოტყუება. ძალიან ხშირია სხვადასხვა ხალხთან არსებულ რიტუალებში მავნე სულებისა და არსებების ამ გზით მოტყუება: ხდება ხოლმე სქესის შეცვლა გარეგნულ დონეზე. ამ ხრიკის გარდა გავრცელებული მოვლენაა უკუღმართად სიარული, ნაკვალევის შებრუნებით დატოვება, რაც კვალის აბნევის უკავშირდება. ანდა საქორწინო რიტუალის დროს ახალგაზრდა მონაწილის ჩანაცვლება დროებით მეორე ხანდაზმული პერსონაჟით, მაყრიონის თავში პატარძალივით გამოწყობილი ასაკოვანი ქალი თავგზას უბნევს ავსულებს და ბოროტ ძალებს.* ასევე გავრცელებული პრაქტიკა იყო, რომ წყვილი, რომელთაც შვილები ადრეულ ასაკში (ან გაჩენისთანავე) ეღუპებოდათ, ახალშობილს არასასურველ სახელს არქმევდნენ ან გარკვეულ ასაკამდე სახელს საერთოდ არ არქმევდნენ, იყენებდნენ რა მხოლოდ დროებით სახელს და ამით მომაკვდინებელ სნეულებას ატყუებდნენ.** ამ ჩვეულების გაქრობა ქრისტიანობის გავრცელებას დაუკავშირდა, რადგან ეს მოვლენა ნაწილობრივ შეცვალა შვილისთვის მფარველი წმინდანის სახელის დარქმევამ.

ამგვარად, „შავჩიტას“ ტიპის ზღაპრებში, ჩემი აზრით, დაცულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდა ოჯახი უძველეს დროში მძიმე დაავადების გავრცელების დროს: ხდებოდა ავადმყოფობის მოტყუება გარეგნობის შეცვლით (ალბათ თუ ფენმძიმე ქალს ნი-

* აქ საინტერესოა სოფოკლეს ცნობილი ტრაგედიის გახსენება, როდესაც კლემენესტრა აგამემნონს ადანაშაულებს, რომ მას არ მიეცა საშუალება იფიგენიას საქორწინო მაყრიონს წინ გაძლოდა ჩირაღდნით ხელში. სხვადასხვა კულტურაში დაფიქსირებული მსგავსი ეპიზოდები მრავლად აქვს განხილული ფრეზერს თავის ნაშრომში.

** გავიხსენოთ აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ (წერეთელი, აკაკი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 3, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989): „ერთადერთი სამწუხარო მისი (იგულისხმება ბაქარა ბაქრაძე) იყო, რომ შვილი არა რჩებოდა, მაგრამ, როცა, მეზობლების რჩევით, ახალშობილს „გლახა“ დაარქვა და ღვთის სახელზე გაუშვა, ისიც მართლა ჩიტივით წამოეზარდა“ (წერეთელი 1989: 134). თითქმის ყველა მშობელი ცდილობს, შვილს განსაკუთრებული სახელი დაარქვას, სახელი „გლახა“, რა თქმა უნდა, ამ სახელთა რიგში არაა. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ თითქოს შვილი არასასურველია, ეს სახელი არაჩვეულებრივად გამოდგება. ბოროტი ძალა ტყუვდება, თვლის, რომ ბავშვი ისედაც არასასურველია და თავს ანებებს მას. მეორე მხრივ, ბავშვის ღვთის სახელზე გაშვება ნიშნავს იმას, რომ ბავშვი ექცევა მისი მფარველობის ქვეშ.

თურა ემოუქრებოდა), ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა (ცხენის სახით) და ამით ოჯახი თავს იზღვევდა მოსალოდნელი უბედურებისაგან.

სწორედ ასეთი ნაკითხვისა და ტიბარენების შესახებ. როგორც ჩანს, მელო-გინე ქალს ანაცვლებდა მეუღლე, რათა მოტყუებულიყო ავი ძალა, რომელიც საფრთხეს უქადადა მშობიარეს. მამაკაცი კი, რომელიც ქალის როლს ასრულებდა, ადვილად „გაუმკლავდებოდა“ მოსალოდნელ საშიშროებას და ამით გადაარჩენდა ცოლს. ალბათ „არგონავტიკის“ ტექსტში დაცული პასაჟის ამდაგვარი ნაკითხვა საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს, თუკი გავითვალისწინებთ იმ მასალას, რაც ქართულ ფოლკლორში გვხვდება.

ღამონათქაანი:

აპოლონიოს როდოსელი 1970: აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა აკაკი ურუშაძემ. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970.

ბერძნული მითების სამყარო 1999: ბერძნული მითების სამყარო. არგონავტიკები. თბ.: „ლოგოსი“, 1999.

ორფიკული არგონავტიკა 1977: ორფიკული არგონავტიკა. ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნათელა მელაშვილმა. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.

კეკელიძე 1960: კეკელიძე კ. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. I. თბ.: „მეცნიერება“, 1960.

კეკელიძე 1956: კეკელიძე კ. *ეტიუდები*. ტ. I. თბ.: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 1956.

ფსალმუნნი 1960: *ფსალმუნნი*. გამოსცა მზექალა შანიძემ. თბ.: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“, 1960.

ფსალმუნნი 2010: *ფსალმუნნი*. ძველი ქართული კანონიკური და თანამედროვე ქართულ ენაზე ადაპტირებული პარალელური ტექსტები. თბ.: „საქართველოს საპატრიარქო“, 2010.

შანიძე 1979: შანიძე მ. *ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები*. თბ.: „მეცნიერება“, 1979.

ჭელიძე 2006: ჭელიძე ე. *„ფსალმუნთა“ ახალი გამოცემის გამო*. თბ.: „ახალი ივირონი“, 2006.

ხაჩიძე 1979: ხაჩიძე ლ. *ფსალმუნთა ქართული ვერსია და ეროვნული კულტურული გარემო*. თბ.: 1979.

ხაჩიძე 2005: ხაჩიძე ლ. *ძველი ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების შესახებ*. თბ.: 2005.

NATELA KHINCHAGASHVILI

Georgia, Gori
Gori Teaching University

East Legends in a Context of Creativity of A.I. Cuprin

The article deals with the research of A.I. Cuprin's creativity in the context of literary-folklore interrelations. The active reference to folklore sources was characteristic and for A.I. Cuprin's. Folklore motives in art consciousness of the writer found an embodiment in different forms of a small genre. In the special block it is possible to allocate east legends. Literary-folklore comparison gives evident representation about art reconsideration of folklore motives, a problematic and a style originality of creativity of the writer reveals continuity and innovation in search of such aesthetic dominant.

Key words: folklore sources, east legends, folklorism, aesthetic dominant.

НАТЕЛЛА ХИНЧАГАШВИЛИ

Грузия, Гори
Горийский учебный университет

Восточные легенды в контексте творчества А.И.Куприна

Фольклоризм литературы как литературоведческая проблема - явление многогранное и многоаспектное. Надо заметить, что сам термин является сравнительно новым и в литературоведении употребляется в различных значениях («сознательное обращение писателей к фольклорной эстетике» (Далгат 1981: 303), «социально детерминированный эволюционный процесс адаптации, репродукции и трансформации фольклора в условиях, отличающихся от тех, в которых развивался и бытовал традиционный фольклор» (Гусев 1981: 43) и т.д.

Также неоднородны точки зрения на проблему соотношения литературы и фольклора. Так, например, Д.Н. Медриш рассматривает фольклор и литературу в качестве двух взаимодействующих эстетических систем, В.А. Махнюкович утверждает, что фольклор и литература - подсистемы большой системы, С.Ю. Неклюдов разграничивает фольклорный и литературный тексты. Предложенные толкования позволяют рассматривать фольклоризм литературы как интерпретирование писателем фольклора на разных уровнях текста (сюжетно-образном, языковом, структурно-композиционном, мировоззренческом).

Взаимовлияние литературы и фольклора можно рассматривать на разных уровнях: от анализа эстетической функции фольклорных элементов в произведении того или иного писателя до освоения литературой художественных принципов фольклора (вопросы типизации, стиля, жанровой системы). А.И.Лазарев в исследовании «Типология литературного фольклоризма» (Лазарев 1988: 36) предлагает следующие типы усвоения и переработки фольклорного материала: цитирование, стилизация, мифологический фольклоризм, поэтический фольклоризм, песенный фольклоризм, жанровый фольклоризм, мировоззренческий фольклоризм. Данная теория дает возможность изучения фольклоризма на уровне отдельных писателей. В этой связи следует упомянуть монографические исследования фольклоризма А.С. Пушкина (Д.Н. Медриш), Н.В. Гоголя (С.А. Шульц), И.С.Тургенева (В.В. Ильина), Л.Н. Толстого (Н.О. Кирсанов), Н.С. Лескова (А.А. Горелов, Г.А. Шкута), Ф.М. Достоевского (В.А. Михнюкевич), А.А. Блока (В.Г. Базанов), И.А. Бунина (Г.М. Атанов), С.А.Есенина (В.В. Корожан), А. Ахматовой, М.Цветаевой (Н.Ю. Грякалова), О.Э. Мандельштама (Е.Е. Топильская), Н. Заболоцкого (К.Ф. Пчелинцева) др.

В последнее десятилетие отмечается проявление интереса к проблеме фольклоризма отдельных русских писателей, чья деятельность приходится на конец XIX - начало XX века. Попытки исследования взаимодействия фольклора и литературы в творчестве писателей именно этого периода не случайны - в системе ценностей этого этапа русской культуры стержневым являлся народно-национальный характер. Русская культура этой эпохи ярко отреагировала на знаковые моменты истории (три революции, две войны), отразила следы нравственной деформации общества. Дегуманизация мира, рост индивидуалистических настроений, осознание кризиса цивилизации, ощущение конца эпохи вело к необходимости осмысления реальности через традиции фольклора. Обращение к нему способствовало решению стержневого вопроса русской действительности – возрождению нравственно гибнущего человека, созидания новой совести, ибо именно в фольклоре была выработана спасительная система нравственных, культурно-эстетических, религиозных норм и представлений. «Миф, - утверждал Р.Барт, - как живая память о прошлом, способен излечить недуги современности» (Барт 1996: 283). Этому процессу сопутствовал взрыв интереса к специфике фольклорного и мифологического мировосприятия. К фольклору и национальной мифологии обратились художники В.М.Васнецов, М.А.Врубель, Б.М.Кустодиев, К.С.Петров-Водкин, Н.К.Рерих, композиторы С.С.Прокофьев, С.В.Рахманинов, Н.А.Римский-Корсаков, И.Ф.Стравинский. Не остались безучастными к художественному переосмыслению фольклора писатели: М.Горький, И.А.Бунин, Б.К.Зайцев, Ф.К.Сологуб, Н.С.Гумилев, А.А.Блок, В.Я.Брюсов, С.М.Городецкий, В.Хлебников, О.Мандельштам, М.Цветаева.

Фольклор и мифология стали своеобразной формой мышления и для А.И.Куприна. Факты не механического, а сознательного обращения к фольклору отмечаются всеми исследователями творчества Куприна. Попытка изучения фольклоризма писателя как составной части его творческого метода сделана Г.С. Вардугиной (Фольклоризм как элемент поэтики А.И. Куприна), Г. Кошелевским (Роль фольклорных элементов в ранних рассказах А.И. Куприна), С. Ташлыковым (Новелла-легенда в творчестве А.И. Куприна), Л.П. Трофимовой (Романтические тенденции в прозе А.И. Куприна), Э.Б. Жекановска (А.И. Куприн и фольклор). В этих исследованиях справедливо отмечены факты сложного переплетения мифологических и собственно фольклорных тем и образов не только русского, но и мирового фольклора. Однако поставленные вопросы, на наш взгляд, нуждаются в более глубоком освещении с позиций современного понимания литературного фольклоризма. Поскольку тема «фольклоризм А.И. Куприна» довольно широка, мы ограничиваемся в нашем исследовании конкретной целью: выявить восточные мотивы фольклорного жанра, встречающиеся в творчестве писателя, раскрыть новаторство в подходе к жанру литературной легенды.

Обращение Куприна к фольклору не является только данью литературной моде. Мироззренческая и эстетическая ориентация на фольклор открывала перед Куприным новые возможности в освещении таких эстетических и философских проблем, как нравственное усовершенствование и духовное возрождение человека («Демир-Кая»), поиски идеала и смысла жизни («Счастье»), жертвенности и величия любви («Суламифь»), осуждение эгоизма, предательства, злобы, жадности («Легенда», «Сказка»). Писателя искренне тревожило наступление «смутного времени, в котором стерлась черта простой нравственности», «...густого тумана, который опутал не только Россию, но и весь мир». (Куприн 1973: 157). Связывая это явление с разрушением духовных основ общества, он призывал «писать не о том, как люди обнищали духом и опошлели, а о торжестве человека, о силе и власти его..., о презрении к смерти, обожании женщин при единой, вечной любви, верности до смерти» (Фрид 1913). Отсюда - тоска по яркой, сильной личности, «влечение к героическим сюжетам». Проекция в фольклорное «прошлое», которое, по его мнению, духовно богаче, прекраснее и могущественнее, должна была указать пути к идеалу, решению вопросов духовного существования человека.

Открывшееся на рубеже веков новое культурное пространство вызвало живое экспериментирование с языком, стилем, жанрами. На первый план выдвинулись емкие и мобильные формы: легенды, предания, сказки, аллегории, притчи, очерковые заметки, т.е. те жанры, в которых органично сочетались лирическое и эпическое. Однако довольно долго в литературоведении существовала непроясненность в определении жанров малой прозы. Критики часто называли одно и то же произведение того или иного

писателя аллегорией, сказанием, преданием, притчей, новеллой, легендой. Так, например, исследователи творчества А.И.Куприна по-разному называют его произведения «Гост» и «Сны» (Ф.И.Кулешов – фантастическими рассказами, А.А.Волков – аллегориями, Л.В.Крутикова – философскими миниатюрами и т.д.). Лишь сравнительно недавно жанр легенды получил окончательную формулировку и структурно-поэтические признаки: произведение, характеризующееся религиозным содержанием, поэтическим вымыслом, лаконизмом повествования с морально-этическим подтекстом и элементом необыкновенного. Последнее сводится к хронологически и территориально неопределенному чудесному событию, происшедшему с неординарным героем, пережившим взлеты и падения страстей, духовное обновление и социальные превращения на фоне экзотической обстановки и ситуаций.

Легенда как жанр (как впрочем, и другие жанры малой прозы: предания, притчи, сказки, сказы) долгое время находилась на периферии литературного процесса, но на рубеже XIX-XX вв. претерпела существенную трансформацию в творчестве неореалистов – И.А. Бунина, А.И. Куприна, А. Грина, Б.К. Зайцева и др. Охотно обращаясь к легенде для иллюстрации своих морально-этических взглядов, они, каждый по-своему, наполняли ее новым содержанием, требовавшим затем уже новой формы. В русле литературного процесса рубежа веков протекали и жанровые искания А.И. Куприна. Трансформируя традиционные жанровые структуры, писатель активно обращается к жанру литературной легенды. Это объясняется поисками этической доминанты, которая бы вносила в искусство того противоречивого времени оптимизм, романтизм, героичность жизни. Этическую и эстетическую силу писатель искал в историческом материале, поскольку, как подчеркивал писатель, «кусочек жизни грубой и бедной» не может превратиться в легенду, ибо «современная жизнь, вся насквозь, меняется через десятилетия в зависимости от гигантских успехов механической культуры, меняется вместе с модами, вкусами, обычаями, нравами и искусствами, подобно тому, как часто меняется политическая карта земного шара, не оставляя места для героической легенды или душевного поучения, уложенного в предания старины..., а современная литература, черпающая свой материал и свое вдохновение из быта нынешнего дня, есть достояние лишь двух-трех поколений. Ее фабулы, ее мудрость, ее мораль (хотя бы и вывернутая наизнанку) не перейдут из уста в уста, от сего прошлого в глубокое будущее, тщательно хранимым и любовно украшаемым. В ней нет простого, нетленного внутреннего состава, нет крепкого стенового хребта, её темы не годятся для медленного, складного устного пересказа долгой зимней ночью у огня» (Куприн 1973:171).

Итак, спасение от бездуховности Куприн искал в далеком прошлом. Особый интерес у него вызывал древний Восток, привлекавший его своим величием, мудростью, таинственностью, духовным богатством. Первый

рассказ на восточную тему «Аль-Исса» был опубликован в 1894 году под названием «Альза (Легенда)». Далее последовали «Демир-Кая» (1906), «Кисмет» / «Судьба» (1923). На наш взгляд, примыкает к этому ряду и «Суламифь» (1908), хотя традиционно куприноведы относят рассказ к легенде с библейской тематикой.

В перечисленных легендах осмысливаются вечные проблемы человечества: любовь и смерть, грех и его искупление, человек и рок. Динамичность развития сюжета, необычность фабулы, лаконизм языка, неожиданность развязки, т.е. единые жанровые признаки, присутствующие в произведении, позволяют отнести их к жанру легенды. Однако конкретная разработка фольклорных материалов в них разнообразна. Трансформированный фольклорный материал присутствует на всех уровнях архитектоники произведений писателя: на уровне авторского идеала, в сюжете, композиции, в системе образов, предмете изображения, символике, языке. Однако в своем отношении к фольклору Куприн прошел сложный путь эволюционного развития, видоизменявшийся в зависимости от его писательского опыта, динамично меняющейся исторической обстановки, особенностей развития современной литературы, хотя общие принципы обращения к фольклору остаются неизменными.

Системно-типологический анализ т.н. восточных легенд позволяет проследить структурно-поэтические изменения жанра легенды в творчестве Куприна. Новаторский подход писателя к жанру литературной легенды проявляется в следующем:

1. Куприн придал жанру новое художественно-эстетическое качество. Снижая традиционно-житийное, морализаторское начало легенды, писатель усиливает беллетристическое, органично соединяя при этом личностно-экспрессивное лирическое соразмерно-описательным эпическим. Наглядным примером этому служит легенда «Кисмет» / «Судьба». Эпичность и монументальность в рассказе достигается писателем гиперболизацией, размеренно-торжественной, патетической речью, расцвеченной восточной легендой. Система же лейтмотивов, рефренов, символов придает повествованию лиричность и элегичность.

2. В первой из названных легенд ряда прослеживается антиномия «христианское - языческое». В легенде «Демир-Кая», написанной много позднее, мы видим изменение отношения писателя к религиозно-христианским ценностям: религиозно-нравственные представления признаются им как высший моральный авторитет.

3. В той же «Аль-Исса» фольклорный элемент выполняет всего лишь изобразительно-этнографическую, орнаментальную, экзотическую роль, являясь пока еще чужеродным материалом по отношению к авторскому мировоззрению. В «Кисмете» же фольклор присутствует как органическое начало, интонационно и стилистически звучащее в унисон авторскому голосу.

4. В «Суламифи» Куприн использовал фольклорные элементы в качестве сюжетообразующих. В «Кисмете» проявляется тенденция к мифотворчеству – стремление не только воскресить прошлое, но и создать новый, более гармоничный мир в соответствии с авторским идеалом. Фольклорный материал писатель подчиняет поставленным идейно-философским задачам.

5. Приемы включения фольклорных пластов в художественную ткань произведений также разнообразны и изменяются со временем от цитатного стилизаторского в «Суламифи» до глубинного, тонального «Кисмет», в котором «...отчетливо проявляются сквозные фольклорные и религиозно-этические мотивы, помогающие писателю совместить социально-психологический и философский уровни повествования, сочетать конкретную изобразительность и лиричность стиливой манеры» (Лазарев 1988: 36).

В поздних легендах замечается более тщательная стиливая адаптация материала, Посредством всех типов фольклоризма, использованных Куприным в «Кисмет», достигается новая эмоционально-смысловая сфера.

Приемы включения фольклорных пластов в художественную ткань произведений также разнообразны и изменяются со временем от цитатного стилизаторского в «Суламифи» до глубинного, тонального в «Кисмет». Т.о., решая сложные онтологические проблемы, Куприн на уровне содержания активно использует фольклорные темы, образы, персонажи, переосмысливает их, поскольку произведениями, создаваемыми с помощью фольклора, легче было воздействовать на читателя.

На уровне формы писатель также находит интересные решения: осваивает не только средневековые предания («Легенда», «Палач», «Синяя звезда»), апокрифы, жития, библейские мотивы («Два святителя», «Пегие лошади», «Сад пречистой девы», «Медвежья молитва»), сказки («Волшебный ковер»), но и различные модификации литературной легенды: легенду в форме повествования от третьего лица («Аль-Исса», «Кисмет»), легенду с обрамлением («Легенда»), легенду в рассказе («Лесенка Голубая»), легенду-миф (Демир-Кая), легенду-стилизацию («Суламифь»), легенду – притчу («Счастье»), пластично трансформируя их.

Подводя итоги сказанному, мы делаем следующее заключение:

Фольклоризм А. Куприна, являющийся составной частью его творческого метода, заключается в многогранной ориентации на фольклорные жанры, в частности, легенду;

Фольклорное начало, проявляющееся в восточных легендах А.И. Куприна, позволило ему решать самые разнообразные эстетические и философские проблемы;

В восточных легендах А.И. Куприна обозначены идейно-тематические, сюжетно-композиционные, персонажные и языковые решения писателя, с помощью которых он пластично трансформирует фольклорные и лите-

ратурные жанровые традиции, стремясь открыть новый национальный духовный код.

Система художественно-изобразительных средств в восточных легендах А.Куприна подчинена задачам обобщенно-образного раскрытия авторской мысли;

В поисках и создании духовно-эстетического хронотопа творчество А.И. Куприна активно вобрало в себя базовые ценности мирового фольклора, не противопоставляя их русскому национальному, синтезируя русскую и мировую традиции, продолжая развивать их, обогащая таким образом свою творческую палитру.

ЛИТЕРАТУРА

Барт 1996: Барт Р. *Мифологии*. М., Изд –во Сабашниковых, 1996.

Гусев 1981: Гусев В.Е. *Типология фольклоризма // Понятия и явления фольклоризма: Доклады. Международная конференция фольклористов. Кечкемет, 1981.*

Далгат 1981: Далгат У.Б. *Литература и фольклор: Теоретические аспекты*. М., 1981.

Куприн 1973: Куприн А.И. *Фольклор и литература*. Собр.соч., в 9 тт. М., т.9.

Лазарев 1988: Лазарев А.И. *Типология литературного фольклоризма*. Челябинск, 1988.

Фрид 1913: Фрид С. У А.И.Куприна. «*Биржевые ведомости*», 1913, №13765, 21 сентября.

MAIA JALIAHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Aspects of the Poetics of Myth
According to Georgian Modernist Novel**

Georgian modernist pay special attention to the Myth. Grigol Robakidze (“Snake’s Skin”), Demna Shengelaia (“Sanavardo”); Konstantine Gamsakhurdia (“Dionysus smile”) use different myth: Georgian, Greek, Shumerian to give depth to the artistic system. The writers describe dimensions of myth and reality in such a way, that the reader participates in both the world and understand regularities of life. One or another aspect of the myth is shown in the novels. All three modernist writer presents a different artistic interpretations of mythical symbols. Writers by the way of myth will emerge from real-time and rich eternal laws of the universe.

Key words: georgian miterature, modernist, myth

მაია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**მითის პოეტიკის ასპექტები ქართულ მოდერნისტული
რომანში**

ქართულ მოდერნისტულ რომანში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მითოსს. „სანავარდოსა“, „გველის პერანგსა“ და „დიონისოს ღიმილში“ მითოსი (ბერძნული, ქართული, შუამდინარული) მოხმობილია ტექსტის მხატვრული და აზრობრივი შრეების გასაღრმავებლად, სახეების განსაზოგადებლად.

ამ რომანებში მითოსი ხშირად ასოციაციებით, რემინისცენციებითა და მინიშნებებითაა წარმოდგენილი. მწერლები მითოსურ და რეალურ სიბრტყეებს ერთმანეთს უნაცვლებენ და მკითხველს საშუალებას აძლევენ, რეალურ ფაქტებსა და მოვლენებში სამყაროსა და სულის უნივერსალური კანონები ამოიკითხონ.

დემნა შენგელაიასთან, გრიგოლ რობაქიძესა და კონსტანტინე გამსახურდიასთან განსხვავებულადაა წარმოდგენილი მითის სახეთა მხატვრული ინტერპრეტაციები, მაგრამ საერთოა ის, რომ მათი საშუალებით ხდება პროფანული დროის გარღვევა და მარადისობასთან ზიარება.

მოდერნისტულ ტექსტში სამყაროს მთლიანობა სულ სხვანაირად იქნა მოაზრებული. აქ ერთ სიბრტყეზე მოექცა მითი, ისტორია, კულტურა და ადამიანი (როგორც მხატვრული ტექსტის სუბიექტი) სწორედ ამ სიბრტყეზე პროეცირდა.

მითი ამ რომანებში წარმოჩენილია, როგორც სიცოცხლის ნაწილი. ეს სიცოცხლე კი გააზრებულია არა მხოლოდ როგორც კონკრეტული კაცისა, არამედ კაცობრიობისა. ამიტომაც არის ასეთი ხელშესახები რომანებში დიონისესა თუ იშთარის მითის განცდა.

მოდერნიზმის „სახარებად“ გამოცხადებულ ჯეიმს ჯოისის „ულისეში“ ჰომეროსის „ოდისეასთან“ პარალელის გამოყენება ტომას სტერნზ ელიოტმა სამეცნიერო აღმოჩენის ტოლფასად მიიჩნია. იგი წერდა, რომ მანამდე რომანი ასეთ საფუძველზე არავის ჰქონდა აგებული. ელიოტის აზრით, ამ რომანის შემდეგ შესაძლებელი გახდა, თხრობის მეთოდის ნაცვლად მითოსური მეთოდის გამოყენება. ამ ახალ მეთოდს იგი ასე განმარტავდა: „ეს არის უბრალოდ შემოწმების, ფორმისა და მნიშვნელობის დადგენის გზა ამოუბისა და ანარქიის იმ უზარმაზარ პანორამაში, თანამედროვეობა რომ ჰქვია. ეს ის მეთოდია, მისტერ იეიტსმა რომ მოიმარჯვა და, დარწმუნებული ვარ, მისი საჭიროებაც თანამედროვეთაგან პირველად სწორედ მანვე შეიცნო“ (ელიოტი 1989: 420).

ჯოისის ნაწარმოებთა მსგავსად, „მითოსურია“ თვით ელიოტის პოეტური შემოქმედება, განსაკუთრებით მისი „უნაყოფო მინა“. საზოგადოდ, XX საუკუნის 20-იან წლებში „მითოსურ მეთოდს“ ბევრმა მიმართა, მათ შორის, ყველაზე გამორჩეულნი იყვნენ ეზრა პაუნდი და უილიამ ბატლერ იეიტსი.

ქართველი მწერლები, როგორც ჭეშმარიტი ინტელექტუალები, კარგად იცნობდნენ ბერძნულ და შუამდინარულ მითოსს. იმავდროულად, ქართულსაც. სწორედ მაშინ მტკიცდებოდა ქართული ფოლკლორული სკოლის დიდი ტრადიციები. ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა ახალი გამოკვლევები ამდიდრებდნენ და აღრმავებდნენ წარმოდგენებს ქართველთა უძველეს ეთნოსზე. თვითონ დემნა შენგელაია ნაყოფიერად მოღვაწეობდა ფოლკლორის სფეროში და მრავალი საინტერესო წერილიც დანერგა. ცნობილია, H₂SO₄-ის ლიტერატურული ჯგუფი რა დიდ ყურადღებას აქცევდა ზღაპარს, შელოცვას და, საზოგადოდ, ხალხურ შემოქმედებას (ამ ჯგუფის წევრი იყო დემნა შენგელაიაც).

ჯოისმა თავის დროზე ძველ ბერძნულ მითოსს მიმართა, ელიოტმა „უნაყოფო მინაში“ გამოიყენა გრაალის ციკლის კელტური ლეგენდები... პოემის მითოსური სტრუქტურის საფუძველს შეადგენდნენ, აგრეთვე, წარმართული მითები მცენარეული სამყაროს მომაკვდავი ღმერთების — ატისის, ოზირისისა და ადონისის შესახებ, რომელთაც ელიოტი ჯეიმს ფრეზერის „ოქროს რტოს“ საშუალებით გაეცნო. სწორედ ამ მითებიდან ნასესხებ რიტუალურ სქემებზეა აგებული „უნაყოფო“

ფო მინის“ მთელი პოეტური სამყარო და პოემის ყველა ასოციაციური დეტალის აზრობრივ – ემოციური დატვირთვა სწორედ პირველყოფილი მითოსური აზროვნების არქეტიპულ მოდელებს ეფუძნება (კობახიძე 1984: 55).

მითოსისადმი დამოკიდებულებას ქართული მოდერნისტული რომანის გმირები სხვადასხვანაირად ავლენენ: 1. მითი წარმოდგენილია, როგორც გმირის გარკვეული ცოდნის დასტური. (გმირი იცნობს მითს, მითის გმირებს ასახელებს გარკვეულ კონტექსტში). მითი მოიხმობა, როგორც ტექსტი, საიდანაც შეიძლება ციტატების გამოყენება. კონსტანტინე გამსახურდია „დიონისოს ღიმილში“ როცა აღწერს სავარსამიძისა და ფარვიზის ცხენებით ჭენებას, ასეთ შედარებას მოიხმობს: „თითქოს პოსეიდონს ბნელი სულები გამოეგზავნა ჰიპოლიტოსის ცხენების დასაფეთებლად“ (გამსახურდია 1992: 358).

2. რომანის გმირთა ცხოვრების გარკვეული ეპიზოდები მიემსგავსება ცნობილი მითის გმირისას. ოლონდ ეს „მიმსგავსება“ ხან ეზოთერულია და ხან ეგზოთერული (მაგალითად, ბონდო – თამუზი, სავარსამიძე – დიონისე). თომას მანი წერდა ვაგნერზე: „ერთბაშად ნათდება პერსპექტივა და ადამიანური ხილვების უპირველეს და უადრეს ხატებთან გვაბრუნებს... თამუზსა და ადონისს... ოზირისსა და დიონისოს... ყოველივეს სწვდება ეს მითიური მზერა“ (მანი 1995: 23).

შეიძლება ვისაუბროთ ქართველ მოდერნისტთა მითიურ მზერაზეც, რადგანაც ისინიც სწვდებიან უადრეს ხატებს და გვაბრუნებენ იმ ჟამში, როცა „ყველაფერი პირველად ხდებოდა“.

3. მითის „მაკრო მოდელში“ ირეკლება გმირის ცხოვრების „მიკროსამყარო“. მაგალითად, „სანავარდოში“, იშთარ-თამუზის მითში, ირეკლება ბონდო ჭილაძის ცხოვრების ძირითადი პრობლემები.

4. რომანის გმირი სამყაროს ისევე განიცდის, როგორც მითის პერსონაჟი, ე. ი. ლაღად, გახსნილად, პირისპირ უმზერს საგანთა და მოვლენათა შუაგულს, გზნებს ნოუმენს. ხშირად ამგვარი „კონტაქტი“ სამყაროსთან ხორციელდება ექსტაზისას.

5. ხშირად რომანში მითის მოვლენა ან მითის გმირი წარმოჩნდება, როგორც სიმბოლო გარკვეული ვნებისა. მაგალითად, დიონისე ამხელს, ერთი მხრივ, ადამიანის ნებას, მის ირაციონალიზმს, რაც ცნობიერ სამყაროში ხორციელდება ამბოხით, შფოთით, ხოლო, მეორე მხრივ, სწრაფვით საიდუმლოს ახსნისკენ, დაფარულში შელწევისკენ, დაკეტილის გაღებისკენ, რაც „ზედაპირზე“ ირეკლება განსხვავებული მოქმედებებით.

6. მითი ქართულ მოდერნისტულ რომანში ვლინდება, როგორც პირველყოფილი (ადამიანის ხელდაუკარებელი) სამყაროს შემოჭრა რეალობაში. სამსავე რომანში გმირებს ნებისმიერი იდეალის ძიებისას მითის წყურვილი თან დაჰყვებათ და სტანჯავთ, რადგან არსად არ არის „ის“, რისი მოპოვებაც სურთ, ანუ შერთვა, შერწყმა სამყაროს-

თან. სიცოცხლეშივე იმ მდგომარეობის განცდა, რაც ადამიანს სიკვდილის მერე მიენიჭება.

7. ქართული მოდერნისტული რომანები უკვე იყო იმგვარი მხატვრული ტექსტები, რომელთა ნაკითხვა შეიძლებოდა „მითის დონეზე“ ე. ი. გარკვეული მითის გააზრება მკითხველს აძლევდა რომანის სამყაროში შეღწევის ერთი გზის გასაღებს. (რაც გულისხმობს, რა თქმა უნდა, სხვა გზებსაც, ე. ი. რომანის ნაკითხვას სხვა დონეზე, სხვა თვალსაზრისით).

თომას მანი მითს მოზიემე სიცოცხლის მოდელს უწოდებდა, რისი მეოხებითაც წამი ხდებოდა განუზომლად დიდი, ხოლო პიროვნული არსებობა „თავს აღწევდა ვინრო ჩარჩოებს“. წერილში „ფროიდი და მომავალი“ იგი წერდა: „ცხოვრება მითში... ერთგვარი ზეიმია. აქ წარსული გარდაიქმნება ანმყოფად, ის იქცევა... ნადიმად, წარსულის აღორძინებად ანმყოფი“ (ესსეები 1989: 489).

მირსეა ელიადე აღნიშნავს, რომ მითები აღწერენ საკრალურის შემოჭრას სამყაროში, რომ მითი ყველა უმნიშვნელოვანესი ადამიანური ქცევის მოდელად გვევლინება (ელიადე 1993:101). ამის გათვალისწინებით ნათელი ხდება ამა თუ იმ მხატვრული სახის არსი.

ქართულ მოდერნისტულ რომანებში პარალელურად არსებობენ რეალური და მითოსური სიბრტყეები. პერსონაჟები თითქოს ქანაობენ მათ შორის, ამიტომაც კონკრეტული ფაქტი გაიზრება ხშირად რეალურადაც და სიმბოლურადაც. ემპირიულ პლანში ამ პერსონაჟებს აქვთ თავიანთი კონკრეტული ფუნქცია. უცხოეთში გადახვენილი არჩიბალდი დაეძებს მამას და სამშობლოს, ბონდო ჭილაძე უნაყოფობის სენისგან თავდაღწევას ცდილობს, კონსტანტინე სავარსამიძე ცხოვრებაში საკუთარ ადგილს დაეძებს. ამ პერსონაჟებს, ამასთანავე, სხვადასხვა სიბრტყეში სხვა სიმბოლური მნიშვნელობებიც აქვთ.

თომას მანი საუბრობდა მითზე, როგორც პიროვნების „გააქტიურების“ ერთ-ერთ ხერხზე. „სანავარდოში“ იმთარ-თამუზის მითის მოხმობით გმირი უფერული ყოფიდან მწერალს გადაჰყავს ფერადოვან, მთლიან სამყაროში.

დემნა შენგელაიას წარმოდგენა სამყაროზე „სანავარდოში“ მითოსურია. სამყარო არის ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელის ერთობა. გმირი თავისუფლად მოძრაობს ამ სამყაროში თავისი ცხოვრების წესის, ცოდვისა და მადლის შესაბამისად. აქ ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელი სულის გარკვეულ მდგომარეობებსაც შეესაბამება. იმავდროულად, სამივე რეალური გეოგრაფიული გარემოა. ბონდო ჭილაძე გარკვეულ სკნელში „მოღვანეობს“, ამასთანავე, მოძრაობს სხვა სკნელეშიც. იმთარი, ბაყაყი, მზეთუნახავი, ალქაჯი, უჩა-ლართამი – სწორედ სხვადასხვა სკნელის ბინადარნი არიან და მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ვლინდება სამყაროს არსება, კოსმოსის კანონზომიერებანი. „დიონისოს ლიმილშიც“ ჩნდება სამი სკნელი სავარსამიძის სიზმარში. („ჯოჯოხეთად ჩასვლა კოკნსტანტინე სავარსამიძისა“): „ხალილ თეთ-

რზე შეჯდა, ჰერბერტი შავზე და მე ენდროსფერ ულაცს მოვასტი“.
„შავი, წითელი და თეთრი ცხენები შესაბამისად აღნიშნავენ ქართული
მითოლოგიის ქვესკნელს (ჰერბერტი მკვდარია), შუასკნელს (სავარსა-
მიძე შუასკნელით ქვესკნელში მიემგზავრება და ლანდების საუფლოში
მკვიდრდება) და ზესკნელს (ხალილ ბეი ცოცხალია)“ (სიგუა 1991 :256).

„სანავარდოში“ მოხმობილი შელოცვები წარმოადგენს მითოსური
სამყაროს ცოცხალ განცდას. მ. ელიადეს მიხედვით, ახლო აღმოსავ-
ლეთისა და ევროპის ხალხთა შელოცვების დიდი რაოდენობა შეიცავს
სნეულების ან იმ დემონის ისტორიას, რომელმაც იგი გამოიწვია. შე-
ლოცვის თერაპიული ეფექტურობა ისაა, რომ იგი რიტუალურად წარ-
მოიქმნება, როგორც სანყისის მითიური დრო“ (ელიადე 1993 : 142).

მარჩიელი ბონდოსაც ულოცავდა და ცდილობდა მისგან იმ სნე-
ულების განშორებას, რომელიც, ერთდროულად, მჟღავნებოდა,
როგორც უნაყოფობა, სასონარკვეთილება, გაუცხოება, შიში.

„ელუსამედს ყანა მქონდა, ყანაშიდა ლოდი იდვა,
ლოდსა ქვეშე დევი იწვა, ცალთა თვალთა ცეცხლი ენთო.
დეიქცა წყალი, დეიფსო ცეცხლი, დეეფსო თვალი და ყური
ბონდოსა ავი თვალთ შემხედვარეს!“ (შენგელაია 1983: 76).

დემნა შენგელაია გრძნობს, რომ კაცობრიობამ დაკარგა სიყვარუ-
ლი (სანავარდო უნაყოფო გახდა). სიყვარულს გამოხატავს იშთარის
მითოსური სახე, რომლის ერთ-ერთი სახესხვაობაც არის ხათუნა.
მწერალი თხრობაში ჩართავს იშთარისა და თამუზის სიყვარულის ამ-
ბავს. მავნეებისაგან შეჭირვებული, სილამაზისა და სამკაულებისაგან
განძარცვული, დაავადებული იშთარი მაინც დაეძებს თამუზს და როცა
მავნენი მოსთხოვენ სიყვარულის უარყოფას, უარს ეტყვის. თამუზი
სიბრძნის ღმერთმა ეამ გადაკარგა მდინარე ხუბურს მიღმა უფსკრულ-
ში. სიმბოლურად ეს ნიშნავს სამყაროდან გონების მიერ გრძნობის,
ვნების განდევნას. მატერიალურ-ტექნიკურმა მიღწევებმა, ცივილიზა-
ციის პროგრესმა გააღარიბა ადამიანის სულიერება. ცხოვრებიდან
გაქრა ვნება, ამიტომაც გონიერი, განათლებული ბონდო ჭილაძე უნა-
ყოფოა, უვნებო. მისი ნახევარძმა, თითქმის ველური, განუვითარებ-
ელი გუჯუ ლაბახუა კი ვნებით სავსეა. აკაკი ბაქრაძემ გუჯუ ლაბახუას
სახე ფალოსის კულტს დაუკავშირა (ბაქრაძე 1969: 78).

იშთარი სემიტური წარმოშობის ნაყოფიერებისა და ხორციელი
სიყვარულის ქალღმერთია. მისი მითოსური სატრფო თამუზია, რომ-
ლის ამოსაყვანადაც ჩადის უფსკრულში და ვიდრე ნაყოფიერების
ქალღმერთი სამზეოზე არ იმყოფება, „ხარ-ფურნი აღარ ხურობენ,
ქალწულს ყრმანული აღარ ეუღლება“ (კიკნაძე 1984: 33).

მწერალი რომანში ბონდო ჭილაძისა და სანავარდოს უნაყოფობას
ერთმანეთთან აკავშირებს. სანავარდო ცივილიზებული კაცობრიობის
სიმბოლოდაც გაიაზრება. სიყვარულს დევნის „მანქანის“ ხანა, „მატა-
რებელი“ კლავს ვნებას.

„უშვილობა გახშირდა. ციებით იყვნენ დედაკაცები წამხდარნი და ტყირპით დამაკებულნი. ვაჟებს უნარი არ ჰქონდათ ქალებთან დამოკიდებულებისა. ურიები ჰყიდდნენ შვილოსნობის წამალს, მაგრამ დაბერნებულ დედაკაცებს და უნაყოფო ყმანვილებს საშველი არ ადგებოდათ“ (შენგელაია 1983: 54)

რომანში იშთარი რამდენიმე ტრანსფორმირებული სახით გვევლინება: ხათუნა, დოდო ბაყაყი, მზეთუნახავი, გრაფინია ტრუბანოვა.... თვითონ დემნა შენგელაია ერთ ფოლკლორულ გამოკვლევებაში წერდა: „ბაბილონის უზენაესი ღვთაება ეა ავალებს თავის შათირს, რომ დაეხმაროს თამუზის დასახსნელად ბაყაყის სახით ქვესკნელში ჩასულ იშთარს. ისმის კითხვა: რატომ ბაყაყის სახით? რა აქვთ საერთო სილამაზის ღვთაება იშთარს ბაყაყთან ან მის ნილაბთან? იმიტომ, რომ იშთარი სამპიროვანი ღვთაება იყო, სამ ცას განასახიერებდა. ეს სამი ცა თავდაპირველად ჩვენს ქართულ ფოლკლორში მოსე ჯანაშვილმა შეამჩნია და აღნიშნა კიდევაც. როგორც ვიცით, იშთარი სამ სანყისს შეიცავდა: ზესკნელს – ფრთოსანი იმიტომ იყო, ქვესკნელს – თევზის ქერცლით მოსილი ტანი იმიტომ ჰქონდა და მიწას – ძაღლის თავი იმიტომ ება. ტანთ ძუძუები მას იმიტომ ასხდა, რომ მუდმივ ქალოვნებას, სიყვარულს, დედობრიობასა და პროსტიტუციას მფარველობდა“. „ზესკნელის ამ ღვთაების კომპეტენცია დანარჩენ ორ ცასაც სწვდებოდა: ჩვენს წუთისოფელს და აგრეთვე ქვესკნელს, ანუ საიქიოს, ხოლო ქვესკნელი, ისევე, როგორც ცა და ღრუბლები, წყლის წარმომშობი ნიაღია და ბაყაყი კი წყლისა და მისი ნილაბი, ანუ ტყავი მუდმივი სინედლის მფარველი ღვთაების, მზეთუნახავი იშთარის ერთერთი ზომორფული განსახიერებათაგანი“ (შენგელაია 1960: 479).

ლიბიდოს ფროიდისეულმა კონცეფციამ მხატვრულ ლიტერატურაში სქესთან დაკავშირებული ფარული სიღრმეები წამოატივტივა. „სანავარდოშიც“ მწერალი მხატვრულ სახეებად წარმოადგენს გმირის ქვეცნობიერში დაღექილ განუხორციელებულ ლტოლვებს.

საგულისხმოა, რომ ხათუნა, (ბონდოს ბავშვობისდროინდელი სიყვარული) ადრევე გარდაიცვალა და ამან მის ფსიქიკაზე წარუშლელი კვალი დატოვა, გააღრმავა მისი ავადმყოფური მისწრაფება ირეალურისაკენ. ხათუნა სიკვდილის სამეფომ შთანთქა – ბონდოსთვის ბნელმა, გაუაზრებელმა სტიქიამ. მთელი შემდგომი მისი ცხოვრება კი სწორედ ხათუნასკენ, სიყვარულისკენ, იგივე სინათლისა და სინმინდისკენ, იმავდროულად, სიკვდილისკენ სწრაფვად იქცა.

მზეთუნახავისადმი ლტოლვა თანდათან გაღრმავდა და რადგან რეალურ ცხოვრებაში ვერ შეისხა ხორცი (გრაფინია ტრუბანოვამ მისი ალერსისას შენიშნა, რომ ღილი აკლდა საყელოზე), ქვეცნობიერში ტრანსფორმირდა, როგორც წყარო ეპილეფსიისა, ჰალუცინაციებისა. ბონდომ ვერც იმ თურაშაულს გაუსინჯა გემო, გრაფინია ტრუბანოვამ რომ მიანოდა. „ვაშლი ნაყოფიერების სიმბოლოა. უშვილო ქალები

ქართულ ზღაპრებში ვაშლის ჭამით ნაყოფიერდებიან, ხოლო ვაშლის ხე იგივე ხეა ცხოვრებისა“ (შენგელაია 1960: 465).

ქვეცნობიერმა ზედაპირზე ბონდოს უნაყოფობის სხვა მიზეზიც წამოატივტივა: „ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით! ცოდვებით, რომელიც მე არ ჩამიდენია!.. რისთვის უნდა ვზლო მე, მამაჩემო, ის ცოდვები, რომლებიც ოდესღაც ჩემ მამა-პაპას ჩაუდენია! მე მინდა, მამა, სიცოცხლე და სიცოცხლე ჩემი გაძალღებულისა! მე მინდა, მამა, სიყვარული და ნიათი არა მაქვს“ (შენგელაია 1983: 66)

სიყვარულისა და უნაყოფობის თემას უკავშირდება რომანში წარმოდგენილი მითი უჩა-ლართამის შესახებაც. დემნა შენგელაია წერდა: „გველს მეგრულად უჩა-ლართამი ე. ი. შავჩოხიანი ანუ შავლართიანი ეწოდება. რატომ მაინცდამაინც შავჩოხიანი? იმიტომ, რომ იგი ქვესკნელის ბატონი იყო, ხოლო ქვესკნელი, როგორც ვიცით, ერთი იმ სკნელთაგანი იყო, რომელიც მთელ სამყაროს შეადგენდა და მისი ფერი იყო შავი, მას შავეთიც ამიტომ ეწოდებოდა, ზესკნელის, ანუ ზეცის ემბლემური ფერი კი თეთრი იყო“ (შენგელაია 1960: 437).

თეთრჩოხიანმა თავადმა, იგივე ბონდომ, რომელსაც ასეთი ვნებით ელოდებოდა დოდო ბაყაყი, იგივე იშთარი, ვერ „გაუძლო“ ტრფობას და მოკვდა (სიმბოლურად მისი ნაყოფიერების უნარი). ხოლო მზეთუნახავი, იგივე ხათუნა – ქვესკნელმა შთანთქა, გრაფინია ტრუბანოვა სხვას გაჰყვა, „სანავარდოში“ კი, ამ შემთხვევაში, ბონდოს სულში, იმრავლა „ბაყაყმა, გველმა, ჯოჯომ და ხვითქმა“.

რომანის ერთ თავს „უჩა-ლართამ ბატონი“ ჰქვია და აქ წარმოდგენილია გველების მიერ სანავარდოს დაუფლება, სიმბოლურად, მავნეები ეპატრონებიან ადამიანთა სულებს. „...დიდი გველი სანავარდოზე და მისი ჩრდილი გადაწვება ყარამანის ოდას. სვეტივით ატყორცნილი აელვარებს მზის თესლივით ანთებულ ხვითოს. თვალდაკუსული იცქირება ყელმოღერებით, ნოვს გვალვას და ჟინატეხილი სცემს კუდს მიწაზე. დედამინა იბნიდება ვნებაანთებულ დედაკაცივით.

მზე კბენს მის ეჭვნებივით ასხმულ ქერტილიან სხეულს. შუადღის გუგუნში შემოვიდა იგი ყალყზე ამდგარი, ვით მოჩვენება და აიმართა შუა ოდაში. – რა გინდა შენ უჩა-ლართამი? გველი დგას ამართული და ტეხს ბონდოს სკვარამ თვალებით“ (შენგელაია 1983: 80).

აკაკი ბაქრაძის აზრით, მითოლოგია ერის, ხალხის სულიერი სამყაროს უკუფენაა. ბონდო ჭილაძეც მითოლოგიურ სამყაროში იმიტომ დაბორილობს, რომ როგორმე ის ძაფები გამოწახოს, რომელიც მშობლიურ მიწასა და ერთან დააკავშირებს (ბაქრაძე 1969: 56)

გრიგოლ რობაქიძე 1932 წელს „კავკასიური ნოველების“ წინასიტყვაობაში წერდა: „მითოლოგიური რეალობა არის უთუოდ მეტი და უფრო აზროვანი, ვიდრე ისტორიული“, აქედან გამომდინარე, მკვლევარი მანანა ხომერიკი დაასკვნის, რომ „გველის პერანგში“ ერთდროულად შეიძლება ამოვიკითხოთ არჩიბალდ მეკეშის, ქართველი ერისა და სულის ევოლუციის ისტორია (ხომერიკი 1990: 46).

არჩიბალდის, როგორც კერძო ადამიანის ისტორია, ნაწარმოების წაკითხვის პირველ დონეზე ცნაურდება. ტექსტის სიღრმე იზრდება, როცა არჩიბალდის სახეში ერის ისტორიას ამოვიკითხავთ. აქ საგნებსა და მოვლენებს სიმბოლური მნიშვნელობები ენიჭებათ. წაკითხვის პირველ დონეზე მითის მხოლოდ გახსენება ხდება. მასთან შეხება ზედაპირულია. არჩიბალდი იცნობს აღმოსავლურ და დასავლურ მითოლოგიებს და მათ „იყენებს“ სამყაროსთან თავისი დამოკიდებულების გასამყდვენებლად.

წაკითხვის მეორე დონეზე მითის უშუალო განცდა ხდება. არჩიბალდი იგივე ქართველი ერია, ამიტომაც „ისტორია“ (როგორც მათიანეებში აღწერს, ასევე, მითებსა და ლეგენდებში ასახული) განიცდება ცოცხლად, ქრონოლოგიის გარეშე – როგორც ერთი სხეულის სხვადასხვა ადგილას აღძრული შეგრძნებები. ფრაგმენტულად ხდება გახსენება მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა თუ პიროვნებისა.

რაც შეეხება სულის ევოლუციას, რომელიც ტექსტის ყველაზე ღრმა შრეა, იგი გულისხმობს ნაწარმოების, როგორც ჰერმეტიული ტექსტის გააზრებას. სწორედ სულის ისტორიასთან არის დაკავშირებული რომანში დიონისეს მითი.

დიონისეს მითს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევს ნიციმე და ვაგნერმა, რომელთა დიდ გავლენას განიცდიდნენ მოდერნისტი მწერლები და, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძე. მან დიონისოს ფენომენში სამი ასპექტი გამოკვეთა. პირველი. მწერალი საუბრობს დიონისო პირველზე – ზაგრეიზე – ძველის ძეზე, რომელსაც ტიტანები მიიტყუებენ სარკესთან, რომელშიც უმზერს თავის გამოსახულებას. ეს არის პირველი სიმბოლო ინდივიდუაციისა, ანუ განპიროვნებისა. ზაგრეი გაიქცევა და იქცევა სხვადასხვა სხეულად (მეორე სიმბოლო ინდივიდუაციის), ბოლოს, როცა ხარად იქცევა, ტიტანები დაენევიან და დაგლეჯენ მის სხეულს ნანილ-ნანილ (მესამე სიმბოლო ინდივიდუაციის) და ყლაპავენ მას. მხოლოდ მის გულს იხსნის ათინა. ძვესი განყრება და ანაცრებს ტიტანებს ცეცხლით, ამ ნაცრიდან წარმოდგა ადამიანთა მოდგმა. დიონისოს გულს ძვესი ყლაპავს და შემდგომ, შეუერთდება რა სენელას, წარმოშობს „მეორე დიონისოს“. მეორე: ადამიანი წარმოდგება ორი ელემენტისაგან: დიონისურისა და ტიტანურისაგან, დიონისური ელემენტი ისწრაფვის, შეუერთდეს ახალს დიონისოს სადღაისში (დიადს ყოვლადობაში); ტიტანური ელემენტი აკავებს ადამიანს ინდივიდუაციის (განპიროვნების) რკალში. ადამიანის ვალი: მორევა თავის თავში ტიტანურისა. საშუალება „ორფიკული სიცოცხლე“. მესამე: სული ადამიანისა უკვდავია, ხოლო არ არის თავისუფალი: იგი მოქცეულია დაბადებისა და სიკვდილის უსაზღვრო „რკალში“. ორფიკული სიცოცხლე ათავისუფლებს სულს ამთავითვე: საჭიროა მრავალი და თანდათან „სხვადაცევა“ სააქაოს. როცა მთელს რიგს „ცდათა“ გაივლის, სულს შეუძლია შემდგომ სავსებით ეზიაროს დიონისოს, იქცეს ერთსხეულ მასთან“ (რობაქიძე 1988: 11). „განპი-

როვნების“ განმარტებისთვის გრიგოლ რობაქიძე ანაქსიმანდრეს აფორიზმს მოიხმობს: პიროვანი ყოფისთვის ყოველი არსის უკანასკნელი ხვედრი სიკვდილია. „პიროვანობა“ თავისთავად ყოველი სიავის სათავეა: უნდა დაიმსხვრეს ლამაზი ჭურჭელი ინდივიდუალობისა. – იგი სხივოსანი ჩვენებაა მხოლოდ. (ძველ ინდოელთა „მაია“) – იგი შემთხვევითი მასკაა არსის (ძველ ინდოელთა „უპადხი“) – და ჭურჭელში მოქცეული პირადი ნაკადული სიცოცხლისა უნდა შეერთოს მსოფლიო უძირო დენას. აქ არის „მსხვერპლი“ და „მწირველი“. დიონისოს კულტი მსხვერპლის შეწირვაა“ (რობაქიძე 1988: 11).

„გველის პერანგში“ მხატვრულად არის ხორცშესხმული ეს თვალსაზრისი. „პიროვნების“ გარღვევა და ზიარება „ყოვლადობასთან“, რომელიც იხსნება ჯერ გვარში, მერე ერში და შემდეგ ღმერთში. ეს, ერთდროულად, არის კიდევაც დროში განგრძობილი პროცესი და თან არა. რომანში თვითონ ცხოვრებაა წარმოდგენილი, როგორც დიონისეს მისტერია. არჩილ მაყაშვილი დიონისური ტიპია. იგი მაძიებელია, „მოგზაურია“, მუდმივად ხიფათებს რომ ხვდება. იგი დიონისეს დარად „ივნება“ და ბოლოს „აღდგება“, როგორც სრულყოფილი პიროვნება. რომანში არა მხოლოდ მთავარი გმირი, არამედ თვითონ ერი გაიაზრება, როგორც დიონისური. ამის თაობაზე თვითონ გრიგოლ რობაქიძე საუბრობს წერილში „დიონისეს კულტი და საქართველო“: „მთელი ისტორია ქართველებისა დიონისური მისტერიაა თავის თავად: სიკვდილი და სიცოცხლე, გაქრობა და აღდგენა, – მგონი ჩვენზე უფრო მკვეთრად სხვა ხალხს არ განუცდია და არც არის ქართველ ერში შავი მელანქოლია, ეროვნული პესსიმიზმით გამოწვეული. ქართველმა ერმა ყველაზე უფრო მძაფრად მოჰკვეთა ძველ ჰელლინთა დიონისური „სიყვარული ბედისადმი“ (ამორ ფატი) სამს სიტყვაში: „რაც მოხდეს, მოხდეს“, იგი მაინც დიონისურს გუნებაზეა და მღერის მუდამ „მრავალჟამიერს“. „მრავალ ჟამიერ“ – უკანასკნელი ხაზია საქართველოში ათამაშებული „დიონისურობის“ (რობაქიძე 1988: 12). „დიონისოს როს ახლოვდებოდა – ქალთა გუნდი მისი სიახლოვეთი ივსებოდა, როგორც ტანდაცლილი წყარო. როს იგი მოვიდოდა უკვე?! მაშინ წყაროს თავს გადასდიოდა წყალი. ქალთა გროვა ღვთიურობით მთვრალი თავდავიწყებას მიეცემოდა, მაგრამ დავიწყებას გასერავდა რაღაც მწვავე და ნეტარი. და ქალთა გროვა უეცარი ასხლეტით ატყვდებოდა და დიონისეს მიმართ მიექანებოდა კივილით: ევოე!.. ევოე!... ოლგაც მენადაა ატეხილი?! იგიც დიონისეს ხვდება?! ან ელის მას – „დამხსნელს“?! მაგრამ სადაა იგი?! ვინ „დაიხსნის“ ქალს?!“ (რობაქიძე 1989: 261).

მითოსმა რომანში ახალი სიმწყობრე შეიტანა. ოღონდ ეს სიმწყობრე ხშირად შეფარულად არის გამჟღავნებული, რადგან იგი ეყრდნობა იმ ფარულ საძირკველს, რომელსაც ხშირად წარმოადგენს მკითხველისთვის გამოსაცნობი მითი.

დიონისეს მითმა ერთ წერტილში შემოკრიბა სავარსამიძის მრავალმხრივ განტოტვილი მისწრაფებები. მრავალპლანიან რომანს მტკიცე შინაგანი საყრდენი შეუქმნა.

„ეს არაოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის“. მითის განმარტებისას გრიგოლ რობაქიძე სალლუსტიუსის სწორედ ამ გამონათქვამს მოიხმობდა. „გველის პერანგი“ კი სწორედ „ყოველთვის მყოფის“ წარმოჩენას წარმოადგენს, იმ სანყისების, არქეტიპების, თაურფენომენების მხატვრულ ხორცშესხმას, რომელთაც წარმავალ სამყაროში გამუდმებით განჭვრეტდა მწერალი და რომლებიც განაპირობებდნენ სამყაროს რაგვარობას. რომანის სახეთა რთული სისტემა, სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნება, ლიტერატურულ, ისტორიულ, მითოსურ სიბრტყეთა ურთიერთმონაცვლეობა „მითური რეალობის“ დახატვისკენაა მიმართული. უხილავის წარმოსაჩენად მწერალი ერთსა და იმავე თემას ხშირად ლაიტმოტივურად ამუშავებს და საბოლოოდ ნათელყოფს როგორც ადამიანის, ასევე, ერისა და სამყაროს არსებას.

„მითური რეალობის“ თვალსაჩინოებისთვის გრიგოლ რობაქიძე მიმართავდა გოეთეს და მის მიერ „ორმაგი ჭვრეტით“ გამოკვლეულ მცენარეს. გოეთემ გამოავლინა სწორედ მცენარეში „თაურმცენარე“ – ე.ი. უხილავად მყოფი მცენარე და უწოდა „ურფენომენ“. თაურმცენარე მცენარისთვის მითოსია, მწერლის აზრით, არაოდეს ხილული მყოფადი, მაგრამ „ყოველთვის გაელვებული“ (რობაქიძე 1991: 246).

არჩიბალდ მეკეში, კონსტანტინე სავარსამიძე და ბონდო ჭილაძე გამუდმებით „სუნთქავენ“ მითებით. რა თქმა უნდა, მათ განსხვავებული შეგრძნებები აქვთ, მაგრამ ამ გზით ისინი პროფანულ დროს არღვევენ და შედიან ერთგვარ „წმინდა დროში“. ამ რომანებში წარმოდგენილი გმირების რელიგიურობა არ გულისხმობს მხოლოდ ქრისტიანულ რწმენას, არამედ, უპირველესად, ერთგვარ მითიურობას. „რელიგიურობა, – წერს ჰიუბნერი, – ეს არის გამოცდილება იმისა, რომ ადამიანმა მიანიჭოს ახალი ძალა ლეგენდარულს, ღირსსახსოვარ მოვლენებს და თვითმხილველი გახდეს ზებუნებრივი ძალების შემოქმედებითი მოღვაწეობისა. ადამიანი წყვეტს თავის ყოველდღიურ არსებობას ჩვეულებრივ სამყაროში და შედის გაბრწყინებულ სამყაროში, რომელიც გამსჭვალულია ღვთაებრივი ძალებით. მითის მონაწილე გმირები ხდებიან დღევანდელი დღის მონაწილენი, პერსონაჟის თანამედროვენი. ადამიანი ამგვარად უბრუნდება თავდაპირველ დროს და მოვლენების საზრისს შეიმეცნებს“ (ჰიუბნერი 1996: 182).

„გველის პერანგი“ წარმოადგენს იმის მხატვრულ გააზრებას, თუ როგორ ემზადება ადამიანი ახალი ცხოვრებისთვის. ადამიანი ცხოვრების გზაზე გაივლის შემეცნების სხვადასხვა ეტაპს. „ზიდჰართაში“ (რომელიც ჰესემ 1922 წელს გამოაქვეყნა) აღწერილია ბრამანის ვაჟის – ზიდჰართას ყარიბობა, გაუტამა ბუდასთან შეხვედრა-საუბარი, რომელმაც უდიდესი გარდატეხა მოახდინა მის ცხოვრებაში. აზროვნება, ზიდჰართას აზრით, მიზეზთა შეცნობაში მდგომარეობს, ხოლო გან-

ცდები მხოლოდ მიზეზთა შეცნობის შედეგად გარდაიქმნებიან შემეცნებად და უკვალოდ კი არ განქარდებიან, არამედ არსს იძენენ და გამოსახივებენ, განაცხადებენ დაფარულ წიაღს (ჰესე 1998 :37).

გველის მიერ პერანგის გახდა „ზიდჰართაშიც“ გვხვდება და აქ იგი მეტაფორულად გმირის „დაკაცებას“ აღნიშნავს. გრიგოლ რობაქიძის რომანშიც იგულისხმება ეს ასპექტი. ზიდჰართა მიხვდა „რალაც ისე ჩამოსცილდა, როგორც გველს სძვრება და სცილდება ძველი პერანგი და ეს რალაც, რაც თან სდევდა, მისი იყო ყმანვილობისას, ახლა აღარ გააჩნდა. აღარ ჰქონდა არავითარი სურვილი მოძღვრის პოვნისა და მოძღვრებების მოსმენისა“ (ჰესე 1998: 38). არჩილ მაყაშვილიც ემშვიდობება ტაბა ტაბაის, თავის მოძღვარს, რომელიც თანაბრად წვრთნიდა ინდურ, ეგვიპტურ თუ ებრაულ საიდუმლო სწავლებებში. ზიდჰართა მიხვდა: „მე იყო ის, რისი აზრისა და არსის შეცნობა სურდა“. მან გადაწყვიტა საკუთარი თავის დამონაფება. ამგვარმა ფიქრმა მას თვალის აუხილა, თითქოს პირველად დაინახა გარე სამყარო: „მშვენიერი იყო ქვეყნიერება, ნაირფერი, საკვირველი და იდუმალი. ალაგ ცისფერი, ოქროსფერი და ალაგ მწვანე“. ზიდჰართა იდგა „სამყაროს შუაგულში „გამოღვიძებული, „გზად საკუთარი თავისკენ“. „აზრსმოკლებული და შემთხვევითი აღარ იყო სამყაროს მრავალსახეობა, რაც ესოდენ საძულველია ღრმად მოაზროვნე ბრამანისთვის, რომელიც არად აგდებს მრავალსახეობას და ერთმთლიანობას ეძიებს“. ზიდჰართა მიხვდა, რომ „ღვთაებრივის ბუნება და აზრიც ეს იყო: ყოფილიყო ალაგ ლურჯი, ალაგ ყვითელი, ზემოთ ცა, ქვემოთ ტყე და აქაც ზიდჰართა, აზრი და არსი სადმე საგანთა მიღმა კი არა, საგანთა შიგნით იმყოფებოდა“ (ჰესე 1998: 38). მისთვის ბუნების საგნები და მოვლენები წარმოჩნდა, როგორც „სამყაროს დიდი წიგნის“ ასო-ნიშნები. სწორედ ასევე აღიქვამს სამყაროს არჩიზალდ მეკეში. ზიდჰართა ამბობს: „ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. გამოვიღვიძე, ჭეშმარიტად გამოვიღვიძე და პირველად დღეს დავიბადე“ (ჰესე 1998: 38).

სამშობლოში ჭეშმარიტად მაშინ დაბრუნდა არჩიზალდი, როცა უკანასკნელად გაქცეულს მატასი დაეწია და მოაბრუნა. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ქართული მიწა, მატასის სახით მოვლენილი, არსად გაუშვებდა, ამიტომაც ამოიღო უბიდან გველის პერანგი და გადაადგო, ეს იყო მისი მეორედ შობა, გამოღვიძება, „დაკაცება“. „არჩიზალდი თითქოს ეხლა ხედავს: გველი პერანგს იხდის რიყეზე – გაძვრება ქერქიდან და ირონიით მოხედავს საკუთარ თავს დაგდებულს – შემდეგ გასრიალდება სივილით ახალი და ხალასი. არჩიზალდი გველის ქერქს აკვირდება – თავის თავს ხომ არ ხედავს! წარსულს – გადასულს – მოცილებულს?!“ (რობაქიძე 1989: 297).

გველის პერანგი ამქვეყნიერების, ხორციელების, ვნებათა მრავალფეროვნების, მისი სიჭრელის სიმბოლოცაა. მისი გადაგდებით არჩიზალდმა საბოლოოდ შემოიკრიბა ყურადღება ერთ „საგანზე“ – სულზე და „შინისკენ“ მიმავალ გზაზე. გველის სახის საინტერესო ინტერპრე-

ტაციას გვთავაზობს პოლ ვალერი, რომელიც წერს: „მიეჩვიე იმას, რომ იფიქრო გველივით, რომელიც თავის კუდს კბენს, თავის თავსვე ყლაპავს. ეს არის თავი და თავი. მე „მოვიცავ“ იმას, რაც მე „მომიცავს“. მე ხან მომცველი ვარ და ხან მოცული“ (ვალერი 1983:299).

ამირან გომართელი წერს: „ხელმეორედ შობილმა არჩიბალდ მეკეშმა ემპირიულ „მეს“ მიღმა თავისი ნამდვილი „მე“ უნდა იპოვოს და პოულობს კიდეც. იგი, ვაჟას მინდიას მსგავსად, გრძნობს მისტიკურ კავშირს სამყაროს პირველმიზეზთან, ჩართულია კოსმიურ, „სამყაროულ მთლიანობაში“. ყველაფერი, მის გარეთ მყოფი, მას უკავშირდება და მისივე ნაწილია“ (გომართელი 1997: 190).

ჰესემ და რობაქიძემ გველის პერანგის უძველესი მეტაფორა კვლავ გამოიყენეს „ხელმეორედ დაბადების“, „გალვიძების“ გამოსახატავად. ეს მათ მხატვრულ ტექსტებში შემეცნების ახალ ეტაპს შეესაბამება.

დამონებიანი:

ელიოტი 1989: ელიოტი ტ.ს. *ულისე. მითი და წესრიგი. ესეები*. თბ.: 1989.

ელიადე 1992,1993: ელიადე მ. *მითის ასპექტები*. ფ. „ივერია“(ქართ. ევროპ. ინსტ.ჟურნ). №1,2,1992,1993.

გამსახურდია 1992: გამსახურდია კ. *დიონისოს ღიმელი*. თბ. 20 ტომად. ტ. II. თბ.: 1992.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. *„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება*. თბ.: 1991.

ესსები 1989: *ესსები*. თბ.: 1989.

ვალერი 1983: ვალერი პ. *რჩეული პროზა*. თბ.: 1983.

კიკნაძე 1984: კიკნაძე ზ. *შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი*. თბ.: 1984.

კობახიძე 1984: კობახიძე თ. ჯეიმს ჯოისი და ტ.ს. ელიოტი. *მითისა და წესრიგის ძიება*. კრებ. ჯოისი – 100. თბ.: 1984.

მანი 1995: მანი თ. *რიჰარდ ვაგნერი*. თბ.: 1995.

რობაქიძე 1988: რობაქიძე გრ. *დიონისეს კულტი და საქართველო*. გაზ. „ლიტ. საქ.“ 31 დეკემბ, თბ.: 1988.

რობაქიძე 1991: რობაქიძე გრ. *საქართ. სათავენი*. ფ. „ლიტერ. და ხელოვ.“ № 2, 1991.

სიგუა 1991: სიგუა ს. *მარტვილი და ალამდარი*. თბ.: 1991.

შენგელაია 1983: შენგელაია დ. *სანავარდო*. რჩ. თბ.: 1983.

შენგელაია 1960: შენგელაია დ. *თბზ. 2 ტომად. ტ. II*, თბ.: 1960.

ხომერიკი 1990: ხომერიკი მ. *ჰიერატიული „გველის პერანგსა“ და „ფალესტრაში“*. ფ. „განთიადი“, № 2, 1990.

ხიუბნერი 1996: Хюбнер К. *Истина мифа*. М.: 1996.

ჰესე 1998: ჰესე ჰ. *ზიდჰარტა*. ფ. „აფრა“, № 4, 1998.